ISSN 0132-6074

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

10
1981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევოლუცია

ჟამი წყვდიადი,
ჟამი სევდა,
ჟამი მოშვება, —
უსასტიკესი,
უმძაფრესი,
ცივი და
ბასრი,
შემდეგ...
სიმართლე —
მოფენილი
წითელ დროშებად,
რევოლუცია! —
საუკუნის
ტვინი და აზრი!..
ის გრიგალებში
წინ გაიძღოდა
ბრძენი
ბელადი, —
პლანეტის ჩაგრულთ
სინათლედ და
მზედ რომ უცვნიათ,
ჩვენ —
გულს ვაძლევდით,
სულს ვაძლევდით,
ვდუღდით,
ვღელავდით,
ჩვენ —
სისხლს ვაძლევდით
რევოლუციას!..
დიდება დღეებს,
ვაშა დღეებს!
სითბოს
მრგვალი ცის,
ხალხის გაზაფხულს,
ხალხის მიზანს,
ხალხის განთიადს,
მაისიაო გაზაფხული,
და... მე არ ვიცი, —
სუნთქვას ოქტომბრის
გაზაფხულად
რატომ არ თვლიან?!..
და... როგორც ძეგლი,
მარადისი,
წლებში გადადის
ხატება მათი,
ვინც ქარიშხლის
ზღვები გაცურა,
რომულთაც ჯიბით
თან დაჰქონდათ
მცირე მანდატი, —
მხოლოდ სინდისის
და სიმართლის
ურყევ დასტურად!..

შარანაზ რაინაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

292

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

10

ოქტომბერი

1981

თბილისი

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. მზია ზენელაია — უცოდველი ანგელოზი. მოთხრობა
10. ბიძინა მინდაძე — ლექსები
14. ირაკლი ბაზაძე — ლექსები
16. მურად ნებიერიძე — ლექსები
18. გურამ დოჩანაშვილი — ვატერკლოზეტ, ანუ ალდგენითი სამუშაოები. ფანტასტიკური მოთხრობა
60. დავით მჟავლიური — ლექსები
62. ეკატერინე საღლიანი — ლექსები
63. რევაზ ოსეფაშვილი — ლექსები
66. თამაზ ჯიბლაშვილი — ადამიანი მარტო არ არის. რომანი. დასაწყისი
91. გრიგოლ რუხაია — ლექსები
93. მიხეილ ხარიტონაშვილი — ლექსები
95. რევაზ კლდიაშვილი — გოეთხროვები
105. შუკო ჯიქია — წიგნიდან: „ლანდები და ისევე". ლექსები
107. ფილიპე კოტეტიშვილი — ლექსები
109. ლერი ალიმონაია — რკალიდან: „უხსოვრობიდან მახსოვრობაში". ლექსები

გახსენება

113. ვლადიმერ მაჩაიძე — ლექსები
115. ქეთევან ჯავახიშვილი — მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. გაგრძელება

ნარკვევი

123. ნელი გაბარიჩიძე — ფიქრები ქეთევან ანანიაშვილზე

100 — მიხეილ ჯავახიშვილი — 100

132. იოსებ მეგრელიძე — მიხეილ ჯავახიშვილი

წერილები

137. კარლო გეგელაშვილი — სასწაულები და სასწაულმოქმედნი. დასაწყისი

„იმ ქარცეცხლიან დღეთა ეჭო"

146. ვლადიმერ კიკალიშვილი — ჯოკაიტლის სასაპლო საბრძოლო გზა

ხელოვნება

151. სამსონ ლეჟავა — ზურაბ ნიქარაძე
155. ქეთევან კინწურაშვილი — გოგი მესხიშვილის მხატვრული სამყარო

მთავარი რედაქტორი

მორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, გივი გეგეჭკორი, გურამ გვერდწითელი, რისმაგ გოროზიანი, გიორგი გუგლია, მოდარ დუმბაძე, მერაბ ელიოზიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე,

მთავარი რედაქტორის მოადგილე ოტია პაჭკორია,

გურამ ფანჯიკიძე, ნუგზარ შატაიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, სოსო ცინცაძე გივი ძნელაძე, ნუგზარ წერეთელი, თამაზ წიფვიაძე, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მზია შენგელია

უცოდველი ანგელოზი

თავი რომ ასწია, დავინახე, შენს სახეზე მწუხარების ჩრდილი ეფინა... თავისთავად ჩამომწყდა ცრემლები და პირქვე დავემხე... შენ ხელი გამოსწიე და თბილად, მზრუნველად მომეფერე...

დანამული თვალებით მწყრალად შემოგხედე. მერე სურათისკენ გამექცა მზერა... ჩემი გოგო უზრუნველად იცინის სურათზე... ოცნებაში ვხედავ იმ წუთს, როცა თეას ეს სურათი გადაუღეს. მერე გარდასულ წლებს ვიგონებ და იმ დღეებში ვიძირები.

— „ცისკარა... ცისკარა...“

ფილმს თავდავიწყებით ჭუკქერით. ამ სახლში ორთავე სტუმრები ვართ, მაგრამ „ცისკარამ“ ჩვენს შორის არსებული სიცივე გაალღვო. სრულიად მოულოდნელად ვიპოვეთ ერთმანეთი.

აღარ მახსოვს, პირველი წერილი შვონი მე მოგწერე, შენი თხოვნით, როცა გამოსაგზავნად გამზადებული ბარათი ჩავიკითხე, ვიგრძენი, რომ შიგ დაუფარავად ჩანდა მონატრება... მერე ვხვდებოდით ერთმანეთს და მივყვებოდით აღმართებს ბედნიერებით გატაცებულები, უდარდელები, ვამბობდით ლექსებს, თუმცა არა, შენ არა, ეს მე ვამბობდი ლექსებს.

ჩვენს ქორწინებაში არ იყო ანგარება, რაიმე უხამსობა; ახლა შენ შეგეძლო, რამდენიც გინდოდა გეჭეროდა შენს ვეება ხელში ჩემი ციცქნა თითები...

ღმერთო ჩემო... რა ნაზ, ლამაზ ფერებში ვხედავდი ცხოვრებას, როგორ მეხატებოდა ოჯახი... მეძინა შენს ფართო მკერდზე და ვიღვიძებდი ბედნიერი, შენი სიყვარულით გარემოცული.

გაჩნდა ჩვენი გოგო, ჩვენი ზღვა სიყვარულის პირველი ნაყოფი, პირველი ბედნიერება, პირველი სიხარული, ჩვე-

საქართველოს რესპუბლიკა

ნი თეა... აღუღუნდა გოგო აკვანში. რამდენი თეთრად გათენებული ღამე და გაწვალება წვიდა.

მერე ვაჟიც შეგვეძინა. და უცებ საკუთარ მხრებზე მთელი სიმძიმით ვიგრძენი ორი შვილი, გზაში გაკიდული ჩვენი სიყვარული, ჰო, გზაში გაკიდული; შენ თბილისი ირჩიე სამუშაოდ, საცხოვრებლად. მე ჩემი ორი შვილით ქუთაისს ვერ მოვშორდი. რატომ? აქ დედაჩემი მშვილდა; ჩვენ მე და ჩემი შვილები, უცხონი ვიყავით შენს ოჯახში, დედაშენის ოჯახში.

და ახლა, როცა ჩემი გოგო აღარ არის ამქვეყნად, ხმამაღლა შემიძლია ვიყვირო: თქვენებს რომ ცოტა, სულ ცოტა ადგილი გამოენახათ ჩვენთვის თავის ბინაში, მარტო ციცქნა ადგილი, ყველაფერი სხვანაირად წავიდოდა. ორი თვე, ორადორი თვე ორი ბავშვით ვსტუმრებოდი იმ სახლში, სადაც ჩვენ უნდა გვკავებოდა ადგილი, კუთვნილი, კანონიერი. რა ავიტანე ამ ორ თვეში, ეს მარტო მე ვიცი. ნერვიულობისაგან დამეშრიტა ძუძუ და ექვსი თვის ბიჭი მშიერი დამირჩა. ამ ორი თვის მანძილზე სულ მაგრძნობინებდნენ, რომ აქ ჩვენი ადგილი არ იყო, მაგრამ ვდუმდი, რადგან შენი სიყვარული მაიძულებდა მომეთმინა.

მოთმინება... ნუთუ ქალმა, თავისთავს საუკეთესო წრის წარმომადგენელს რომ უწოდებდა, არ იცოდა, რომ მეუღლენი ერთ ჭერქვეშ უნდა ცხოვრობდნენ, პატარაა თუ დიდი ის ჭერი და თუ იცოდა, ასე აშკარად როგორღა მაგრძნობინებდა ჩემს არასასურველ სტუმრობას.

იქნებ სჯობდა შენ გეცხოვრა ჩვენს სახლში?! ჩემთან, ჩემს დედ-მამასთან, იქნებ ჯობდა? ალბათ. მაგრამ ისევ და ისევ დაუწერელი, სულელური კანონები, არასასურველი გარემო, სიდედრ-სიმამრი...

ეჰ! ახლა ყველაფერი გვიანია... მაგრამ მინდა მაინც ვთქვა სათქმელი. მოყვე, დაე, ყველამ გაიგოს, ყველამ ისმინოს, სხვები მაინც მოვრდნენ გრძნეზე, სხვებს მაინც გადაურჩეთ თეა-ლა-შა, ია, თათია...

მე სიყვარულს მივენდე, დრო გამომაბას და აჰა! პატიოსნებისათვის უსასრულო ლანძღვა დედამთილისაგან... ვიღაცის უხამსი ჭორებით სახელის შეგინება...

გოგო, რომელსაც არაფერი მოკლებია დაბადებიდან გათხოვებამდე, გოგო, რომელსაც გააჩნდა ბინა, ნათელი, თბილი, მყუდრო, დედისა და მამის დიდი სიობო, სიყვარული საზოგადოებისა, რითაც ერთგვარად გაამაყებულიც კი იყო, გათხოვებიდან სულ რამდენიმე თვეში ზღაპრული სამყაროდან უცებ ნამდვილ ცხოვრებაში მოხვდა... და აი, უკვე ორი შვილის დედა კარიდან კარზე დავდიოდი და ბინას ვეძებდი, ბინას, თავშესაფარს, სადაც შეგვეძლებოდა გვეცხოვრა შვილებთან ერთად. საშინელი იმედის გაცრუება, დაცინვა ბედის, აი, რა ვიგრძენი ამ კარიდან კარზე სირბილით.

ორშვილიანი ოჯახი არავის სურდა მდგმურად, რომ არაფერი ვთქვათ იმ თანხაზე, რასაც თავვის სოროდ გამოსადეგ ოთახს აფასებდნენ... შენ დედის ჭერქვეშ შეფარებული მშვიდად ელოდი დასასრულს. იქნებოდა ბინა, იქნებოდა, არა და, არც ეს შეგაწუხებდა... ამიტომ იყო, რომ დედაშენივით შენც ქუთაისში მირჩევდი დარჩენას. ღმერთო ჩემო, ისევ და ისევ უხერხულობა, ზერელე, მსუბუქი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. როგორ შეგეძლო ეს? როგორ?

რა დაუღლელი, უსასრულო სიყვარული მჭონდა შენდამი. არ მეშინოდა ცხოვრებისა, სიმარტოვისა, შეიძლება მოსალოდნელი შიმშილისაც კი. ამაზე არც ვფიქრობდი. ვწვებოდი ღამე, ნათესავს მაკედლებული, მაგრად ვიკრავდი მკერდში ჩემს პატარა ბიჭს, გულში ვიკლავდი გოგოს მონატრებას, რომელიც ქუთაისში დროებით შეეატოვე დედაჩემს და ვფიქრობდი შენზე. შენზე? არა, შენზე კი არა, ყველაფერზე...

იქნებ მე უკვე ზედმეტი ვიყავი შენთვის. იქნებ სჯობდა ჩემს შვილებს მარტო დედა ჰყოლოდათ? განა ასობით ბავშვი არ გაიზარდა უმამოდ? ვერა, ვერ ვეგუებოდი ამ საშინელებას. ჩვენ, ორი შვილის დედა და მამა, პაემანზე ვხვდებოდით ერთმანეთს. პაემანზე... ღმერთო ჩემო! და ეს პაემნები ილეოდა დავაპა და კამათში, ჩხუბში, მოპარულ, მალულ ალერსში, ცრემლში.

მე ვიღლებოდი. ყველაფერზე ხელის ჩაქნევას ვაპირებდი და გაცლას, იოლ გზასღა ვეძებდებოდი. უსასოოდ დაღლილი, უარს ვამბობდი მეორე დღეს ისევ მეძებნა ბინა, თავშესაფარი, რომელზეც შენ სულ არ ზრუნავდი...

და ამ დროს ნათესავი, ვისაც ჯერ არ მობეზრებოდა ჩემი სტუმრობა, მტკიცე კედელივით აღიმართებოდა ჩემს გვერდით.

—არა, — მეტყოდა გურამი, — ასე არ შეიძლება, ოჯახის დანგრევა ძალზე ადვილია, მოკიდებ ბიჭს ხელს და წახვალ შენს დედ-მამასთან, ამას რა უნდა. არა, საქმე ისაა, აღადგინო იგი, სადღაც ერთი ციცქნა კუთხე გამონახოთ და იცხოვროთ, რა ვუყოთ მერე, ის არ ეძებს, შენ ეძებ... ბავშვებს მამა სჭირდებათ.

მაიმედებდნენ ნანი და გურამი. ჩემი მძიმე დღეების უდიდესი მეგობრები, და აი, ჩემმა ნათესავებმა თბილისიდან მოციელებით შემოგვთავაზეს ბინა სასყიდლის გარეშე. დიახ! გამოჩნდა თავშესაფარი. გვეშველა... ყველაფერი აეწყო, ყველაფერი მოგვარდა. იყო ბედნიერებითა და სიხარულით აღსავსე დღეები, როცა შენ კარგი განწყობილებით შემოხვიდოდი შინ. არც ერთს არ გვაკლებდი ალერსს, მაგრამ ვაი, თუ ვინმესაგან გაღიზიანებული მოხვიდოდი, ბავშვის წამოტირებაც კი გაშფოთებდა და უკვე ჩნდებოდა მიზეზი ჩხუბის, კამათის.

უმეტესად ბავშვებიანად დავდიოდი პურზე, რძეზე, სამთავეს მოგვქონდა სანოვაგე... ამ დროს შენ მეგობრებთან იქცევდი თავს, ან დედის ბინაში მშვიდად ატარებდი დროს... ასე გაგიდა წელიწად-ნახევარი.

ახლა როცა ამ დღეებს ვიხსენებ, იმ ბობ, ბედნიერი ვიყავი მაშინ, მიუხედავად ყველა სიმწარისა... დიახ! ბედნიერი...

და აი, ერთ დღესაც ვეღარ წავედით პურზე... ამჯერად ჯანმრთელობამ მიღალატა. შენ გთხოვე... არც აცივ, არც აცხელე, შენს ჩვეულ ვახას გაუდექი და კვლავ მარტონი დავრჩით. ეს დღე შავი ბედისწერის დღე იყო თურმე.

... სამუდამოდ გათავდა ყველაფერი. მე გაწვალება, აურაცხელი დარდი, ცრიელი საწოლი და გაუცვეთავი ციცქნა კაბები დამრჩა დარდად და თილისმად.

პალტო, რომელიც უკანასკნელ დღეს ეცვა, აღარ მინახავს მის ტკბილ სურნელს, მიდის დრო და დრო აქრობს ყველაფერს, ნელ-ნელა კლავს მისეული სურნელის სიცოცხლეს, მისი ხელნავლების ხსოვნას.

დრო, დრო ულმობელი და მზაკვარი მართმევს მის სითბოს.

სასაფლაო ისეთი შემზარავი და ცივია, ვერაფრით ვერ ეგუება მისი კისკისა სიცოცხლის აჩრდილსაც კი... ციცქნა ყვავილები ჩურჩულებენ...

— დედიკო! ნუ ტირი, რა! მამამ გაწყენინა? — ჩამკითხავს ყვავილები თუ თეა.

მამა... მამას რომ ემამა, ჩემი ღვთის ანგელოზი დღესაც ღვთიურად მეყოლებოდა და მე შავი ძაძა არ გამყინავდა.

8 მარტი...

საერთოდ რად, რატომ გათენდა ეს დღე...

ანგელოზივით გაცისკრებული სახეებით გაიღვიძეს. იყვნენ ორთავე ღამაზები და ბენიერები. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც გაგვეჭქეფ შენ. წახვედი...

მთელი თვე გავატარე მის სარეცელ-

ზაზა შენგელია
ცოცხალი ანგელოზი

თან. მთელ თვეს სალბუნებს ვადებდი დამწვარ მკერდზე ჩემს პაწაწა გოგოს, ჩემს პირველ ბენიერებას და სიხარულს, ჩემი სიყრმის შვილს...

— დედიკო! დედიკო! — მიმქრალი ტუჩებით ჩურჩულებს.

— დედიკო, იცი? მე ასანთი ავიღე... — და ის რაღაცას ტიტინებს, ჩურჩულებს. რაღაცას მიყვება. მე მისი ფაფუკი ხელებისკენ გამირბის მზერა, ალარ ვუსმენ...

— დედიკო! ამ ზაფხულს ზღვაზე წამიყვან? — ჩამესმის. ვეხიზღლები.

— ჰო! აბა რას ვიზამ, შვილო!

— დედიკო! — და თვალები უფართოვდება. მე კარისკენ ვიყურები. კარებში შენ დგახარ! ვხედავ, გიჭირს შემოსვლა, შენს თვალებს ვუყურებ და ვგრძნობ, რომ ნანობ, მთელ იმ წარსულ ცხოვრებას ნანობ. ჩემთვის კი სულ ერთია ამის შემდეგ ყველაფერი.

პროფესორი შემოდის პალატაში.

— ბატონო!

— დამშვიდდით! თქვენ სისხლს გადავუხდით, მამისა არ გამოდგა, — ამბობს პროფესორი.

— თეა, როგორა ხარ? — ახლა მას ეკითხება.

— კარგად, — პასუხობს იგი...

— რამდენი წლისა ხარ, თეა?

— ოთხის...

— ოთხი თვე აკლია ოთხ წელს, — ჩემთვის ვბუტბუტებ.

— ორთავენი ჩემს კაბინეტში შემობრძანდით, — მესმის პროფესორის ხმა.

თეასთან ბებო რჩება, საცოდავი დედაჩემი. ქალი, რომელსაც გულის დაავადება დაავიწყა შვილიშვილმა და ერთი საათიც კი არ შორდება მის სასთუმალს. იცის, გრძნობს, ნელ-ნელა ქრება ჩემი გიჟი გოგო.

ოპერაცია უნდა გავაკეთო, აუცილებლად უნდა გავაკეთო. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება. — ამბობს პროფესორი და იმედიანად გვიღიმის,

— ოპერაცია? ექიმო... — მე მეფიქრებული შევყურებ მას. — ხქნებ?.. — და ალარ ვამთავრებ საუბარს.

პროფესორი კვლავ განმარტავს მტკიცებას, რომ ეს აუცილებელია, რომ ოპერაცია უნდა გაკეთდეს.

ოპერაცია...

— ექიმო! იქნებ თურმანიძისეული გვეცადა... — უკანასკნელ ღონეს ვხმარობ... ვთხოვ. ექიმს გაგონებაც არ უნდა.

და, აჰა! ოპერაცია. ვიცი, ვგრძნობ, რომ ეს ოპერაცია არ უნდა გაკეთდეს, მე ვიცი, იგი არ მოიტანს შედეგს. ერთი თვე და კანის გადანერგვა? ორთავეს გამზადებენ საოპერაციოდ — შენ და თეას.

შენ დუმილით გამოხატავ თანხმობას. ახლა ყველაფერზე თანახმა ხარ. ახლა... ვაი, რომ უკვე ყველაფერი გვიანია.

თეა საოპერაციოდ მიჰყავთ

— დედიკო, ქუთაისში წამიყვანე, — ჩურჩულებს იგი...

იხურება ვიწრო კარი.

კარს მიღმა თეაა. მარტოდმარტო ამ თეორ ხალათიანთა შორის. ჩემი სიცოცხლის დიდი ნაწილი. ჩემი პატარა უდედოდაა იქ. მე დროს ვითვლი.. ალარ ვტირი...

— ღმერთო! ახუქე ჩემს შვილს სიცოცხლე, როგორიც გინდა იყოს, ოღონდ აცოცხლე, — ჩემთვის, გულში ვჩურჩულებ და ყველა ქვეყნის ყველა ღმერთს ვუხმობ.

შენ ალარ დაგიძახეს...

დამთავრდა.

თეას დაშავებულ სახეს ღრმა ტკივილის მძაფრი კვალი დასტყობია. ვდგავარ მის საწოლთან, ვუყურებ და გულში ვიღაც სხვა ყვირის... — ეს ჩემი ჩვილი არაა, ეს ჩემი შვილი არაა...

მას ძინავს.

ორი დღის შემდეგ სახვევი მოხსნეს მკერდზე.

შედეგი?

ექიმი თვალს ვერ მისწორებს, ცდილობს, გვერდი ჩამიაროს.

— ექიმო...

— ვერაა მაინც და მაინც კარგი შედეგი... ალბათ მეორედ გავაკეთებთ ოპერაციას ამ დღეებში.

— მეორედ?

— ჰო, ამჯერად ნამდვილად მამამისია საჭირო. მისი კანი მინდა.

მე აღარ ვკამათობ, აღარ ვდავობ, ვიცი რომ ზედმეტია.

შენთან ვრეკავ, მეორე ოპერაციაზე საჭირო ხარ, ამ დღეებში არ უნდა დალიო, არ უნდა დაიღალო... შენ ჩუმად მისმენ.

— ჰო, — ერთადერთ „ჰოს“ იმეტებ.

ოთხი დღე გადის... შენც უკვე აქა ხარ.

ნამდვილი ავადმყოფივით ყველა ფორმალობა შეგასრულებინეს.

ხვალ ოპერაციაა...

ცოტაც და მიმტყუნებს ძალა, მიმტყუნებს გული...

თვა ფართოდ გახელილი თვალებით გვიმზერს.

ჯერ შენი ჯერია.

საოპერაციო ოთახის კარამდე მიგაცილე...

— წამოიყვანეთ ბავშვი, — უფროსი ექთანი პალატაში შემოსულა.

თვა ხელით გადამყავს გორგოლებიან საწოლზე, ვუსწორებ სასთუმალს...

ისევ იხურება ვიწრო კარი, ისევ მარტოდმარტო რჩება თეთრხალათიანებთან ჩემი პატარა...

შენ სანახევროდ გძინავს. წამალი გაგაბრძობს მოქმედებას.

— მწარე იყო? გაგიჭირდა? — გეკითხები.

— არაფერი გამიგია... — მიღიმი.

ვუმზერ შენს მარცხენა მკლავს, დაბინტულს, სისხლიანს.

ყველა და ყველაფერი დუმს ირგვლივ. თვას დიდხანს აგვიანებენ.

დედაჩემი რაღაცას ჩურჩულებს. ვიცი, ისიც ლოცულობს და ღმერთს უხმობს, რომელ ღმერთს უხმობს ნეტა?

ჰა! დამთავრდა.

დღეს საწოლზე გაშხვართული ოთხი წელი რომ არც შესრულებია, წევს ბავშვი და ველოდები, როდის აახელს თვალს.

მე ვხედავ, აშკარად და პირდაპირ ვხედავ უარესობას, მხოლოდ უარესობას; ეს უარესობა პირველი ოპერაციის შემდეგ დაიწყო.

მეორე დღეს, ოთხშაბათს მამაც და შვილიც შეუჩერებლად გმინავდით... თვას გუგები ზომაზე მეტად გაფართოებია და დიდრონი, თაფლისფერი თვალები ხშირად ეყინება ერთ წერტილზე... არასოდეს მინახავს ასეთი თვალები. გაოცებული ვუყურებ ჩემს შვილს; ეს თვალები ცდილობენ ყველაფერი შთანთქან. ყველაფერი დაინახონ, ჩაიბეჭდონ, დაიხსომონ...

მთელ ღამეს ბორგავს ბავშვი, ხუთშაბათი თენდება, მთელ ღამეს ჰაერსა და წყალს თხოულობს თვა. მთელ ღამეს მისი დიდრონი თვალები ეჭვიანად უმზერენ ყველაფერს.

მე ვხედავ, მე ვგრძნობ, ეს სხვა თვალებია, სხვა მზერაა...

მე ვგრძნობ, ეს სიკვდილი დაბიჯებს მის სასთუმალთან და თანდათან იპყრობს მას.

ცხვირი, პაჭუა, ლამაზი ცხვირი სანთელივით სიფრიფანა გაუხდა და თანდათან გაუყვითლდა.

მე ახლა ვიცი, როგორ მოდის დასასრული. მე ვნახე მისი მოსვლა ჩემს გოგონასთან.

პარასკევს დილით შენ ტემპერატურამ საგრძნობლად ავიწია, შენს შვილს კი პირიქით — დაუვარდა... ეს უკანასკნელი დღეა, მხოლოდ თვალები მახსოვს დიდი, ძალიან დიდი თვალები... თვალები და ძახილი... ეს მე მეძახის თვა... სამჯერ იმეორებს ჩემს სახელს, გულში ვიხუტებ ჩემს პატარას.

მზია შენგელია
ჭიათურელი ანგელოზი

— მხედავ, დედიკო? — ვეკითხები.

თავს მიქნევს. და ისევ იმ დიდი, გუგებიდან გადმოცვენილი თვალებით მიმზერს, მარცხენა თვალიდან შეუჩერებლად მოდის ცრემლი.

მეტი არაფერი მახსოვს.

მერე არ ვიცი, რა მოხდა. როგორ მოხდა.

დასრულდა.

ეს თვითონ ცხოვრება დასრულდა. მკლავდაბინდული ხანდახან თუ შეავლებ თვალს ჩვენს პირველ სიხარულს. შენ იგი დედაშენის სახლში მიიყვანე. საოცარია, მიიყვანე იქ, სადაც არ გაზრდილა, არ უცხოვრია.

და ახა, ანგელოზი, ფუმფულა თეას ნაცვლად ცივი მიწაყრილი, ღრეები გაერთფეროვანდნენ.

— დედიკო! თეა მინდა, — მთხოვს ბიჭი. ჩვენი პატარა ბიჭი. იგი თითქმის დამავიწყდა კიდეც.

და ახა! როგორც იქნა ჩავიხუტე იგი მკერდში.

— თეა მინდა! — ჟინიანად ამბობს და ცრემლები ჩამოსდის შავი თვალებიდან.

— თეა, აი, თეა, — მიმყავს სურათთან, დიდ სურათთან.

იგი ეფერება სურათს, კოცნის.

დიდი, შავი ძაძა გადაიფარა სამყარომ. უაზროდ, უგულოდ, ნაძალადევად ვცხოვრობ. შენც შენი გზით მიდიხარ. შენთვისა ხარ განცალკევებული. თვრები, მოდიხარ ღამე და ჩემს საწოლს ეძებ... ეძებ აქ სითბოს, სიყვარულს, მუდამ რომ დაუშრეტელად გეგულებოდა და გელოდებოდა. მაგრამ მე გავიყინე. გავიყინე ყველაფრისადმი, შენდამი ყველაზე უფრო.

მე ბრალსა ვდებ ცხოვრებას, ჩვენს აწეწილ ცხოვრებას. შენს ახლობლებს. ისინი რომ ცოტა, სულ ცოტა დაგეხმარებოდნენ...

მალე ბინა გვექნება, უკვე შემოგთავაზეს.

ბინა გვექნება, თეა კი...

თეას საფლავზე ცივი, ცივი დუმილი მიმელის.

ყველა დღე ერთნაირია, გულგრილი.

და უცებ... უცებ ვიგრძენი, რომ ჩემში რაღაც მოხდა. ვიგრძენი ცვლილება, რასაც ასე აშკარად განიცდის ყველა ქალი დედობის შეგრძნების პირველივე წუთიდან...

ეს ისეთი მოულოდნელი იყო, ისეთი არაჩვეულებრივი, რომ ერთდროულად გამიკვირდა და გამეხარდა კიდეც.

და ჩემში დაიწყო რაღაც. გავაჩინო თუ არა? თეას შემდეგ შვილი? ხომ მყავს ბიჭი?

ორჭოფობაში მეპარება დრო და... გავიქეცი დედაჩემთან, დიახ, გავიქეცი, ერთადერთს მას გავუმხილე, შენც კი დაგიმალე. დედას გავენდე და ჩემი ყოყმანიც გავუმხილე.

— გააჩინე, შვილო, ჩვენ ახლა მხოლოდ პატარა გვიშველის. ეგებ გოგო გაჩნდეს და ისევ შევიყვაროთ პაწია ქაბები...

გოგო...

და ახა, დაიბადა პატარა, დაიბადა თეას მსგავსი ბიჭი...

მეწყინა თუ გამეხარდა?

არც ერთი, არც მეორე, უბრალოდ მე გავთავისუფლდი ტკივრთისაგან. ჩემი სიწწრის ბიჭი. ციცქნა, ჩუმი, ჩუმი არსება... გადის დრო და მხოლოდ და მხოლოდ ჩემს გოგონასთან მსგავსებას ვეძებ მასში. მან სულ მთლად დამისაკუთრა. ის, რასაც ვერ აკეთებდა დიდი ბიჭი, ამ პატარამ გააკეთა. მხოლოდ მათ ვჭირდები. აღარ მცალია ცრემლის საღვრელად.

ახალი ბინაც მოგვცეს. ნათელი, ფართო... და მე ყოველ ცისმარე თვალწინ მიდგას ჩემი თეთრყირმიზა, თვალებში ვარსკვლავებაციმციმებული გოგო; ნუთუ იგი იყო მსხვერპლი ჩვენი უწესრიგო ცხოვრებისა, უცოდველი, უწყინარი ანგელოზი. თეას შემდეგ შენგან წასვლას ვაპირებდი ჩემი ერთა ბიჭით, მე კი... ხედავ? მეორე ბიჭი გაგიჩინე. ოქროსკოჩრიანი ბიჭი.

ძნელია ოჯახის დანგრევა, ჩიტებიც კი, ჩიტებიც გულსაკლავად ჟივჟივებენ,

ვინმე რომ ბუდეს აუნგრევთ. ჩვენ ხომ ცოტა მეტი მაინცა ვართ ჩიტებზე. მე მინდა, ახლა მაინც ბედნიერები იყვნენ ჩემი შვილები. მინდა შენ მათთვის მოსიყვარულე, ტკბილი მამა იყო. მინდა კარგი, თბილი ოჯახი გვქონდეს; ნუთუ აღარ დავიმსახურე. აკი უდიდესი მსხვერპლი შევწირე სიყვარულს, ოჯახურ ერთიანობას, თორემ სხვანაირად მე მეყოლებოდა ჩემი გოგო-ბიჭი და ვიქნებოდი ჩემს დედ-მამასთან, დიახ! მეყოლებოდა ჩემი გოგო.

...დგას პაწია და ნუკრივით ლამაზი, უწყინარი, ჩვენი პატარა ბიჭი, თვალებს ხუჭავს და მე ვხედავ ჩემს გოგონას.

ეს თეაა...

მანაც ასე იცოდა თვალების პაჭუნი. ისეთივე თმა, ტუჩი, ცხვირ[illegible] ხე... ეუყურებ და ვგრძნობ [illegible] სველდება...

— ნუ ტირი, დედიკო! — მეძახის უფროსი ბიჭი.

ორივე ჩემკენ გამორბის, ორთავე ყელზე მეხვევა და უმანკო ტუჩებით კრემლებს მიშრობენ.

დაიზრდებიან ჩემი ბიჭები, დრო ისე მირბის, თვალს ვინ შეასწრებს.

დაიზრდებიან ჩემი ბიჭები და მე მათ ვასწავლი სიყვარულის უდიდეს გრძნობას, ვასწავლი მოვალეობას. მე ამას შევძლებ. ჩემი შვილების, ჩემი სამი შვილის ზღვა სიყვარული შემაძლებინებს.

ბიძინა მინდაძე

გახედე მცხეთას

ვერაზე გურამ ფანცხავა შემხვდა. წუხანდელივით მახსოვს. „წამომყევ, ჯვრიდან გავხედოთ მცხეთას". და მეც წავყევი ნაცნობს. იმ ღამეს ჯვრის მონასტერში შევრჩით. დღეს ერთი დარჩა ამბის მთხრობელი. სიბნელე ესხა უძირო ხევში, ვით ღვინო ძველი და მათრობელი. მთვარის ნათელზე ღამე იწვოდა. დგებოდა ჟამი ფოთოლთა ცვენის. მე არ ვიცოდი, რაც მან იცოდა, რომ დათვლილი აქვს სიცოცხლის დღენი... ვხედავ ზედაზენს, ღრუბლებში მცურავს და ჯვრის მონასტრის ვგრძნობ გულის ფეთქვას. „რად დამიტოვე ის ღამე, გურამ?" „რომ ამოხვიდე აქ ჩემთან ერთად!" მას მერე მუდამ ავდივარ... ერთად. მონასტრის ჩრდილში გავიშლი კარავს, მისი თვალებით ვუყურებ მცხეთას, მისი თვალებით ვსვამ მტკვარს და არაგვს.

მცხეთაში, სადაც ცხოველი ხეა, მტკვარზე არაგვი მოდის ჭენებით, ჯვარი აღეპყრა ღვთისმშობლის მხევალს, მხრებზე ეფინა ცისარტყელები. „რისთვის მოსულხარ შორეთით მხარეს, სადაც არავინ გყავს ახლობელი?" „უნდა დაემხოს არმაზ და ზადენ! იყოს სვეტი და ჯვარი ცხოველი!" შეძრწუნებული შესცქერს მცხეთელი, ვით ისეტყვება მეფის მტევანი. სკდება არმაზის ტაძრის კედელი და ღრუბლს მოაქვთ მეხისტეხანი. „მე მოსული ვარ შორეთით მხარეს, წილხვედრილია ჩემი რომელიც. უნდა დაემხოს არმაზ და ზადენ! იყოს სვეტი და ჯვარი ცხოველი!"

...რა კერპი იყო! ასეთი კერპი
არ უნახია ქვეყნად არავის.
არ ხარობს მისი ძირი და ნერგი
უკუნეში დგას მისი კარავი.
და მაინც იყო... ვერ დაგიფარავს
კერპის რისხვისგან ხმალი ან
ვერცხლი.
ადამის მოდგმა იქცა ცხვრის ფარად,
აუტოდაფედ — პრომეთეს ცეცხლი.

რა კერპი იყო... ასეთი კერპი
ათასწლეულში ერთხელ იალებს.
ადამიანის არ შერჩა ნერვიც,
მეტი რა უნდათ ადამიანებს.
ან მეტი რა ჰქნან? კერპი დიდია.
თაყვანი ეცით უსულო კერპებს!
ჩვენი სიცოცხლის ძაფი ჰკიდია
გაგიჟებული მოზვერის რქებზე.

მე მაგონდება ისევ ზაფხული და ჯვრის მონასტრის ხელის შენება, სიტყვა უთქმელი და დამარხული ახლა ტანაყრილ ნერგად მეხლება. ახლა, როდესაც მცხეთას გავცქერი, ცაში იელვებს შენი სახელი. როგორც მწირ მთებზე — ჯვრის მონასტერი, ეს ანთებული ქართლზე სანთელი. ისე ვით მაშინ, კვლავ დგას ზაფხული და სიყვარული მადევს ხუნდებად. გრძნობა, ათასჯერ გადამარხული ბუმერანგივით მომიბრუნდება. სიტყვებს, შერჩეულს შენდა სათქმელად, ალქიმიკოსის ჟინით ვფილტრავდი... შენ ყველაფერი იცი ამ ქვეყნად. მაგრამ არ იცი, როგორ მიყვარდი. ...გზა ქართლის გზებში მიირხეოდა, მახარობლობდა ჭია-მაია. სახელი მაინც არა გრქმეოდა ამაღლებული, როგორც — მარიამ!

მერე სიზმრებმა მიწამლეს და გურიაში ჩავედი. ცრემლშეუშრობმა სიმწვანემ ამომიკოცნა თვალები. ვინც წასულები მეგონა, ღიმილით დამხვდნენ ყველანი. რამ დამავიწყოს კისკისი ჭიქებში იზაბელასი ან მთვარის თავის დახრჩობა ჭაში, რომელიც ამოშრა. მოკლე შარვალში ბავშვობა სიზმრად სიზმრისა გამოჩნდა. როგორ წავიდე აქედან, ნეტამც. ადრე არ გაგეშვით... გათენდა, მაინც გათენდა. მზე შემოვარდა ყანებში. აბღავლდა ხარი ნიკორა, არვინ გაუღო ჭიშკარი. იყო და არა იყო რა, იყო და. ისიც სიზმარი.

ცხადში კი, გმირი კვდებოდა, როგორც ხოგაის მინდია. ცა ნისლით იბურებოდა, ყველას სიკვდილის რიდი აქვს. მაშინ მე რა ვქნა საწყალმა მერგო ქალალდის ბეგთარი... სიკვდილ-სიცოცხლის წაწალი ბეწვის ხიდზე ვარ შემდგარი. მე შენი მტერი, მინდიავ, ვერ ამოვიღე ნიშანში... წლები წყლებივით მიდიან. წყლებს გაჰყოლიან ქვიშანი.

წამყევ მაინც, თუ არ გინდა ითავო, აგიხდება, რაიც გულით ჩაითქვი... გაიხარებს მრევლი დავითისაო, მოკითხვითა ვნახოთ მეფე დავითი. მოვიაროთ საქართველოს მთა-ბარი, ვნახოთ ჩვენი ყანები და ზვრები, სვეტიცხოვლის მტრედისფერი ტაძარი გასაფრენად მოქნეული ფრთებით. თითო პეშვი წამოვიღოთ მიწა, დანარჩენი — გავატანოთ ქარებს. აჭარის მზე ოქროს ბადეს უწნავს ენგურისგან მოტაცებულ მთვარეს. დიდი არის დიდგორი და შამქორი. მცირე არის მათთან ყველა ქარაგმა. კრწანისს დაგვწვავს ყაყაჩოთა ამბორი, შავ ნაბადად გაგვეშლება მარაბდა. მერე წმინდა, ისე ღმერთმა იხაროს, თითო ცრემლი დავაწვეთოთ რიწას... გელათის მზეს გულზე გადავაყაროთ ერთიანი საქართველოს მიწა.

...გაიტკაცუნეთ ადრითა
გმირებო, ისე წახვედით...
მთის წვერზე ქორი დაფრინდა,
უყვარს ეს გადმოსახედი.
შორით მეც ვხედავ აქედან
ათას ღალატს და გმირობას.
ესაა ჩემი მახე და
ჩემი გახსნილი ჭრილობა.
ლეკვებს ალგეთზე გამოზრდილთ,
ერთ სიტყვას გავუმეორებ:
ბევრი ვიომეთ — ამოვწყდით,
შევცდით, როცა არ ვიომეთ.
შევხვდით ხმლითა თუ დაფითა,
მაინც ვწირავდით სიცოცხლეს.
მთის წვერზე ქორი დაფრინდა,
ქორო და მტერო, იცოდე:
კიდევაც დაიზრდებიან
და იკელაპტრებს სანთელი!
...ჯვარს მთვარე დაჰკიდებია,
ქართლს დასცემია ნათელი.

ამაღლებულა მწირ მთებზე ჯვარი, დაუბერტყია მცხეთაზე კალთა. ასე ტალღებზე მაღლდება ნავი და ქარიშხლებზე ფრთებსა შლის აფრა. თუ რამე მეთქმის, მე შენზედ მეთქმის, ქართული სული შენ ჭერქვეშ ბუდობს და არ გაქვს, ნება, ბატონო, სევდის — შენ ნახე უკუქცეული ურდო:

...იწვოდა თბილის ქალაქი, მცხეთა.
შენ გახსოვს როგორ დაინგრა
გორი,
ეკლესიებში ჭიხვინი ცხენთა,
ნაომარ ველზე — სვავი და ქორი,
ჩამოქცეული მტკვარზე ხიდები
და დადებული პირზე ლაგამი.
მოჭრილ თავების პირამიდები,
თავმოჭრილების შურის საგანი.
არმაზის ციხე და ზედაზენი —
ალმოდებული თივის ზვინები.
...აქ გადიჩეხა მონღოლის ცხენი
სვეტიცხოველში ნაჭიხვინები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვბრუნდებოდი ქალაქში უკან და, იქნებ, არც ღირს ამბის სათქმელად ალტაცებისგან შეკრული სუნთქვა და ჯვრის მონასტრის შემონათება. სხვისი არ ვიცი, ჩემთვის ეს არის ადგილი წმინდა და საარაკო... მოხარული ვარ რომ გაგიცანით. მოდი, შენობით ვილაპარაკოთ. თუ გინატრია რაც უნდა გექნა, ვერ გამოგითქვანს, რაც უნდა გეთქვა, ჯვრის მონასტრიდან გახედე მცხეთას. ჯვრის მონასტრიდან გახედე მცხეთას. ჯვრის მონასტრიდან გახედე მცხეთას, სვეტიცხოველს და ზემოთ ზედაზენს... ამ სახელების ფარული სევდა მათრობელია, როგორც ზედაშე. შემოდგომა რომ ფერებს დაგიფენს, აპრილი რაღა მოსატანია... მთვარე წითელი, სრული და მწიფე ბროწეულივით გადამსკდარია. სხვისი არ ვიცი, სხვისი რა მინდა, მაგრამ რადგანაც მოვსულვართ ერთად. ჯვრის მონასტრიდან. ჯვრის მონასტრიდან, ჯვრის მონასტრიდან გახედე მცხეთას. დადუმებული წარსულზე დარდით იღვიძებს ნათელ ბრდღვიალში დღეთა მტკვრის და არაგვის სადავო ტახტი, უქართულესი ქალაქი — მცხეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ჩვენ არ ვიქნებით,
ჩვენ არ ვიქნებით,
თუმც იქნებიან სხვანი,
სხვათა თვალებზე
ლურჯი მოლივით
იშრიალებენ ცანი...

მე არ ვიქნები,
შენ არ იქნები,
ვნება იცეკვებს სხვისი
და წუთისოფლის
მართალ სამღურავს
იტყვის ჩვენსავით ისიც...

●

ვერცხლისფრად ენთო ტირიფის
ჭალა,
სულივით იწვა ფერდობზე ზვარი
და, მდინარეში ქალებმა ჩქარა
ჩააქრეს ცხელი სინათლე — ტანი.

და აჯამეთზე დაზნექილ ციდან
ფრთებს ალენავდა გრძელ ხეებს
ყანჩა
და შრიალებდა თვალებზე მშვიდად
მზით მოქსოვილი ფერადი ფარჩა.

●

დედა, ჩემს მკერდზე მღვრიე
ზვირთებმა
გადაიარეს მძიმე ტორებით,
ლამობს ვიღაცა ჩემს დამშვიდებას
და ჩემი სულის დაპატრონებას.

ტყეების ტკივილს და საგალობელს
ისევ კივიან კოლხეთს ქარები
და მარადიულ ჩემს უკმარობას
თავის უმძიმეს ფრთებს აფარებენ...

●

მომეცი ჩემი ჩანგი მომეცი,
მომეცი ჩემი ფიქრი მომეცი, —
მომეცი ჩემი სატრფო ლამაზი
დეკემბრის თოვლზე უსათნოესი.

როგორ გადიან, წლები გადიან
და მეგობრებიც წყებად გადიან
მაღალ სცენიდან.... უკვე რამდენი
ხელში გამსხლტარი წელიწადია.

როგორ წავიდა და გადაფრინდა,
დაფნის ფერიდან და სიმძაფრიდან
ზაფხულის სიცხე, მინდვრის
სიმწვანე
დაუსრულებელ ზღაპრის ნაპირთან.

როგორ მოვიდა, როგორ მოვიდა
დეკემბრის მაღალ სიმყუდროვიდან,

უეცრად შენი ცივი სიცილი
ვით ჭავლი ტბათა მშვიდ
სიმდოვრიდან.

როგორ განათდა და გაანათა
ოთახში ჭერმა, სარკემ, კარადამ,
ბუხარმა,
ცეცხლმა,
ღამემ.

ზამთარმა
სითბომ,
სიწყნარემ,
ლექსმა,
ღალატმა...

როგორ გადიან წლები გადიან
და მეგობრები წყებად გადიან...
თითქო ჯერ ფიქრით არ მიფიქრია,
თითქო ჯერ დარდით არ მიდარდია...

●

ისე ხმაურით ვკვდებოდი წუხელ
და გულში მკბენდა ღამე ვით ძაღლი,
მე ჩემს წამებას არავის ვუმხელ
და ჩემზე დარდით არავის დავღლი.

მე გამოვვარდი სახლიდან გვიან,
მთვარე ჩემს სარკმელს აციალებდა,

ამ გამოქცევას შიში თუ ქვია
ან შთაგონებით აწრიალება.

მე მაწვალებდა ფიქრი მუდმივი,
დაბადებიდან თანდაყოლილი,
ვიდექ ღამეში ბებერ ქურდივით,
უკმაყოფილო და კმაყოფილი.

●

მენატრება ნაპირები
უბებრესი ფაზისის,
ასჯერ მოსვლას დავპირდები,
დედასავით დამიცდის.

მენატრება გელათისკენ
გაწოლილი ღრუბელი,
დავინახო ერთხელ ისევ
საუფლოში უფალი.

ხვამლის ქედი მერამდენედ
მელანდება... ვენთები,
მენატრება, მენატრება,
როგორც ცოდვილს ედემი.

დამფარფატებს ლურჯი ნისლი,
ფრთაატკეცილ*ჩიტივით...
მენატრება ქუთაისი —
ჩემი წმინდა ინტიმი.

მაინც...
მაინც გაზაფხულზე იცის,
გაზაფხულზე, მაისში,
გულმა თრთოლვა ამ ფაზისით —
ამ ანტიურ კლავიშით.

მენატრება ქუთაისი...

ხალხური მოტივებიდან

არ ბაცდებიან ცანი
თვალში ჩამშრალი ცრემლით,
არც ყაბარდოულ ცხენის
აღარ ჭახჭახებს ნალი.

ვისი ცისკარი იშვა,
ვისი დაღამდა ღამე,
ვის სისხლს ყორნები სვამენ,
ვისას — შეირევს ქვიშა.

წავა აპრილი ვისი,
ვისი ზამთარი მოვა,
ვისი თვალების ოვალს
ნისლი დაფარავს, ნისლი.

ისე გავიდა ისე,
ჭრელი შრიალა ფრთებით
წლები... ნათოვლი მთები
მიიგრაგნება ცისკენ.

საქართველო

აპრილი ფეთქავს
თოვლის ლანდებით
რიყრაჟი ჩემში
მთელი ხმით ჰყვირის
და ვეფერები მეწამული ცის
დამაბრმავებელ სხივთა სიუხვეს.
გაუჩნდი და შენდა განუყოფელად,
სულ უმცირესი ნაწილი შენი...

ვცდილობ,
მოვძებნო ყრდნობის წერტილი
და მოლიან სახით
აგწიო მზემდე,
რომ სიზმრის ფრთებზე
გადავლილ ღამეს
აღმოხდეს შენი
წმინდა ნათელი.

●

ჩემ ყოფითაა ეს დღეები
ასე გამთბარი
და მე ღმერთივით ვმეორდები,
ჩემივე თავის გასართობად
შექმნილ საგნებში.

აღტაცებულვარ...
სავსე მზით და ფერად დღეებით,

მწუხარებამ და ბედნიერებამ
მზით აავსო
ჩემი სხეული.

ჩვენ ერთმანეთში ვმეორდებით
დაუსრულებლად.
ადამიანო!
შენ ღმერთივით არსებობ ჩემში.

ნინო

გამინაპირე,
დაიურვე
სუნთქვა იელის.
გაშორეულდა,
მებლანდება ყანჩის ყივილი.

დახრილა გულზე
ცათმბჯენი ქარი.
მზით მილეული,
ილანდება მთვარის სხეული
და მიწიერი სიყვარულით
დუმილში მმარხავ.

ვეფხვი და მოყმე

(ვარიაცია)

ლერწმოვანიდან
ვეფხვის ნახტომმა
სიკვდილი შობა დაუმწუხარი...
ღრიალმა ცამდე
ააპო ღამე,
მახვილი ცხელმა სისხლმა
შელოპრა.

წყვდიადს დაინთქა
მრისხანება შენი თვალების.
წერომ წივილით გადიწიალა
და სიმარტოვით
განწირულის გმინვა აღმოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ნელდება
ღამეული ზართა გალობა
და გამოუცნობ ნეტარებით
ბნელში ვარსკვლავი
მიმოციალებს

ჩემში იღვიძებს მწვერვალებზე
შორი ნათელი
ცის თაღს ძახილით ეკიდება
დამფრთხალი ღამე

(შაობლებ.)

ლექსმა რაც გულში
ჩამცა ლახვარი,
ველარ აგყევით,
ვერ ვიმყოფინე ჩემი წუხილი
და ჟინიანი
ფრთებით ვკაწრავ
ცისფერ მწვერვალებს.

უხილავია ლექსით დიდება,
მახვილზე ყვინთავს
ყველა სიამე,
გატყორცნილია
შორს იმედი ძლივსლა
მბჟუტავი.

ცათამბჯენების ტევრში
დამფრთხალი
მზე ჟირაფივით მოყელყელაობს
და გადაკარგულ ფრინველებით
უსივრცობაძი,

დაინთქა საწყისს მგლადქცეული
ჩემი გენები.
მიჭედილია ცად თვალები
და ამწეებით მიბაჯბაჯებს
ტყეებისკენ
მძიმედ ქალაქი.

მრისხანებ ქვეყნის დასაბამით,
დროში მყუდროობ,
გახელებული არსებობით
უტყვი სამანი.
მიწა ხარ ჩლუნგი,
თუ იდეის ლურჯი ყვავილი,
მომაშურებდე,
შეშლილობის დღეთა
სანაცვლოდ

რეკავ წარსულით მომავლიდან,
დღე აღმაფრენის,
თუ დღე დაცემის...
სისხლიან ვარდზე აბოლებულ
მყვირალ დაისებს.
ღამის უფერო თაიგულში
ვაქრობ მარადის.

ქ. ბორჯომის სახ. საქ. სსრ ავტონომიური რესპუბლიკის ბიბლიოთეკა

გურამ დოჩანაშვილი

ვატერ(პო)ლოო, ა ნ უ აღდგენითი სამუშაოები

(ფანტასტიკური მოთხრობა)

ქვემორამოუვანილი ამბის ავტორმა, აფრედერიკ მე-8, გაითვალისწინა რა ეროვნულ ლიტერატურაში ფანტასტიკური ჟანრის გამოკვლევათა რელატიური ნაკლებობა, გადაწყვეტა რადაც არ უნდა დახარჯვოდა, შეექმნა ძნელად მიმოსავლელ გზებზე დაფუძნებული ამა მიმართულების ნაწარმოები (იგივე ქმნილება, ნამუშევარი, შედევრი, ხიბუელე) და აღფრთოვანა იმ გარემოების გახსენებამ, ნებისმიერი ნაშრომის დახურათხატებას მხოლოდ სამი უბრალო რამ რომ სჭირდება — ქაღალდი, მელანი და შვინდისფერი კალამ-ქალმისტარი. ამ შემცნებით გამხნევებულმა, გაიპიპინა რა ლურჯი მელნით (შავი ვერ იშოვა) ზემორეხახსენები ფერის კალამ-ქალმისტარი, მაგიდას მიუჯდა, და იქვე აღმოაჩინა, რომ ამ უკანასკნელ ავეჯის ხახეობასთან ერთად ამბის ხორცშესხმისათვის საჭირო სკამიც, და სინათლეცა და მხედველობაც, აგრეთვე მარჯვენა ხელი. და სხეულის სხვა ათასი წვრილმანიც, დაწყებული თავით და დამთავრებული ამით, რითაც სკამზე უნდა დაჯდე, მაგრამ აფრედერიკ მეს ამაზე დიდად არ უნადგლია — ახლომხედველი გახლდათ.

1.

მიუხედავად ამისა, რომ ავაურებს ანიჩინჩია არ გაეგებინებათ ხარებათან ბრძოლისა, ესე ამბავი ძირითადად ესპანელების ეკუთვნილ ტერიტორიაზე და ესპანელებში მოხდა.

ბესამე კარო ჯერ ფლეიტაზე, მერე კი სულ სხვა რამეზედ უკრავდა.

2.

ბესამე კარო დაიბადა ანდალუზიაში, ღარიბი მწუემსის ოჯახში და, ჩვილობაშივე, ახალბაჯებული, ფეხებში ედებოდა ხბოებსა და ცხვრებს. აჰ, კარგი იყო ანდალუზია დღისით. დიდმანათობლით გაშუქებული, მწვანედ ელვარებდა მიდრეკი და ტუე, ვიწრო ბილიკზე მიიგრიხებოდა სოფლის პატარა, უსახელო მდინარე, და თან, გზადაგზა, ურჩი, ჭიუტი, სხივებს ისხლტდა, თბებოდა მაინც; კარგივე იყო მცირე ჩანჩქერი — გალისპულ კლდეთა ჩამოშლილი თმა, აწოწილ ქნათა მწუალობელი სუნი, დილდილობით, კამეჩის ძნელად ხელუბი მაწვნით დანაყრებული, გარე-გარე დატანტალებდა ფეხშიშველა ბესამე კარო, ხოლო იგი კი, უვითლად შეფერილი გველი, განზე ხოხავდა. ბეჭ, რა იცოდა მაშინ ბესამემ, რადას არ ახცდა, და ზამთრობითაც, ცხვრის ტყაპუშში გამოხვეული, სულ ვერ ამჩნევდა შორეულ ტყიდან გამონაკვერჩხლებულ, დამშეულ მზრახს — საჭმლად უნდოდათ. მაგრამ ბესამეს ამაეების დარდი არ ჰქონდა, შემოდგომობით, მოუთმენელი სულისშებერვით აგრილებდა ლელვახა და ყურძნის შეზავებულ სატკბოთი გაწებინელ მცირე ბელისგულებზე მოგორავე, ცეცხლისპირას შეიუკულ სიმინდს, თან—ღიღინებდა, ხოლო დღის ბოლოს, გრძნეული შებინდებით ჯოხში შედგენილი, ხის დიდ კოვზით რომ შეხვრეპა ხახავე ჯამში მოორთქლე სკელ, მეავე წვნიანს, ბუხრით შემოსულ, მოალერსე თბევად სითბოში, თითქოსდა რული ეძალებოდა, და მამამისიც, გოროზად ჩა-

კორული მწუემსი, ბესამეს დედას — სოფლის მეორე ქალს სილამაზით, ერთ-ორს სულსწრაფად გამოსდევდა და დედის ნაბიჭვად უხდაო. თბილი ხელებით იშლებოდა ბესამეს მოქლე, მარტივი ლოგინი, და მოუთმენლად ელოდა მის დაძინებას ცალკმხანი მამამისი. ხოლო ბესამე დაჯუტებით თვალებით იყურებოდა ჭერში. „თვალი დაბუჟა“, მოკლედ დასძენდა ბესამეს მამა, დედა კი, ქალი: „ჭერ მაინც საქმე მაქვს“. ასე ამბობდა, „ახლავე დახურჭოს-მეთქი“, ჩახლეჩილი ხმა უმკაცრდებოდა მამას, და — „ვით გადაბრუნდი, შვილო“. — იტუოდა დედა. მაგრამ ხან კედლისკენ პირმიქცეული ბესამე მაინც უფრო და უფრო ფიცრულდებოდა, რადგან ესმოდა, როგორ ფრთხილ ბოლოს სცემდა ფეხიშველებზე შემდგარი მამა, ხოლო რიდეხაც დედის ხმადაბალ შეკითხვაზე — „გძინავს, ბესამე?“ — მორჩილად ამბობდა: „კი.“ და მცირე ხნის შემდეგ კლავ რომ პასუხობდა: „კი.“ გაბრაზებული მამამისი მუხლზე ირტყამდა ხელს და წყვეტილად სცრიდა — რა არრის, ქალო, ბავშვს ვერ ძინებს? თუ სხვა ქალი ვინმე გავიჩინო, ა!.. — შვილს მკაცრად აიუანდა ქმარზე დაბოღმილი დედა, ცხვრის ტყავის ლოგინს შემოახვევდა, მუხლებზე დაიხვამდა, და მკვეთრად არწევდა, დაბღიღინებდა თან: „დაიძინე, ნანაა, ნანნაა, ცხენი წაგიყვანა, ძაღლი მოგიდაო...“ „რომელი ძაღლი...“ — ეკითხებოდა მთლად გამოუხეწლებული ბესამე ჯარო. „არა ეგ შენი ხაქმე! ნანაა, ნანნაააა...“ „რატომ არაა?..“ „იმიტომ!“ — ისეთი რისხვით აქანავებდა დედა, ხაშხაშნაქამსაც კი გააფრიებდა. „შენ ჩემი შვილი არა ხარ, არრა, დედაშენი ბოშაა, იმან ჩვენი ხახლის კართან მოგაგდოოო...“ „ბა! — შეკრთებოდა ხოლმე ბესამე, თავს წამოწევდა, შეშინებული მიწრებოდა, — ბა...“ მაგრამ ისეთი ხიუაროსით დაიკერცხებოდა სწორედ მაშინ, შეშფოთებულს, დამფრთხალი და დამწაფავე, გაქვავებული დედა... ბესამე ხაწყლად ამოსუნთქებდა, მონანიებად ქცეული დედა კი გრძნობდა ქოხის სიფუზვირეს, ხოხანეს მარადიულ ნესტს, ყოველ ამ ნამარალს, დაბზარულ ხის ჯურჭელს რომ ჭერნდა, გაბეევებული დაპუურებდა და მერე გულზე უცემ იკრავდა ბესამეს ნელ ხაფეთქალს, ალერსითა და ცოდვილით ხმაში, ამ მოფერებით, თანაუგრძნობდა: „შენ ღარიბი ხარ, როგორც იტრა...“ „მე... ღარიბი ვარ როგორც ვინ, დედა?“ — ცალი თვალითაც ამოპუურებდა ბესამე. მეორე თვალი დედის მკერდზე ჰქონდა, „შენ ღარიბი ხარ, როგორც იტრა...“ — ნაზად არწევდა, უწლერდა დედა, ხოლო თვით მაშ, შრომით ხელგაზდაუკლეფილი, ხად არ წანწალით ბირკებმოდებული, უნებური დაწაწაგი, გორგალგაჩრილი უკლში. ზურგს შეაქცევდა ერთადერთ ცოლს და ერთადერთ შვილს და, ტირილი რადგან ვერ შეეძლო, ნელინელ, დინჯად, ეუსტყვებოდა გულზე. —

ღარიბები იუვნენ.

ამ ამერედრიკ მეს ცოტათი მოგვიშვდა და გაახსენდა, ფანტასტიკური ნაწარმოებში ფანტასტიკური მოვლენებიც ხაჭირო რია, ხოლო დანიშნულება ეხე დააკისრა ისეთ მარტივ და ამ შეშთხვევაში უწყინარ ხაკანს, როგორიცაა ხიგარეტი და, მაშინვე თამბაქოს ნაწარმი „კარმენ“ (ნამდვილი კარმენიც აკი თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა ერთხანს, ხანამ მოლიპულ გზას ხაბოლოოდ დაადგებოდა) გახსნა, ამოიღო ორი ღერი ხიგარეტი, ხამკუთხა ტაფაზე დადო, კარაქით შეხწვა და მიირთება კიდეც, რადგან ზემორემოტანილი ამბავი ცოტათი მწარე, დვარძნილი გახლდათ.

8.

ამ, მაინც კარგი რამ იყო ანდალუზია, მაგრამ განვეშან, ყველაზე დიდმა, უზენაესმა ფანტასტმა, რომელსაც, ამდენს, უბრალოდ წარსულს ეძახიან, ისე ანება, რომ თორმეტიოდე წლის შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ბესამე კარო პროვინციაა მურსიის ქალაქ ალკარასში თეორი კონსერვატორიის სტუდენტი გახდა.

ახლა როგორია, ამერედრიკ მემ ამისა არა უწყინ რა, მაშინ კი ალკარასი პატარა, მწკუნვარი ქალაქი გახლდათ, აგურით ნაგებ კოხტა, დამრეცსახურავებიან შენოებზე ქრამტი იყო დაფენილი, და კახრებას ბორცვიდან თუ დაუხეოდათ, მთელი ალკარასი რბილად, თითურად ბზინავდა მაშინ, ამის დანახვას მოზრდილ შეიმართუა ასევა უნდოდა. თორემ ქვემოდან მთელი ქალაქი ხავხები ია ჩანდა. პატარა იყო ამ ყოველივე: რუხი მარმარილოს ალუები, მცირეკვალიანნი, ზანდად მოციცებე ჯაჭი ოჯროს თეუზებით, ფაქიზად მოყორწყლულ ქუჩებში ახტუნავებული კოხტა ურიკით დაადორებენენ ხეკიღილი ფორთოხლებს ცქვიტი ბიჭები, კოპწია ხახლის ვიწრო ხარკმელში იდუმალებით მოხილი რომელიმე დონნას პირბადიანი ხახება ახუუტდებოდა წამით, უჩინარდებოდა მერე, მოციცო ლანდოებს კაკუნ-კაკუნით დაარიხნებდნენ შუახნის ხახედრები, გრილ ხარდაფებში ჯაზ თაგვები თავიხას ღრენდნენ; პატარა იყო პატარა კოშკი: მოკლე და ვიწრო — რიკრდის ჭუჩა, რომლის ბოლოშიც, ქალაქის გაბაპირას, იდგა პატარა ხარისკაო, პატარა შიწყენილი ტან-

გურამ დოჩანაშვილი
ვატერკლოზო, ანუ ალდგენითი
სამუშაოები

მორჩილი როსკაებით; აქეთ, ჭალაჭში, ცოცქნა ფანჯრებიდან შეშენაც წაბლსა და ზეთისხილს აეშვიობით ჰყიდდნენ; უკმეეს გარდა, ისე-დღეებშიც, შებინდებისას, საკუთარ სულში ჩალრმავებულნი, ერთმანეთს აინუნშიც არ აგდებდნენ და ისე, შუა ქუჩაში ყოცნის ირკვლივ ჩაფიქრებული აცეკვდებოდენ რიგითი ალკარახელები, ყველგან ისმოდა ბანელური, ბნელი ქუჩის კუთხეში კი, მოსასხამში ჩვილივით გახვეული, მიჯნურწყვდეული ავაზაკი იდგა, ამა ჭალაჭის გამონაკლისი და ყოველ ჩქამზე დანაბი ხელი უთრთოდა.

აქ, ამ ჭალაჭში მოიყვანეს დაობებული ბესამე კარო, ხოლო აფრედერიც მემ სიგარეტი „კარმენ" მოგვიმარჭვა, ჭიდან ჩვენც დაგვიხმა და თავისთვისაც, აიღო და შეხვა (ალბათ ნამდვილი კარმენიც წრუპავდა ცოტ-ცოტას, რაკიღა მოლიპულ გზაზე შედგა ლამაზი ფეხი), ოღონდ აფრედერიც მეს ჩვენდა გასახარად უბრალო „გაგვიმარჭოს"-აც კი არ უთქვამს, ფიქრიც, უზრდელი...

4.

იმ ცვალებად დღეს ბესამე კარო, როგორც ყოველთვის, სხვის ფარას მწყემსავდა.

თხუთმეტისა იყო, ობოლი გახლდათ — დედა მოუკვდა, მერე იმის დარდს წუნარად გადაჰყვა უთქმელი მამა. ნათესავთაგან, არავინ შერჩა; დაბადებიდან დიდი ხნით ადრე, საწყალ ბესამეს, უბრალო პაპა ხიშტით მოუკლეს ცნობილ პირტყვის, ნაპოლეონის ცხპანეთში შემოჭრილმა ჯარის-კაცებმა თურმე, მთლად ახალგაზრდა დიდედამისს კი, ჭკნის ნეფდ ხალვაზე ჯერ დამხობილს და ცისკენ ხელებაპყორობილს მერე, იმ ბინაპარტეს ხმაღლად მაწუეკარს, გრილ, ლამაზ ყელზე ჩამოაცვეს უგრძნობი, ყულეი, თურმე.

ჩვენი ბესამეც, მამამისივით, სამისა იყო, როცა დაობლდა. ჩვენს ბესამესაც, მამამისივით, სამაღლოდ ცხვრის რძეს ასმევდნენ სოფლად და, რძით მადლიერებს, ცხვარი უყვარდათ. ეს ჩვენი კარო, ჰეშ... ადრე გაიგო დაუმსაზურებელი როზეის ბეერმაგი სუსხი, და ხელ-ეკოლილი გამოწველილი ხმიადის სითბო... ბესამე კაროს ორადორი მეგობარი — — ტბა და სალამური — ჰყავდა. ცოცხლები იყვნენ — ცისქიმა ტბაში თავფეხებიანა გადაშვებული, უცხოდ ნაზ ალერსს გრძნობდა ბესამე, დიდად ობოლი; ვრცელი იყო ტბა, მიმტევებელი — ოფორთკალებულ ბესამესგან წამით მრავალგან დამხსნებული, აჰ, რა ლამაზად, უმტკივნეულოდ, როგორ ადვილად კოწიწდებოდა მერე... სალამურზე კი, პოიი, იცოცხლით, ბესამე კარომ იცოდა დაკვრა. ჭალეშმუელისათვის ცეცხლიც კი იყო ომისი შემწე. მაგრამ ძალიან ახლოს, მეგობრობამდე, თავკერძა ცეცხლი არ მიუშვებდა. სულ სხვა იყო ტბა... და მაგრამ, ჭიანურ ზაფხულ კაროს ის უწყინარი სალამური, ქვეყანას ერჩინა — არ არსებობდა მთელს ცისკვეშეთში ისეთი ცხენი, ან უბოროტო საკაჭვიეთ ძნელად გასახდენი რომ ყოფილიყო, მაგრამ ბესამეს თხელ თითებსა და მოობო ჩაბერვას დაეყოლილი, სუყოველივეს უხრულებდა ძალიან ობოლს, ადაზევებდა.

ვითომ, კმარიდა?..

თანაც, ზაზრობითაც, აჰ, ისე ცივად ებუტებოდა ბესამე კაროს გაუნუელი ტბა, უცეცხლო ჭიხში ტლანქ მეპატრონედ ჩამოწოლილიყო სრულიად ღამე. ბუზრიდან სუსხი შემოდიოდა, კუთხეში მიეუფუთ. დგდელ-ჯილ ფარდაში გამოხვეულ ბესამეს თხელი ნეხტოებიდან ორთქლი სდიოდა, ცეცქნა პურიც არ მოეცვებოდა და, მისი სიდუხჭირით განაწყენებულნი, მთლად გადაიკარგნენ ბესამეზე ხელჩაქნეული თაგვები, დაშრალ თითებით სალამურზეც ვეღარ უკრავდა, უბეში უჭმად, ყანულოვან ლოლუად ედო, და სწორედ პატრონივით კანკალებდა ისიც, მაინც მეგობარი, ეჭეე. ბესამეც, მეტისმეტად ობოლი, მობუზულ მხრებით აგიტანია მერამდენე ასეთ ღამე. საბრალოს, ბეჭავს, როგორ გიჭირდა, მაგრამ განგება, უზნეობი ფანტასტი, ვისთანაც შედარებით ზემორენახსენები აფრედერიც მე ზღვაში წყეთია, თანაც, უთავბოლოდ აორთქლებული, ობლის ცვერს ნელა აცხობდა თურმე. —

იმ ცვალებად დღეს ბესამე კარო, როგორც ყოველთვის, სხვის ფარას მწყემსავდა, ზაფხული იყო და ტბაში... — მაგრამ აქ აფრედერიც მემ შეკრთომამდე იგრძნო, რომ მთლად გადავიწყდა ვანრი და, გვარიანა შეშფოთებულმა, გამოსავალი იმაში ჰპოვა, მხსნელად მოვლენილ სიგარეტ „კარმენ"-ს ხელზედ აკოცა, რადგან ნამდვილ კარმენს, რომელიც კარგად ხმარობდა ბებოთის ტაიის დანას, ხელი რომ არ ჰქონოდა, დაუშვებელია. აქ აფრედერიც მე დაგვიმშვიდდა და კვლავ შეგვიძლია, ბესამე კაროს მივუბრუნდეთ, რომელიც ტბაში იმ-ყოფებოდა, ხოლო განგებამ, უზნეობამა ფანტასტმა, ისე ინება, რომ შორიახლო მიმავალ ეტლს სულერთია რომელი, მაგრამ მაინც, სიზუსტისათვის, მარცხენა წინა თვალი დაუზიანა.

— რა მოხდა, სოტო? — მშვიდად იკითხა ეტლში მჯდარმა პირქუშმა გარეგნობის მოხუცმა, არ შეეფერებოდა რბილი, დაბალი, ლამაზად ხავსმოდებული ხმა.

— ოცივე წუთი ყოველივე წესრიგში იქნება, სენიორ.

მოხუცი შეფიქრიანდა, ტყეს გაბედა, შეჰკუშანდა, თქვა:

— მაშინ, ცოტას გავიცლი.

— თქვენი ნებაა, სენიორ, — უთხრა მეტლემ, ჩაჯდა და პატარა ხერხი უკვე მოემარჯვებინა.

მეეტლემ მოკლე ტოტი შეარჩია, დიდი ხნის უხაშობით მოწყვლილი, კბილებადაკრეჭილი ხერხი ააწოკვიდა და პატარა ხანში ჩაჭუჩის ყრუდ წერტილოვანი ხმაც მისწვდა ტყედ მიმავალ მოხუცს, ვისი გრძელი მოსასხამიც ზურმუხტად აშარშერებდა. პირჯერში მოხუცი მიდიოდა ტყედ, და მაღალფეხიანი ჩექმის რბილი ძირები ნედლ მიწას გრძნობდნენ, მოხუცი ისუნთქავდა ტყის დალოცვილად ნოტიო ჰაერს, თვალს უკრავდნენ სად და სად არ გამომსხლტარი მზე, ჩიტები თავ-თავიანთ უწეინრად მარადიულ ენაზე სტვენდნენ, გრძლად დაშვებული ხელები მძელვარების არტახებით სხეულზე მიჰკრობოდა მოხუცს — აჰ, ტყე უყვარდა, სულში ბავშვობა ემძაფრებოდა, ეჰ, ხაკუთარი; მისი ფეხდადგმის წყალობით წამით გაცოცხლებული ფოთლები კვლავ უილაჯოდ ებღაუჭებოდნენ მოხასხმაზზე, და ხიდანდაც ხანგზე მოდებული ბაცი ახლაბედაც უღონოდ ცდილობდა მის შეჩერებას თითქოს, მაგრამ მოხუცი ჯიუტი იყო როგორც განგება, მიაბიჯებდა.

და უცებ, შედგა: ველი რამ იყო ტკით გარემოსილი, შუა ველზე კი ტბა ბრჭყვიალებდა. ტყის პირას ფარა ბალახობდა, ტბაში კი ბიჭი ხვანჩალობდა, ჩვენი ბესიკე, და მისი ანცობით ყველაზე გორკლად ბავშვობამოწყლილი მოხუცი შედგა. ამოეფარა ხეს, ბესიკემ კი იჭუოშმალავა, მერე მშვენივრად იცურავა, ლაღად მიაპობდა წყალს; შემდგომ, ნაპირზე ამომხტარი, შემცივნებული მიმორბიდა და, გათბობამდე დრო რომ გაეკვანა, სიტყვების ფასი არც იცოდა და ისე, ვიღაცისგან გაგონილ სიმღერას ისე რა, ყასიდად ამბობდა:

ფარაში დამდილოდა
ერთი ცეკანი,
მოფერებამ გადამიკლა
გარეული მხეცად.

ავაზაკივით სუნთქვაშეკრული, ავაზაკივითვე ამოფარებოდა სისასტიკეგამხეცარი მოხუცი ხეს, და ქვის ხანეზე რაღაც რბილად ნატიფ ნაპრალები ებზარებოდა თითქოს, რადგან ბესიკემ ობლის დაუკმესავი, ტანსაცმელი ეთქმოდა თუ რა, მხრებზე მოირგო, თავი შემართა, თვალდახუჭულმა უბეში მოიძია სალამური და, და რომ ჩაბერა, აჰ, ისევ კუშტად ჩამოეძერწა იმ მოხუცს ხახე, რადგან ვინ-ვინ და, მოხუცმა იცოდა დაკრის ფასი, ხოლო ეხოდენ პირჯერში ხახე მხილოდ ჯეშმარიტ ავაზაკებსა და ჯეშმარიტ, მრავალტანჯულ მუხიკოსებსა აქვთ.

ჯერ კიდევ გრილი ბესიკე კი, ახლად შეშრალი, ნამდვილს, თავისას, ობლურს უკრავდა; სიცრიფაზე ხმით იმხვალებოდა ბუნებრივ ტყე, იმ ტყის ერთ-ერთი ბინადარი ავაზაკივით ამომდგარიყო დიდი ბეჭერი მუხიკოსი და, მრავლისმნახველს, თვალები მაინც გაოცებოდა — თავად ბესიკე წააგავდა ახლა მცენარეს, ერთი პატარა, გრძნეული ტოტით, რომლიდანაც რომ უცხო ფოთლებად ამოდიოდა თვით ის: — უფსკრიო, განუზომელი, თვით ის — მაღალი, უხვი, მდიდარი, თვით ის — უზომოდ მწყალობელი, — ღალი, ფარატა ღონიერება, სიბედნიერე თვალთუხელეელი, ყოვლისმომცველი ჩვენი მეუფის, თავად ბერის, ბაერის მეფე უზენაესი, დიდაღზევების მახუთჭებელი თვით იის — მუხიკა!

ჩრიხვამდეკეთელ სიყვარულით, ღონივრად, მკაცრად მიაბიჯებდა დიდი მოხუცი ბესამეკენ. დაკვრა შეწყვიტა პატარა მწყემსმა, გაოგნებული მიჩერებოდა მრისხანე ბეჭერს, ყურმალებმაბერილი რომ უახლოვდებოდა, ბესამეს მიეტმასნენ იმა ბეჭერით დამფრთხალი ცხვრები, სალამურიანი ხელი ზურგსუკან დაემალა ბესამეს, დანაშაულის მიხვედრას ამად ცდილობდა, მოხუცებული მუხიკოსი კი მუხლამდე ფარას მიარღვევდა, ურჩმა, თავნებამ, მოურიდებლად გაარღვია ეს თოკვლიფური, ცოცხალი გზა და, შემკრთალს, დაბნეულს, ადასე ჰკითხა:

— მწყემსო, რა გქვია?

— მე... ბესამე ვარ.

— მშობლები თუ გაყავს...

და რადგან პასუხით ხვთსა გული უნდა ტკენა, უნებურად სხვაც უნდა შეეწუხებინა, ბესამემ თავი ჩაღუნა და თქვა:

— არა, სენიორ.

— ძალიან კარგი, —უთხრა მოხუცმა, — ფარა შენია?

გაოცებული ამოყურებდა ბესამე კარო.

— შენია-მეთქი? აი ეს ფარა.

— არა, სულ სხვისი...

— ჩემთან, წამოხვალ?

— როგორ, სენიორ?

— წამოხვალ ჩემთან?

ვინ ცაცი იყო...

— რაღომ, სენიორ...

— მუხიკოსობა გინდა, ბესამე?

— ძალიან დიახ.

— მაშინ, წამიღი.

გაოგნებული შესცქეროდა ყოფილი მწყემსი.

— ფარას ით ვუყო...

— პატრონს მიჰგვარე.

ფარას დახედა ბესამე კაროს. ენანებოდა...

— შენიც შევიყლი.

გურაბ დოლანაშვილი
ვატერკოლიტი, ანუ ალდგენილი
სამუზაოები

— ჰო. ტანსაცმელი წამოიღე.

— არაფერი მაქვს წამოსაღები, — ისევ ჩალუნა თავი ბესამემ, და, გაახსენდა და, მცირე ხანმაჯით ხმაში, მაგრამ თავდაბრილმა უთხრა: — მე ღარიბი ვარ, როგორც იტყო.

მოხუცი ერთხანს დაჰყურებდა და, ბზარშეპარულმა რბილ, დაბალ ხმაში, წუნარად ჩაჰკითხა:

— შინ რადა გინდა?

— კარ-ფანჯარა უნდა ავკეტო, სენიორ. წესია ასეთი.

მოხუცი წუნარად დახსკეროდა. მერე კი, უთხრა:

— გზაზე ეტლი დგას, ეტლში დაგიცდი.

ა.

ნაწილობრივ ზემორეპროდუცირებული და ძირითადად ქვემორეპროდუცირებული ამბის ავტორი, აფრედერიკ მე, ყოველად ფანტასტი, შეუმჩნევლად აახტა უკანიდან ეტლს და ზურგითა და სარკმელს სუნთქვაშეკრული მიეწება, თუმცა არა, არა, აჰა, ეს რა წამომცდა მაინცდამაინც ეს, „შეუმჩნევლად"-მეთქი — აფრედერიკ მეს ძალიანაც რომ ელრიალნა და ევიშვიშა, მაინც ვერავინ შეამჩნევდა — ავტორი გაბღვდათ.

მააზე, ახე — მიესეირნაობთ — ეტლის ზურგს მიკრული აფრედერიკ მე გაფაციცებით იჭვრიტნებოდა სარკმელში, რომელი სარკმლის იქითაც ამბავშიმის ფარდაც დროდადრო ნაპვინა და გზადშემხვედრი პაწია ორომიტის წუაღლობით მსუბუქად აფრიალდებოდა. ან შეხტებოდა და სწორედ მაშინ ჩვენს აფრედერიკს თვალსაწიერი ემატებოდა. რას ჰხედავდა მე? შეკმუხვნილსა და ღრმად დაფიქრებულ. თეთრად გრაქეთმიან მესიეურს, — მოხუცს, რომელიც მისკენ სახით-პირკუნთი, იჯდა. და პატარა მწუემსჩს მომრგვალო ქეფას, მთელი სახიდან მხოლოდ ფანჯრის-კენ მიქცეული ცხვირის ნამიანი ბჭილო რომ უჩნდა, ეგება, ტიროდა ბესამე კარო? რიგით მაწანწალასავით ეტლზე ამხტარი აფრედერიკ მე შეჰკურებდა თოვლოვნად სხეპაკ თეთრი ხავერდით შემოსილ მოხუცს, და ჩვენს ბესამეს, რომლის ჩამოკონკილ ძონძებს რაგინდარა ალარ ანჩდა: ნაძვის დიდ ხეზე ჩამოდენილი ფიფი, უბეში ჩაყრილი და იქიდან გარეთ გამოუონილი მწიფე ზვინდის ნატყვიარივით ლაჟა, ძველ ნახანძრალზე წამოწოლის კვალი, გულზე მიხუტებული კრავის ბეწვები, თმაში გაბლანდული თივის ნამცეცები, აოკროვილნი სხივნი, ხელებსა და ტუჩებზე ამეზარა წენგო, მთელს ძონძეულზე — ბალახის წვენი, ალაგ-ალაგ კი — ჭიუტი ბორკა, ყოველივე ეს — მზითა და წვიმით გახუნებული, მტვერდადებული, ტალახკრული, მაგრამ ბესამე, ძალიან ობოლი, როგორღაც უცოდველად ჭუკუიანი იყო.

აფრედერიკ მე სარკმელს მოსცილდა, ეტლის ზურგს ზერაღლა ჩამოყდა და, ეტლის ზურგს ზურგით რომ მიეყრდნო, ჩაჯავარდა და, შემდეგნაირი შესახედაობი იყენენ: სულ წინ — სამი ცხენი, სამივ კისერმოღერებული, ფაფარაშლილნი, მდინარე ხვნილზე გადებული ბიდის ფიცრების ამადგრიალებელნი, მერე — ხაკნობი ჩვენი მეეტლე, მოყმიაკო-მოშტერო სოტო. შემალლებულ კოფოზე არხეინად მჯდარი, ხელმოტკბილი, იმასა და ეტლის რბილ საკარძელში ჩაფლულ თეთრ მოხუცს ზურგი შეეშვირნათ ერთმანეთისთვის. ჩავლილ, ბუნდოვან, მტვერადენილ გზას გაბაცკეროდა კუშტი მუსიკოსი, იმის პირდაპირ კი ჩამორეძილი მწუემსი ბიუნა, — ბესამე კარო სავარძლის კიდეზე ფრთხილად იყდა და მდინარე ხვნილისპირა რბილი, დილით დანაწვიმარ ფაფუკ ჭალას იმედით უმზერდა, და ზურგი შეეკქცია თავის მხრივაც ზურგშემოქცეულ, ზემორეხსენებ აფრედერიკ მესთვის, ვინაც რომ დიდად დაფიქრებული. ღრმად მოკუმნილ, სიგარეტ „კარმენ"-ს ერთობ აზრწყმაწილი დასცქეროდა — კი, კი, შორიახლოდან სწორედ ასეთი სახანავები იყვნენ, ეტლით არწუად-დარწუვილნი, აფრედერიკ მეს კი უცნაური რამ არჩევანი თითის წვერებზეღა ეკიდა — დანიშნულებისამებრ გამოუეწებინა თუ არა, ამჟამად, ბოლოსდაბოლოს, სიგარეტი „კარმენ."

ეტლი ბაენას ცნობილ დაბლობზე მიდიოდა რბილად, ნარნარად, ეფენებას თანაბარი წკარუნით, სალაღეს გრძნობაღნენ თვალმეშვებული ეტლშიგა მგზავრები. ბესამე კაროს ამხიშორაზე პირველად წუაედა გამოუცდელი მზერა: წანწალში გამობრძმედილ სოტოს ღანდშუტრელიფების დარღი არა ჰქონდა რა, ხანდახან ჩათვლემდა კიდეც, ოღონდ შედარებით ფრთხილად, აფრედერიკ მე კი დროდადრო ახანთანით ჯიბისკენ აპარებდა მოუთმენელ ხელს, მაგრამ ციკნა ალის დანთებაც ძლიერ უჭირდა, ნამდვილ კარმენს კი, აკი ცნობილია, ძლიერ უუვარდა ცეცხლთან თამაში როგორცკი სოფლად, ასევ — ქალაქში, რაკიღა მოლიპულ გზაზე შედგა იმდაგე მაღალჭუდიან ფეხსაცმელზე შემდგარი ტერფი, და თოფ-დანებიან უარაყოფით ადამიანებს, როგორც იტყვიან, აედევნა იგი, ისიდაც კონტრაბანდაკიდებულებს, აღკიდა იგი, და თავისი წვლილიც ბლომად შეიტანა იმათ შავ-ბნელ საქმეში, როგორც იტყვიან, იგი. ახე მფიქრობდა აფრედერიკ მე, ეტლმა კი აიარა ესიხის ბორცვი, და თავდღმართში ნელა დაეშვა, ფრთხილობდა სოტო; შებინდებისას, ბესამე კაროს ფარეშში შესადენ ცხვრებთან იხე მოუნდა, აეწვა კიდეც პატარა გული, ბნელში მალულად შე-

იმშრალა ორიოდ კრემლი, ად ასეთ ეტლში, ად ასე მშიერს, თვლემა და რელი ეძლებოდა, მერე, ჩაყვანთა და ვერც გაგრო, გვადლკვეირზე გადეხედო ოხრბუჭვა ხიდი გადაიარეს როგორ, ბოლოს კი შეარია. რადგან მოხუცმა თავზე დაადო უხეში ხელი; გაიბედა და ვრცელი სიშავე დაინახა, აუარება ლბილი ციაგი მრავალგან მცირედ გაბზარული, „ეხეეც კორდოვაა,“ აღნიშნა სოტომ; ბესიმე კარო, თვალდაჭეტებლი, პირველად ხედავდა ჭალაქს, თანაც დიდს ასე, სადღაც მღერიდნენ მშობლიურ კანტს, ცეცვავდნენ იქვე, ხელმაშალითანთ იდუმალ წრეში; ბესიმე კაროს თავბრუ დაეხვა, და, მერე იყო და, გაბრუებული, რაღაც დიდ ლამაზ ავტრის სახლში შეიყვანეს და, სოტო კანაფით უზომავდა ხელს, ფეხს, თავს, სხეულს, თვლემაზეარილი, იდგა და იდგა, მერე კი ვიღაცა ორად მოხრილმა დედაბერმა ჩასჭიდა ხელი, სადღაც გვირაბით წაიყვანა, მერე, მოკაკულს, ხვეულ კიბეზე ჩაჰყავდა ბიჭი, და, გაოგნებულს, მორჩილად ჩაჰყოლს, დროდადრო ცერად გამოხედავდა, და ზავი ხახით ამოცინებდა!, ძალიან დაბალ კართან შედგნენ. სწორედ დედაბრის სიმაღლისა თუ იქნებოდა, გამოუღეს და, ჭიდან ორთქმი მოტივტივებდა. ახლა ბესიმეც ორად მოხრილი, დაბალ გვირაბით ზურგმორკალული, მიბარბაცებდა სადღაც, სახეზე რასმე წვებოვნს გრძნობდა, რომ გაიმართა გვირაბის ბოლოს, შედგა, გაბეჭდა — მრგვალი ოთახი იყო ათრთვლებული. ჩაბუთული, თითქმისდა ბნელი, ბევრს ვერაფერს შველოდა სანთლებჩამდგარი ფარნების წრიალა ზოლი... ბურუსი მრუმედ დატრიალებდა, მძიმედ შეოფლილ მუქ, რუხ კედლებს ღვარკნილი, მჭიხე ღვარი სდიოდა... უცნო, ტლანქ ბურუსს თვალს აჩვევდა ბესიმე კარო, და ისე შეარხა! — შედედებულ ნისლს მოჩვენებად გამოეყო და მისკენ დაიძრა ბადალი, შავი, აღზეკებულად მუქი სახები, არ მოდიოდა — მოცურავდა, სულაც არ ჩანდა ფეხს თუ ადგამდა, იხეთ გრძელი სამოსი ეცვა, ნატიფ რხევაზე მხოლოდაღა ის ეტყობოდა, ჭალი რომ იყო, უახლოვდებოდა თავდახრილს, ბეჩავს, და რომ შეჩერდა, ორთქლივან სიჩუმეში მის ამოხედვას კი, რომ უცდიდნენ, მიხვდა ბესიმე, და თანაც, ზურგზე, ზავი დედაბრის მოუთმენელ მუსლუგუნს გრძნობდა და, როგორც იქნა და, გაბედა და ნელა, შიშით, ძლივს აღაპყრო და მიაბჯინა ორთავე თვალი.

მაღალ სახებას ძალიან გრძელი სამოსი ეცვა, უბრალო, თალში, სახეშებურვილს, ორთქლში ზმანებასავით ასვეტილს, თითი რა არის, გრძელი სახელიდან ისიც არ უჩნდა; პირაკრულს, ზავდს, შუბლზე ჭილჭოთა თეთრი ნაჭერი გადატკეცილიყო, თავსაბურავიდან ძლივს გამომძვრალი, — და მხოლოდ თვალები უშვიოდა, მაგრამ ისე ირიბად ახლეჩილი, ისე მეტად ველი, ისეთი მწვანე!

საერთო საცხოვრებლის მორიგეს თვალი ჩავუპაჭუნე. ვარლამა წამოიკაკცა და წინ გადმოდგა. ავხედ-დავხედე. გაახალგაზრდავებული მეჩვენა. მივედი და შევუბერე. თვალი ხომ არ მატყუებს-მეთქი; თმა შეეკრიჭა, კაპარსულიყო, სატინის ახალთახალი ჭიბეებიანი ხალათი ეცვა და ამიტომ მომეჩვენა სხვანაირი.

— სად იყავი? — მეკითხება.

— გამბოლებინე და გეტყვი.

ასანთი გაატკაცუნა.

ვარლამას ზედა ტუჩზე ნაიარევი ეტყობოდა. ლაპარაკის დროს ჩაუვიოლებული, ჭიანაჭამი ,ბილები უფამფალებდა და პირზე ხელს იფარებდა.

— მაინც სად იყავი?

— თბილისში.

— ხო მშვიდობაა?

— ცოტა ვიეტნამშია არეულობა, თორემ სხვაფრივ არა გვიშავს რა. ცალტენა ძირ არის?

— საკურსოს ხაზავს.

საკურსოს ხსენებაზე კინაღამ გული წამივიდა. ოჰ, იმ ხაზვის მასწავლებელს ნუ მომაგონებ და მომკალი. მაინც რა ბედი მაქვს, ყველა ოხერს მე უნდა გადავეყარო, ტაქსიც რომ უხეირო მხვდება ხოლმე?!

— დილის ცხელში ხარ?

თავი დავუქნიე და თვალი თვალში გავუყარე. ახლაღა შევატყვე, ვარლამა ნასვამი იყო, ლოყები უღაღატებდა და კალი ნესტო უთრთოდა. ხშირად სვამდა, მაგრამ დათრობამდე

იშვიათად. განსაკუთრებით არაყი უყვარდა, ჭაშებს ასუფთავებდა. თუ დაკვირვებულხართ და ფულს შეგვაგულებდა, თავს მოიკლავდა, სანამ ნახევარლიტრიანს არ გამოგვტუებდა, მაგრამ კაცური კაცი იყო და არამც და არამც მარტო არ დალევდა, ისევ ჩვენ გამოვუწრუპავდით ხოლმე.

კიბეს ავუყევი. დერეფანში ბიჭების ყაყანი ისმოდა. ოთახში შევედი, პიჯაკი სკამზე მივაგდე და საწოლზე ჩამოვჯექი. ზეწარი პაპიროსის ნაფლიასგან ისე იყო გაშავებული, თვმოუყვარე კაცი არც დაიზარავდა: იმ დღეს ერთი გოგო ამოვიყვანე და გაუშლელ საწოლზე მეწვინა. ვთთომ ვერავინ დამინახა-მეთქი, მაგრამ... კარლამამ ორი ბოთლი კონიაკი ამცანცალა. ერთი ციცქნა გოგო იყო. გალეული, წინა ღამეს ცოლად შეგირთავ-მეთქი, შევპირდი, თორემ ისე რას ამომყვებოდა. ისიც ვითომ მოტყუედა...

ცალტვინა წამოწია და მუთაქას იდაყვით დაეყრდნო.

— სად იყავი?

— მამიდაჩემთან. კარგა ხანია არ მენახა და გავფაქე. შენ თუ გინდა, ერთ „გრეშს“ გაეიდე და საკურსო დამიხაზე

— რატომ გგონივარ იაფფასიანი?

— ორი ბოთლი, მოდის?

— სამი. — თან ფანჯარს წვერს უთლის.

— ჯანდაბას შენი თავი, სამი იყოს.

— ომკერია გაგიკეთებ.

ისევ ხაზის ასლაუედა მასწავლებელი გამახსენდა. შარშან კინალამ კურსზე დამტოვა. ნტტვ ადამიანს მაინც ჰგავდეს, — ავი, აწუწული, ცხვირწვეტა, რაღა ვარლამა და რაღა ის — თვალებგადმოკარკლული და ხეშეშათმიანი, ჭკუენის მოძულე, სამცოლაამოცცლილი და მატყუარა. იცის ჩემი ბედოლათობის ამბავი და წიხლს უფრო მაკერს. მე რა, თავი თუ არ მისკდება, ჩემზე უხეიროს მაინც ვჯაიჭვარ. ჩემისთანებიც ბლომად არიან, მაგრამ მაინცდამაინც მე ამითავწუნა. ცალტვინა არ მოსდის თვალში, ეს კიდევ ყველას სჯობია, კარგ მოწყვედ ითვლება. არც დირექტორს ვახაკვარ გულზე, თორემ თავს მოვიჭარბებდი და აულაუედას სამასხარაო ალარ გავხდებოდი...

— აღარ ჩაჭრიხარ? — თვალები მებლატება.

— შენ თუ გეძინება, დაწექი და დაიძინე.

— ხომ იცი, სინათლეზე არ მეძინება.

— ზეწარი გადაიფარე.

— სული შემეხუთება, — ეახდა დაიწუწე. ცალტვინამ დაიცინა და ფანჯარა მიხურა.

— ოჰ, ის აულაუედა. —ამოვიოხრე და პერანგი გავიძვერე.

— ეგ რომელი?

— შენი ხაზის მასწავლებელი.

ცალტვინა ნახაზს ჩაჭიკიტებდა და მრავალმნიშვნელოვნად ჭუტავდა თვალებს, მერე ღიღინი დაიწყო. გრძელი, ლამაზი თითებით სახაზავი გადაჭიმნდ-გადმოჭიმნდა და ფანჯარს კბილზე იკაკუნებდა.

— ის გალეული გოგო ალარ გინახავს?

ცალტვინამ საფერფლეში ჩასრესილი ნაწვეტი ამოკრიბა და გაზეთი მოხია.

— დამანებე თავი!

ჯულიაზე მეუბნებოდა. მართლაც ერთი ციცქნა იყო. პირველად რომ ვნახე, მერცქვალებელი მეგონა, მაგაზ კი საშუალო შარშან დაუმთავრებია. ახლა რომელიღაც ქარხანაში მუშაობს. რომ გაიხადა, სხვანაირი გამოჩნდა, — არც ისეთი გალეული ყოფილა.

— ჩაჯერე რა.

— იმ გალეულზე იფიქრე და ჩაგეძინება. — არ მეპუება.

ვიღაცამ კარს ბრახბრახი აუყენა. ვარლამამ ჯერ ცხვირი შემოყო, მერე ყურებგაფაფრული თავი.

— რას გამოგვეჭვიმე?!

— ადექი, გეძახიან!

— ვინ არი! — საწოლზე წამოვჯექი.

ვარლამამ ცალტვინას გადახედა და ახრუტუნდა.

— გახსოვს, ეს დღეს კონიაკი რო ბიყიდე. ის მოვიდა...

— წადი და ამოიყვანე!

შარვალი ჩავიცვი.

— ვერ ამოვიყვან! — ღია კარიდან გადმოადგო ვარლამამ.

— ვინ დაინახავს, პირველი სართია.

— არ შეიძლება!

— ქრთამი გინდა?

— მე ქრთამს არ ვიღებ. ჩამოდიხარ თუ არა?

— კონიაკი უნდა, — თვალი ჩამიკრა ცალტვინამ.

— თუ გინდა, ჭამეს არაყს გიყიდი ბაზარში.

— ჯიბეგირები ხართ თქვენ! — ვარლამამ კარი გაიბრახუნა, სირბილით გავეკიდე.

ჯულია ზედ კართან იდგა. ხელები პლაშის ჯიბეში ჩაეწყო.

— რა იყო, გოგო, რას დამფეთე?

— გცალია?

— ახა რა ჯანდაბა უნდა ვაკეთო ამ შუადღისას. — პერანგის ღილები შევიკარი და დილისთვის გადამალულ „პრიმას“ მოვუკიე.

— არ ამოხვალ?

— გაგიჟდი?!...

ვთთომ ჭერიც არ ამოსულიყოს!

— რა იყო, მოხდა რამე?

თავი ჩაღუნა და ხელზე წამეტანა.

— გავთავდი კაცი, თუ მეუბნები, მითხარი ბარემ.

ჯულია კისერზე ჩამომეკიდა და მაყოცა.

თამაზ ჯიბლაძვილი
ადამიანი მარტო არ არის

ვდგავარ გარინდული, საცაა სული უნდა შემეგუბოს, ის კიდევ მარწუხებივით მიჭერს მკლავებს. უცებ ხაზვის მასწავლებელი არ გამახსენდა?!. რა დროს ხაზვის მასწავლებელია — გოგო სულში მიძგერება. კოცნას რომ მორჩა, ჩამაცილდა, რაზე ფიქრობთ; კინაღამ წამომცდა, ხაზვის მასწავლებელზე-მეთქი.

ვარლამა თავისი ადგილიდან წამომდგარიყო და ვეხტიბიულში დაფრატუნებდა — ვითომც აქ არაფერიაო, სინამდვილეში კი ჩვენ გვითვალთვალებდა. ჯულიას ხელი ვტაცე და გვერდზე მივდექით.

— რა იყო? — მკითხა ჯულიამ.

— ვარლამა გვიყურებს.

— მოგცლია ერთი, უნდა და გვიყუროს!

— წამო, ბაღში შევიდეთ.

ბაღი იქვე იყო, საერთო საცხოვრებლის გადასწვრივ. ჯულიამ მკლავში ხელი გამომდო და მომეტმასნა. სიმაღლეში რომ გავგზლებოდი, წელში მოხრილი მივუვებოდი. ის კიდევ თვალებში მიყურებდა და ცდილობდა ფეხი აეწყო.

ბაღში შევედით. მთვარე ლურჯ ღრუბლებში გახლართულიყო და ცა მუქდებოდა. არც პორაზონტს ადგა კარგი დღე. ჯულია შეჩერდა და ჩემკენ შემოტრიალდა. დიდხანს მიყურებდა. მერე მომეხვია და მაკოცა. მარჯვენა ხელი წელზე მოვხვიე და ისე ჩავიარე. ძველებმა ტკაცატკუცი დაუწყო.

— ჯურხა! — ქვემოდან შემომყურებს.

— რა იყო?

— ვერ არის ჩემი საქმე კარგად.

— რა მოგიხდა?

ჯულიამ თავი უკან გადაადგო, თვალები ფართოდ გაახილა და დიდხანს იცქირებოდა უაზროდ.

— გახსოვს მაშინ, შენთან რომ ვიყავი, მგონი დავილუპე.

ხელი ცივად გავუშვი.

— მაინც რამ დაგლუპა?

— ექიმმა მითხრა, ბავშვი გეყოლებაო.

მოდი ერთს გავუთამაშოთ წუწუ-მეთქი, მაგრამ... ჩამჭრალ სიგარეტს მოვუკიდე.

— ხომ არ უთქვამს, ვისგან გეყოლებაო? — ვეკითხები დინჯშემოყრილი.

— განა შენ არ იცი?!

— ექიმის აზრი მაინტერესებს.

— რა ვქნათ, ჯურხა?

საქმისათვის მეტი სერიოზულობა რომ მიეცა, წაუხლულვნა.

— მე რა უნდა ვქნა?

ჯულიამ თავი ასწია და შემომხედა. მერე მხრები აიჩეჩა.

— იცი რა გითხრა, სისულელეს თავი გაანებე!

ახლა ტრილზე გადავედა.

— რამდენიც გინდა იტირე, გულს ვერ გამიხეთქავ, ვისთანაც გაგსვლია, იმასთან წაიყვანე, გენთის?..

— დედას გეფიცება...

— ფიცი არ გიშველის, ავდგები და მამაშენს ვეტყვი...

— მამაჩემმა რა დაგიშავა? გინდა, თავი მოიკლას.

— მაგაზე შენ უნდა გეფიქრა. ახლა ადექი და შინ წამოდი.

— გამაცილებ?

მკლავში ხელი გამიყარა და გამჭაჭა. ისეთ გუნებაზე ვარ, დანა რომ დამარტყა, წვეთი სისხლი არ გამომივა. მიდის და მიუყვები.

საერთო საცხოვრებელს ჩავუარეთ. ვარლამას სკამი გარეთ გამოეტანა და სუფთა ჰაერს ულაპავდა.

გადასასვლელზე ჯულია ჩამებღაუჭა და აკანკალდა. ისე გიფიცით მოჰკრთება „ეგეული“. კინაღამ გავგიტანა. ეს ოხრები დაგვლიჟინებენ ამ მანქანებს (ეს ტაქსებზე ჰკიდიათ სხვათა სიცოცხლე! ახლა, ამ შუადამისას ქალამივით რომ გავეკუსლიტე, მიიმალებოდა და ხვალ სხვას შეიკვლევნენ ეჭვით.

— აქ დავიცადოთ, იქნებ რამე ჯობანამ გამოიაროს, — შევაჩერე ჯულია.

— გვიანაა, შინ მაინც ვერ მიგალ. დასთან გავათევ.

გიშველა ღმერთმა! ათი კილომეტრი მაინც უნდა გაეველო აქეთ-იქით.

საერთო საცხოვრებელში რომ შევედი, ვარლამა აღარ ჩანდა, ოთახისკენ გავიდურე, ახლა იდგეს და მელოდოს!

ცალტანა ისე მაგრად ხვრინავდა, მართალი გითხრათ, შემშურდა. სინათლე არ ამინთია, ფანჯარას მივადექი და გადავიხედე. ის უკუღმართი ქალი ისევ სარკმელთან იდგა და საქმელს პირდაპირ ქვაბიდან თქვლეფდა.

ჩვენს პირდაპირ ერთი დედაკაცი ცხოვრობს. შუადამისას ღია ფანჯარას მოადგება პერანგსაბარა, რაფაზე ოყიან ქვაბს შემოდგამს და, გიყვარდეს, ერეკება. მუცელდმერთა ვინმეა. თან დოქს მოიყუდებს ხოლმე და რაკრაკით სვამს. რომც არ გწუწუროდეს, იშს შემხედავს ხახა გაგიშრება. ამ დასაქცევ საერთო საცხოვრებელში არასოდეს არ არის წყალი.

ჯანდაბას მაგისი ქვაბი, ამ სერის ნახვა ყოველდღე შეიძლება, რისთვის მოვიკლა თავი, როცა სხვა რამითაც ადვილად შეიძლება სიცდილი, შენ მარტო მოიწადინე.

ჯ.

დილით გვიან გამეღვიძა. უველაფერი იმ გალეული ჯულიას ბრალია. ახლა კისრისტეხით უნდა გავვარდე. თუ დავიგვიანე, მომდგებიან და გვარიანად დამამუშავებენ — ეს კრებაო.

ეს კედლის გაზეთიო. ეს ოსტატის სამსაათიანი ლექციაო... შეიძლება პრემიაც მომიხსნან.

გულზე ხელს დავიდებ და სიმართლეს ვიტყვი: მელხაგლინავი საამქრო ნაღდად მიყვარს. რკინა-რკუნა რა ჯირაფ მინდა — თქვენ ხალხი უნდა იკითხოთ. მართალია, ახალი ეამომცხვარი ვარ და ბევრს არ ვიცნობ, მაგრამ ვინაც ვიცნობ, ერთმანეთზე უკეთესები არიან. ოსტატი კი უკვლას მირჩევნია. პირში მთქმელი. პირდაპირი კაცია. თუ კაცს სიმართლე უყვარს, სულში ვისვამ. აჯა-იქ ღლაბუცა ბიებიც ურევია. თავი აქვთ ჭარხანაში შემოყვარებული. სტაჟისთვის მუშაობენ, მაგრამ ოსტატს რას გამოაპარებ. გიუვარდეს, დაუცაცხანებს ხოლმე, თუმცა გაიოზმაც რაღა ქნას? იძახიან, პროტექციონიზმი გამოუცხეს და გაფატრესო. ამდა. მეც დავიკერე. მაგრამ თვალებს ხომ ვერ დავიბრმავებ? ჩემი დეიდაშვილია, თუ კაცი ხარ, დღის ცხლაში მომიწყევე; ნათლული მოგიყვანე და ნიაშა არ დაკარას. ჰაჭებს ატაეობო. უფროსთან ხომ მიდიან და მოდიან, ახლა გაიოზი შეაყელინეს. შემორეკვენ დაულაგებელ ბალღებსა და გააქვთ ერთი ალიაჭოთი. მერე და მერე კი დგებიან კალაპოტში და რიდიც აქვთ. ოსტატმა თუ უსაქმოდ დაინახა რომელიმე, იმის დედის ღმერთსა. იმას დღე დაადგეს. მეტი რა ჯაა აქვთ. ერთ-ორ თვეში ჩქენი მოემტვრევათ ხოლმე.

დილდილობით. როგორც წესი, ჯერ გახახდელში ვძრვები ტანსაცმლის გამოსაცვლელად. მერე — გვირაბში. ბიებიც მორბიან. განა მარტო მე მაგვიანდება. ჩემისთანა ბედოვლათი რამდენია ამ დალოცვილ ქვეყანაზე!

გვირაბში ისეთი ხმაურია, ყურები დაგიყრდება. ნამძინარევი ხალხი უყაყანებს, ამდაუმდას ლაპარაკობს, თან ერთმანეთს დასცინიან. ზაფხულობით რა უჭირს. ზამთრობით უნდა ნახოთ თვალების დასიება. გათენებამდე გოგოებს დასდევენ, დილით კი ადგომა ეზარებათ.

არც საამქროშია ნაკლები რიარია. მილი მილს რომ დაეცემა, გეგონება, ბომბი გახდაო. ისეთი ხმა აქვს. მე, მაგალითად, ვერ შევეჩვიე ხმაურს. ერთთავად ყურები მტკივა. ჭიაზე უნდა გასცდე უვირილით, რომ ვინმეს ხმა მიაწვდინო. სხვა რა გზაა, ვდგავართ და ვღრიალებთ. ეს ახალბედებს ეფერო გვემართება, თორემ ძველები ისე ლაპარაკობენ, გეგონება კრებაზე არიანო, ჩურჩულით აგებინებენ ერთმანეთს.

ახლა ბრიგადის ამბავს ის არ იკითხავ. ბიებში ხომ ბიჭობენ, მაგრამ ოსტატი მაინც სხვაა — მუხლს არ ჩაგახრევინებს. ჩაიმუხლებ და აიარევა ყველაფერი. მერე თუ გინდა, თავი მოიკალი, ვეღარც გაქცეულ საქმეს დაეწევი და გაგამასხარავებენ კიდეც. ზოგჯერ დგანდაც კერიი იცის, ერთი თუ მოიშალა, მოგჭამა ჭირი. ასორმოცელებსაც ეს უნდათ — უგერგილობები ხართ, რატომ ჩვენი არა ფუჭდებაო. ხანდახან იმათმა ღმერთმაც იცის გაწუხრამა და მაშინ კი გიუვარდეს. მოვადგებით ერთმანეთით, ჩვენი რო გიკვირთ. თქვენ რომორაოო...

— ჯუხა. — შოთა მეძახის.

რა იყო-მეთქი. ხელი გავუქნიე.

— ხომ არ უჭირს? — მოჭედი და დგანზე მანაშნებს.

— რადაც კარ მომწონს.

— სამართულები ვერ არის რიგიანად გაჩარხული. — მეუბნება.

— მეც მაგას არ ვამბობ; აგერ გაიოზიც მოდის და ვუთხრათ ბარემ.

უფროსმა მვალეკამა მხრები აიჩეჩა და უხმოდ შემომხედა.

— რა ირიბად მიყურებ, არ მოგწონს? ესენი თუ კუჭაზე არ მოვიყვანეთ, სამქმე შორს ვერ წავა. მოიცა, ჯერ კომკავშირის კრებაზე მობრძანდნენ, ვითომ რაგიან-პრინციპი ვრთო, მაგრამ უნამუსოები კი არიან.

შოთამ შუალიდან ოფლი მოიწმინდა.

სამართული შეუცვალე. ისე ცხელა, კაცს სული შეეხუთება. გავარვარებულ მილებს ალმური ასდის, ვენტილატორი ჯუდღვეულ უბერავს და ოდნავ აგრილებს ჰაერს.

— ოსტატი, იცოცხლე, აძრაზს ხოლმე ტყავს მაგრამ შეიარე კედელს ცერცვი. თითო-ოროლა ცვრას გამოასწორებენ, მარიქა, ეშვედრო. მერე ისევ გაცცეთილ სიმღერასავით თავიდან იწყებენ: რა ვქნათ. ძმაო. ეს არის და ეს. მეტი არ გამოდისო. არ გაბსოვს პრაფკავშირის კრებაზე რომ დახოცეს ერთმანეთი. მერე სამქროს უფროსის კაბინეტში გაგრძელდა გამიშვი-დამიშვი. ვიდრე პარტბიურო არ ჩაერია. ვერ დალაგდნენ, — შოთამ ჩვენკენ მომიცალ გაიოზს გახედა.

— ავდგები და მეც პარტბიუროს მდივანს მოვახსენებ ასეა და ასე-მეთქი. მიყურონ მერე კაკალი!

გაიოზი მოვიდა და ამთვალიერა. წუხანდელი ნამთვრალევი ხომ არ არისო. ჩვენად აქვს, სანამ არ დარწმუნდება, მზერას არ მოგაშორებს, მერე მხარზე გითაქებს. ფრთხილად იუავი, მარცხი არაფერი მოგვიდესო.

გაიოზი ირმოცდაათისა მიეახლებული. ტანდაბალია, ჩაფსკვნილი, შეკრეჩილი ჯალარა თმა. ჯალარა ულვაშები და შავი თვალები აქვს. სახე — კუშტი, მაგრამ მიმზიდველი. მოძრავია, ჭკნანაო. მოყვრიკარ, გამხიარული, მაგრამ გამრჯე ხარო. ამ ზამთარს საერთო საცხოვრებლები ბიებში წავძონგილავდით. მკლავს ვინ

თამაზ ჯიბლაძვილი
ადამიანი მარტო არ არის

გადაუწევსო. მაგიდას შემოვუსხედით და ერთი მეორეზე მივალაგე. გაიოზს გავგო და თვალი ჩამიკრა, მოდი გავგინაწყოო. ჯერ შევკადრე.

ოსტატი დგას და სამართულზე მანიშნებს.

— სწორედ მაგაზე ვლაპარაკობდით. — შოთა ეუბნება. — ჯუფხა იძახის, პარტბიუროს მოვახსენოთო.

— ურიგო არ იქნება, — გაიოზმა ოპერატორს თითი დაუქნია, — ეგენი თუ ჭკუაზე არ მოვიყვანეთ, გვიღალწმდებიან. განსაკუთრებით ის ჭინჭარაძეა ურასაწევი.

— მაშ, პარტბიუროში აპირებ მისვლას? — ისევ მე მომიბრუნდა გაიოზი.

— ისე ვთქვი, თორემ თუ მისულაა, შენ უნდა მიხვიდე.

— ვითომ რათაო, შენ არ გეკადრება?

— ოსტატი შენა ხარ.

— რახან ეგრეა, ერთად მივიდეთ. — თითები ერთმანეთს გაუგლასუნა.

— სასადილოში დაგიცდი.

შესვენებაზე სასადილოში გავედი, მებუფეტეს პური ავაწონინე და კატლეტის ასალებად ჩავდეკი რიგში.

— რა მოგახთვათ?

— ორი ულუფა კატლეტი. — ვიღაცა ჩემს მაგივრად პასუხობს მზარეულს. მოვიხედე, ჩემს უკან ახორმაცილი რეზო იდგა. კატლეტი ავიღეთ და მაგიდას მივუსხედით. ისეთი უაჯანია, არაფერი იცის, ხალხი ბლომად ირევა, — ზოგი ნაცნობია, ზოგი — უცნობი. საზოგადოებრივი კონტროლიორი დოინჯშემოყრილი დგას და გვათვალიერებს. ამბერეი აიურაძე ეუბნება გაძრომას ცდილობს და კონტროლიორს რაღაცას ელლაბუცება...

აგერ გაიოზიც გამოჩნდა. ჯერ დარბაზი მოათვალიერა, მერე ბუფეტთან მივიდა. ამბერეიმ გაიოზი დაინახა და გვერდზე მიიდგა. კონტროლიორმა კარგა ხანს იუყვანა, მკლავზე წითელი ნაბერი გაისწორა და აიურაძეს თითი დაუქნია.

— იყავი პარტბიუროში? — მკითხა გაიოზმა, მაგიდას რომ მოეკრა.

— უშენოდ ხომ არ მივიდოდი.

— ჰოდა, ერთად ავიდეთ.

— სამართულების თაობაზე, არა? — რეზო გვეკითხება.

— ამ პრობლემის ძალიან აურიეს და ცოტა ჭკუა უნდა ვასწავლოთ.

— დაუსაგებელი ხალხია, — ეთანხმება რეზო, — შიო ჭინჭარაძე ხომ სათვალთვალოც არ არის ჩასაგდები.

კუთხის მაგიდასთან ვიღაც გოგოები სხედან, თვალი იჭიათ გამირბიან. გოგოების დანახვაზე გალეული გამახსენდა. დამირეკეო, შემეხვეწა. რისთვის დავურეკო? ტუუილუბრალოდ ღლაბუცისთვის საღლა მცალია, საცაა გამოცცდები დაიწყება და, თუ ბიჭი ხარ, მოუმზადებელი გადი. არა. დარეკვით დავურეკავ. აიგდანაც დავუნიშნავ. მაგრამ მოვა თუ არა ვიცი? ეს ბოლო იოსებ-მეთქი. უცბიერ ნაბიჯს აკეთებს, აკეთებს არ მომინდომა!

— აბა, ვახსენოთ ღმერთი. — წამოდგა გაიოზი.

პარტბიუროში რომ შევედით, ოთარი შეგვეგება.

— გამპრკობა შენი! — გაიოზმა ხელი გაუწოდა და მაგიდას მიუძღა.

— დაჯექი, — მეუბნება ოთარი, — რაჰდენი გაგლინეთ?

— თორემენ საათზე ორას ოცდაორი იყო. ახლა სასადილოდან მოვდივართ.

სკამი გამოვწიე და დავჯექი.

კედლებზე ნაცნობი სურათები და საბჭოთა კავშირის ეკონომიკური რუკა კიდია. მაგიდაზე ლითონისაგან დამზადებული მრგვალი საფერფლეები აწუვნა.

— ოთარ, ერთ საკითხზე უნდა შეგაწუხოთ. — დაიწუო გაიოზმა. — სამართულების ამბავი გვფიქრობს. არ იქნა და ალარ დაადგა საშველი. რა გახდა ბოლოს და ბოლოს?

— ისევ სამართულები, არა? — ოთარმა ნაფაზი დაარტყა.

— მოდი რა. ამ საქმეს შენ თვითონ მოჰკიდე ხელი, — სთხოვა გაიოზმა, — სხვას ნუღარ გადაანდობ.

პარტბიუროს მდივანმა წიგნაკში რაღაცა ჩაიწერა.

— ამ საკითხს პარტბიუროს სხდომაზე განვიხილავთ. — დაგვპირდა ოთარი — მაგ ჭინჭარაძეს ტუავე გავაძრობთ.

თითქოს გულიდან ლოდი მოვიხსენით. მხოლოდ გამოვედი.

გვრიაბის კედლებზე იმდენი განცხადება და მოწოდება იყო გაკრული, თვალი აგიჭრელდებოდა. აქეთ, ნებაუფლებით სისხლს რომ აბარებენ, რა ჰქვია, დონორის პლაკატიო, იქით — ჯანმრთელობის დაცვის გამაფრთხილებელი ფურცელი გრიპის თაობაზეო, სახახლო უშიშროების წესებიო და ათასი სხვა.

გასასვლელში კომკავშირის კომიტეტის განცხადება ბრჭყვიალებდა, ოცდარვა სექტემბერს სანგარიში-საარჩევნო კრებაა დანიშნულიო. რა კრება იქნება! წითელი კუთხე იმხელა გვაქვს, ცხენი გაჭენდება. კომუნისტებიც დაგვეხვრებიან — საარჩევნოსა და, ვინ მოთვლის კიდევ, ვინ არა. ერთი წეწვა-გლეჯა იქნება. სულ ახეა ხოლმე—დახახელებენ რომელიმე კომიტეტის წევრად და ატყდება ერთი ალიაქოთი, ერთნი გაიძახიან: მაგ უღირსს კომიტეტში რა უნდაო, მეორენი იცავენ, ჭკვნენ და ადიდებენ. ბოლოს ადგება საარჩევნო უფროსი და იტუვის თავის ბრძა. რაკი უფროსი აძიბობს, ღირსი ყოფილაო, საწინააღმდეგო აღარავის აქვს. საერთო საცხოვრებელშიც ასე არ

არის?! — იმ დღეს რეჟისორებში შვიდი კაცი აირჩიეს. ალმზრდელმა იმდენი იჩიჩინა, ამბერკა აიწურაძე არ გაარედაჭტორა? განახვეს იმის გამოშვებული გაზეთი? ახლა ეს ჩვენი ალმზრდელი თვითონ აცხოვს წერილებს. რა ქნას, ამბერკა კომენდანტის დისწულია, ანგარიშგახვევით კაცია. ამბერკას რა საქმე აქვს — ზის და დომინოს უკახუნებს, ის რომ მაგიდაზე კოკს დასცხებს, ქვემოთ ვარლამა ცხვირს აცეწინებს.

— განცხადება ხო წაიკითხე, მალე კრება გექნებიან და სიტყვით გამოდი. — მითხრა გაიოზმა.

— გამოსვლით კი გამოვალ, მაგრამ ვითომ უშველებს?

— ეშველება. — კვერი დამიკრა ოსტატმა, — მეტალურგების ინიციატივა მარტო მე და შენზე ხომ არ ვრცელდება?

შაბათობით მე და ცალტვინა კინოში დავდავართ. ცალტვინას დეტექტიური ფილმები უყვარს. მე კიდევ დეტექტივები არ მეპიტნავება და გინდა მომკალი. მართლა ცალტვინაა, „ომი და მშვიდობა“ რომ უხსენო, გადაირევა, ტვინის ჯელტაკოო, გეტყვის. ისე, ურიგო ბიჭი არ არის. ოღონდ გული უჩუენე და თან გადაჯუვები. ჩემი ოთახის ამხანაგიც რომ არ იყოს, მაინც ვიძმაკაცებდი. ნამდვილი სახელი ლერი ჰქვია. უყვარს ლერის ეძახის. არავის არაფერი შეეშალოს — ცალტვინას ვინ აკადრებს. მე ვარ გაშინაურებული და რაც მომეპრანება, იმას დავუძახებ ან ისა მყავს უკბილო. ისეთ-ისეთებს მოშაკუეებს ხოლმე, შენი მოწონებული. თუ გინდა ამ კვეულის ანბანა გესწორეს, სწორედ ამისთანა ბიჭთან უნდა იმეგობრო. არც გიღალატებს და არც გაღალატებინებს. მაშ არადა, ამბერკისა გავს: წავა, გამოთვრება და მერე მთელ საერთო საცხოვრებელს შემოივლის, ფული მასესხეთო. ფული ვის არ უხესხია, მაგრამ ყოველდღე?! ბიჭებიც აიღებენ და აძლევენ, თან აფრთხილებენ, ეს უკანასკნელი იუოსო. ის კი ისეთი ნამუსგარეცხილია, ვითომც არაფერი. იმის ოთახში რომ შეხვიდეო, გული აგერევაო, ამხანაგიც თავისნაირი მყავს, — შიო ვინვარაძე. ცალტვინას ამბერკის დანახვაზე ნერვები წუწდება. არ მინდა, ფულს ნუ დამიბრუნებს, ოღონდ თვალით აღარ დამენახოს, თორემ ერთხელაც ცემას, ცხვირ-პირს ამოუთუხაუო. ვიცი, ერთ შშვენიერ დღეს აუცხადებს კიდეც.

იმ დღეს კინოდან გამოვედით, შიშმილით ისე ვიუავით გადალახლახებულები. ძლივს მოკაბიტებდით. ლაპარაკის თავი აღარ გვქონდა. ხუმრობაც მიუოლებით ხუთი ფალმის ნახვა? დილის ათი საათიდან თვალებში ამოვიღებეთ. რას იზამ, გიჟი კორწილში შევდა, ჩემს სახლს ეხა სკობიაო, — კინო რომ გერჩიოს საერთო საცხოვრებელში ბოდიალს, რა გასაკვირია!

იქვე ახლად გახსნილ კაფეში შევედით. ყურძნის მაგიდას მივუხტედით. აქედან ხელმკვეთლი იციცქნები, შენ უყელას უჭვირატენებ, ის უყელა კი ვერ გხედავს. მოგეწუინება და ნუ დაიზარებ — ხუთკაპიკიანი ჩაუძახე იმ რადიო მუსიკალურ საკრაშნო, მერე თვალები მოწკურე, მუშტზე ჩამოიდე თავი, თუ გინდა ფეხიც აიარ-მოხიცის ტაქტს და გაიტკუნე თუ ეშიე მოგწუინდა, ჰაიდა, საერთო საცხოვრებელში.

სანამ ოფიციანტი ჩვენთვის მოიცლიდა, ბალი მოვათვალიერეთ. გეგონებოდათ ჯუნიდან ძალით შემორეცეს ამოდენა ხალხო, ისეთი უკუანი იდგა. მრგვალ სკამებზე, წინ და უკან რომ ტრიალებს, ბიჭებს გოგოები შემოესკუპებინათ და სირობიანი წყლით ჰუაპავდნენ. გოგოები ფეხებს იქნევდნენ და ხარხარებდნენ. ცალტვინამ მითხრა, ეგენი გოგოები კი არა, ბიჭები არიანო. დავაკვირდი, მართლაც ბიჭები არ იყვნენ! ზოლიანი, ვიწრო შარვლები ეცვათ. ჩამოგრძელებულმა თმებმა შემაცდინა, შიგადაშიგ გოგოებიც ჰყავდათ და იმან უფრო ამირია დავრები. ჩვენს მეზობლად გოგო და ბიჭი ხხედან, ბიჭს იმბერი ფრჩხილები აქვს, რაღა უნდა ელაპარაკო. გოგო ზედ არ უყურებს. თვალი აქეთ-იქით გორბის;

როგორც იქნა, ოფიციანტი გამოჩნდა — ლამაზი იყო, მაგრამ გაჩხიკული. ორ-ორი კაკლები და სირობიანი წყალი შეეუკვეთეთ.

— ოცდახუთი კრებაა, იცი? — მკითხა ცალტვინამ.

— ვიცი, — თან იმ თვალებმოხატულ ოფიციანტს გავხედე. — მაინდამაინც არ მეპიტნავება სიტყვით გამოსვლა, მაგრამ გაიოზმა აიჩემა.

— შენც ადექი და გამოდი.

— არ იცი ჩემი ამბავი, მოვხსნი პირსა და საჭიროა თუ არა, ყველაფერს გადმოვალაგებ.

— გადმოალაგე, ვისი გეშინია? ყველამ თუ წავუურუეთ, რა გამოვა. იმ დღეს აიწურაძე მილიციაში მიუბრძანებიათ და ვითომც არაფერი, არც კომკავშორმა ამოიღო ხმა და არც პროფკავშირმა. დგანან და ილიგებიან. კომენდანტის დისწულია, ხომ არ აწუენინებენ.

მილიციის უფროსი კომენდანტის ბიძაშვილის მამიდაშვილიშვილი ყოფილა და ამბერკას საქმე გაუჩარხეს. ამას წინათ სასადილოშიც აურია, მოკლედ, ძალლი პატრონს ვერა სცნობს. გაიუმებით კი გაეჩუმებოდნენ, მაგრამ ერთხელაც ადგებიან და ატყვიან, სად იუავითო, უყელაფერს ჩვენ დაგვაბრალებენ.

თამაზ ჯიბლაძვილი
ალმანიანი მარტო არ არის

ოფიციანტმა შნიცელი მოგვიტანა. კატლეტზე ბოდიში, გათავდაო.

თვალი გამიშტერდა.

— რას ჩაფიქრდი?

— ხუთ ღამეს გავათენებ და იმ ნახაზს მაინც ჩავთავებ. ბოლოს და ბოლოს, ვინმე ნაკლები ვარ. — არ ვიცი, რამ წამომიარა, ჩემს თავზე მომივიდა ბრაზი.

— იმ გალეულთან კიდევ იყავი?

— არც ვყოფილვარ და აღარც ვაპირებ.

— ვითომ რათაო? — გაუკვირდა ცალტვანას.

— ვიქნები ჩემთვის.

— ჯი მიუვარსო.

— მიუვარს კი არა. აკიდება მომინდომა.

— გააფრთხილე, თუ სადმე შემხვდა, იცოდე, კარგი დღე არ დაადგება.

— მე თვითონ მოვუვლი.

— ჰოდა, იცოდე...

...ტროლეიბუსში ხალვათობა იყო, ჩვენ მაინც სულ უკანა სკამებზე ჩამოვსხედით. უკან ჯდომა მიყვარს, — აქედან სულელი და ჯკუანი ყველა ერთნაირად ჩანს.

ბიდზე რომ გადავედით, შეჯგუფებული ხალხი დავინახეთ. ცალხელა კონდუქტორმა მინა-ჩამტვრეულ ფანჯარაში გაყო თავი.

— რა მოხდა?

ხმა არავინ გასცა.

— ჯიბგირები ჩხუბობენ, — დაბეჯითებით თქვა ცალხელამ, — მაგათი სინსილა კი გაწუდა! მოიტა ფული, ბიჭო! ორი? დაბანან ეს ოხრები და ერთმანეთს ჩეხავენ. დაინახე რამოდენა ხალხი ირეოდა? რამდენი მომეცი, ბიჭო, შენ?

— მანეთიანი!

— რამდენიო?!

— მანეთიანი, დეიდა!

— ისემც რა გითხარი!

ცალტვანა წამოსახტომად მოემზადა.

— დედას გეფიცები, მანეთიანი იყო.

— დედას მოუკვდი შენ! ნამუსი არა გაქვს?

— უნამუსო ვიყო, თუ ტყუილუბრალოზე დავიფიცო დედა!

— მართალს ამბობს, — კვერი დაუკარი მე.

— შენც მაგასავით ჯიბგარი ხარ! გესმით, ხალხო?

— ემაგ მანეთიანის წვერსა ხედავ, მამლის ბოლოსავით რომ მოჩანს? — ცალტვანამ თითი კისერზე ჩამოკიდებულ ჩანთაში ჩაუყო.

— აჭ იცი რამდენი მანეთიანია? აბა, ჩადით ახლა!

— რა ამბავია? — მობრუნდა ვიღაც თვალახვეული კაცი.

— რა ამბავია და ფულის წაგლეჯა უნდათ. საერთო საცხოვრებლის ხულიგნები არიან. მანეთიანი მოგეცითო.

— არა გრცხვენიათ, ყმაწვილებო?! — თან წაელებლის ტონით იკითხა თვალახვეულმა.

— ბრმა იყავი, მანეთიანი რომ ვერ ხედავ!

ცალთვალამ რაღაც ჩაიბურტყუნა და ყველა მოსახვევში ისე გაქანდა-გამოქანდა, თავით კინაღამ კედელს შეასკდა.

გული გახეთქვაზე მქონდა. რაღა დღეს გამგვიტყვრა ეს დედაკაცი, მოდი და ამის შემდეგ ბაზრის გუნებაზე დადექი. ხურდის მოცემა ისე არ უჭირდა, როგორც ჩვენი ხელიდან გაშვება. რამდენია ამნაირი, ერთი თუ ათეული, აღარ მოგეშვება, ამასაც ლაპარაკის საღირებელი აეშალა, დგას და ცმების იქავებს.

ტროლეიბუსი ხალხით გაიავსო. ყველა ჩვენ მოგვჭერებოდა. მათი ეჭვიანი გამოხედვა მცლავდა. ცალხელა რომ ყვიროდა, თან ხალხს აცქერდებოდა, აბა რას იტყვიანო, ზოგიერთს თვალები თანაგრძნობით ეევსო და ამან უფრო გაათამამა:

— ჩადით-მეთქი, რო გეუბნებით!

ხალხი შეჩოჩკოლდა და ჩვენ შემოგვაჩერდა. ნეტავი მიწა გამხეთქოდა. გასახსელეში გაწრიაული გოგო გამოძვრა, ჯულია იყო. მთლად გადავირიე.

— რა იყო, ბიჭო, რა მოხდა?

— არაფერი, ეს დედაკაცი გადაგვეკიდა და...

ერთი სული მქონდა, სანამ ტროლეიბუსი გაჩერდებოდა. გაჩერდა თუ არა, გიეებიეო ჩავცვივდით.

— რა იყო, რა მოგივიდათ? — აღარ ამოგვასუნთქა ჯულიამ.

— მაგის დედა ვატირე! — ცალტვანამ მიმავალ ტროლეიბუსს მუშტი მოუღირა.

— აღარ იტყვით, რა დაგემართათ?

ვიდექით და სიბნელეში მიმავალ ტროლეიბუსს გავცქეროდით.

— მანეთიანი მიეციო, ხურდა არ დაგვიბრუნა, იმაზე იყო.

— მოგცლიათ ერთი. მიაფურთხებდით და მორჩებოდა.

— განა მანეთზე ან ხურდაზეა საქმე, ნამუსზეა ლაპარაკი.

— კონდუქტორი და ნამუსი?!

— ეგრე ნუ გგონია, ნამუსიანი ყველგან მოიძებნება.

ისეთ გუნებაზე ვიყავი, აღარაფერი მიშველოდა. ცალტვანა წინ მიდიოდა და ჰოლმისგან უსტვენდა. ასე იცის, როცა გული საგულედან ამოუვარდება ხოლმე. ჯულიამ ხომ ცვინი წაიღო ლაქლაქით. გუნებაზე უნდოდა ჩვენი მოუვანა და დაიკოქა, მაგრამ რა დაიკოქა.

— რა ცხვირები ჩამოგატირით? — ვეღარ მოითმინა ბოლოს.

— შენ რა ენად გაიკრიფე. ჩვენ გულზე ვართ გახეთქილი, შენ კიდე იცრიცები, არ შეგიძლია ნორმალურად მოიქცე?

— იმ უბედურმა ჭალმა ეგრე ავადღუდათ?

— ჭიბგირები და აფერისტები ხართო, გაიგე?

— სიფათში უნდა გეთხლიშა.

— ადგებიან და ვირის ამბებში მიკრავენ თავს. შენც ეგ გინდა. შენ ესა თქვი. ეკიმთან იყავი?

— ხვალ უნდა მივიდე.

— არ მომატყუო. თორემ...

— ნუ გეშინია, არ ვატყდები.

— სრულებითაც არ მეშინია.

ცალტვინა ადთიაჭთან იდგა და გველოდა.

— რას გამოიქეცი, — უთხრა ჯულიამ, — ერთად ვერ ვივლიდით?

ჯულია ისევ ჭაქანებდა და გულს გვიწვრილებდა. ალარ ვუსმენდი. ცალტვინაც როგორ სხვაგან იყო, ალარც ამაში მეპარებოდა ეჭვი. როგორც იქნა, სახლამდე მივაუვანეთ. ცალტვინა შორიახლო იდგა და მელოდებოდა. ჯულიას ერთი პირობა მოფერება უნდოდა. მაგრამ დავუდგინე და სადარბაზოში ისე შევიდა, ალარც დამმშვიდობებია.

გამოვბრუნდი. ქუჩა გადავჭერი და ცალტვინას ნიგარები ვთხოვე. ამასობაში ბედად ტაქსი გამოჩნდა. ჩავსხედით თუ არა, გულზე მომეშვა. გუნებაზე დავდექი. ასეთ დროს ლაჩრები მიეკარნენ ხოლმე. მოფერს გამოველაპარაკე.

— რას დაწერს ახლა ეს ტაქსი ჩვენმაღე?

— რას დაწერს და „რჩეულსა და ჭიანჭველას“. მივალთ და გაიგებ.

— კაი გამოკეკვილი ჩანხარ, აი! — ჩავუხველე.

— მოდი და ნუ გამოიკეკები. შენისთანა ხალხთან მაკვს საქმე. გოგოებთან იყავით?

— ჰო, ერთი გოგო გვყავდა.

— გაგებირდათ?

— ამხანაგი იყო, გავაცილეთ.

— ჰოო...

— შენ ეგრე გვიან რო შედიხარ, არ გეშინია?

— რა ვქნა, ცოტა ჭიბინთვისაც თუ არ ვაკომუშავე, ცოლ-შვილი მყავს.

ეხლაღა დავხედე: მრიცხველი არ ჭკნება ჩართული.

— რამდენია ხარ? — ჩემკენ მობრუნდა.

— ცხრამეტისა.

— შენხელა ბიჭი მყავს. ორმოცდახამს იცვლის, დიდი ფეხი აქვს. მე ორმოცდაორი მინდა, იმას — სამი, — გაიცინა.

— აქ გაგვიჩერე!

— მოგსულვართ?

— რამდენი გინდა?

— მანეთიანი დატოვეთ და კარგად იყავით!

ეხეც ეგრე — ქვეყანა ჩვენ გვაბეზრებს. გვნახეს სულელები და გვატყუებენ. რა ქნას იმ ტაქსის მოფერმა, ცოლ-შვილი მყავსო. იმ ცალხელა კონდუქტორსაც ეუოლება. ალბათ ქმარ-შვილი, თვალებამობადებულ ფეხმძიმე ცოლიანქალიანქმარი თუ არა, საუკარელი მაინც ხომ უნდა ელებს ჩანთას. მე და ცალტვინას კი არც ცოლ-შვილი გვუკვს და არც არავინ.

საერთო საცხოვრებელში შევედით. ვხედავ, ზურგზე ხელმდაწუოხილი ვარლამა შუა ვესტიბიულში დგას და კარისკენ იცქირება. დავვინახეთ, ჯერ თვალები გაუბრწყინდა. მერე შუახლი შეიკრა.

— სად იყავით ამ შუაღამისახ?

— რას ამბობს, ჯერ თორმეტიც არ არის.

— პირველის თორმეტი წუთია.

ვარლამა ყოველთვის გაზეპირებულს ამბობდა. საათი და გაზეთი რომ არ ეხსენებინა, მოყვედებოდა.

— რაო, გაზეთებში რას წერენ, ახალი ხო არაფერია, ვარლამა?

— ალდო მორო მოუტაციათ მაგ შეჩვენებულებს!

— ვინაო?— ყურები გაუთხელდა ცალტვინას.

— იტალიის ნაპარეხიდენტალი მორო მოუტაციათ და უგზო-უკვლოდ არის დაკარგულიო.

— ნაპრეზიდენტალი კი არა, ნაპრემიერალია. — ვთქვი მე.

— როგორც არის, რაფერ ვათავხედდა ხალხი.

— უუურე შენ.

— ა, წაიცითხეთ. — ვარლამამ ზურგს უკან მოფარებული გაზეთები გამომიწოდა. — წაიკითხეთ და დამიბრუნეთ. — მერე ისევ წამგლიჯა. — არ გამოვა მა ხაქმე, თქვენ ამას სახალილოში შეიტანთ ხელსაწყმედათ. ვიცი, რა შვილებიც ბრძანდებიან. აგერ დასხედით და გადაათვალიერეთ თუ გინდათ.

— ამოდი მეორეზე, ფოიეში დავსხდეთ.

მაღლა ავედით და დივანზე ჩამოვსხედით. საერთო საცხოვრებელში ისეთი სიჩუმე იდგა, ოთახებიდან ბიჭების ხვრინვა ისმოდა. გაზეთი გავშალე, უცებ ვარლამა შემოტრიალდა და დერეფანში გაიქცა. წამოვხტი, რა მოხდა-მეთქი.

— მაჩვენე ხელები! — ავყარდა ვარლამა.

— რა გაუვარტებს, კაცო? — ტრუსისამარა ამბერკომ ნამძინარევი თვალები მოიხარხარა.

— მაჩვენე ხელები!

— რად გინდა ჩემი ხელები?

— მაჩვენე, რო გეუბნები!

ამბერკომ ხელები გაშალა. ვარლამამ უკან დაიხია — სანქციის გარეშე გაჩხრიკა.

— რა უყავი ფანქარი?

— რა ფანქარი, გაგიჟდი?!

— წამოდი!

— სად უნდა წამოვიდე?

— წამო და ნახავ!

ვარლამა ასეთი გაბრაზებული ჯერ არ მენახა. მე ხან ცალტვინას ვუყურებდი, ხან —ამბერკის. ამბერკი გაოგნებული იდგა, ისიც უკვე როდ მოგვჩერებოდა.

ვარლამა ჩქარი ნაბიჯით წაბუსხუსდა, უკან ამბერკი გაჰყვა, მერე — ჩვენ. ვერ გავიგეთ, რა აყვირებდა ვარლამას. თუ მართლა საჩხუბრად მიჰყავდა, ვერ იყო კაი საქმე. ამბერკისთან რას გახდებოდა.

— რა დიმართან? — მკითხა ცალტვინამ.

მხრები ავიჩეჩე. ვარლამა საპირფარეშოსთან გაჩერდა და კარი ფეხით შეაღო.

— აბა, მობრძანდი აქ, ვინ დაჯდებაა ეს კედლები?

გამშრალი ამბერკი ჩვენკენ მოტრიალდა. ძლივს შევაყავე თავი. ცალტვინაც უკვე სიცილს აპირებდა.

— რაებს მიედ-მოედები?

— მიედ-მოედების მოგცემ, დაიცა! მაშ ეს ლექსები შენი დაწერილი არ არის?

ახლა კი წამსვდა სიცილი.

— ამ შუადამისას რა დროს ამაზე ლაპარაკია, ხალხი გინდა დააფეთო? — გაუწყრა ცალტვინა.

ვარლამამ რატომღაც ქუდი მოიხადა და მაგრად ჩაბღუჯა. ლერის ფრუტუნი აუტყდა და თვალით მანიშნა: კედელზე ვრძელცხვირა ვარლამა იყო მიხატული. ქვეშ ბატონეტიით ლექსი მიეწერათ. გულიანად ვიცინეთ. მერე ცალტვინამ ვარლამას სიგარეტი გაუწოდა, მოსწია და დამშვიდდნიო. ვარლამამ არ გამოართვა, უარაულისა ამოიღო.

ახლით სამჯერ ჩაუკრა. ერთი უმისამართოდ შეიყურთხა და ჩემი სიგარეტიდან მოუკიდა, არცის სუნად იყო წასული, ხელები უცახცახებდა.

— ამ შუადამისას რა ოფოფებმა მოგიარეს? — მკლავში ხელი წავაყენე ვარლამას და ოთახისკენ წავიყვანე.

— თან უარსაც რომ ამბობს? რედაქტორი შენ არა ხარ?

— შარზე თუ ხარ, მითხარი, თუ არა და რას გადამეკიდე? — ამბერკიმ სიგარეტი ითხვა, პირში უკუღმა ჩაიდო და გადააფურთხა.

— ჩვენ კონენდანტს შენ არ გამოუთქვი ლექსი? მაშასადამე, ესეც შენი ნახელავია. ხასიათო, თავი ზედ გაბია. მხატვრიც თუ დავიჭირე, მერე ნახეთ. კედლის გაზეთს ვინ აფორმებს? — მე მეკითხება.

ძლივს გავიხსენე, აღმზრდელი აფორმებდა.

— ქალბატონი...ლილა.

გაწყრომატდა, მაგრამ რა გაწყრომადაა, ლილას კი არ გეკითხება, თქვენი ბიჭებიდან რომელია მხატვარიო.

— არ ვიცი, ვარლამა ბიძია, — როცა ბიძიას ეტყოდი, სიამოვნებდა.

— აღარ გაანებებთ თავს მაიმუნობას? ხალხი არა ხართ?

ვარლამა საერთო ლანძღვაში ჩაერთო.

— კაი ახლა, ვარლამა, დამშვიდდი და ჩვენც მოგვასვენე.

— ლეჭსი ვის არ დაუწერია, მაგრამ ფეხსალაზე? — საჩვენებელი თითი გაბზეკა, მერე საფეთქლთან მიიდო და შემომხედა. — სკოლაში არ დაკვეთ საწერ-კალამი, საპირფარეშოში კი შეიარალებული დაბრძანდებიან. აღარც სირცხვილი, აღარც ნამუსი!

— ძაან გამოყეევედით ჩვენი ვარლამა. — ბურტყუნით გადმომხედა ამბერკიმ და კარი მიიხურა.

— სად მიდიხარ, სად? დილით კომენდანტთან გამოცხადდი! ეს უნდა მკადროს, ბიჭო?

— რას იზამ, სიბერედე სიჭაბუკეო.

— შენც კაი მამაძალი ხარ, ხომ იცი!

— კაი ახლა, დაწყნარდი, ვარლამა, და დაიძინე.

— მე პოსტზე არ მძინავს. — პათეტიკურად განაცხადა ვარლამამ, ბოლქვა-ბოლქვად გაბოლა. მაგიდაზე წყლით სავსე პოლოს მისწვდა და მოიყუდა.

8.

ხუთშაბათს შარშანდელი საყურსო ჩავბარე. ხაზვის მასწავლებელმა ამათვალ-ჩამათვალიერა. კაი კაცივით თავი ჩაგლუნე და დავიცადე, რას მეტყვის-მეთქი. არაფერიც არ უთქვამს. ეტყობა, ჩემთან ლაპარაკიც არ უნდა. საყურსოზე კი კარგა გვარიანად მაწვალა. რა არ გადამხდა, რა არ ვიჩალიჩე, ახლა ნაღდად მწყდა კუჭისზე ვარ და აბა უბაბონოდ ჯამცს ვინმემ ხმაც ტკბილაუმის დირექტორს გაზეთში წეკეთხა ჩემი გვარი და შემაქო. სხვათა შორის, დირექტორი ახალი გვყავს. იმ ძველს საქმეები აურ-დაურევია და ამ ზაფხულზე, ბოდაშიო, ტექნიკუმში აღარ შეუშვეს. მე ცერად მიყურებდა, თვითონ კიდევ მკვდარი სულები ჰყოლია დაფორმებული.

რახან ასე სამაიხოროდ გამიხდა საქმე, მე ვიცი და ჩემმა ვიკაცობამ-მეთქი, გადავწუვიტე. ვიჭექი და ჯანს ვიგდებინებდი. ამას წინათ ქიმიის მასწავლებელმა დაფასთან გამიძახა, ისე ვუპასუხე, გაოცდა, — შენა ხარ თუ თვალი მატყუებსო. მე კი ვიყავი — ისევ ის გაზუნზული კოსტუმი და ცხვირგაცრეცილი ფეხსაცმელი მეცვა, ისევ ისეთი გრუზაობანი, მოხდენილი ბიჭი ვიყავი. დაიკერა, ნამდვილად შენა ხარო. ხუთიანიც დამიწერა. ავდექი და სირბილით გამოვწიე. იმ დღეს გია უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან და ტკბსის გაჩერებაზე გავკანდი. მალე გამოჩნდნენ კიდეც — გიამ მანქანიდან გოგოები გადმოლასა, — ლია და

გრეტა. ამაზე გეუბნებოდით, ჩემი ბიძაშვილია, უთხრა გიამ.

— კაი ბიჭი ყოფილა, — თქვა ერთმა.

— რა უჭირს, — ამთვალთვრა მეორემ — კაი მაღალია.

— მოვიღუნო? — მე ვეკითხები.

— იუმორის გრძნობაც ჰქონია. — იხუ ხე-ორერ თქვა.

— ჯერ ქალაქი გვაჩვენე. მერე ერთი კი რესტორანი დაგვათვალიერებინე, — მიღიმის გია.

ტაქსი გავაჩერე და კაი ეკსკურსიამკლოლიავით წინ გავიქიმე, თვითონ უკან ჩალაგდნენ. ქალაქის სანახავად დავიძარით. ჯერ ის ვიკითხე, ვინ ან სპეციალობისა იყო. ერთიც სტუდენტი გამოდგა და მეორეც — ფილოლოგიურზე ვსწავლობთო. სიტყვა ქარხანაზე ჩამოვაგდე: ჯერ მეტალურგია საქველნოდ ცნობილი თაოსნობა ვახსენე, მერე მთლად ენად გავიარიფე და ქარხნის კოლექტივმა თექვსმეტჯერ ზედიზედ გარდამაფალი წითელი დროშა რომ მიიღო, არც ის დავივიწყე. ამ კვარტალში ცოტა გვეჭირს. მაგრამ თუ ძაან მოვეწადინეთ, იქნებ თავი არ შევირცხვინოთ-მეთქი. ბოლოს ჩვენს ოსტატზეც უნდა მეთქვა, მაგრამ მომერიდა, არ იცნობენ და არა ღირს-მეთქი. ისიც ეუმჯობ. შარშან ჩვენმა ბრიგადამ საამქროში პირველი ადგილი რომ აიღო და ამასთან დაკავშირებით დიდი მიტინგობა იყო. თუმცა ის არ მითქვამს, სიტყვით რომ გამოვედი. ამბობენ მანქანა ორმოში ჩავარდა და ჭერს თავი მოვარტყი. გზები არ გივარგათო. გრეტა მეუბნება, უხაროს ვინ არის, ჩვენ რომ ვიყოთ, ცოტა ხანს გვაცილეთ და აქაურობა სამოთხე იქნება, თუ არა გჯერათ, მეორედ რომ გვესტუმრებით, შაშინ ნახეთ-მეთქი. აუცილებლად ჩამოცილთო.

— რა კარგი ქალაქი ყოფილა! — შეიცხადა გრეტამ.

— პირველად ხართ? — გამიკვირდა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, პირველად. რამდენიც დავპირე, ხან იტალიაში წავედი და ხან — პოლონეთში. ვერაფერით ვერ მოვახერხე.

ვიფიქრე, მოდი ერთი ქარხანაში შევიყვან, ხახონ, ჩოგორია-მეთქი. გიამ იუარა, რა დროს ქარხანაა, რესტორანში მიგვიყვანეო.

რესტორანში ვიდეთ? იქ ერთი ჩვენებური ოფიციანტი მყავდა ნაცნობი — ავთო. იმის სანახავად გავედი. ბუფეტთან შემეჩეხა, კინალამ სავსე სინი გავაგდებინე.

— ცალეე კუპე გვინდა.

— ცოტა მოიცადე, შენსამედან მიდიან, გადახდილი აქვთ უკვე.

როგორც იქნა, გამოლაგდა მთვრალი ხალხი. მაგიდას კი არა, ნაომარ ველს ჰგავდა იქაურობა. ღია კარშიც კი გვცემდა ღვინის მწვავე სუნი. ავთომ ქალები დაახვია და მალე აკრიფეს.

ჯერ დამსხდრებიც არ ვიყავით, გრეტამ გარეული შინაურულად ამომხედა კიბიდან, ახახთი სადა გაქვსო. ავუხსენი, მერსიო, თვალი ჩამიკრა. გია მოვიდა და ჩაჭიურჩიულა, შენ მაგას მიხედეო.

გრეტა მაგიდას მიუჯდა და საფერფლე მიიტრა. გიას ლია კედლისკენ მიებრუნებინა და მხრებიდან თმებს აცლიდა. წელან, ტაქსში რომ ვისხედით, ლაპარაკის გუნებაზე ვიყავი, აქ კი დავშუნჯდი. რაც დრო გადიოდა, გუნება უფრო მიფუჭდებოდა. ცოტა რომ გადავკრავ, გამივლის-მეთქი. ავთომ სუფრა გააწყო და აკითხა, რას დალევთო.

— მხოლოდ კონიაკს! — წამოიძახა გრეტამ.

— „გრემი“ თუ „ვარციხე?“ — ავთო გეკითხება.

— ციხე და კოლონია იქით მოიკითხე. — იცინის გია.

ავთო ცქვიტად გავიდა. გიამ სუფრა მოათვალიერა და პირჯვარი გადასწერა.

— ნაკუთხია. გადაუარეთ სიგარეტები და ჭამეთ. მგელივით მშია.

მეც გვარიანად მშიოდა.

გიამ ჭიქები შეავსო. უველას გაგებმარჯოსო, თქვა და მომიკვირდა. ის იყო, უნდა გადამეკრა და არ გამახსენდა, ის ღამით რომ ვმუშაობდი. ვაი შენ, ჩემო თავო, რა წყალში ჩავვარდე. ამასობაში ლიამ შემომხედა და მეტი რა ჩარა მჭირდა, უხმოდ გადავცქძახე. თვალები ცრემლებით ამევსო. ცხვირსახოცის ამოღება მინდოდა, მაგრამ გრეტამ ბორკოში დამისხორ.

— მოიხედე. — გრეტა გიას ეუბნება. — მოდი მოვილაპარაკოთ და ამ ზაფხულს ერთად წავიდეთ სამეც ზღვაზე, მთებში უიალის თავი არა მაქვს.

— წელს არ გამოვა. ჯერ ერთი, მანქანის უდღას ვაპირებ, მეორეც, ხომ იცი, ავარაკს ვიშენებთო. ერთი სიტყვით, გადატვირთული ვარ!

— შენმა მზემ, შენ უნდა აიშენო.

— მაინც აქ უნდა ვიყო.

— შენა, ჯუმახა? — მომიბრუნდა გრეტა.

ძალიან გამიშინაურდა. წელან რაღაცას უყვებოდა და რატომ არ მისმენდა, ფეხი ისე წაკრა, კინალამ შევკივირე.

— შეიძლება.

კონიაკმა გამაჯერა. სმის დროს ჭამაში უნდილი ვარ, მარტო სიგარეტს ვაოლებ ხოლმე. ახლაც ვზივარ ჩემთვის და ვეწევი. გრეტა მაგიდაზე გადმოხრილი და ამოლებს, თან გაუთავებლად ლაპარაკობს. რაღა ჯულია და რაღა ეს ცხვირაპრეხილი გრეტა. ლია, ეტყობა, დათვრა

თამაზ ჯიბლაძვილი
ადამიანი მარტო არ არის

და თავის შეკავებას ცდილობს. ცოტა ხნის შემდეგ სიცილი ატყდა, სასაცილო კი არაფერი იყო.

გიამ თითები თმებში შეუცურა. ლია კურდღელივით გაიწაბა და მხარზე მიეყრდნო.

გრეტამ ფეხი ფეხზე შემოიდო. უღმერთოდ ლამაზი მოხლები ჰქონდა; გადმოიხარა და მეკითხება:

— ტენნისუმში სწავლობ, არა?

— დიახ.

— რომელში?

— აქ, ჩვენთან, რუსთაველი, მესამეზე ვარ.

— აა! — მრავალმნიშვნელოვნად გაიგრძელა. მომეჩვენა, თითქოს კაბა განგებ წაიღუნა ზემოთ.

— თქვენ რომელზე ხართ?

— გაიხად ვამთავრებ.

— აა! — ახლა მე გავაგრძელე.

გაგვცინა.

გიამ კონიაკი დაასხა და რაღაც სადღეგრძელო დალია.

ამბაუბდას ვლაპარაკობდით. საუბარი ცეროფრთ ავაწყეთ. გრეტამ მუსიკაზე ჩამოაგდო სიტყვა, ჯაზზე ვარ გადარეულიო. მე ქართული ხალხური სიმღერები მიყვარს-მეთქი. დამცინავად შემომხედა.

ერთ საათში მეც გამოვთაყვანდი, კონიაკს ვერ ვიტან, უცებ მთრობს, ერთი პირობა ვიფიქრე, მოვიპარავ-მეთქი, მაგრამ გრეტა თვალს არ მაცილებდა, ალაველდიო, მეძახდა. ხანდახან მუხლებითაც ვეხებოდით ერთმანეთს. ერთი თალია მის მხარზეც მედო ხელი. გრეტამ კიფიქრე, რა მოხდება, ერთს ვაყოცებ-მეთქი, მაგრამ შემეშინდა სილა არ გაეწნა. ამისთანა გოგოებმა ხანდახან ეგეთებიც იციან.

გია ბარბაცით წამოდგა და გარეთ გამიყვანა.

— სასტუმროში იცნობ ვინმეს? — მეკითხება.

— არა.

— სად არის?

— რა?

— სასტუმრო.

— აქვეა, რესტორნის მეორე მხარეს.

— წადი, ადმინისტრატორს მოეელაპარაკე, შენ გოგოები გამოიყვანე. პასპორტი გაქვს?

— არა, რა ჯანდაბად მინდა?

— კარგი, ისე მოვახერხებ. — გიამ ავთოს ფული გადაუხადა და გოგოებს უთხრა, ჩაიცვითო.

ჰარზე გამოსულს სლოკინი ამივარდა — ალბათ, გაიოზი მახსენებს-მეთქი. გრეტამ ხელი გამომდო.

— სად მივდივართ?

— არ ვიცი.

სასტუმროს რომ მივადექით, გია უბოდიშოდ გაქრა. ოცი წუთის შემდეგ კიბეზე გამოჩნდა, ხელი დაგვიქნია, გასაღები მომცა და მანიშნა. მეორე სართულზე ადიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში შევედით თუ არა, ფანჯარასთან სავოლზე მიაგდო და საპირფარეშოსკენ წაბარბაცდა. სიბნელეში რაღაცას წამოედო და კინაღამ დაეცა.

მგონი თანდათან გამოვფხიზლდი, მაგრამ გაბრუებული კი ვიყავი. ჯერ კიდევ თავგზა მჭონდა აბნეული. გრეტა ისე იყო გამოსავათული, ვედარ მცნობდა. პლაშჩები კარადაში ჩამოვკიდე და ფანჯარას მივადექი. სიგარეტს ვაბოლებდი და ქარხნის გუგუნს ვუსმენდი. ახე გავიდა თხუთმეტი წუთი, მერე კიდევ თხუთმეტი. გადმავწუდი, მარტო რომ არ ვიყავი. ვიდექი ფანჯარასთან და სიბნელეს გავცქეროდი. მერე გამახსენდა გრეტა. საპირფარეშოს კარებზე დავაკაკუნე. ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— გრეტა, არ გესმის?!

კარის სახელური მოვკიდე. არც კი ჩაერაზა. პირსაბანზე ჩამოედო თავი და ეძინა. ყველაფერი დასვრილი იყო. აბაზანიდან მუჭით წყალი ამოვიღე და თავზე გადავასხი. საცოდავად ამოიკვნესა. ერთი წუთით შიშმა დამწყდა. ოთახიდან პირსახოცი გამოვარბენინე, დავუბნე და ძლივს მივათრიე სავოლამდე. სახე სველი პირსახოცით დავუწმიდე.

— გრეტა, ახა გაახილე თვალი!

საწოლზე ვიჯექი და გაშტერილ გოგოს დავცქეროდი. კაბა იქამდე წამოხდომოდა, კაცის გაგიჟება რომ შეიძლება. ერთ საათში დამშვიდდა და ჩაეძინა.

კარგა ხანს არ გავნძრეულვარ, მერე წამოვდექი და ბებია რომ შეილიშვილს გაბდის, ისე გადავაძრე კაბა, წინდების გახდა კი გამიჭირდა, მისაბმელებზე ვიწვალე. საბანი გადავაფარე, ნაგრომ გადაძრო. უკერპოვო იყო, თეთრი, თეთრი.

სიგარეტს მოვუყადე. არ ვიცი, რა დამემართა, საშინელი მარტოობა ვიგრძენი, ისეთი. მცვლელებულთან ყოფნისას რომ ეუფლება ხოლმე კაცს. ჭიქით წყალი გამოვიტანე და გრეჯას თავთით დავუდგი. გარე რომ გამოველი, თავი საშინლად ამტკივდა. იმ შუადამისას მანქანას სად ვიშოვიდი — ფეხით გავუყევი. პროსპექტზე მეეზოვეები გამოშლილიყვნენ და ქაქანებდნენ.

4.

დილით აწურული მივედი საამქროში. გაიოზი გვირაბში შემეფეთა. გზაში ათასი ტყუილი მოვიგონე, მაგრამ ოსტატი დავინახე თუ არა, ავირიე.

— სად იყავი? — მეკითხება.

— გაიოზ ბიძია, მაპატიე...

— ცუდად ხომ არა ხარ?

უძილობისგან ისეთი სიფათი მჭონდა, კაცს გული გაუსკდა.

— მოვიწყალეთ.

— მერე?

— რაღა მერე, ძაან ცუდად ვიყავი.

— ექიმთან იყავი?

— არა, იმ შუალამისას სად უნდა წავხულიყავი.

— აბა, წამოდი, — სამედიცინო პუნქტში გამიძღვა. — კუკი უნდა ამოგერეცხა, ბიძია.

კუკი უნდა ამოგერეცხაო, დამბიცხა, მაგრამ რა დამბიცხა! ახლა ვიცი, ერთ ვედრო წყალს გამივხებენ და კაი გემრიელად გამკუპავენ. ესეც შენი ტუუილი. ახია ჩემზე!

მედპუნქტში რომ მივედით, გაიოზმა კარი შეალო და, როგორც ავადმყოფი. წინ მე გამატარა. ექიმმა ცერად ამხედ-დამხედა. საამპროს დურგლის გაკეთებულ ხმელ დივანზე დამსვა და ექთანს დაუძახა. ექთანმა გაზქურაზე ჩაიდანი შემოდგა.

— რა ჭამე? — ექიმი მეკითხება.

— შნიცელი.

— სადა?

— კაფეში.

— რომელ კაფეში?

ვითომ რა მნიშვნელობა ჰქონდა?!

— მოედანზე რო კაფეა. — რაღაც-რაღაცეები მკითხა. ბოლოს გაიოზს გამოელაპარაკა და სანამ ნემსი შეიბებოდა, ჭალჭის ხაჭკების ტრესტი გამოთხოსეს.

ექთანმა ყილიაინი ჭილა პოტანა, ჯერ გვერდზე გავიტეხე. მერე თვალები დავხუმე. ჭილა გააპიპინა და მომაწოდა, — ჩაისვით არ დაუწყო წრუპვა, არაყივით უნდა გადაჰკრა. აბა, მიდი!

დავლიე ერთი. რახიტაინივით გამომებერა მუცელი. მერრე ყლუპ-ყლუპით მოვიუფე. ისეთ დღეში ჩავვარდი, დაბადების დღე ვიწუკეტე. ჯერ გულზე ჩამოვისხი, მერე მთლად გავიზუნზული და იატაკიც მოვთხუნე.

ექიმმა ფანჯარა გამოაღო. მერე დივანზე გადმაგორეს და ძლივს მოუსულიერდი. რაღაცა ზეწრისნაირი გადამფარეს და უფალმაც მიმიღო. თვალი რომ გავახილე, თოროშეტი სრულდებოდა. ექიმი ფანჯარაში გადაუუდებულიყო და აბოლებდა. წამოხტომა მინდოდა, თავი კი ძლივს ვუნე.

— გამოშუშდი? — ღიმილით მკითხა.

— ბოდიში. ექიმო.

— მაინც რა დალიე, ხალხი რომ დაგეწამლე.

— არ დამილევია, ბატონო.

— კაი, კაცო, კაი, მაგის მეტი რა ვიცით. სამარყო იყო?

— „ვარციხე".

— „გრემიც" კაია, მარა „ვარციხე" მაინც „ვარციხეა". თავი გტკივა?

— მისკდება!

— ქეთო, „ოქროს ფხვნილი" მიეცი. ხუ გერშინია, გაიოზს მარილა მოწამლული ეგონე.

— ახეთი სისულელე ჯერ არ მომსმენია, ექიმო, თვითონ მრცხვენია!

— ახლაგაზრდა კაცი ხარ, რა უჭირს!

— ხომ გითხარით, პირველად მომივდა-მეთქი. სულ სამჯერ არ მეკნება დალეული.

— ცოდაა!.. ახლაგაზრდა კაცს სმა უნდა შეეძლოს. ამას, როგორც ექიმი კი არა, როგორც მამაკაცი გირჩევ. ხომ იცი ჩვენი ამბავი, საქართველო ვაზის კვეყანაა.

წამალმა თავი დამიამა. ნერვები კი უფრო ამეწეწა.

ნაცემივით გამოვიდურწე. კრება მაინც არ ყოფილიყო იმ დღეს. ლაპარაკის თავი კი არა, სული კბილით მეჭირა.

ეზოში ცალტვინა შემეფეთა.

— სად იყავი, ბიჭო?

— ჭანდაბაში.

— ჯულიასთან?

— ნუ გააჭირე, კაცო, საქმე.

— აბა, სად ჭანდაბაში იყავი?

— მერე გეტყვი.

— კრებაზე არ აპირებ მოსვლას? ხომ გაგაფრთხილეს, სიტყვაში უნდა გამოხვედრო. დილას მდივანმა გიკითხა. ულილი არ გამომჭრას. ქალაქკომიდან გვეხვრებიან.

კეფა მოვიქექე:

— ადი და უთხარი, ნუ გეშინია-თქო.

— შენ უთხარი.

— თუ ძმა ხარ, მიდი რა? ისეთი ვარ, თუ ცოტა არ წავუძინე, კაცად არ ვივარგებ.

— წუხელი მე და ვალოდამ ფეზზე გავათენეთ.

საერთო საცხოვრებლისკენ რომ მივდიოდი, სალუდეში შევიარე და ორი კათხა ლუდი გადავუძახე. ისე გამომაკეთა, გამოძინების მეტი აღარაფერი მაკლდა. ოთახში ავიპარე, არაკის დავუნახივარ. ჩაწუწკე თუ არა, მკვდარივით ჩამეძინა. სამ საათზე გამეღვიძა, მაშინვე საამქროში გავჭანდი. კომკავშირის ბილეთი რეგისტრაციაში გავატარე. მაგიდასთან ვიღაც გოგო იჯდა, ქერათმიანი, ფრესკებზე რომ ხატია ხოლმე, ისეთი. თაფლისფერი თვალები ჰქონდა. ლამაზი თითებით ბილეთი გადაშალა და დახედა, ალბათ, საწევრო აქვს თუ არა გადახდილიო.

— ჯუბა, — ჩემს წინ მუცელზე საჭაღალდმიხუტებული კომკავშირის კომიტეტის მდივანი იდგა. — რა ქენი, მზადა ხარ?

— რა ვიცი.

— როგორ თუ რა იცი, სიტყვა არ დაწერე?

— არა.

— გაგიჟდი?

თამაზ ჯიგლაშვილი
ადამიანი მარტო არ არის

— რა დაწერა უნდა, ისე ვიტყვი.

— ხომ გითხარი, დაწერე-მეთქი. მე რა ვიცი, რას იპრუტუნებ?

— პრაფერასაც არ ვიპრუტუნებ. სიმართლეს ვიტყვი.

— შენ იცი, უელი არ გამომჭრა!

— თავს მოგპრა.

კრებს ხუთზე დაიწყო. წესით ხუთის ნახევარზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ასეა დაკანონებული და რას იზამ! მე, გაიოზი და ცალტვინა ერთად დავსხედით. ეს ჩვენი მდივანი კი გამოქვეყნით ვინმეა, გაზეთებით არ დაგვწერო ლაპარაკი. გეგონება, მთვინავეს კითხულობსო, გადაწერილი ჰქონდა.

კრებაზე პარტიის წევრებიც გვეწვრებოდნენ. შიგადაშიგ უბნის ოსტატებიც ერიენენ. პრეზიდიუმში უფროსობასთან ერთად თითო-ოროლა კომკავშირელიც იჯდა. პროფკავშირის თავმჯდომარე ისე იჯგიმებოდა, უცნო ვინმე იფიქრებდა, საწერაოს აკრეფის გარდა სხვა რამეზეც იბეთქვის თავსო. საწერაოს კი, გიუვარდეს, პირდაპირ სალაროსთან გვართმევს; ერთხელ ეკსკურსიაზე წაგვიყვანა და ვერც სულ იმას გაიძახოდა, მოქანქმჭამელები ხართ, პროფკავშირის ხარჯზე გინდათ ცხოვრებაო.

— ძაან გაულეწსიაო! — წამჩურჩულა გაიოზმა. ამ ბაბაუბდის მოსმენამ მომშალა. ჭარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანიც ისე ამრეზილად შესცქეროდა, მივჯდი, არ ეპატივებოდა. არც პარტბიუროს მდივანს გაბაღვარა სახე.

კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნახევარ საათზე მეტი ილაპარა. სიტყვა რომ მოათავა, იხეთ ღრიანცელი ატყდა, ლამის ყურები დამიყრა. ცალტვინამაც დაურტყა ტაში.

— ახა, გადავიდეთ კამათზე. — თქვა თავმჯდომარემ.

დარბაზი გაისუსა. ძნელი იყო უამირის გატეხვა.

— ვის ჰქვს სიტყვა? — უასიდად იკითხა თავმჯდომარემ.

ვიღაცამ ცხვირი დააცემინა. ვიცანი, ამბერკი იყო.

ჭერ უკან გაიცინეს, მერე ყველამ ერთად მოალო პირი.

— ამხანაგებო, აქ ზოგიერთი წინასწარ არის ჩაწერილი, მსურველებს გთხოვთ, ჩაეწეროთ. ახლა კი სიტყვა ეძლევა დგან „140“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ოსტატს ანზორ ოშხერელს.

ანზორი ერთი ახმახი ბიჭი იყო, საამქროს კალათბურთის გუნდის კაპიტანი. კათედრაზე თავჩაღუნული ავიდა და სანამ კითხვა არ მოათავა, მაღლა არ აუხედავს. პარტბიუროს მდივანმა შენიშნაც კი მისცა, ცოტა ნელა წაკითხეო. მაგრამ, ეტყობოდა, ანზორს ლაპარაკი არ ეხერხებოდა და რის ვაივაგლახით წაკითხა ვიღაცის ნაცოდვილარი ბრიგადის ვალდებულება კი კაი ხმამაღლა, გასროლილ მტკიცე კომკავშირული ფიცით, [illegible] არ ვუღალატებთო.

მერე, კომკავშირის ჭკუფორგი ვარო, იმან ილაპარაკა. კედლის გაზეთის რედაქტორმა იმდენი ტყუილი თქვა, ბიჭები სიცილით დარეხრნენ. პროფკავშირის თავმჯდომარე რომ წამოდგა, ხალხი სმენად იქცა. შალიკომ გადაბეჭდილი სიტყვა გაშალა, ერთი გემრიელად ჩაახველა, სათვალე მოირგო და მთელი ხუთი წუთი წყალწყალა შესავალი იკითხა. უკანა რიგიდან ვიღაცამ შეაწყვეტა, საქმეზე გადადიო, მაგრამ შალიკომ ყური მოუყრუა. ჭერ საამქროს ავ-კარგი ამუკუთხომა, მერე მოგვდგა და კომკავშირელები გაგვთახა, უინიციატივობა ხართო.

— შენ იმაზე ილაპარაკე, როგორ არის სოციალისტური შეჯიბრება გამლილი და ამ საქმეში რას აკეთებს საამქროს პროფკავშირი,— დარბაზიდან დაუძახა ბარძიმაშვილმა.

— მართალია, — თქვა საამქროს უფროსმა. შალიკომ სათვალის ზემოდან ჭერ უფროსს გადახედა, მერე ბარძიმაშვილს. გულში, ალბათ, რა შეუყურთხა!

დიდი ხანი არ დასჭირვებია სოციალისტური შეჯიბრების გარკვევას — არც ისე რიგიანად უოფილა თურმე საქმე. შალიკომ ჭერ ოსტატებს გადაბრალა, მერე ცვლის უფროსებს, მშრალად უნდოდა გამოსულა, მაგრამ არ ჩაუვიდა ფეხი. კაცმა არ იცის, რას აკეთებს, ხელში ერთთავად გახატებების აკდო უჭირავს, ვითომ, დამინახეთ რამდენი საქმე მაბარიაო. შეხვენებაზე ზის და ჯადრაკს თამაშობს. იცოცელი, თამაში კი ნორანი იცის, მაგის მომგები ჭერ კაცი არ გამოჩენილა. რატომაც არ ითამაშებს რა, რვა წელიწადია ჩვენი თავმჯდომარეა და სხვა საქმე არც უკეთებია; პატრონი არა ჰყავს, თორემ მსოფლიო პირველობაზეც არ შეგიძლებს მაგის გაუვანა.

თავმჯდომარემ ახლა სხვას მისცა სიტყვა.

სანამ ჩემი ჭერი მოვიღოდა, არხეინად ვიჯექი, მაგალიზე ნაკლები რიგი კარ, გამოვალ და რიგიანად ავაბუქებ-მეთქი. კათედრაზე ავედი თუ არა, კინოში რომ იცის ხოლმე ფოკუსის არევა, ისე დამეპარა. დარბაზი ატრიალ-დატრიალდა. კაი ხანს ვიღექი და ნერწყვს ვყლაპავდი. მერე პირი გამიხმა და ენიქიდან წყალი მოვსვი. ვიღაცამ ჩაიქირქილა. რატომ ახალი წყალი არ მოუტანეთო. კომკავშირის მდივანმა უხერხულად შემომხედა. სანამ სულ მთლად არ გადავრეულვარ, რაც არის, არის, დავიწყებ-მეთქი. თან ცალი თვალი გაიოზისკენ მიეპარავს, ის კიდევ წარბამოკშუნნილი მიყურებს, რა ღმერთი გაგიწყრაო. გამიწყრა და ეგ არის. დარბაზი გატრუნულია, მე მიყუ-

რებს, მე კი, ვითომც არაფერიაო-მეთქი, ვდგაკარ და ვხრუტუნებ.

— ამხანაგებო, — მუნჯი რომ ენას ამოიდგამს, ისე მომივიდა, — ჩვენი საამქროს ახალგაზრდობის ცხოვრებაში უველაზე ნიშანდობლივია კომკავშირული ორგანიზაციის საბჭოშო-საარჩევნო კრება. ჩვენ დღეს ანალიზი უნდა გავუკეთოთო გაწეულ მუშაობას და მომავლის ამოცანები დავსახოთ. ამოცანები კი, როგორც ვიცით, ერთი და ორი არ არის. აქ ბევრმა ლაპარაკია, ზოგმა ხუროებ თქვა, ზოგმა—არა. მე ჩემსას ვიტყვი. კომკავშირის კომიტეტის მდივანმა შეილამაზებული მოხსენება წაგვიკითხა, წუალწუალა ამბებით აგვავსო, კომკავშირულ მუშაობაზე კი არაფერი უთქვამს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს შარშანდელ მოხსენებაში ციფრები შეუცვლიაო და მეტი არაფერიო. ერთი სიტყვით, დღევანდელ საქმეზე კრინტიც არ დაუძრავს.

ახა, ერთი გვითხუბოს, საამქროში რამდენი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაა ან რამდენი კომკავშირული ბრძანება იბრძვის კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელისთვის. შარშან დგანზე რომ კრება ჩავატარეთ და ვალდებულება ვიკისრეთ, შესრულდა თუ არა, ვინ იკითხა? არც კრებაზე უსხედერიათ და არც არაფერი. პასუხი ამხანაგ მდივანს უნდა მოვთხოვოთ. საითაც ული წაჰვა, გზაც იქითაო. არ გახსოვთ, სამართულებზე რა ამბავი ატყდა, ხალხი არ ხართ. გვიშველეთო, მერე და ვინ გვიშველა? ხარაგი შიო ჭინჭარაძე ყოველთვის ჩვენნი ცვლის სამართულებს ჩარხავს, ჩარხავს კი არა, აცოდვილებს. თუ ბიჭი ხარ, მიდი და იმ გამოჩარკვნილი სამართულებით ამოშავე.

— შენ თავს მოუარე! — დამიძახა ვილაცამ.

— კომკავშირის კომიტეტმა თუ იცის რამდენი გამცდენია საამქროში? თავი მომაქერით, თუ იცოდეს, მეფოლადეთა თაოსნობა „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“ ვითომ რაო, ჩვენ არ გვეხება? ჩვენმა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა შავი სათვალე მოიხსნას და კარგად დაინახავს, სპორტულ მოედანზე რომ ბალახი აგვიბიბინდა. კომკავშირული სწავლება რომ ფორმალურია, ამასაც თქმა უნდა. ოქტომბერში სწავლა ჯაიწყება თუ არა, ალაპაკოთს ასტეხენ, ამა და ამ წრეში ხარ გაერთიანებული, ვინაცობაა გკითხონ, შენი ადგილი იცოდეო.

იმდენი ვილაპარაკე, შენი მოწონებული. ბოლოს ისე გავთამამდი, ადმინისტრაციასაც მოვცხე. ჯერ უკანა რიგებში ატყდა ტაში, მერე მთელმა დარბაზმა დაურტყა. წავედი და ჩემს ადგილზე დავჯექი. ფერიფური სულ ერთიანად მქონდა დაკარგული.

ყოჩაღი, მხარი გამკრა გაიოზმა. კრების დასასრულს კომკავშირის ქალაქკომის მდივანმაც გვითხრა ორიოდ სიტყვა. გაიოზს ძაან მოეწონა, ეტყობა, განათლებული უმაწვილი ვიყავი. ბოლოს არჩევნები დაიწყო. ბიუროს არჩევნები შემადგენლობა და ჭარხნის კონფერენციის დელეგატები უნდა აგვერჩია. აქაო და აყალმაყალი არ დაიწყონო, თავმჯდომარეობა საამქროს უფროსმა იკისრა. ბიჭებმა წინა კრებაზეც იხტუნავეს, ჩვენ თვითონ ავირჩევთ, ვინც გვინდაო, მაგრამ იმათ ჭკუაზე ვინ გაიგილის.

— ახა, დავიწყოთ კანდიდატურების დასახელება, — თქვა საამქროს უფროსმა.

გაიოზი წამოდგა.

— საამქროს კომკავშირის ბიუროს შემადგენლობაში და ჭარხნის კონფერენციის დელეგატად ვასახელებ დვან „400“ მოწინავე მვალეცავს ამხანაგ ჯუჭას ბეთანელს.

მიწა რომ გამსკდომოდა, ის მერჩია. რას იფიქრებენ ბიჭები, სატყვაში იმატომ გამოხვედი, რომ ეს დაგემსახურებინაო. მიდი და უმტკიცე, ასეთ-ასეთი ვიყო, თუ რამე მცოდნოდაო, ვინ დაგაჯერებს?

მერე პარტბიუროს მდივანმა ვიღაცა დაასახელა. ვინ არის, ამისთანას არ ვიცნობთ, ადგესო.

მთელი კრება ერთ მხარეს მიტრიალდა. მეც მოვიხედე. ის ქერათმიანი გოგო არ შემრჩა ხელში!

— ვინ არის ეს გოგო? — ვეღარ მოვითმინე და გაიოზს წავეჩურჩულე.

— მეორნი ლაბორატორიაში მუშაობს, იქ დამინახია.

— ლაბორატორიაში?!

— ჰო, რა იყო?

არაფერი, ისე გკითხე-მეთქი.

ა.

კრება გვიან დამთავრდა. შიმშილი მკლავდა და გაქცევას ვაპირებდი, მაგრამ ჯერ მდივანი უნდა აგვერჩია. ხალხი რომ გაიკრიფა, ბიუროს წევრები და უფროსობა პარტბიუროში შევედით.

კარგა ხანს ვიდექით ფეხზე, მერე კედლის გასწვრივ სკამებზე ჩამოვსხედით. ის ლამაზი გოგო ჩემგან მეოთხე სკამზე იჯდა და თითებს იმტვრევდა. თმებიც ძალიან ლამაზი ჰქონდა.

პარტბიუროს მდივანმა ავკომკავშირეთა ვილაპარაკოთ: თქვენ საამქროს ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი ხართ. მოგწონთ კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა? ჰოდა, მეც მანდ ვარ. ბეთანელმა რომ ილაპარაკა, ასე და ისეო, გულზე ხელებს

ნუ დავიკრიბო, სიტყვა საქმედ უნდა ვაქციოთ. თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ. მდივნად ვინ ავირჩიოთ? — ერთ წამს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— რას გაჩუმდით? — გაიცინა ოთარმა, — ვინ ავირჩიოთ!

— ცირა ჭორიძე. — თქვა ვიღაცამ.

იქ სულ ქორი გოგო იყო. ერთი ჩემს გვერდით, რუსი, მეორე ის — ქერათმიანი.

— სხვა წინადადება ხომ არ არის?

— არა, —ისე ჩამაღლა გამომივიდა, ყველამ მე შემომხედა.

— კენჭი ვუყაროთ! ვინ არის მომხრე?

ყველამ ერთად ავაშვირეთ ხელი.

გაწითლება მერე უნდა გენახათ, მოადგილედ რომ ამირჩიეს. ამას კი ალარ მოველოდი. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, მაგრამ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების დარღვევა დამბრალეს და დავჯექი. საერთო საცხოვრებელში ალარ მიმესვლებოდა.

გარეთ ცივი ჭარი ქროდა და ქუჩებლი ვარსკვლავები კიაფობდნენ. ქარხანა გუგუნებდა და მარტენი ხრჩილავდა. ცირა და რუსის ეოგო წინ მიდიოდნენ. მე და ცალტვინა ნელი ნაბიჯით მივყვებოდით.

გახასვლელში ბერიაცმა საშვი მთხოვა. კარში რომ გამოვედი, ბიჭები ალარ ჩანდნენ. საუელო წამოვიწიე. უცებ ბაღიდან ჩრდილი გამოვიდა და წინ ამეტუზა.

— აბა, მოიცა ერთი!

— რა ამბავია?

— ბევრი არაფერი, — ღვარძლიანად მითხრა შიომ, — ცოტა მოსალაპარაკებელი მაქვს.

სიმართლე გითხრათ, გულში გამკრა. შიოსი კი არ შემშინებია, უცბად რომ გამოტყუება, იმან შემაკრთო.

— მაინც რაშია საქმე?

— აქეთ მოდი, — ბაღისკენ მანიშნა, — იქ გეტყვი!

— მე არაფერი მაქვს მოსალაპარაკებელი.

— ბევრს ნუ ლაიღაობ, — პლაშში ჩამებღაუჭა, — აბა, ვნახოთ, აქ როგორ გამოხვალ.

სიბნელეში კიდევ ორი ჩრდილი ატორტმანდა. გულმა ბაგაბუგი მორთო.

— ფეხს ნუ ითრევ, თორემ აქვე მიგახეცდილებთ! — შიომ უკან დაიწია და დამარტყა.

კაი მაგარი მაჭამა, მერე დამინაცვლა და მეორე დამაკერა. პირში სისხლის გემო ვიგრძენი. ამან გამაცეცხლა. მესამე დარტყმამ ჩრდილსკენ წამაბარბაცა. ახლა იქ მთხლიშა ვიღაცამ. რეტიანივით დავტრიალდი. ჯერ შიოს ვცლიჭე სიფათში, მერე მეორეს. შიომ დედა შემაგინა და გამოქანდა. ისეთი თავური დავახვედრე, მგონი კბილები ჩავუმტვრიე. დიდხანს ვძიძგილაობდით. გონზე რომ მოვედი, თვალი გავაბილე. მაგრამ ვერაფერი დავინახე, ყველაფერი მტკიოდა. მერე თანდათან გამოვცანი, რაც მოხდა.

— როგორა ხარ, ბიჭო.

ხმაზე ვიცანი, ცალტვინა იყო.

— აქ რას აკეთებ, სამუშაოზე რატომ არ წახვედი?

— მერე ვილაპარაკოთ, ახლა მშვიდად უნდა იყო.

თავ-პირი შეხვეული მქონდა და კარგად არ მესმოდა. ცალტვინამ ლოგინში ხელი შემოაცურა და ხელზე წამავლო. ხახვები ისე მტეხდა, ლამის ატტირდი.

— გტკივა?

— ყველაფერი მტკივა. რისთვის მცემეს, ბა?

— დაწუწარდი, სად წაგგივლენ? ექიმმა თქვა, ერთ კვირაში წამოდგებაო.

— ერთ კვირაშიო? — უაზროდ გავიმეორე და გვერდის შეცვლა ვცადე.

— ნუ გაინძრევი.

— ეგეც ექიმმა თქვა?

— ჰო, ექიმმა თქვა, — გაიცინა ცალტვინამ.

— სხვა რა თქვა ექიმმა?

— დაიძინე, თორემ შემოგა და გაბრაზდება.

— შინ წადი და შენ თვითონ დაიძინე.

— შენ რომ დაიძინებ, მერე წავალ.

— წადი და მეც დამეძინება.

— კარგი, წავალ.

— ოღონდ კარს უკან არ აიტუზო, შინ წადი.

ცალტვინა გავიდა, მაგრამ ვიცოდი, მატყუებდა. ვიწექი და იმღამინდელ ამბავს ვიხსენებდი. სოფელში მაინც არ ვყოფილიყავი წასახსენელი. დედაჩემი თავს იკლავდა, ჩამოუსვლელი არ დადგე. გვინახულეო.

რა კარგია ამ დროს სოფელში ყოფნა: გვიან შემოდგომაზე ჭარი ძარცვავს ხე გლეჯს ყველაფერს, წვიმს. ზოგჯერ გადაკარებს და ჩამოძაძულ ღრუბლებში მზის სხივი გამოკრთება ხოლმე. ხვერით, რომ ეშველათ და გამოიდარებს, მაგრამ ღია ლურჯი ცა ისევ ახე ისუდრება, ძირს დაშვებული ღრუბლები ისევ ტრიალისთვის ემზადებიან და ზედ სოფლის თავზე იკრიბებიან. გიყვარდეს, კოკისპირული წვიმავ ხოლმე. ბერიაცები შინ სხედან და თვალი სარკმლისკენ გაურბით. გარეთ ისევ მოჭამული ამინდია. ეზოებში გუბურები დგას. ხეხილს წვიმა რეცხს და საქონელი ბაღის, უფრო ჭელეკი ეზოებზე გადარბ გადმორბაან და სმას ახალებენ. დილიდან შეალამებამდე ისმის სიმღერა და სიცილ-ხარხარი. უველანი მზედაღრუებული და შერუჯულები არიან. მთელი ზაფხული მინდორში აქვთ გატარებული და ჭანი ერჩით. წინ კიდევ დიდი ზამთარია სამასლაათო და საქეიფო. სოფლელ კაცს ზამთარი

არ უუვარს, მაგრამ სიამტკბილობა კი გულს უხარებს.

ცალტკენამ ფიქრი გამაწუვეტინა. ვილაცას ელაპარაკეწოდა. ექიმი არ იყოს-მეთქი. თავი მოვიმძინარე. მერე მართლა ჩამეძინა.

მეხუთე დღეს კარგ გუნებაზე გამეღვიძა. ტკივილები ისე აღარ მაწუხებდა.

დილით ცქრიალა ექთანი სახვეზე რომ მხსნიდა, ხალათის ჯიბიდან სარკე ამოვაცალე. სიფათის გადაკეთებაც ამას ჰქვია. ისე მქონდა თვალები ჩალილავებული, ეკვი შემებარა. მე ვარ თუ არა-მეთქი. გამეცინა.

— რატომ იცინით? — მკითხა ექთანმა.

— რომ იცოდეთ, რა ლამაზი ბიჭი ვიყავი და როგორ ვარ დამახინჯებული. თქვენც გაგეცინებოდათ.

— ყოველთვის ლამაზ ბიჭებს ამახინჯებენ. — თან სახეზე რაღაცა წამისვა და წავიდა.

— როგორ გუნებაზე ხარ? — შემოიპარა ცალტკენა.

— გადი, ექიმმა არ დაგინახოს, თორემ ალაპრაც ატყდება.

— ნურას უყურადღებ. ნება უკვე დართულია.

ექთანი შემოვიდა და ნემსი გამიკეთა. ჩემი კბილი რომ არ იყოს, ისე აღარ შემრცხვებოდა. არადა სიკვდილია ნემსის დანახვა. ცალკე იმ გოგოს საცოდაობა მწვავს, ისიც კარგი მაგრა აილანძება ხოლმე.

— წედან ქარხნიდან დარეკეს. ქალმა გიკოთხოთ.

— არ უთქვამს ვინ იყო? — გული შემიქანდა.

— არა.

ექთანი წავიდა. ცალტკენა ისევ შემოვიდა, სკამი ფანჯართან გადადგა.

ვარლამა სად დაიკარგა, როგორ არა ვნახა-მეთქი, ვკითხე. პირველი ორი დამე გვერდით არ მოგშორებია, ცრემლებს ვერ იკავებდა, შენ რომ თვალი გაახილე. გარეთ გავარდა და ბავშვივით ბღაოდაო. მერე ცუდად გამხდარიო და იმიტომ აღარ ჩანდა.

იმ საღამოს გაიოზი მესტუმრა. ხაჭაპურები და შემწვარი ვარია მომართვა.

— ხომ ხარ გვარიანად?

ცოცხალი ვარ-მეთქი. უფრო ვაქაცი მეგონეო. ჩაიცინა.

— ის ორი ვინღა იყო?

— მაგისი კი რა მოგახსენო.

— რატომ მატყუებ?

— რომ ვიცოდე, კარგია. მაგრამ გულწრფელად გეუბნები. ვერ ვიცანი.

ჭერს მივაშტერდი. ცალტკენამ გაიოზს თვალი ჩაუკრა. მაგაზე ნუ ელაპარაკებიო.

— გავალ და ვუჩვენებ, როგორი საცემი ვარ!

— ვის უნდა უჩვენო. ქაჯაია ვარო, ამბობდა უკვე. იმ ორსაც ეძებენ.

— იმათ მე ვიპოვნი.

ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკეთ. გაჩერდა საათს დახედა და წამოდგა. დღანდე კაპიტალური რემონტი გვაქვს და მეჩქარებაო.

ჯერეთ ყოფნა ახლა საცოცხლეა. ბიჭებს მგონი რა ამბავი აქვთ დგანან. შესვენებაზე გვირაბში გადი-გამოდიან და მეტადრე გოგოს ეარშიყებიან. საერთო საცხოვრებლის წითელ კუთხეში ალბათ დომინოს თამაშობენ. ამ დროს ქალბატონი ლილა კედლის გაზეთისთვის წერილებს ამზადებს. ვარლამა ვესტიბიულში მაგიდასთან ზის და ძველ გაზეთებს ათვალიერებს. სათვალე ცხვირზე უვარდება და წამდაუწუმ ისწორებს. ჯულია ტელეფონზე იქნება ჩაწოლილი. ერთი სიტყვით, გარეთ საცოცხლე დღეს. ჯერხა ბეთანელი კი ჭალაჯის სავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში წევს და ტკივილებისგან იმაწყება. ნეტა აქ მაინც არ მოვეყვანე. ამ ხასწოფობაც გაჭაობა საქმე! ქარხნის საავადმყოფოში მერჩივნა.

კარგა ხანია პრომიდოლს აღარ მიეღებენ. მოვკვდები. ნაღრძობი მაწუხებს და ვერ ავმდგარვარ, თორემ ისე არა მიჭირს რა.

პარასკევს გამომძებელი მეტყობრა.

— ხომ შეგიძლიათ კითხვებზე პასუხის გაცემა?

მე მხრები ავიჩეჩე და თვალი ავარიდე.

— ყველაფერი დაწვრილებით მომიყევით ვინ გაგაჩერათ?

— ბნელოდა და ვერ გავარჩიე.

— რატომ მიმალავთ? თქვენ ხომ შეგიძლიათ...

— არაფერსაც არ გიმალავთ. გულწრფელად მოგახსენებთ.

— ჯინკარაძემ კი უველაფერი აღიარა. ისევ ავარიდე თვალი.

— დანარჩენები ვინ იყვნენ?

— ხომ გითხარით, იქ ისე ბნელა, დღის შვილს ვერ იცნობს. თანაც უცბად მოხდა ყველაფერი.

გამომძიებელი დაენებით ჩამაცქერდა. ახალგაზრდა იყო. ჭაღარაშერეული.

— თუ ძმა ხარ, ვაუკაცობას თავი დაანებე. სიმარილე მითხარი, პირველად ვინ დაგარტყა?

— აკი გითხარით, უცნობები იყვნენ-მეთქი.

— ვინ არის ამბერკი აიურაძე?

— ერთ საავჭროში ვმუშაობთ, საერთო საცხოვრებელიც ერთი გვაქვს.

— ეგ რომელი საერთო საცხოვრებელია?

— მესამე.

თამაზ ჯიბლაძვილი
ადამიანი მარტო არ არის

— მეგობრობთ?

— არა.

— რა‿გარ დამოკიდებულებაში ხართ?

— არც ცუდად, არც კარგად.

— ახლა‿რა ხომ არ უთხრეს იმ ღამეს იქ?

— არა.

გამომძიებელმა უნდოდ შემომხედა. სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მაგრამ აღარ გაუხსნია.

— მეტს აღარ გადაგწერთ, მაგრამ თქვენს ადგილზე იმათ თავზე ხელს არ გადავუსვამდი. ორშაბათს გამოგივლით, კარგად ახონ-დაწონეთ და დალაგებულად ვილაპარაკოთ. ასე აჯობებს.

6.

ორშაბათს გამომძიებელი რომ წავიდა, ბიჭებმა ვარლამა შემოაპარეს.

გარეთ თურმე გრიალი დადიოდა და კარანტინი უოფილიყო.

თეორხალათიანი ვარლამა ხუსხუსით შემოვიდა. ვუუურე. ვუუურე და სრულიი წამსვლა, საერთო საცხოვრებელში რომ დალაქი გვყავს, იმასა ჰგავდა.

— როგორა ხარ, ბოშო?

— რა მიჭირს, ტუჩა. შენ რავა ხარ?

— არ იშლი მამაძალობას?

— არ ვიშლი, ვარლამა, დაჯექი.

— ცოტა სავშელი მოგიტანე, ღმერთმანი კაი კაკლეტია. — ვარლამამ, რაღორც ცოდა, ხელები მოიფშვნიტა და სკამზე ჩამოჯდა.

— გმადლობთ!

— ა, ცხელ-ცხელი გაზეთები.

— რაო, რას სწერენ?

— ისრაელი შეჭდა სახედარზე და აღარ ჩამოდის, ჭკვენაო ჩემიაო. ის კი არ იცის, ამერიკამ თუ უგანა, თავი ეკნება ჩამოსახსრჩობი. ნუთუ ერთი ჭკვიანი კაცი არ ურევია ამდენ გადარეულში? ჯანდაბა მაგათ. რაო. ექიმები რას ამბობენ?

— რას ამბობენ და ტვინის შერეევა გაქვსო.

— მაგ ამბავი ადრეც მკონდა გაგონილი, ახლა ნამეტანი დაგემართებოდა.

ვიცოდი, ამას მეტყოდა, მიყურა, მიყურა და თვალები აუწულიანდა. „პრიმა“ რომ ამოაძვრინა, კარგა ხანს უკანკალებდა თითები, მერე აქეთ-იქით გაიხედა, გაახსენდა პალატაში მოწევა რომ არ შეიძლებოდა და უყურში გაიკეთა. ხელები მოიფშვნიტა და გულისჯიბიდან ნახევარლიტრიანს ამოაყოფინა თავი.

— აბა, ჭიქა მომეცით და ღმერთი შეგვეწიოს. შენ გაგიმარჯოს!

თან სვამდა, თან ცალი თვალით კარისკენ იყურებოდა. ცალტვინამ ვარლამის მორთმეული ხაჭაპური გადმოიღო. ვარლამამ დასუნა და გაზეთზე დადო.

— ჰე, ადლეკრძელე. ბიჭო! — ლერიის მიუბრუნდა.

ლერიმ თვალებით მადლებრძელა, წინასწარ დაიჭუანა და გადაუშვა.

მერე ჭიქამ ვარლამა დაათვალიერებინა და, ბოლოს მაგიდაზე შემოდგა.

— დამალე, ეკიმმა არ შემოგვიწეროს.

— შემოგვიწეროს და მამა ვუცოხნე, არ გაწყრესო ერთბაშად. ჩვენზე მეტი ლოთები ეგენი არიან. წარშან გრიფის ოპერაცია მთვრალმა გამიკეთა. აბა, შენ რა გგონია? დალიე, ბოშო!

ცალტვინამ ჭუაჭვა-ჭუაჭვით მოიუდა. არუის მე ეგრე ვიცი, თუ არ დავიღრიჭე, ხული გამძვრება.

— მაინც რას გერჩოდნენ ის უცეთურები, ჰა? — ამოასლოკინა ვარლამამ.

— რა დროს მაგაზე ლაპარაკია! — თქვა ცალტვინამ და ბოთლი საწოლის ქვეშ შემალა. — უველფერი ხდება.

— რა ხდება, შე მამაძალლო?!.. — იყვირა ვარლამამ და სკამიდან რომ არ გადმოურავებულიყო, საწოლის თავს ჩააფრინდა, — ხულიგნებმა რატომ უნდა სცემონ პატიოსან კაცს? ისე, შენც კი მაგარი ყოფილხარ, — ვარლამამ მაინც აახრჩოლა, — ჯინჭარაძის ბიჭი ისეთი ნათეჭვი ყოფილა, ვერ იცნობო. ის სახედარი ამბერკა შავი სათვალით დაბრძანდება, გემრიელად ჩაგილანძღავებთ.

— რა გამომძიებელივით მიკიბავ, ამბერკა არ ყოფილა და გაიგეთ!

— ა, წეროს ახლა სპორტსმენში ლეკსები.

— კაი, ვარლამა, თუ კაცი ხარ!

— მე კაცი ვარ და გეტყვი აბა: მივალ იმ პატიოსან მილიციაში და უველფერს ჩავუკალავ.

— რას ჩაუკალავ?

— ეგ მე ვიცი.

მთვრალი ვარლამა ძლივს წაიუვანა ცალტვინამ, ვიწეკი და ვანგარიშობდი, რამდენ დღეში ავდგები-მეთქი. კარგა ხანს ვიუავი გატრუნული, სანამ ეკთანმა გრძელი ნემსი არ შემოტანა.

— შემიცვალეს?

— დანიშნულება. შეგიცვალეს, პატარიდან დიდზე გადავედით. — გაიცინა, —არყის სახელით გეგონებათ, ისეთი სუნია თქვენს ოთახში.

— ბიძაჩემი ჩამოვიდა სოფლიდან, მთვრალი იყო, სუნიც იმიტომ არის.

ეკთანმა სპირტიანი ბამბა ამოსც-ჩამოსვა.

— რა გქვიან?

— მერი. — ისეთი ჩამახო, ლამის შეჯავლე.

— გეტკინათ?

— არა.

— აბა რატომ შეხტით?

— არ ველოდი და შეეხტი.

— კარგი ხელი მაქვს, არ გატკენთ.

— ნამდვილად კარგი ხელები გაქვთ. — ლამაზ თითებზე დავაცქერდი.

— მე ვთქვი, კარგი ხელი მაქვს-მეთქი.

ეკთანმა სპირტიანი ბამბა მომაჩეჩა და გავიდა. ღია კარიდან მომვლელებისა და ექთნების ყაყანი ისმოდა. ვიღაცა იძახდა, ჩქარა პრომიდოლი გამოაქცეო. გუშინ გარდაბნიდან ცეცხლზე დამწვარი თათრის ბიჭი მოიყვანეს, იმისი ცოდვით მთელი საავადმყოფო ახრიალდა. არც იმას სძინავს და არც ჩვენს. ის რომ კივის, ყურებში ბამბას ვიტენი, — ოღონდ ბავშვს ნურაფერი ეტკინება და მომკალი!

უცებ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. საწოლის თავს ჩავეხლაუჭე და წამოვიწიე. ზღურბლზე ცირა იდგა.

— გამარჯობათ, ჯუხა!

— გაგიმარჯოს!

ხკამისკენ წამოვედი. ხელში ყავილები და წიგნი ეჭირა. მოულოდნელობისაგან სული შემეხუთა.

— როგორა ხართ?

— რა მიჭირს. თქვენ როგორა ხართ? დაჯექით.

ის უკვე იჯდა და იღიმებოდა. წიგნი უკუღმა დაიდო მუხლებზე და შემომხედა.

— ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდე ვერ განახულეთ.

— რას ამბობთ, რისთვის იხდით ბოდიშს? ერთხანს უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— აი, ეს წიგნი მოგიტანეთ, — თქვა ბოლოს, — კერაძის „ლმერთები, აკლდამები და მეცნიერები“, საინტერესოა.

— ცალტაბიანს მიჭერდა. თუმცა ცალტაბიას თქვენ არ იცნობთ, ჩვენთან მუშაობს, ჭკუით გატტნილი კოლოფია, მაგრამ მაინც ცალტაბიას ვეძახით.

წიგნი მაგიდაზე დადო. ახლა იმის თანდასწრებით წიგნის გადაშლა და გადათვალიერება ვერაფერი შვილი იყო, მაგრამ ისე მალე შემოგელია სალაპარაკო, წიგნი ავიღე და გადავფურცლე.

— ძალიან ცივა? — ვეკითხები.

— ისეთი ჭარხალ..

— ზამთარი ღლის ადამიანს, — ვთქვი მე.

— გაზაფხულიც მალე მოვა. — ჭერა, ლამაზი თმები, თვალებზე რომ ჩვონდა ჩამოშლილი, გადაიწია და ერთმანეთს შევხედეთ. ჩემი გულის ბაგაბუგი მესმოდა.

ცირა გამართული იჯდა, დაუძაბავად და ეს ძალიან შვენოდა. იმ წუთში ალბათ სხვა არაფერი არსებობდა ჩემთვის, გარდა იმ ფრესკისა, ანგელოზივით რომ ეხატა მკრთალად განათებულ კედელზე. ჩვენ ალარ ვუუურებდით ერთმანეთს, მე კარს ზემოთ კედელს მივაშტერდი. გარეთ ქარი ზუზუნებდა და ზამთრის ნაღველს სადღაც მიერეკებოდა.

— წავალ, — თქვა ცირამ.

— მარტო როგორ უნდა წაბვიდეთ ამ შუაღამისას?

— გაცილებას ხომ არ მიპირებთ?

— რატომაც არა, ავდგები.

მანდოდა ხელი მეტადა და ისეთ ადგილებში ყავილებდა. ჩვენ ერთმანეთს ვუუურებდით, თმა ისევ თვალებზე ჰქონდა ჩამოშლილი. კარებში რომ გადიოდა, ხელი დამიქნია. თვალები დავხუჭე. მარტოობის გრძნობა რომ მაწვალებდა, ნელ-ნელა გამიქრა. ალარც გული მჭონდა მოწყინული და რაღაცნაირი სასიამო განცდა მეუფლებოდა. ვგრძნობდი, ალარ ვიყავი მარტო, მერე რომელიღაც პალატაში მაგნიტოფონი ჩართეს და მოგუდული სიმღერა გაისმა.

7.

საავადმყოფოდან ერთი თვის შემდეგ გამომწერეს. ტკივილები მთნდებოდა ალარ მაწუხებდა, მაგრამ კარგა გვარიანად მისუსტებული ვიყავი. ერთი პირობა სოფელში წასვლა გადავწყვიტე, მოდი ერთი მამაჩემს გამოვცხადები, გულს მოვიოხებ და ალარც იმათ ვაკრძალვებ საკვებურს-მეთქი, ბოლოს ფეხი ავითარე და საერთო საცხოვრებელში მივედი.

— რავა ხარ, ბოშო? — მკითხა ვარლამამ და გადამკოცნა.

— მოგეწარე?

— მთელ საერთო საცხოვრებელს მოენატრე. ვარლამა გარშემო მივლიდა და, როგორც უცხოს, მათვალიერებდა.

— ძაან შეფერთხილხარ. — დაასკვნა.

— შენ ეს მითხარი, რა არის ახალი?

ვარლამამ კეფა მოიფხანა.

— ჩვენი ლოლა ქმარს გაეყარა.

— რათა კაცო?

— ეგ კაცი კი არა, ლოთია.

— ლოთი შენსა ხარ!

— ნურას უკაცრავად. წელიწადში ერთხელ რომ გადაჰკრა, ვინ დაგიშლის; ის კი ჭუჭყში გდია ხოლმე. ბავშვები არიან, ბოშო, ცოდო, თორემ მაგ დამთხვეულს მეტიც უნდა მოუვიდეს. გუშინწინ ჩემს მორიგეობაზე მოუვარდა და ძლივს ვავლანძე ლოლა ხელიდან. ბიჭები რომ არ მომშველებოდნენ, წამითაქებდა კიდეც. — ვარლამამ „ბრიგა“ გაიკრა. — რაო, გამომძიებელმა?

— ჩამცივებია, გინდა თუ არა, ჭინჭარაძე იყოო.

— შენი გამკვირვებია, რისთვის უნდა შეარჩინო?

კიბეზე ამბერკა ჩამოცოცდა, ვითომ ვერ დამინახა, კიბიდან გაზეთი ჭმიდა და კითხვაკითხვით გაიარა. ვარლამამ თვალით მანიშნა.

— ბოლო დროს გაზეთები რატომ აღარ მოგვონდა? — ვარლამას ეკითხება.

— სამჯერ ცალტვინას გამოვაძახე. დანარჩენი შენახული მაქვს და ოთახში მოგართმევ.— ვარლამა გაიღიმება და ყვითელი ბაგე გამოაჩინა. — სიდედრმა ცოტა თეთრი ჩამომიტანა, არ გინდა, სალამოს აღვნიშნოთ.

— აკრძალული მაქვს, ეჭვ დავლევ.

— ჩვენ დავლევთ. შენ დაჯექი და გვიყურე. რაც იმ გამოკვებულმა ჰიენურაძემ მიგბეგვა, წვეთი აღარ ჩამიშია პირში. კი მინდოდა გადამეცა, მაგრამ ნამუსმა არ გამიძრა, ვიფიქრე, გამოვა და მერე-მეთქი.

— მადარიბი ჩემზე იყოს. წვალ და რამეს ვიშოვიდი.

გარეთ გამოვედი. ლანძღინებით გაჩაბრახებულ პრასპექტზე ხალხი ირეოდა. მიედიოდი და ცირაზე ვფიქრობდი. სანამ საავადმყოფოდან გამოვეწერებოდი, საორდინატოროში შევეპარე და ტელეფონების წიგნში ცირას ნომერი მოვძებნე. მოდი ერთი დავრეკავ, შინ არის თუ არა-მეთქი, მაგრამ გვიან იყო და ხელი ჩავიქნიე.

ჭუჩის მეორე მხარეს რომ გადავედი, ერთი ჩემი შორეული ნათესავი შემომეფეთა. სოფლიდან ჩამოსულიყო და ცხელ-ცხელ ამბებს მომიყვა. ისიც მითხრა, მამაშენს გრიპი სჭირდა და კარგა ხანს ლოგინში აწოკრიალო. ლაპარაკი აღარ გავუნაბ, მაღაზიაში შევედი და ჯერ სიგარეტები ვიყიდე, მერე ძეხვი, ყველი და ტკბილეული. გარეთ რომ გამოვედი, რეზო შემეფეთა. გადამეხვია, ხელი დაკავებული მქონდა და ვერ ჩამოვართვი. წამი, ვარლამას არაყი აქვს, ჩემი გამოსვლა აღვნიშნოთ-მეთქი. რეზო აყირავდა, ამოდენა ხალხი ვიქნებით, ორასი გრამი ძეხვი რას გვიზამს, მეც დავამატებო. მაგრამ გამოვბრუნე, ლაპარაკით გამოვწიეთ. რეზო ცოლის მოყვანამდე ჩვენს საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და შინაურულად ვიყავით. ახლა სადღაც ქირით დგას, იხეც ხშირად საცხოვრებელში კია ჩაწერილი. ბინას რატომ არ გაძლევენ-მეთქი. ისეთი გაბმული რიგია, შენი მოწონებულიო. შალიკო თავმჯდომარის იმედით შეიძლება მეთორმეტე ხუთწლედში მომიწიოს და მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, ტუუ-ტუუში ბიჭები უნდა დავცხოო.

სანამ ცალტვინა მოვიდოდა, ვესხებიაულში ვიყბედეთ. მერე ოთახში ავედით და სამი ხელი დომინო ვითამაშეთ. ვარლამა სრუტუნსრუტუნით მოგვადგა, ორი ბოთლი არაყი, ცივად მოხარშული ლობიო, კიტრი, მწვანილი, დამტკრეული ხაჭაპურები და პრასი მოიტანა. მე და ცალტვინამ სუფრა გავაწყვეთ. ვარლამა სათამადო ადგილზე წამოსულიყო.

— იმ დასაწყისში აღარ დაგინახო მეორედ.— თქვა ვარლამამ, — შენს გამოსვლას გაუმარჯოს!

ჯერ რეზომ დალია, მერე — ცალტვინამ. მე გაპიპინებული ჭიქა გვერდზე გადავდგი.

— მაგას ჯერ აქვს შეჭანებული და ვერ დალევს — გაიღრიჭა ვარლამა. — რამდენ ხანს უნდა გქონდეს კრამტი დაცრუნებული?

ვარლამამ ხითხითს მოუმატა და გამოჭრილ ტუჩში პრასი ჩაიტენა. თან მჭიდით ცრემლებს იშშრალებდა. ცხვირ-პირი ხაჭაპურის ნამცეცებით მოიგანგალა. მერე ხელები აუვარცა და სტრუტუნს მოჰყვა.

— ნუ გაგვირვალე გული მაგ სრუტუნით,— ვუთხარი და შევუბღვირე.

ვარლამამ ხელები გაიმშრალა და არაყი დაისხა.

— ჩვენც დაგვისხი, —უთხრა ცალტვინამ.

— მე უნდა დაგისხაო, ბოშო?!

— ხანდახან, რა უჭირს. თქვი ახლა...

— სამჯერ. გაგვიმარკოს!

— მეოთხეა, ბიძია!

— აწი აღარა აქვს მნიშვნელი!

ვარლამამ ჭიქა დადგა და ამოისრუტუნა. ცალტვინამ სავსე ჭიქა პურის თეფშს ამოაფარა და ვარლამას „პრამა“ სთხოვა.

— დალიე მაგი და მოგცემ!

სიცილი წკვესცდა. ვარლამა გაცეცხლდა, წამოიწია და დამემუქრა, თუ არ დალევ, კისერში ჩაგასხამო. ვარლამა რის ჩამბუნებელა იყო, ვიცოდით, მაგრამ ცალტვინამ ხალი არ გაუტეხა და დალია. რეზომ მაგიდაზე იდაყვი ჩამოდო, თვალი ჩაგვიარა, ჩაახველა და ანეგდოტი წამოიწყო. ვარლამას ანეგდოტები უუვარდა და ძველი შეკარა. უურებდაცქვეტილი ვარლამა კარგა ხანს იჯდა სერიოზულად, ჯერ თახთახი დაიწყებინა და მერეღა გადაფიჩინდა. ჩვენ იმის სიცილზე ჩავბეირდით, ვარლამას ღაპაღუპით ჩამოსცივდა ცრემლები.

— ვაი, თქვენ რა გითხარით! — თქვა ბოლოს და ჭიათმს შეორე ბარკალიც აახლიჩა.

— ასე მოშიებული თუ იყავი, აქ რაღას მოგქონდა ეს დამხრჩვალი ქათამი?

— კაცს რომ ხახლი დაეწვება, პატარა ხელიც ქე უნდა მოითბოს. — იხტიბარი არ გაიტეხა.

— ნორი დაგიწყებია, ვარლამა. მოხარშული დედალი უნივრად რას მაქნისაა? — ეტრი ჩაკბინა ცალტვინამ.

ვარლამამ თვალები დახუჭა. — ასე იცოდა, როცა რამე მოაგონდებოდა ხოლმე და ცოლს შეუყურთხა: ქმრებს რომ რაიმე ავიწყდებათ, რა თქმა უნდა, ცოლების ბრალია.

— არა უშავს, მარილი ბლომად მოაყარე და იგივე იქნება, — ჩაიქირქილა რეზომ.

— ომიანობის დროს ერთი ჩვენი მეზობელი ზესტაფონის ბაზარზე წყალს ყიდდა,— წამოიწყო ვარლამამ.

— ამბობენ, ვარლამა ხაჭაპური ვაჭრობაო.

— ვთქვი მე.

— სად იყო გასაყიდი ბაჭაპური, ბოშო, ხალხი შიშმილით იხოცებოდა.

— მთელი ქალაქი ლაპარაკობს.

— მართალია ჯიბგირები ხართ! მე აქ ამბავს ვუვები, ეს კი... თქვენი ხნისა რომ ვიყავი, ლეკური მეცოდა გვერდზე და აბრაგად ვიყავი გასული. აბა!

სიცილით... სიცილიც ამას ერქვა. კინაღამ სკამებიდან ჩამოვცვივდით. მუცელზე ვიფხრინწებოდით. ვარლამა კი, ვითომც აქ არაფერიაო, თავისთვის ჩიფჩიფებდა და აბრაკის უყრმოყრულ ამბავს იხსენებდა: მე რომ ცხენს მოვახტებოდი, გალმა პირსატკივი ცხვირს აცილებდა, რამოდენა ნიავმა წამოუბერაო. რევოლუციის ხათრით, თორემ მაზრის დიამბეგი ყურებით მეავდა დაჯერილი და კაკლის ხეზე უნდა ჩამომეკიდა ოთხში ამოსაღებადო.

— კარგი, ვარლამა, გეყოფა, თორემ დავწყდით ხალხი!

— რავა, ტუუილს ვამბობ თუ?!

— შენი ტუუილი ვის გაუგია, კაცო!

ვარლამამ ხელი ჩაიქნია და თავი ჩაქინდრა. არ გაბრაზებულა, ნასვამზე უცაბედად სევდა მოაწვებოდა ხოლმე, ერთი ნახევარი საათით გუნება გაუფუჭდებოდა, მერე კი ისევ ღრეჯას დაიწყებდა.

— ცხვირი რაზე ჩამოუშვი? — ყასიდად ვეკითხები.

— უმცროსი ბიჭი წელს საშუალოს ამთავრებს და უმაღლესში მინდა მოვაწყო.

— მერე?

— აღარ ვიცი რა ვქნა.

— თვითონ რას ფიქრობს?

— შენსავით ბედოლათია და მე ვფიქრობ.

— რად გინდა უმაღლესი, ტელევიზორი ხო გაქვთ? დაჯდეს და უყუროს, ტელევიზორში უველაფერს ასწავლიან: ფიზიკაო, ქიმიაო, ქარხნულიო, უცხო ენაო, ისტორიაო. მთემატიკაო, რაღა დარჩა, სემინარები იქ არ არის და გამოკითხვა. ჩემი ბიძაშვილი სამი წელიწადი მასწავლებელთან დადიოდა. მასწავლებელმა აიჩეჩა, მაგისგან კაცი არ გამოვა. არც თქვენი ფული მინდა და არც საჩუქრები. მომაშორეთ, წმინდა წულის იდიოტიაო. ბიძაჩემმა ფსიქიატრს გაასინჯა. მართლა შეკანებული ხომ არ არისო, უხინჯო კი გამოდგა. ეს ამოდენა ფული გადაუყარე და რა ეშმაკი შემჯდა, ტელევიზორი თუ ასეთი მასწავლებელი იყო, თავის დროზე ვერ მირჩიეთო. ადგა და ტელევიზორი გაამასწავლებლა. წელს ამთავრებს.

ვარლამამ კვებრად შემომხედა. ჯერ ცალი თვალი მოჭუტა, მერე მეორე და ის კი მამა გამილანძღა.

— შენ რომ გვამასხარავებ, ის როგორია? — ცალტვინა ეკითხება.

— უადგილო ადგილას ღრეჯა იცით, თორემ, რამდენიც გინდათ, ილაპარაკეთ.

— კაი, ახლა, დაგვიხსნი.

ვარლამამ ბოთლს წაატანა ხელი, მალორტოვზე შეეხედე და თვალები დაიელმე.

— რა ჯანდაბა გქვა?

— რა და თვალი მომჭრა მაგ მოტკლეპილმა გოგრამა, რად გინდა კინჩხიდან რომ წამოგალია ეგ ორი ბეწვი?

ბიჭები ახარხარდნენ. ვარლამამ ხელიხგული გადაიცვა თავზე და საცოდავად შემომხედა. სიმთვრალეში უფრო კეთილი იყო და არც გაბრაზება იცოდა. უველანი მიუვარხართ და თქვენგან არაფერი მწუხსს, გვეტყოდა ხოლმე.

ვარლამა დათვრა და ღიღინით წამოდგა, ბანცალით მივიდა ფანჯარასთან და გამოაღო. მოდით აქაო, ენის ბორძიკით დაგვიძახა და შეტორტმანდა. „ქვაბიკამია“ დედაკაცი საცლებიანი იდგა სამზარეულოში და მადიანად ერეკებოდა.

— უუურეე, ბოშო. — გამოფხიზლდა ვარლამა.

— პირველი შემთხვევა კი არ არის, ეგ უთველთვის ასე ჭამს, — თქვა ცალტვინამ.

— ქვრივია, სამშვილიანი. ღამღამობით დგება და ჭამს. — დაგვიხსიათა ვარლამამ.

— ბავშვებს რომ დააძინებს, გიუვარდეს, იცის თავის საქმე.

დედაკაცი ისე იყო გართული, ვერ გვხედავდა. ერთი ორკერ უკან დაიწია, დაიღუნა და თეთრი, სწელი ბარძაყები გამოუჩნდა. ვარლამამ ენა გააწყლაპუნა. გავაქეზეთ, მიდი, დაუკაკუნე, იქნებ კარი გაგიღოსო. ვარლამა ცდილობდა ქალის მზერა დაეჭირა, მაგრამ იმას ჩვენთვის არ ეცალა. — დოქი მოიუდა. ვარლამამ შეიგინა და გადაფურთხა. ლერიმ მოკიდებული სიგარეტი მიაწოდა. ქალმა ფანჯარა გამოაღო, ნარეცხი გადმოლაგარა და სინთლე ჩააქრო.

— სახლმმართველთან უნდა ვუჩივლო. — თქვა ვარლამამ.

— რისთვის?

— ამ მაიმუნობისთვის.

— ის გირჩევნია, გაეარშიყო. იქნებ რამე გამოგივიდეს.

ვარლამა მაგიდას მიუჯდა და ჭიქები შეავსო.

— რატომ მატუქსი, ბიჭებო?

— არაფერსაც არ გატუქსენ, უველანი ვსვამთ.

— ამა მარტო მე დავთვერი?

— პირველი შემთხვევა ხომ არ არის.

— გიცნობთ, რა შვილებიცა ბრძანებით!

— მოდი, ახლა შენ გაგიმარჯოს, ვარლამა

თამაზ ჯიბგაშვილი

ადამიანი მარტო არ არის

ბიძია! — ადღეგრძელა ცალტვინამ. — შენ რომ არ იყო, — ჰირსაც წაუღია ყველაფერი, შენ რომ არ იყო...

— კარგად იყავით!

ვარლამამ ჯიპი ასწია და უხმოდ გადაჰკრა. მერე წამოდგა, სათითაოდ გადაგკოცნა და კედელზე ჩამოკიდებული პალტოდან ცხვირსახოცი ამოიღო. ცინვლი მოიწმინდა, ხანამ ატირდებოდა, ამოილულღუდა, ღმერთმა თქვენი თავი მიცოცხლოსო. კაი ხანს ისლუკუნა, ცხვირსახოცი გააჟია. მხარზე ხელი დავადე, ვითომ მოვეფერებით-მეთქი, ნერვებივით აშლილი ორად-ორი თმა დავულაგე და პაპიროსი მივაწოდე.

— რა გატირებს?

— რატომ უნდა იყოს ცხოვრება ასეთი?

— როგორი?

— ასეთი, როგორიც არის.

ვარლამა ცხარე ცრემლებით იქუფრებოდა, წარამარა ცხვირს იხოცავდა, სახეს ხელისახულით ისრესდა და ხვნეშოდა.

— ვარლამა!

ვარლამამ თვალი გაახილა და ისევ დახუჭა.

— რა გინდა?

— მაინც როგორია ცხოვრება?

— რა როგორია?

— შენ არა სთქვი, რატომ უნდა იყოს ცხოვრება ასეთიო?

— როგორიო, რას ამბობ?

— თავი გაანებე, უფალსა ჰყავს მიღებული, — თქვა ცალტვინამ.

— არაფერიც, მთვრალები თქვენნაირ ხართ, მარამ, შენ ეს მითხარი, რატომ უნდა იყოს ცხოვრება ასეთი?

— თქვი, თუ კაცი ხარ, როგორი უნდა იყოს? — ვეღარ მოითმინა რეზომ, ისიც კარ მთვრალი იყო.

ვარლამამ თავი მძიმედ ასწია:

— ცხოვრება დიდი მდინარეა, ჩანჩერივით მიჰქრის და თან ადამიანებს მიგვაქანებს.

— ეგ ჩვენც ვიცით, შენ სხვა თქვი!

— მოდი, ცხოვრებას გაემარჯოს, — გული დაწყდა — ფხიზელი ვიყავი და ეშხიანად არ გამომდიოდა, — თავისი ზნეზაგებითა და უხერხემლოებრო ბილიკებით, სიცოთით და სიყვარულით, ჭირითა და ლხინით.

ვარლამამ გაუვალებული თითებით პრასხ ფოჩი ახია, ალარ შეუქამია, დაავდო, ერთი ამოასლოკინა და ცარიელი კოლოფი დახია. ნაფლეთები იატაკზე ჩაუცვივდა.

— მეორე კლასში რომ დავდიოდი, — წამოწყო ვარლამამ, — არითმეტიკის მასწავლებელი გვეჩიჩინებოდა, ოცს რომ ოცი მივუმატოთ, ჯამი რამდენი იქნებაო. ერთხელ მე წამოხა და სიტყვა ჯამი დამავიწყდა. თახი ვუთხარი. ცალტვინა საწოლზე გადაწვა და ჩაბუსრდა. ვარლამას წარბიც არ შეუხრია.

— ახლა ვიცი, რაც არის ჯამი!

რეზოს ჭიქაზე იდაყვი მოუხვდა და გაცვაკვა. ტაკზე ჩამოილვარა. ვარლამას ფეხი დაუდგა, მაგრამ აინუზშიაც არ ჩაუგდია. მაგიდაზე თეფშები მოალაგ-მოალაგა და დასაძინებლად მოეწყო.

— ადექი და ლოგინში ჩაწექი. — ვეუბნებით.

— ცოტას მოვსულიერდები და შინ წავალ.

— ადექი რო გეუბნები.

— თავი დამანებე!

ძლივს მივიყვანე საწოლთან.

— ხომ გითხარით, ცხოვრება დიდი ჯამიაო-მეთქი, ცხოვრება სულ სხვა რამეა. თქვენ ბალღები ხართ და რა გესმით. ცხოვრება ასეთი რამეა!..

ვარლამა რაღაცნაირი, მშვიდი იუმორით ლაპარაკობდა.

ჩვენ ვიცოდით, როგორი თვალითაც უყურებდა ცხოვრებას, ვიცოდით, რომ აზრიანად იზდებოდა მის ყოველ კუნჭულში, სიღრმეში და თუ რამე არ მოეწონებოდა, არც მალავდა.

— ადამიანს შეუძლია გარდაქმნას თავისი ცხოვრება.

— ნეტა რას ფილოსოფოსობ, დაწექი!

— მე მაგისი არა გამეგება რა, მაგრამ სიმართლეს ვამბობ.

— ხვალ ვილაპარაკოთ. — ამთქნარებს ცალტვინა.

— რა ვილაპარაკოთ? წიგნი რომ მესწავლა, მაშინ გენახათ ჩემი ლაპარაკი, თქვენსავით იდიოტი კი არ ვიქნებოდი, ხალხში მექნებოდა ხალმე. თუმცა ეხლაც კაცი ვარ და სიტყვითვის ჯიბეში არ ჩავიყოფ ხელს.

— თქვი, რის თქმა გინდა. — დაინტერესდა რეზო და ვარლამას წინ სკამზე ჩამოჯდა.

ვარლამამ უყურა, უყურა და ხელი ჩაიქნია.

— დაწექი თუ კაცი ხარ, ნუ გვაცოდვილებ.

— პიჭკს გავხდი-მეთქი, წვეტანე

— ავრაფინას გარდა უფლება აქვს არავის არა აქვს გამბადონს.

ვარლამამ შარვალი გაიხადა. ავიღე და სკამზე დავდგი. ცალტვინა გაზეთის ნაგლეჯში თამბაქოს ნარჩენებს აბერავდა და ვარლამას შესცქეროდა. ვარლამამ ხანგრძლივი საათი კიდევ იჯაბნა. როგორც იქნა დაიძინა. მაშინვე ხვრინვა ამოუშვა.

8.

კარგა ხანს მაჯახირა გამომძიებელმა. საავადმყოფო ფურცელზე ვიყავი და იმის მაგივრად, შინ ვმჯდარიყავი, მილიციაში დამბატარებდა. ერთი და იგივეს მეჩიჩინებოდა. გული გამიწვრილა. მაინცდამაინც გვიან სალამოთი მოისურვებდა ხოლმე ჩემს ნახვას. გინდა თუ არა, თქვი ჭინჭრაძე იყოო. იყო თუ არ იყო, შენ

გამოიძივ-მეთქი. იმ მეორეს რომ არ დაელერღა, ჭინჭარაძე დღესაც გარეთ იქნებოდა.

ტექნიკუმშიც ცუდად წამოვედ საქმეები, ვაივაგლახით დავწერე ჭკუის. მერე ის იყო. სამუშაოზეც გავედი და საქმით გავერე. თორემ გამომძიებელი ყოველდღე მირეკავდა. გამომიარეო. რაღა შაბათი აიჩემა იმ გოგოსაისებულმაო. იძახდა ვარლამა და ჩემს მაგივრად ერთხელ თვითონ ეახლა.

— ხომ ხარ ვეფხვიტაო? — გაიოზი მეკითხება.

ცერი ვაჩეჭე და გავიცინე. გარეთ გაზაფხული იდგა და საამქროშიც გრილოდა. გამორულ ბიჭებს თეთრი ქხლები მოეჩანდათ. გაიოზი გვერდში მედგა და ბლოკოტში რაღაცას იწერდა. გადასასვლელ ხიდზე მვალცავი დათიკო სიგარეტს ახრჩილებდა. გაიოზმა დაინახა და დატუტურა:

— რა გითხარი მე?

დათიკო მოტრიალდა, ნამწვი გადააგდო და ფეხი დაადგა.

— საწუთრი დაკეტილი იყო და რა მექნა?

დათიკოს ჩამიხედეთ, მაზუთში ამოგანგლული სპეცტანსაცმელით ეცვა.

— წერილ რატომ არ გაჭეს გაპარსულის?

მვალცავმა მხრები აიჩეჩა, წასცდა დაპირა, მაგრამ ვედარ გაბედა, ჯერ კიდა მოიქექა, მერე წვერზე აიხვიჩაისვა ხელი.

— წადი და სანამ არ გამოიცვლი, თვალით არ დამეწინაო!

მვალცავი ბურდღუნით გაბრუნდა. მიმოწმიდავი ხიდური ამწის ზარმა მე და გაიოზი ერთმანეთს დაგვაცილა. გავარვარებული ზოდი გორგოლაჭმა დაგანდად ვერ გადმოაგდო. გაოფლიანებული ოპერატორი ავიშიშდა, დაიძაგრა და საუვირი აიბეჭდა.

— მგონი გაიქედა, — შოთამ ხელთათმანები დაუარა. ოსტატს გამოვუძახო-მეთქი, არ შეეპუა, მე თვითონ მოვუყვლიო. სანამ გაიოზი გამოჩნდებოდა, ოპერატორმა იცოდველა და ოფლიც მოიწმინდა.

დიდ კარში, საიდანაც დილ-დილობით მზის დისკო მოჩანს ხოლმე, ორთქლმავალი შემოგრიალდა.

— გაიგე, შაბათობისთვის რომ ემზადებიან? — ჩამძახა შოთამ.

— როდისო?

— პრილში რომ შაბათობა იციან ხოლმე, მაშინ.

— დავიჯერო, ამოდენა ნაგვის გაზიდვას ერთ დღეში აპირებენ? ჯართიც ხო უნდა შევაგროვოთ. მერე ადგებიან და თავს გაიმართლებენ, ერთ დღეში ვერ მოვასწარითო. გაზე თებს კი აავრელებენ, ამდენი და ამდენი ჯართი შევაგროვეთო.

შოთა იცინოდა და შუბლიდან ოფლი წმენდა. გვარიანად გაოფლილ სახეზე მეც ღიმილი შეეხახი. ცოტა თავიც მტკიოდა. მთავარი ის იყო, რა, თუ გინდა ნიავზე გაიარე, გულს გადაავლებ და გუნებაზე მოხვალო. ვიუარე. ცოტა ხანში გამოვლის-მეთქი და სამართლებიკენ წავედი.

შოთამ კბილებში გაჩრილი პაპიროსი გამოაფურთხა და შემომხედა. საოცრად მეტყველი თვალები ჰქონდა. სახე—გამხდარი, მაგრამ სანდომიანი. საამქროში უუვარდათ და უფროსებთანაც კარგ კაცის სახელი ჰქონდა გავარჩნილი. ჩვენს შორის ათი წელი მაინც იყო სხვაობა, ხუმრობით „ბებერისაც“ ეეძახდით, რა ბებერი, რის ბებერიო, დაგვიცაცხანებდა ხოლმე, მერე დე მერე მიეჩვია. ერთხელ მე და ცალტანი შინ წავაცილეთ. გამოგვათრო, სამ დღეს კაცად აღარ ვყარგდი.

— მაღარიჩი როდის დაგლიოთ? — მეკითხება.

— როცა შენ გაგიხარდება.

შოთამ გადასასვლელი ხიდისკენ გამახედა. კიბეზე ტურისტები ამოდიოდნენ. საამქროს უფროსი სათვალიან ჭალს რაღაცას უხსნიდა და დგანზე უჩვენებდა. მერე ის სათვალიანი ჭალი ჩვენს მოტრიალდა. ალბათ გიდი იყო.

— უცხოელები ჩანან. — თქვა შოთამ.

უფროსმა გაიოზს ხელი დაუქნია. სათვალიანმა გიდმა გაიოზს ხელი ჩამოართვა. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც კაცი და გოგო კიბეზე ჩამოვიდნენ და კარგახანს თვალიერებდნენ დგანს, მერე იმ კაცმა გოგოს მხარზე ხელი მოხვია, ჩვენკენ წამოვიდნენ, გოგოს ძალიან ლურჯი თვალები და ქერა თმა ჰქონდა.

— ჰელოუ, სერ! — ხელი ასწია და მოგვესალმა.

— ჰელოუ, მისს!

გოგომ გაგვიცინა. მოვიდა და რაღაცას მეუბნება. შენი არა მეუყურება რა-მთქი. ის კიდევ თვალებით მანიშნებს, ვერ გაიგო? ვერ გავიგე-მეთქი. ახლა კაცს მიუბრუნდა, ვითომ ჩვენარ გავგაებინო, იმან კიდევ მხრები აიჩეჩა, შენ იცი და მაგათო. მე და შოთა ვეკრიებით და გოგოს შევცივცივებთ. თვალმისახვლელია, ვერ დაიწუნებ. ისეთი თეთრია, თოვლი გეგონება, ჩვენ კი — გამღერულები.

კაცმა მოგვიარა და ჩაცუცქდა, ღუმელში უნდა ჩახედვა, შოთამ გოგოს მოუხმო, ანიშნა, აქედან უფრო კარგად დაინახავო და მოხერხებულ ადგილას მიიყვანა.

— კრასივო, — თქვა ლამაზმა გოგომ.

— ოჩენ კრასივო, — ვთქვი მე.

მერე კაცმა რაღაც უთხრა ლამაზ გოგოს.

თამაზ ჯიგლაშვილი
ასამიანი მარტო არ არის

ტურისტები დაბლა ჩადიოდნენ. გოგომ ხელი დაგვიქნია და ჯგუფს დაედევნა.

— ვინ არიან? —უფროს ოსტატს ეკითხები.

— ამერიკელები.

— ზალიკო თავმჯდომარე რატომ არ დაახვედრეთ?

— ზალიკოს გუშინ სიმაძრი გარდაეცვალა და სოფელშია.

— კაი ჭკლეხი ეჭნება აბა.

— იმერლებმა ლობიოთი იციან გასვენება და რა ფასი აქვს.

— ეგ მამაცხონებულები სხვის ჭკლესში კარგად ერეკებიან ხაშლამას, რაო, იმერეთში არ იშმევაო? — ჩაუკრა შოთამ.

უფროსმა ოსტატმა ჩაიხითხითა, ოპერატორს გამოელაპარაკა და წავიდა.

ხიდქვეშ ზენილები შექუჩებულიყვნენ და ერთი ამბავი გაჭიხლათ, ძიძგილაობდნენ. ზენილებს თითქის უკეღას ვიცნობდი, მაგრამ ერთი ბიჭი ახალი ჩანდა, კაი მოხდენილი იყო, ჩემსიგარძე და გაჩხინკული.

დგას და მიყურებს, ხომ არავისში ვეშლებიმეთქი. მანიშნა, პაპიროსი გეკნებაო, მოდი, მოგცემ-მეთქი.

— წეღან იმ ამერიკელმა გოგომ რაო, რა გითხრა? — მე მეკითხება.

— რა უნდა ეთქვა?

— კარგი ვინმე იყო, არა?

— ეგეთ რამეებში ერკვევი?

— რატომაც არა, პატარა ხომ არა გგონივარ?!

— მაინც რამდენისა ხარ?

— თვრამეტისა. ახანთი გაჭ? მართლა, რა გითხრა? — თან სიგარეტს უკიდებს.

— რა უნდა ეთქვა, იმან ქართული არ იცოდა, მე —ინგლისური.

— ჰოო?..

— ძალიან მოგეწონა?

— ჩვენი კოჩკავშირის მდივანი როა, იმასა ჰგავს.

კოჩკავშირის მდივანიო... ჭუდი თვალებზე ჩამოვიფხატე. ბიჭმა ნაფაზი დაარტყა და ახანთი გამომიწოდა. თან სრუტუნი ატუტუდა, ეტუობოდა, გაციებული იყო. ბოლოს კეფა მოიფხანა და წავიდა.

ამასობაში საყვირმაც დაიბღავლა და ავბანოში გავვარდი. თან იმ აყლაფუდა ბიჭზე ვფიქრობდი, ვერ უყურებ, გულში რა ჭკონია-მეთქი.

ავბანოდან რომ გამოვედი, ერთი თალია გულში გავიყალე, ავდგები და გვერდებს ჩავულილავებ, ზედმეტებში არ გადავდებ-მეთქი. კიბეზე ავედი და კარი შევაღე.

— ჯერხა, შენა ხარ?!.. — ცირა წამოდგა, მელნით დათხვრილი თითები შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაიწია და ჩემკენ წამოვიდა.

— დაჯექი, — მითხრა და ატკეცილი სახე მომაშორდა. — როდის გამოხვედი ციხიდან?

— დღეს.

ხელებზე დავხედე: ახე მეოთხეკლასელები ითხვრებიან ხოლმე მელნით. უხდებოდა კია. დათხვრილი თითები თითქოს აპატარავებდა. მერე ავდექი და კედელზე გაკრული სურათები მოვათვალიერე. ჩემს პირდაპირ შოთა გამცემლიძე და ზოია ორუხაე იღიმებოდნენ. ზურგს უკანაც გმირი კოჩკავშირელების სურათები ეკიდა. ოლეგ კოშევოის მივშტერდი. კინაღამ ჩემი ტოლი იყო. ნეტავ იმის ადგილას მე როგორ მოვიქცეოდი-მეთქი. მერე ჩემი ჩხუბის ამბავი გამახსენდა და შემრცხვა.

— დღეს ლექციები გაქვთ? — ვეკითხები. თავი საყვარლად გააქნია. მართლა იმ ამერიკელსა გავდი, ოღონდ იმასავით გათხუპნილი არ იყო.

— კინოში წავიდეთ.

ცირამ ცხვირი აპრიხა. მერე გაიცინა. სიცილის დროს ულუაზე ფოსოები გაუჩნდა. ლამის ჭკუა დავკარგე, ნახევრად ჩამქრალი სიგარეტი გავკლევიე და მოვკარ.

— კინოსთან დაგელოდები, მოხვალ? — მთელი წუთით გამიჩერდა გული.

გარეთ გამოვედი. კარგი ამინდი იდგა და ხალხი ნელა მისეირნობდა. გამწვანების სააშკაროს მუშები ხეებს სხეპავდნენ. მთელი გზა მოკრილი ტოტებით იყო სავსე, შიშველი ხეები გაძარცულ ადამიანებს მაგონებს, გუნებას მიფუჭებს.

საერთო საცხოვრებელში შევედი თუ არა, ვარლამა გამომცახაც და მხედრული სალამი მომცა. იმ დღის შემდეგ აღარ მენახა და შევატყევე. ჭაჭანი უნდოდა. საჭმიანი ხაბე მივიღე და ნაბიჯს ავუჩქარე. ვარლამამ გაზე-თები დივანზე დაყარა.

— რა იყო, სად გაბრძანდი?

— დალაქი არ არის?

— ახლახან ორი თალია დომინო მოვუგე, რა საქმე აქვს, მოქნარებითა კვდება.

მივედი და დალაქი გავაღვიძე, წვერი გამპარსე-მეთქი. წამოიწორწნა და გაზუნზუული გულსაფარი დაფერთხა.

— ბოქსი?

— არა, ბიძია... — სახელი ადარ გამახსენდა — რა ბოქსი, წვერი გამპარსე.

ფხვნილი აატყა და გამსანჯა, მერე გასიპული, გათხელებული ქაშარი გადმოიღო. ცალი წვერი ხელში დამაკერინა და სამართებელს პირი აუწუ-ყო. ფხა გაუსინჯა, თავი გვერდზე გადასწია და ენის წვერი გამოყო.

დალაქთან მარტო თმას ვიკრეჭავ ხოლმე, პირს კი თვითონ ვიპარსავ. არ ვიცი, ახლა რისთვის მომეხუშტურა, სულ ტკივი გამაძრო.

— გფხაჭნის?

— მფხაჭნის კი არა, ჩამომღადრა უველაფე-

რი. — გამახსენდა, ივლიანე ერქვა. დაჭკა ოჭახი!

— საუფროსო სამართებელია და რაღა შენ ჩამოგეხვეწა?!

— სიფრთხანა კანი მაქვს და ალბათ იმიტომ.

— ჰე, ლოყა გამობერე!

მეზურვეს დაეემსგავსე. ფილტვები დამეხეხა და ამოვიხრიალე.

თუ გინდა თმასაც გაგკრეჭავო, მეუბნება. არა, ბიძია, ამაზეც დიდი მადლობელი ვარ, თავი გამანებე. სახე ისე მეწვოდა, ცრემლები მაყრევინა.

— რა გატირებს, ბოშო? — მკითხა ვარლამამ და გაიცინა.

დამდალა მაგ შეჩვენებულმა, წუალი თუ არ შევახსნი, ცუდად არიან ჩემი საქმე-მეთქი. ვარლამა კიბეზე მაცილებს და მეუბნება:

— მაგას, ბიძია, დღინინ ვერ ვახწევლე, პარხვასა რა იცის. გეთქვა და მე გამოგჭრიდი უელს.

ოთახში შევედი. წელზემოთ გავშიშვლდი და სახე და ტანი ცივი წუალით დავიბანე. ოთახში რომ შევბრუნდი, ცალტანია ხაწოლზე წამოსკუპულიყო და ფეხზე იხდიდა. მისაუველუდა, რატომ არ დამიცადეო.

პირსახოცი სკამზე მივადგე და საგარეო კოსტუმი ჩამოვიღე. ეს ერთი საკუბოვე კოსტუმი შეკნდა. მუქი ლურჯი. მართალია, ჯერ არ ჭრიალებდა, მაგრამ საკნნით კი გახლდათ. სამი წლის წინ შემიკერა ოორა მკერავმა. კარგად მადგა, უფრო მაღალსა და დალაგებულს მაჩენდა.

— საკაიკაცოდ არ უნდა ეწუობოდე მგონი?— ეუბნ ჭამოქვა ცალტანამ.

სტეენის მოვეუენ.

— სად ჯანდაბაში მიეთრევი? — დამიყვირა.

— რა გაუვარებს? თუ გინდა, ჰალსტუხი მათხოვე. აი, ის იტალიური.

— არ გათხოვებ.

— კაი ახლა, ჩამოდი ვირიდან და მათხოვე.

— ჯანდაბას შენი თავი...

გაჩერებაზე ტროლეიბუსს სირბილით დავეწიე და ჩამოვეკონწიალე. კონდუქტორმა თვალები დამიბრიალა. კიდევ კარგი, ის ცალხელა ქალი არ იყო. თითებდაგრეხილმა კაცმა ახაზინი გამომართვა და ბურდაც დამიბრუნა, მაგრამ ისეთ ზიზღს მოაყუა, მგონი ბილეთის მოცემას არ ამირებდა. შემომხედა თუ არა, ახლა მე გადავუტრიალე თვალები, იცოცხლე, იკადრა.

სულ ტროლეიბუსებითა და ავტობუსებით დავდივარ, მაგრამ ერთი ბედნიერი ბილეთიც არ შემხვედრია. იქნებ ეხლა მაინც მეღირსოს-მეთქი. შენ ნუ მომიკვდები, უიღბლო კაცი უოველთვის უიღბლოა.

კინოთეატრ ხალხი ჯგროდ იდგა. სალაროსთან ისეთი ამბავი იყო, დედა შვილს არ აიყვანდა. ტუუელად გავცურ-გამოვცურე. ბილეთის ჯავშიდველი ბიჭი ვერ მოვიხელთე. რა უნდა მექნა, კიბეზე გავჩერდი, სიგარეტ[illegible]

ჭიბეების ქექვა დაიწყეს.

— ბილეთები ხომ არა გაქვთ? — ყველაზე უფრო მოწრდილს და თავზე წვაიდექი.

ბიჭმა იქვიანად ამხედ-დამხედა.

— რამდენი გინდა?

— ორი.

— აი, ამას აქვს.

— მოიტა.

— თითო ორი მანეთი. გინდა?

ცხრას ოცი წუთი აკლდა, ვიფიქრე, შესახვლელში დველოდები-მეთქი, მაგრამ არ ვიცოდი, ცირა რომელი მხრიდან მოვიდოდა და მოველანშე მოვკუევი სიარულს. მინის კარებში ბაუნი უწკუეტ ნაკადად შედიოდა და მოსაცდელში უაუანებდა. ვიდეკი და აქეთ-იქით ვიუურებოდი, საიდან გამოჩნდება-მეთქი.

ბილოს, როგორც იქნა, დავინახე, ქუჩაზე გადმდიოდა. გულმა ბაგაბუგი მორთო. არ ვიცი, შეხვედრისას რას ეუბნებიან ხოლმე ერთმანეთს. მივედი და ხელზე ხელი დავადუუბოდე ვვიარეთ კიბე.

— რომელი რიგია? — ხმადაბლა მეკითხება.

მეთხუთმეტეა-მეთქი. ხალხი უაცაფუცით შედიოდა დარბაზში და დავუცადეთ. ვიდეკი და ვუუურებდი. თხელი პალუო ეცვა, ჯინსებში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი, მაგრამ ძალიან ეი უხდებოდა.

როგიანი ფილმი გამოდგა, ჩეზოვის „დაგვიანებული უვაელის". მომკლა იმ გოგოს საცოდაობამ.

კინოდან დამშვიდებული გამოვედი. გულიც საგულეში ჩამდგარიუო და მელოდებოდა. ახა როგორ მოიქცევაო.

ამბობენ ხალხი ქუჩაში გაიფანტა. მე და ცირა ტროტუარს მივუვებით. ლამპარკის გაბმა მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ. ერთი პირობა თითქოს წამოვიწუე კიდეც, მაგრამ ბოლომდე ვერ მივიუვნე და ახლა ეს უხერხული სიჩუმე მკლავს.

— გინდა კვირას ზოოპარკში წავიდეთ?

ცირა შეჩერდა, ჩემკენ მოტრიალდა და გაკვირვებით შემომხედა.

— ზოოპარკში რა გვინდა?!...

— იცი რა, — დავიწიენი, — კუას კვარკვა ვეუხვებოდეს, ზოოპარკში თუ ყოფილხარ, მესამე გალიაში ძალიან ჭრელი ვეუხვი არ შეგინიშნავს?

— არ მაგონდება.

— დედას გეუიცები, იმას რომ ვუუურებ, გული მიკვდება ხოლმე. გაძლება არ უნდა...

— რა უცნაური ყოფილხარ?!.

— მაგათი საცოდაობით ცეცხლი მეკიდება. მე რომ მკითხონ, ერთსაც არ დავუჯერდი. რა გგონია, მხეცებმა დარდი არ იციან?

— როგორ არ იციან.

— შარშან აფრიკიდან დედალ-მამალი ლომი ჩამოიყვანეს. მამალმა ერთი თვე იცოცხლა, შიმშილით მოიკლა თავი.

— კაცები უფრო თავმოყვარეები ხართ. — გაიცინა. მეც გამეცინა.

ბაღში გრძელ მერხზე ჩამოვსხედით. ჯუტეკლა ვარსკვლავებიანი ცა მაღლა აწეულიყო. შორიდან ქარხნის გუგუნი ისმოდა. ცირა მთვარეს შეაცქერდა.

— რომელიღაც ვარსკვლავი მოწყდა. — ვთქვი მე.

— თვითმფრინავია, ხედავ მთვარის შუქში გაიბლანდა.

ჩვენს წინ ჯუჩაში მოტოროლერმა ჩაიგრიალა. ცაში თვითმფრინავს გავაყოლე თვალი და გავიფიქრე, ნეტა სად მიფრინავს-მეთქი. ცოტა ბანში სულ დაიკარგა. რატომღაც ზღვა გამახსენდა.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა ცირამ.

— სისულელეზე. მიყვარს სისულელეზე ფიქრი.

— ზღვა არ გიყვარს?

გამეცინა. რა გაცინებსო. სწორედ ზღვაზე ვფიქრობდი-მეთქი. ვისხედით და ვარსკვლავებით გაბრდღვიალებულ შუქ ლურჯ ცას შევცქერიდით. მთვარე აფრადაშვებული ნავივით მიცურავდა. გვიანია, შინ მელოდებიან, წავიდეთო, წამომდგა. ხელი გამომდო. ჯულიასავით კი არ ჩამომყიდებია, ხელი მსუბუქად ედო ჩემს მკლავზე.

— ქვირას ადრიანად დავირეკავ.

— ნომერი რომ არ იცი.

— ვიცი. დავირეკავ?

— დამირეკე. პალატას წამოვიღებ და ჩანაბატებსაც გავკვეთებ.

— ხატავ?

ვხატავო. მამაჩემი თვითნასწავლი მხატვარია და მეც მასწავლაო. თუ გინდა, შენც გასწავლიო. ვერ მასწავლი, რადგან ამ საქმის არაფერი გამეგება, ისე კი ძალიან მიყვარს ხატვა, რომ ხატავს-მეთქი.

— ამ სახლში ვცხოვრობ. — შეირხა.

— მეორე სადარბაზოში, მესამე სართულზე. ორივე ვიცინით. მერე რაღაცნაირი სიხუმრე ჩამოწვა. ირგვლივ იხეთი სიწუნარეა, ერთმანეთის გულების ცემა გვესმის. ალარ ვიცინით, თავჩაღუნულები ვდგავართ და ჩვენსავე ჩრდილებს დავცქერით. ბოლოს ორივე მაღლა ვწევთ თავს, ორივეს ნათელი თვალები გვკვნს. ორივე ღრმად ვსუნთქავთ. მინდა ხელზე ხელი დავკრა. მაგრამ მის თვალებში იხეთი პატარა ჭრანჭარ, ვერ ვბედავ.

— გვიანი რომ არ იყოს, შეგიპატიებდი. — მეუბნება.

— ქვირას დავირეკავ.

— რა დაგემართა?

— არაფერი. ვფიქრობ, ნეტავ ხვალ იყოს-მეთქი ქვირა.

— რაღა დარჩა.

— შენ ეგრე ნუ გგონია.

ცირა იღიმება და სადარბაზოსკენ იხედება.

— წადი, მე აქედან გიყურებ.

— არ მეშინია.

— ვიცი, რომ არ გეშინია, მე მინდა, რომ გიყურო.

— სადარბაზოში ბნელა და ვერ დამინახავ.

— მე ყველგან დაგინახავ, სიბნელეშიც.

— კარგად იყავი.

ჯერ უკან-უკან წავიდა, მერე სწრაფად შეტრიალდა. სადარბაზოში რომ შევიდა, მართლა ვეღარ დავინახე. ვიდექი და ყურს ვუგდებდი, კიბეზე პაკაპუკით ადიოდა. ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა, მერე კარი გაიღო და ბრახუნით დაიხურა.

დაცარიელებულ ჯუჩაზე ახბეილ ხეთა უსწორმასწორო ჩრდილები ეყარა. დაგვიანებული ტაქსი გარაჟში გარბოდა. კარგა ხანს ვიდექი, მერე ჩამქრალ სიგარეტს მოვუკიდე და გამოვტრიალდი.

გაგრძელება იქნება.

გაზაფხულდა

სიცოცხლის სუნი ტრიალებს,
გაზაფხულია ჩვენში!
ყველაზე უჭკვიანესი
ცოტა ხნით ხდება ლენჩი...
ჩიტების ოპოჰოია
ღმერთის სასმენელს სწვდება,
და იგი, სათვალიანი,
საასკინკილოდ დგება...
ცეკვავს, მიჰყვება ფერადი
ანგელოსების მწკრივი,
ღრუბლის ფარდებში იჭრება
სიო ვარდის და იის...
ხოლო მინდორში იქ, სადაც
ნამი ბალახზე წყდება,
კრავებს მიდენის გოგონა
და აჟღურტულებს ებანს...
დაუბრუნდება გონი კვლავ
ლენჩს და არაა ლენჩი.
ძველებურადვე ჭრიალებს
იმედის ჯარი ჩვენში!

●

ღამემ დაისადგურა!
ჩაეძინათ მერცხლებს.
ხვრინავს: უკვე ვაჭარმა
გადათვალა ვერცხლი...
ჩაეძინათ ოცნებებს,
სულ სრბოლაში მყოფებს,
ილიმიან მგოსნები
ძილში, ცვარაეთ ოფლი.
ტახტზე ფშვინავს გლეხკაცი
გულმკერდგალეღილი,
ზურგზე შემოვლებია
ცოლის ხელი თბილი.
საქართველოს ბავშვები
ღმერთს ხედავენ ძილში,
ამიტომაც არა აქვთ
ისტორიის შიში!..
ბოლოს, მთვარეც საძილედ
თვალებს ახამხამებს...
მე კი არ მეძინება.
რად?
არ იცის ღამემ.

ჰესის სანახებში

დღეს პირველად, ენგურო,
ამ სივრცეებს დავხედე:
მიხტის, როგორც კენგურუ,
შენი ზვირთი თავხედი...

ქვებზე ცვარნი სხდებიან
მზეზე მოგიზგიზენი,
და ცაში ამაღლებას
ზეიმობენ ისინი.
ხოლო მთები მწვანობენ
დინჯად მხიარულები,
წითელ ქუდებს გვიქნევენ
აქ — ვარდი, იქ — ტულიპი..
განთიადის სივრცეებს
აბაცებს და აჟღალებს
მდგარი არსენასავით
ხეობაში კაშხალი.
კედელს მხარი მაღალი
მინდობია კედელის,
შორს ჩაქუჩის ხმა ისმის
როგორც ჩქამი კოდალის...
ძირს, ნაცემი ბავშვივით
მიღრიალებს ენგური
და ტრაქტორიც ბანს აძლევს
თავის ენკი-ბენკურით...

გაზაფხულური

ქარი თუ ქართა ლაშქარი ამღელვარებდა ხეებს,
ჰეი! — ხმა ჰქროდა ტყეებში, ქარებს მიჰქონდათ — ჰეე..
თეთრი მანდილი მითრთოდა შაბიამანის ცაზე,
გვრიტი, მერცხალი, ბეღურა ჰქროდა ათასჯერ ასი...
სხივები თეთრ ჩანჩქერებზე გადადიოდნენ მალაყს,
პატარა გოგო მღეროდა საქანელაზე: ლა-ლა...
ლომიც კი გამოსულიყო და მოეჭუტა თვალი,
ო, მაინც ველარ მალავდა — სიცოცხლით იყო მთვრალი!
შენით, სამშობლო მხარეო, უწმინდესით და მაღლით —
ფართოვდებოდა ეზო და ცისკენ იწევდა სახლი.
ხოლო გული კი, სიცოცხლის ველარ დამტევი გული,
იყო ტყესავით მღელვარე და ოცნებებში რგული.
მწვანე კი მილივლივებდა ტდე და ტყე, ხიდან ხეში,
ქალწულს სინორჩე ბანგავდა. ჭაბუკს — ქალწულის ეშხი.
ბაბუა თავის ბავშვობას უმზერდა შვილიშვილში,
მზე უელავდა ღიმილში, თვალში — არაფრის შიში.
ესალმებოდა მგელი ცხვარს მოწიწებით და რიდით.
სად იყო მწუხარებანი? იყო იმათზე მითი.
ითვლიდა ჟამი ახალით მეოცე საუკუნეს,
გაზაფხული კი ჰყიოდა და მოამსხვრევდა ჭუნირს...

ცახცახებ როგორც პირველი თოვლი
ცხელი მზისა და გაქრობის შიშით.
მამულისათვის იბრძოლო უნდა,
მამულის მკერდში რადგანაც იშვი.
უნდა აჭენო დაუზოგავად,
არ დაასვენო ფიქრის რაშები.
თუ საჭიროა არ დაინანო
სისხლი, მკერდიდან გამოსაშვები.
გადაუქროლო ქვეყნის ტრამალებს,
უნდა ეძიო ის, რაც არა ჩანს.
ჯარისკაცივით უნდა დაეცე
და დაცხრილული გქონდეს ფარაჯა.
ჯარისკაცივით უნდა დაეცე,
უნდა ალესო რწმენის ცელები.
უნდა, მოცელო მოსაცელავი
წრფელი გულით და სუფთა
ხელებით...

მერე მიდი და მამულს უთხარი,
მამულს უთხარი უკვე სათქმელი.
საქმემან შენმან გამოაჩინოს
არდასაძრახი შენი საქმენი.

გათენება მეგორნის ქოხში

ჯერ უხილავი, რაღაც სხვაფერი...
შემოიპარა ქოხში ნათელი.
ადგა, მოხუცი ღამენათევი,
ფრთხილად ჩააქრო მეცხრე სანთელი...
მეცხრე სანთელი, — ღამის ნარჩენი, —
პირველ სანთლის და მერვის სათქმელი...
მერე, მდინარის მღვრიე ტალღები
ქოხთან მოიჭრნენ, როგორც ბალღები.
მწვანე ბალახზე რიგში დალაგდნენ
და... თითქმის ერთად ალაპარაკდნენ.

დავაგვიანე

აქ, ნაურმალი,
აქ, ნაფლოქვარი...
ჩემი სოფელი, — ჩემი სოფელი...
მე, აქ ბავშვობის რწმენა მოვკალი,
რწმენა მოვკალი პირველყოფილი...
ახლა მოვედი ჭირისუფალი,
დავაგვიანე... დავაგვიანე...
დღეს ჩემს სატირალს სხვები ტირიან
და უკვე შავი დროშა ფრიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილიკს მთვარიანს
ბილიკს დარიანს
ჩემმა ფიქრებმა
ხელი დარია.
აქ, ასი ფიქრის გული ფეთქავს და
და უფრო მეტის გული მკვდარია.

გეთქვა!

გეთქვა და ვეწამებოდი,
გეთქვა და გეშვილებოდი.
შენ რომ გიჭირდა მე იმ დროს
თურმე საძილედ ვწვებოდი...

თურმე მაცდენდა ეშმაკი,
იმისი მსხვერპლი ვხდებოდი.
გეთქვა და სულში იმ შენს მტერს
მახვილად გავეყრებოდი!

ისევ

ისევ გადვივლი ამ ველს ქარიანს
და მე, არ ვიცი, რა მიხარია.
ისევ, მევსება ბუქით თვალები
და იკლიბაკლო ნატერფალები
თავს აფარებენ უმალ სილაში, —
როგორც თაგვები ქარს და წვიმაში.

ჩრდილში დაყრილა სოფლის ნახირი
და მენახირეს, როგორც მახვილი
ალესილი აქვს ყელში ჰანგები.
და იქვე, ახლოს ყეფენ ძაღლები...
და ყრმობის ლანდი სმენად ქცეული
ჩემში ცახცახებს სუსტი სხეულით.

ვიღაცას ვერიდები.
ვიღაცა მერიდება...
მხარში გაჭირვებულს
ვინღა შემიდგება!
ან, იმ წყალწაღებულს
მე, ვით ვეწამლები...
ფიქრი,
ფიქრი მტანჯავს,
მწარედ ვეწამები.

რევაზ კლდიაშვილი

გუცუნია

მეზობლებს გული უწუხდათ, ჩვენი ქუჩის ბიჭებს ბურთით ხელში რომ დაინახავდნენ. სათითაოდ იხვეწებოდნენ, ჩემი სახლის წინ ნუ ითამაშებთო — მინების ჩამსხვრევის ეშინოდათ. დაკვირვებული ვიყავი, ხვეწნა-მუდარის შემდეგ ყოველთვის გუცუნიას სახლის წინ ვიწყებდით თამაშს. თუ მამამისი სახლში იყო, გამოგვიარდებოდა და ალიაქოთს აგვიტეხდა, ჩვენც გავყუჩდებოდით. უგულო კაცი კი არ იყო, მაგრამ თითქმის ყოველ მეორე დღეს ფანჯრებში მინების ჩასმა რა სახალისოა. გუცუნია გვანიშნებდა, ნუ გეშინიათ, ბურთს მე გადმოგიგდებთო.

იმ დღესაც გოგია სამსახურში გვეგონა. დავიწყეთ ბურთის თამაში და და ცოტა ხნის შემდეგ ბურთი გუცუნიას ეზოში აღმოჩნდა. ატეხეს ჭიკჭიკი, გამოვარდა გუცუნიას დედინაცვალი და წყევლა-კრულვით აიკლო იქაურობა. „გუცუნია, გოგო! ბურთი მოძებნე და მომიტანე“. შეწუხდა გოგონა, მაგრამ რა ექნა. არც ჩვენ დაგვიტანებია ძალა.

იმ ღამეს ჩვენმა ბურთმა ჯანელიძეების ოჯახში გაათენა.

●

გუცუნიას უმცროსი ძმა მოუკვდა, თითქმის მისი გაზრდილი იყო. ძმის ტოლი ბიჭები რომ თამაშობდნენ, თვითონ ფანჯარას მოადგებოდა და უყურებდა. უყურებდა და ძმაზე ფიქრობდა გუცუნია.

●

მეორე დღეს გოგონა თვალს ვეღარ გვისწორებდა, ქუჩაც დაწყნარდა.

კოტიკომ მამამისს გული შეუწუხა — ბურთი მიყიდეო. ჯემალს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, მისი ვაჟი ფეხბურთელი გამხდარიყო. ორი დღის შემდეგ ახალი ბურთი გაჩნდა. სახარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მუხადის ძლიერი დარტყმის შედეგად გუ-

ცუნიას ფანჯრის მინები ზრიალ-გრიალით ჩამოცივდა. ბიჭები ჭუჩაში აღარ ჩანდნენ. მხოლოდ ბურთის მფლობელი კოტიკო იდგა ღობესთან გაფითრებული, არც გუცუნია ჩანდა. ივანზე გოგია გამოვიდა „გუცუნია! ბურთი მოძებნე!“ — გაისმა ხმა. კოტიკო შიშმა აიტანა, სულ მთლად გაფითრდა გოგიას სახლში ყოფნა რომ წეიტყო. „რა ჯანდაბა დაგემართა, გოგო?“ — გაისმა ისევ გოგიას ხმა.

აკანკალებულ გუცუნიას ბურთი ორივე ხელით დაეჭირა და მამისაკენ ფრთხილი ნაბიჯებით მოდიოდა. გოგიამ გამოართვა ბურთი და ის იყო დანა უნდა დაეკრა, რომ ამ დროს გუცუნიამ ტირილნარევი ხმით უთხრა:

— ვაჟიკოს ტოლები ვართ, მიძე...

— არ დაჭრა, გეხვეწები! — გახსნილი ხმით შესძახა კოტიკომ.

გოგიას ხელი ჰაერში გაუშეშდა. მერე მძიმედ დაუშვა და დანა გვერდზე გადაადგდა. იმ მხარეს გაიხედა, საიდანაც ხმა შემოესმა. ღობის შუა პატარა ბიჭის სახე დაინახა. დააკვირდა. „ჰა, შვილო“ და ბურთი ჭუჩაში ისროლა.

გუცუნიამ სარდაფში ჩაირბინა და გახარებულმა მეორე ბურთიც ჭუჩაში ისროლა.

კენედის მკვლელობა

კენედების უფროსი ვაჟის მკვლელობის ამბავი ჩვენს ქუჩაზე მთელი გულით განიცადეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა არც იცოდა, ვინ იყო იგი.

ეზეკიმ იმ დილით ჩვეულებრივად რადიო ჩართო ახალი ამბების მოსასმენად... ამერიკის პრეზიდენტის მკვლელობას იტყობინებოდნენ. შეწუხდა მოხუცი და მძინარე მეუღლე გააღვიძა.

— გაიგე, ქალო, რა მოხდა? კენედი მოუკლავთ ამერიკაში.

მძინარე ქალმა მოკლესო რომ გაიგონა, ლოგინზე წამოჯდა და ის იყო თავში უნდა წაეშინა ხელები, ისევ ქმარს მიუბრუნდა:

— ვინ მოკლესო? ამოიღე ხმა, კაცო!

— ამერიკის პრეზიდენტი, — მიუგო ეზეკიმ.

— უბედური დედამისი, რა გამწარდებოდა. როგორი საქმეა შვილი გაზარდო და ისიც პრეზიდენტი, — მოთქვამდა ქალი.

— რა უბედურება ჰირთ ამ ხალხს, პირველი შემთხვევა კი არ არის, — ჩაილაპარაკა ეზეკიმ.

მოხუცი წამოდგა, ჩაიცვა და ეზოში გავიდა.

— დილა მშვიდობისა, ეზეკი ბიძია, — მიესალმა სამსახურში მიმავალი მეზობელი.

— დილის მადლი შეგეწიოს, ჩემო ზურიკო, გაიგე, კენედი მოუკლავთ.

— რას ამბობ, ეზეკი ბიძია! — და ზურიკო ღობეს მოადგა.

— ამ დილით რადიომ გადმოსცა.

მოლაპარაკე მეზობლებს ჯიმშერიც ჩემოუერთდა, ჰმას დუშიკო მოჰყვა ნადიაც მათკენ გამოეშურა. ეფროსინე ბერეკაშვილმა რომ დაინახა მისი რძალი ჰიმკარში გადიოდა, მიაძახა:

— სად მიდიხარ, ნინა?

— ახლავე მოვალ, კენედი მოუკლავთ.

— ვისი შვილია, ამეიღე ხმა! — და თვითონ კობიძეების თამარას გადასძახა:

— თამარა „შპრიცი“ აიღოლე, ვიღაცა მოუკლავთ ჭუჩაში და მთელი მეზობლები ეზეკის სახლის წინ შეჯგუფულან.

ნათელა საღამოს ცვლიდან ბრუნდებოდა. როცა დაინახა თავისი სახლის წინ თავმოყრილი ამდენი ხალხი შე-

შინებულმა იკითხა, ხომ მშვიდობა არისო.

— კენდი მოკლეს, ჩემი კიტას კბილა ყოფილა, — იცრემლებოდა ნადია.

— თქვენ გადაგრიათ ღმერთმა, მე მეგონა ჩვენთან მოხდა რამე-მეთქი და იქვე ღობის წინ ხის მოგრძო სკამზე ჩამოჯდა.

— ცოლშვილიანი თუ იყო სატრფიალი? — იკითხა გუგუშამ.

— ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა, შვილი დარჩა. — უპასუხა დუშიკომ.

შეჯგუფულ მეზობლებს სკოლაში მიმავალი ბავშვები შემოეერთდნენ. ასე მოვიდა კენდის მკვლელობის ამბავი ჩვენს ქუჩაზე.

ბურღღუას ბიჭები

ბურღღუა ერთი მშრომელი კაცი იყო. ჰყავდა ცოლი აგრაფინა და ხუთი შვილი. ქუჩაში გადაგდებული რკინის პატარა ნაჭერიც რომ ეპოვა, იმასაც სახლში მიაქანებდა. ხელცარიელი შინ დაბრუნება დიდ ცოდვად მიაჩნდა. ხუთი „პირდაფჩენილი“ ბიჭი ელოდებოდა და რა ექნა?! აგრაფინა იყო და, მოგეხსენებათ, — ხუთს კი არა, ერთს ძლივს აუდის კაცი. ჩამოდნა და გახმა შვილების მოვლა-დვენაში. საღამოს ძრომას რომ მოწველიდა, რძეს ქვაბში ჩაასხამდა, პურს ჩაყრიდა და მეორე დილით ამ ჩაბუგბუგებული რძიანი პურით გამოუტენიდნენ შვილებს კუჭს. ეზო ხეხილით ჰქონდა სავსე. სახლში მომავალი ბურღღუა საღამოს ბაზარში შეივლიდა, ხელს რამეს გამოაყოლებდა, შედარებით იაფფასიანს, ცოლი რაღაცას ერთ ოჯრას მოახლაფორთებდა და ასე გადააგორებდნენ ვაზშამს. ბურღღუას გაგონილი ჰქონდა — გაჭირვებას რომ კაცი გამოივლის, ის კაი კაცი დადგებაო. ამ იმედით სულ ჰკუას არიგებდა შვილებს. აგრაფინა უფასო ვეჭილად ედგა ბიჭებს — „რა იყო, შე კაცო, ბოშები არიან, ერთ ადგილზე რა დამაგრებთო“, — ეტყოდა ქმარს. ცალკე მეზობლები იყვნენ შეწუხებულნი. მაისიდან კვერნაძის ბალი რომ შეთავაზებოდა, გვიან შემოდგომამდე ბურღღუას ბიჭები ლამის ზედ იძინებდნენ, მუსრს ავლებდნენ ხილს და ბოსტნეულს. შეწუხებული მეზობლები რომ შეჩივლებდნენ — მოგვაშორეთ თქვენი ბავშვებიო — აგრაფინა, თუ მოსარიდებელი კაცი იყო, ეტყოდა: „რა უჭირს, ბოშები არიან“, თუ შეთამამებული იყო მომჩივანთან, ხელ ღღეს დააყრიდა, აქეთ ახდევინებდა ბოდიშს.

სადილობის მერე ნამზითევ აკორდეონს გადაიკიდებდა და დაუკრავდა, ამით ცოტა ხნით იოკებდა ბავშვებს, რომ საჭმელი შერგებოდათ და ვედრად არ გაჭრილიყვნენ. ბურღღუა ტახტზე წამოწვებოდა და თვალს მოატყუებდა. ცოტა ხანში ბიჭები დაახტებოდნენ მძინარეს და საშველს არ აძლევდნენ. „მომშორდით, თქვე ოხრებო“ — წამოუხტებოდა მამა შვილებს. აკორდეონის დაკვრით გართული აგრაფინა ეტყოდა: „რა ვუყოთ, ბოშები არიან, აპა, სხვა კაცს ხომ არ დაუწყებენ ღლაბუცს“.

— ბიჭებო, მოდით დედა შემოგევლოთ, სიმღერას გასწვალით, ალილოზე რომ წახვალთ, არ შეგეშლებაო, — ეტყოდა დედა შვილებს და წამოიწყებდა „ოცდახუთსა დეკემბერსა“... ამ დროს უფროსი შვილი გავარდებოდა ეზოში და დანარჩენებიც მიჰყვებოდნენ „არ გვინდას“ ძახილით.

რევაზ კლდიაშვილი
მოთხრობები

ახალი წლის წინა კვირას ბურდღუას და და სიძე ეწვივნენ მოწამეთიდან. აგრაფინამ იცოდა, მისი მული საახალწლოდ საფიჩხიას ბაზარზე რამეს რომ ჩამოიტანდა გასაყიდად და ბაზრობის მერე ძმასაც ინახულებდა. დიასახლისმა ცოტა რამე მოიმარაგა და საგულდაგულოდ გადამალა. ეშინოდა, ბიჭებს არ მიეგნოთ და არ ამოეჭამათ.

— მამიდა! მამიდა! რა მოგვიტანე? — შემოესივნენ ძმისშვილები დიდი ხნის უნახავ მამიდას.

— ბაზრობაზე ვიყავი, მამიდა შემოგეგლოთ, ნაუცბადევად წამოვედი, — შეწუხდა მამიდა.

— რა მოგარბენინებდა, ნელა წამოსულიყავი! — უთხრა უფროსმა ბიჭმა.

ბურდღუას სისხლი კინაღამ ჩაექცა შვილისაგან ასეთი უტიფარი პასუხი რომ გაიგონა. ჯადის ზელაში გართულ აგრაფინას მაინც და მაინც არ წყენია მულის მისამართით ნათქვამი, მაგრამ შეწუხებული ქმარი რომ დანახა, გამხნევა? „რა მოგვიდა, ბიჭო, ბავშვები არიან, აკლიათ მაგათ რამე თუ?“ და ბიჭებს დაუცაცხანა.

აგრაფინამ თავისი ნახლაფორთები სუფრაზე დაალაგა და სტუმრებიც მიიპატიჟა. ამ დროს ბურდღუას ბიჭებმა შემოგლიჯეს კარები, გაძვრნენ-გამოძვრნენ, ზოგმა მჯადს დასტაცა ხელი. ზოგმა ჭაშმის ნაჭერი დაითრია. ერთმა აგრაფინას საგულდაგულოდ შენახულ ტკბილ კვერს და ჯანჯუხს სტაცა ხელი. ბიჭები კისრისტეხით გაცვივდნენ ეზოში.

სტუმარ-მასპინძელს დანა კბილს არ უხსნიდა. აგრაფინა გაშეშებული იდგა, ბურდღუა ჭარხალივით გაწითლებულიყო.

„რა ვუყოთ, ჩემო აგრაფინა, ბავშები არიან, რას იზამ“ — ჩაესმა აგრაფინას უცხო ხმა და მოცელილივით დავშვა სკამზე.

უნაგირას მთის ძირში

უნაგირას მთის ძირში იწყება სოფელი. ბავშვობაში ზაფხულობით ერთ თვეს ყოველთვის იქ ვატარებდი. იმ ზაფხულსაც ძალიან ცხელოდა, მოვკალათდი ავტობუსში. ჩვენმა მძღოლმა ცენტრალური გზიდან გადაუხვია და ალმართს აუყვა. თავი გადავყავი ფანჯარაში. გავცქერი სოფელს. გადასახვევიდან ცოტას რომ ამოივაკებ სოფლის საბჭომდე მთელი ზედა სიმონეთი ხელისგულივით მოჩანს. დიდი ოდა სახლები თავისი საკარმიდამოთი, ვენახები, კვლებად დაყოფილი ბოსტნები, ზოგან თავმომწონედ აღმართული მუხის ხეები, აგერ გოგონა, ბეჭზე ჩაფშმოდგმული ლამაზად რომ მიარხევს ტანს.

ავტობუსში სიმონეთელები, ზემო იმერლებს რომ სჩვევიათ ისე, სიტყვა-პასუხს არ აკლებენ ერთმანეთს. ჩემს გვერდით მოხუცებული კაცი ზის, ვატყობ გამოლაპარაკება უნდა, მაგრამ თავს იკავებს. მერე უკან მიიხედა და:

— რავა თავი არ მომიკვდება, ვერ შეგამჩნიე, შვილები არ მომიკვდეს! — მოუბოდიშა მოხუცმა ერთ თანამგზავრს.

— არა უშავს, ნუ შეწუხდებით! როგორ ხართ ოჯახში? ბიცოლა პუპი ხომ კარგად არის? ვერ ვინახულე...

— ასე უნდა მერე?

— რა ვქნა, ანჯიქო ბიძია, ოჯახი, ბავშვები, კოლეურნეობა, საქონელი, მარტო ვარ. ჩემი ქმარია და ტყიბულში მუშაობს. შაბათ-კვირას თუ მოვა სახლში. თქვენი შვილები ხომ კარგად არიან?

— კარგად ვართო, იწერებიან...

— კაი ბიჭები არიან სამივე.

— საჭიშედ კაი მოგცეთ ღმერთმა, მე რა?..

— რავა, რა იყო, ბოშო? — დაინტერესებულმა ანგელინამ ყურები დაცქვიტა.

— რავა რა იყო, ამბის მოკითხვაც აღარ უნდათ. მარტო სირცხვილმა მომკლა, მეზობლები რას იტყვიან? არა, მაგათაც კი არაფერი აქვთ სათქმელი, სამივე ასე რამ დაამგვანა ერთმანეთს! რძლებს რას ვერჩი, ჩემი ბიჭები არიან ბედოვლათები და იმის ბრალია.

— დედა, დედა! რათ არ მოვკვდები. — წამოიძახა ანგელინამ, — რავა გავცდი ჩემ გადასახევს. ამირან! გააჩერე მაგ დასაწვავი მანქანა, — წამოავლო ხელი პურებით გატენილ კალათას და ავტობუსადან ჩავიდა. — ანჯიქო ბიძია, გადახდილია!

— შემაწუხე, თავი არ მომიკვდეს მაღლობა. მომიკითხე შენი „ყაძახი“.

მოხუცებული ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე გადმომხედა და მკითხა:

— რა გქვია, ბაბუა, შენ?

— გიორგი. — მივუგე.

— საით მიდიხარ?

— ღვინეფაძეების უბანში.

— ვისთან?

— თამარა და ვანო თუ გაგიგონიათ, იმათთან.

— გამიგონია და გითქვამს?! ვანომ წამიყვანა პირველად სამუშაოდ ტყიბულში, ვენაცვალე თამარას. რა გოგო იყო! ბედაურზე შემომჯდარი თამარა ტყიბულში რომ შემოაგელვებდა, მის შეხედვას არაფერი ჯობდა! რძლებიც ისეთი მოიყვანა, ახლაც იცან ძველებმა სოფელში თქმა, — ალექსანდრეს ერთი უღელი რძალი რომ ჰყავდა, ისეთები არ მოიყვანონ ერთბაშდო! ეჰ, კაი იყო ახალგაზრდობა! დიდი მოკითხვა გადაეცი. უთხარი, ანჯიქო გიორგაძემ მოგიკითხა-თქო.

— გადავცემ.

ბოლო გაჩერებაზე მძღოლმა, დავით კლდიაშვილის სახელობის მუზეუმთან, პატარა მოედანზე, ისე შემოატრიალა მანქანა და იქვე მდგარ ახალგაზრდა გოგონას წინ შეაჩერა. მოხუცმა თავი მოიკლა და ბილეთის ფული არ გადამხდევინა. გამოვემშვიდობე და მუზეუმის ეზოში შევედი. არავინ ჩანდა. მოვუარე უკანა მხრიდან და გაღმებული კოწია დოღნაძე დავინახე — მუზეუმის თანამშრომელი.

— კოჭოლიას გაუმარჯოს! — მომაძახა.

— კოწია ბიძიას სიცოცხლე, — შევძახე, — ნუცა დეიდა არ არის?

— თერჯოლაშია წასული, სახურავი გვინდა მუზეუმს გამოვუცვალოთ.

— საქმე არ ელევა, სულ გზაშია. ეს რა აგიშენებიათ, კოწია?

— ეს, ბატონო, მუზეუმის ბიბლიოთეკაა. ჩვენთან არ დარჩები? ჩვენებს ველოდები თბილისიდან.

— აბა, ჩემო კოწია, წავედი, მერე გადმოვალ.

— ბაბილინა, უ უ! — მომესმა ხმა.

— ქათამს რომ ეძებდი, წუხელ, ჩვენ ხეზე ყოფილა.

— მაგის სინსილა გაწყდა, მაგის წანწალმა გამიშრო სისხლი.

ავუყევი აღმართს. წარაჭოულის წყარო გამოჩნდა. ცხონება იყო პირდაპირ ამ სიცხეში! თენგიზ ღვინეფაძეს და მის ტოლ იმ უბნის ბიჭებს ახალგაზრდობაში წყარო ქვაში მოუჭედიათ, გვერდზე პატარა არხი გაუკეთებიათ, საქონელს რომ დაელია წყალი. აქედან ბროწეულის ხეივანი იწყება; ხელმარჯვნივ მაყვლის ბარდებია. პეპელა ბებიას სახლთან შევჩერდი, ტყლაპები გამოეფინა მზეზე გასაშრობად. თუ პირდაპირ გაუყვები გზას — ონოფრეს სახლია; ბარცხნივ — ლენია სახლობს; მის მეზობლად —

მათი ბიძაშვილი კალენიკა. სულ ზემოთ ცხვრები თუ შენიშნოთ ერთ ადგილზე შეკვუფებული, ეს პოლიჩკას ნამოსახლარია. სულ მაკვირდა რა წამხი დააქცია ამ ქალმა იმ ადგილზე რომ ცხვარს ვერ მოაშორებ იქაურობას! აქედან წინწკილა მოჩანს და ორი ეკლესია, ასე რომ ამშვენებენ სოფელს. ქვევით თუ დაეშვები, მინაგო ღვინეფაძე და მისი ძმა სახლობს: კიდევ უფრო ქვევით — ცნობილი ფარმაცევტის — აბესალომ ღვინეფაძის ოჯახი, რომელსაც თავის დროზე ოდესაში მიუღია განათლება და მთელი თავისი ცხოვრება სიმონეთის აფთიაქში გაუტარებია. მახსოვს, რა ტკბილი და განათლებული კაცი იყო.

აი, მივადექი ჩემს მასპინძლებს. შევაღე ჭიშკარი. თამარა ბებია ქათმებს სიმინდს უყრიდა. მოულოდნელობისაგან წინსაფარს ხელი გაუშვა. ჩვენ დიდხანს ვიყავით გადახვეულნი.

— ვანია! ვანია! კიჭოლია მოვიდა!

— რა იყო, ბოშო?

— ვაი, შენ არ გეიგონე არაფერი!

— თქვენ კიდევ ჩხუბობთ?

— რა მაქვს მაგასთან საჩხუბარი? დავბერდი, ჩემო კიჭო!

— რა დროს სიბერეა?! ცოლს რომ მოვიყვან, ბუხრის პირას შენებურად რომ არ დატრიალდე, არ იქნება!

— დეიღუპე, რა დროს შენი ცოლია?! — ამის თქმა ვერ მოასწრო და იქვე ქათამს ისე მარდად წამოავლო ხელი, ჩემთვის რომ ეთქვა დამიჭირეთ, ერთი საათი უნდა მერბინა. როგორც იქნა, გამოჩნდა ვანია ბაბუა, ჯურის მოსახდელად ყოფილა პატარა თუნგით.

— ოო! — კიჭის ვახლავარ! — ჯოხდაბჯენილი ჩემკენ მოდიოდა, — ტარზანმა შეიყვარა ჯენი, კიჭიმ შეიყვარა... ე, ბიჭო, მითხარი რა ქვია?

— გეტყობა, ვანია ბაბუა, ტარზანი რომ ნახე, მის მერე კინოში არ ყოფილხარ.

— ისიც წყალტუბოში აბაზანებს რომ იღებდა, ალბათ, ძალით წაიყვანეს. — ჩაიხითხითა თამარამ.

— სტუმარი ხვთისაა. ჩემო კიჭო, პალატში შევიდეთ, — მოთრია ჯენი ღვინეფაძემ.

— რა არის ეს?! — შეიცხადა ბებიამ.

— ნამცხვარია, — ვუპასუხე.

— შენი წუწკობის ამბავი იცოდა ბიჭმა.

— თუ არა, ჩემო ვანო, შენ ააცდენ პირს!

— ასე ვყავარ დაჯაბნებული ამ ქალს, უნდა გავცილდე უთუოდ!

— ოღონდაც გადაწყვიტე და მე გამაშვლებ, — მიუგო მოსიყვარულე მეუღლემ.

— უყურე ახლა ამას?!

ამასობაში მოუჯრა ნამცხვარი და ორიოდე გამაგრილებელი სიტყვაც მიაყოლა:

— ცეცხლი და ნავთი ვანიას!

— შაჭარყინული თამარას!

— კაი მოგცეს ღმერთმა, მარა სადაა?!

— ნამგზავრია ბოგში, დატრიალდი.

— მაცალე, შენ არ დაგცალდა, რა ბუზარა შეგიძვრა, შე კაცო!

ბებია შეუდგა სამზადისს, გააჩაღა ბუხარი, კეცები ააყუდა ცეცხლთან, ჰადი გამოხელა, კეცებს დააკრა და ნიგზვის ფოთლები დააფინა. შემდეგ სახელდახელოდ ხაჭაპურიც დააცხო.

მაგიდას თეთრი სუფრა გადაეფარა, ზედ წელში გამოყვანილი პატარა ჭიქები ჩამოარიგა. ხალმიდან ყველი ამოიღო, იქვე მაგიდაზე დაფლითა. ხის პატარა გობზე პამიდორის სალათა გააშზადა, ქათამი აქნა და მაყვლის წვენში ჩააწყო. ჩვენ, კაცებმა, ჯურს თავი მოვუხდეთ, ღვინო ამოვიღეთ. შემოვუსხედით სუფრას. ცოტა მოგვიანებით გასავათებული თამარა ბებიაც შემოგვიერთდა.

— ქალის ბედი დასწყევლოს ღმერთმა! ერთი ღვინის ამოღება ეკითხება მაგას, მეტი არაფერი.

— შენით მიდგია სული, ჩემო თამარა, შემარგე ახლა, თუ ქალი ხარ!

— თუ არა, ტყვილს ვამბობ? შეგხვედროდა ერთი პასიკოსთანა ქალი, რა დღეში იქნებოდი, იმასაც ვნახავდი!

— კიჭი, ვადღეგრძელოთ ჩქარა, თუ არა შეგვჭამს! ჩემო სიცოცხლე, შენ რომ ამნაირი ქოთქოთა არ იყო, ბუნჩულა ქალები რომ არიან, იმნაირი რომ ყოფილიყავი, ჩემს ბედს ძაღლი არ დაყეფდა, მარა გული გაქ კაი! ჩემი თავი გიმყოფოს კარგად ღმერთმა!

— რა გინდა ამ კაცთან? შახტაში რომ მუშაობდა, გემახსოვრება, დიდი ხელფასი ქონდა, ხომ კაი იყო ფულები რომ მოქონდა შენთან.

— —აბა, სად უნდა წაეღო? ნუ გეშინია, არაფერი დაუკლია მაგას თავისთვის.

— ის შემრჩა მარტო, ჩემო თამარა, — ჩაიცინა ვანომ.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა, ამასობაში მოსაღამოვდა.

— ვანო! ვანო! — გაისმა ეზოდან.

— ონოფრეს გაუმარჯოს, ონოფრეს! — მიაძახა ვანომ.

— გადაგვქცევს ახლა მარუხის ამბების მოყოლით, — ჩაილაპარაკა თამარამ.

— გაჩუმდი, ქალო ასე გადაგკიდებს ეს ოჯახქორი მეზობელს! აცალე, იმ კაცს ის სიამოვნებს.

ამ დროს კარებში ორ ჯოხზე ხელდაბჯენილი ონოფრე ღვინეფაძე შემოვიდა.

— ოთია იყო ჩემთან, შაბიამანი მომიტანა. კიპოლია დაუნახია გზაში და მითხრა, ჩამოვიდაო. ვერ ვიცნობდი რომ შემხვედროდა. რამოდენა გაზრდილა?!

— ბეჭა, პატარა ვის დაემსგავსებოდა? აქეთ, სუფრასთან მობრძანდით, ონოფრე, — მიიპატიჟა თამარამ და თეფში მიაორთვა.

— რა ამბავია ქალაქში? მოგვიყევი წვრილ-წვრილად, არაფერი გამოგრჩეს.

— მშვიდობა.

— მშვიდობა უნდა იყოს, ბაბუა, აბა, რაც იყო, არ გვეყოფა? რაც მე მარუხის ბრძოლებში ტანჯვა, გზაში გადევიტანე, გახსენება არ მინდა. ოჯახში ყველა კარგადაა, ხომ?

— მადლობთ!

— აბა, დალიე ონოფრე, ადღეგრძელე ბიჭი!

— ბაბუა, სიგრძე და სიგანე არ გაკლია, კაი კაცი გამოდი. ისე, გზის ინჟინერი თუ გამოხვალ, იმ დიდი გზიდან ასფალტი ჩვენ ეზოებამდე მოგვეყვანოს!

— კაცის გული გაუმაძღარია, ჩემო ონოფრე, არ გახსოვს, ტალახში დეიხრჩობოდა კაცი აქ მოსულამდე?

— რა იყო, ქვეყანამ თვალში გამოიხედა, რა გასაკვირია უკეთესი რომ მინდოდეს? ერთხელ, მახსოვს, თამარა შენი ძმა ჩამოვიდა ქუთაისიდან. იმ ზამთარს უსაშველოდ დიდი თოვლი მოვიდა. კალოშები ახალი შემოსული იყო. გადავირიეთ, — დათვის ნაკვალევი გვეგონა, გადავძახეთ მეზობლებმა ერთმანეთს, შევიარაღდით, გამოვყევით კვალს და ქე არ მივადექით ვანოს სახლს? ახლა ბოვში კვერცხში წევა, შენ მოატყუებ რამეში თუ?! პირველად გაზის დადგმა რომ დაიწყეს, სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, ეშმაკის მოგონილი მეგონა. გაზი უნდა ავანთო რომ იტყოდა ბოვში, მე და ჩემი ქალი ლოგინზე დავემხობოდით შიშისაგან. ახლა, მითხარი, შეიძლება მაგის გარეშე ცხოვრება? ხალხმა გამეიხედა თვალში.

— ონოფრე, გვაცალე, ამ ბოვშს მოვაყოლოთ ქალაქის ამბები, — თქვა მოთმინებიდან გამოსულმა თამარამ.

— ონოფრია ინტრიგანი არასო, ჩვენ ფოსტალიონს უთქვამს სოფელში. ერთი კვირის გაზეთები ერთად რომ მომიტანა რამდენჯერმე. ვთქვი საბჭოში. ჩემი ინტრიგანობა კაცს არ უთქვამს. არ იტყვი შტერი ხარ —

რევაზ კლდიაშვილი
მოთხრობები

თავზე დაგაჯდებიან, იტყვი და მოგნათლავენ! ჩემო კიკო, ვინ არ მომწონს თუ იცი? ავერ რომ ვხედავ მარტო თავისთავზე რომ ფიქრობს და ამ ქვეყანას წუხრბელასავით რომ წოვს სისხლს, რომ ვხედავ გული მტკივა. ცოლის ნათესავის წლისთავზე ვიყავით ძევრში, თუ რამე საკლავი იყო იმ არემარეში, მის შვილს ყველაფერი სუფრაზე დაეწყო! საწყალ დამიანესათვის სიცოცხლეში ცოტა-ცოტა რომ ეძლია მის შვილს, მგონია, არც კი მომკვდარიყო. შვილის ნახვის ნატვრაში ამოხდა სული იმ უბედურს!

კარგებზე მორიდებული კაკუნი გაისმა. — მინაგო იქნება, — იცნო დიასახლისმა და კარი გაუღო.

— საღამო მშვიდობისა, ცუდ დროს შემოგესწარით, საღილობთ...

— შენისთანა სტუმარი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს, ჩემო მინაგო, — და ბებიამ სუფრასთან მიიპატიჟა.

მინაგო ღვინეფაძე უცნაურად მორიდებული კაცი იყო, ხორცი რომ გეთალა მის ტანზე, არ გეტყოდა მტკივაო. კარგი ოსტატი იყო. ის რომ ბუხარს ააშენებდა, წუნს ვერ დადებდი.

— ხვალ გასვენებაა და იქ ვეხმარებოდი, — თქვა მინაგომ.

— პურ-მარილს თუ აკეთებენ? — შეეკითხა ონოფრე.

— არა, კაცო, ერთი ამბავია! მისი შვილი დიდი კაცი ყოფილა ზესტაფონში და უარზეა თურმე, მე სხვას ვუშლი და რას იტყვიანო. დედამისი თავს იკლავს, ქვეყნის გავალება მაქვს მტერმოყვარეშიო.

— შეხედე ახლა ფოფინეს! რა ამბავშია, შვილის სახელი არ ურჩევნია? იქნებ ბიჭს უსიამოვნება შეხვდეს, — თქვა თამარამ.

— დაგვალევინე, ვანო, გაგვიშრა ყელი, — და ონოფრემ სასმისები შეავსო.

— მეც მათქმევინეთ! ამით, წაფის გვირაბს იქეთ და აქეთ რაც კაი ხალხია, იმათ გაუმარჯოს! განსხვავებული ჭიქით დავლიოთ ეს სადღეგრძელო.

— დათვრა, ეს უბედურება! მე, უფ ძოგცემ განსხვავებულ ჭიქას! ... ძოგაკლახა თამარამ.

— დავთრები, აბა! ღვინოს ვსვამ, წყალს ხომ არა; — მივუგე მე.

— თამარა, თუ გიყვარდე, გამეიღე ჭიქები, ნუ ასავსავებ ხელებს.

— ჩემო კიკო, ისე გააერთიანე გვირაბის იქით და აქეთო, მე ვიფიქრე, ხომ არ დავიშალოთ-მეთქი.

— კაი, ონოფრე ბიძია, ნუ მაფიქრებინებ, რომ ის ფოსტალიონი მართალი იყო!

— თამარა, თამარა! — პალატის კარი ლენიამ შემოაღო. — დედა, დედა, ეს ჩვენი პატარა კიკოლია რამოდენა გაზრდილა! რაფერ მახსოვს ჩემი ეზოს ჭიშკართან რომ იდგა თქვენ ძროხასთან ერთად უთენია! სამწყესურში უყვარდა წამოყოლა! ახლა დიდი ჩარ, მთელი უბნის საქონელს შენ გაგატან.

— ძაან დაავალებ! — გამოელაპარაკა მინაგო.

— სამწყესურში წასასვლელად დილის ექვს საათზე ადგებოდა. წყალი მომიტანეო წარაქოულას წყაროდან, რომ ვეტყოდი, მზეს შეხედავდა — ჯერ სიცხეაო. — თქვა ვანომ.

— ახლა აღარ შეეზარება, ეზოშია წყალი, მარა, მაგან თავის პირით მოყვეს ორი დიდი ჩაფი რომ დამიმტვრია და დღესაც ჩემი ვალი რომ აქვს, — თქვა თამარა ბებიამ.

— მოვყვები! ცუდი არაფერი ჩამიდენია! ერთხელ, გადავწყვიტე ვენაცვალე დეიდასათვის წყალი გადამეტანა მუზეუმში, — იმათი წყარო სულ დამშრალი იყო, რაც თავი მახსოვს. მთიდან ჩვენი ცხენი, კუკურა ჩამოვიყვანე. ძლივს მათხოვა თამარამ, ორი ნამზითვი ჩაფი ქონდა. ჩავაწყვე ხურჯინში, გადავკიდე ცხენს, ავავსე წყაროზე და გავუდექი გზას. ეზოში რომ შევდიოდი, რკინის ჭიშკარი მთლად ღია არ იყო, ვიფიქრე, გავეტევი-მეთქი.

გავხედე, აივანზე ნუცა იდგა და ხელს ჩრდილავდა, აინტერესებდა მხედრის ვინაობა. რომ მიცნო, აივნის მოაჯირს დაეყრდნო ორივე ხელებით.

— Кого я вижу! — მომაძახა, — წყალი მომიტანე? გენაცვალე, არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ცხენი შეტორტმანდა, ორივე ჩაფი იქვე დაიმსხვრა... და მექნა ალარ ვიცოდი: აქეთ შეხვედრის ცერემონიალი უნდა ჩამეტარებინა, იქით სახლში დაბრუნებას ვჩაიდი, Ничего, Ничего იძახის ნუცა და კიბეზე ჩამოდის. მეც გავეშურე, მოვიკითხეთ ერთმანეთი. ზრდილობისათვის ვკითხე, მუზეუმის შეკეთებას ხომ არ აპირებთ-მეთქი. პასუხი ტრადიციული იყო: „Оставь, მომცეს დიდი წვალებით ორი კაპიკი, დაიწყებენ, ალბათ!“

როგორც იქნა დავეფშვენი ხელიდან, მოვედი სახლში, ორთავენი თუთის ხის ძირში ისხდნენ. თამარამ იმ წუთში მკითხა, ნუცას დაუტოვე ჩაფიო? მოჭიხა ვუპასუხე, გავტეხეთქი. რომ გაირტყა სახეში ხელი. ხუთივე თითი დააჩნდა ლოყაზე. „ვანია, ვანია, შენ აგიდგა მაგ დახუთული ფეხები, თუ ჩასულიყავი და მიგეტანა წყალი იმ ქალისათვის. გაწყდა ღვინეფაძეების ჯიში, ჩემი დათიკოს გარდა! — მიაძახა ვანოს მოთქმით.

— ჩემო კიჭოლია, ჩამოუტანე ჩაფი? — იკითხა ლენიამ.

— ჯერ ხელფასს არ ვღებულობ, სტუდენტი ვარ.

— რა მალე გადის დრო! მე რომ თქვენთან ვიყავი, ბაბუაშენი ახალი გარდაცვლილი იყო. დედა, რა დამემართა, რავა შევრცხვი! მწიფობის თვე იყო. საქმე მჭონდა ქალაქში და ვიფიქრე დაქვრივებულ ელიჩკას ვნახავ-მეთქი. შემიპატიჟეს, როგორი მიღება იცის მერე? წიგნების თაროსთან დიდი სურათი იყო, რომ მივადექი ამ სურათს, ძლივს დამდღლიზეს, ეს-ბერე, მარა რა ვიტირე, ჩემო თამარა, შენი ძმა! ვუყურებ ელიჩკას — გაკვირვებული მიყურებს! ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში. — ეგ, ჰეთინგუეი არისო. ჯერ ვერ გავიგე, იყო გუნდში ყავი ტირილით გართული. ვეფიცები — ასე უძახოდით ბოკშოებში-თქო? რას ვიფიქრებდი, ახალი დაქვრივებული იყო და ვიღაცა კაცის სურათი ექნებოდა გადიდებული და ასეთ საპატივცემულო ადგილზე დადებული. არ დამავიწყდება მაგ მწერლის გვარი. ისეთი კვალი შენი ძმა, ჩემო თამარა, ნამეტანი გავდა.

— მე რომ მარუხში ვიყავი... — არ ჰქონდა დაწყებული ონოფრეს, რომ თამარამ იკივლა.

— ონოფრე, არ მოყვე თუ არა, დანა მიკავია ხელში და კისერს გამოვიჩრი!!!

— სახლშიდაც რომ დავიწყებ, ასე მეცემიან ყელში, ეჭვი ხომ არ გეპარებათ?

— მაგ ბრძოლებზე წიგნი რომ გამოვიდა, სპეციალურად წავიკითხე, ონოფრე ღვინეფაძე არსად არ წერია. ეჭვი კი არ მეპარება, ომში რომ იყავი, მარა, შენ რომ ყური დაგიგდოს კაცმა, ომი შენი მოგებულია, არც მეტი არც ნაკლები.

— მალადეც, ჩემო კანია, ამას რომ გაუძელი აჭამდე!

— თამარა ბიცოლა! — გაისმა ხმა.

— ვინაა ამ შუადამეს რომ იძახის, ვაი, ამ სინათლის გამომშვებს მიეცეს ჩვენი ცოდვა.

— ნანი ვარ.

— შემოდი, გენაცვალე. ამ უკუნეთ ღამეში ვერ გიცანი.

— მინაგო ბიძიას ვეძებდი, თქვენთან ყოფილა.

— რა იყო, ბიძია? — წამოდგა მინაგო.

— გაიცანი, ნანი, ეს ჩემი ძმისშვილია, კი უნდა იცნობდეთ ერთმანეთს, მგონი.

წამოვდექი, ხელი გავუწოდე, გოგო-

რევაზ კლდიაშვილი
ჩოთხრობები

ნამ დიდრონი შავი თვალები ქვევიდან შემომანათა და მორცხვად შემომხედა.

— ჩამოართვი, გოგო, ხელი, — მიაძახა ლენიამ.

გოგონა წამოწითლდა.

— შენ კი ხარ მორცხვი, მარა შენს დებს მაკლაკვი ვერ აჯობებდა ლაპარაკში!

ნანის სკამი შევთავაზე და გვერდზე მოვისვი. ვანია ბაბუამ ღვინო ჩამოასხა და ქალიშვილი აღღეგრძელა.

— მე უნდა წავიდე, მინაგო ბიძია, დედამ გამომგზავნა, სინათლე გადაგვეწვა და იქნებ გაგვიკეთოსო.. .

— მინაგო ბიძიას როგორ შევაწუხებ, აგერ არა ვარ მე? — ვუთხარი ნანის.

ნანისაგან დაბრუნებულმა პალატის კარი შევაღე:

— გაფრთხილებთ, არ მითხრათ, ნანი ჩვენი ნათესავიაო!

— ახლობელი ისეთი — მეტი აღარ იქნება, — მიპასუხა ლენიამ, — მაგ გოგოს მამა ვანოს ნათლულია, მეტ რაღა გინდა? შვიდ მოდგმაზე გათავებულია საქმე.

— კარგი, დავუშვათ, ეგ ეგრეც მერე, მე თამარას ძმის შვილისშვილი ვარ, ვანოსი ხომ არა? ბები, მომეცი გიტარა!

— ხომ ვთქვი, მაგისთვის ღვინის დალევა არ შეიძლება-მეთქი. ვანიამ მიზეზი იშოვა და გადამირია ბიჭი. აგერ გიტარა, აიღე, ასაწყობია.

— მომე, ბოშო, ავაწყობ, — უთხრა ლენიამ და გიტარა მოიმარჯვა.

— აბა, მინაგო, ბანი! თამარა, მოიმჯექი გვერდზე, ერთი საპოვნელა ვთქვათ!

თამადამ ახალგაზრდობის სადღეგრძელო შემოგვთავაზა. იმ საღამოს გვიანობამდე ვანო ღვინეფაძის პალატის ღია ფანჯრებიდან მეზობლებს ტკბილი სიმღერა ესმოდათ, ხანდახან სიმღერას ონოფრეს ხვრინვა უშლიდა ხელს, თუმცა მას მინაგოს მწყობრი ბანი ფარავდა.

წიგნიდან: „ლანდები და ისინი“

●

უყურეთ: ესენი მას კლავენ
და არ იციან რატომ კლავენ
და როცა მოკლავენ, შემდეგ
გაირკვევა, რომ არ იცოდნენ
რატომ მოკლეს, — გასაგებია?

თავი აქვს აწეული და ამათ
მისთვის მახვილი ნიკაპქვეშ
შებჯენილი, ე. ი., მას თავი
აწეული აქვს იძულებით, და
არა გამბედაობის სიჭარბით.

მახვილს შუაში სიგრძივ
აქვს ღარი, და ეს ღარი
იხსენიება მისი გზით სისხლის
პირველი წვეთის ჩამოსადენად.

●

აღმართებს შეუყვნენ
და მიდიოდნენ ციცაბოებზე,
და გაიარეს ვიწროები... ერთს
ეშინოდა, მეორეს იმდენად
არა... და რას არ ებღაუჭნენ,
როგორ არ ეწამნენ, მაგრამ
იქ მაინც ააღწიეს, — ზევიდან
შემოუარეს და ჩახტნენ.

და ნახეს: სამკუთხა რამე
მღვიმიდან გამოსჩქეფდა
წყარო და იქვე გუბდებოდა,
და გუბიდან გამდინარი წყალი
ვარდებოდა ქვევით და იქიდან
ამოდიოდა ნისლებად... და ზოგი
დაიჯერებს, ზოგი — არა, მაგრამ
იმ ნისლებში მთელი დღე

და წვერი გზას მიიკვლევს,
და კიდევ შევა თუარა
სულერთიამდე გაუჯდა
და ჩამაგრდა, სისხლი, —
ნაწილი დაიღვარა, დანარჩენი
სხეულშივე ჩარჩა, და ჩატოვეს
მახვილიც; ბნელს შეერივნენ.

მოვიდნენ კეთილნი,
ამოარიდეს და ერთმანეთს
გადასცემენ, ათვალიერებენ,
ფხას უსინჯავენ, ხოლო
რომლებმაც უკვე შეათვალიერეს,
ხელებს იწმენდავენ, და თან
იმას უყურებენ, ვისაც
ახლა უჭირავს ის მახვილი

გარეული იყო ცისარტყელა,
და კიდევ იქ მთელი დღე იყო დილა.

და ჩამოსვლის ჟამს გაირკვა
ისიც, რომ იმას, რომელსაც
ამოსვლისას ნაკლებ ეშინოდა, —
ახლა შეუდგა შიში, ხოლო
მეორეს თითქმის სულ გაუქრა,
გათამამდა და აწ განგებ
უფრო სახიფათო გზებსაც კი
ირჩევდა და ამითი, იმ უკეთეს
სანახაობებსაც აგნებდა, რომელთა
შესახებაც მათ ჩამოსვლისას
უნდა ესაუბრათ და აგრეთვე
შემდეგშიც ყოველთვის
მოეგონებინათ.

●

თემი შეკრებილა
და გასუსულები უსმენენ ბელადს
და მეორე რიგში მდგომებსაც
მთლიანი, ხოლო მათს უკან, სხვებს,

ნახევარ-ნახევარი სახეები უჩანთ
და დანარჩენებს, იქით,
ცალ-ცალი თვალი, და უკანანი
საერთოდ არ ჩანან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბინდდება.
და ქადაგი გაშმაგებულია, —
მუშტებს იქნევს, ჟამიჟამ
თითებს ფარჩხავს, თვალებიდან

ნაპერწკლები ეფრქვევა.
და ვხედავთ: ენა აულაპლაპდა
და ვფიქრობთ: გულში დაგზნებულმა
ცეცხლის ენამ ამოაღწიაო.

●

ალბათ რაღაცა ძვირფასი
შეინახეს, ან სულიერი
გამოამწყვდიეს, რასაც
არ შევსწრებივართ, ხოლო
ამჯერად ისინი კარებს
კეტავენ, ეს უკვე
მერამდენეა... აჰა, ბოლო
და ესეც დაკეტეს,
წასასვლელად გაემზადნენ,

და წასვლამდე ერთხელაც
მიტრიალდნენ, რათა
შეემოწმებინათ, მაგრამ
პირველის გაუღებლად
მეორე იქითას და ა. შ.,
რომ ვერ შეამოწმებდნენ,
ამან ისინი დააფიქრა,
საგონებელში ჩააგდო.

●

ერთბაშად მთელი სოფელი
დადგა ფეხზე და ლანძღვა-
გინებით, მუქარით, მუშტების
ქნევითა და ა. შ. — გავიდნენ
გალავნის ჭიშკრიდან.

და გადაიარეს ერთი მთა,
მეორე და კიდევ რამდენიმე
და გზაზე გავიდნენ, იარეს
და თავი უკვე სრულიად
უცხო მხარეში ამოჰყვეს.

და მაშინ ესენი ნახეს იმ
იქაურმა სხვანაირმა კაცებმა
და ცნობისწადილითაც დაუწყეს
ყურება, მაგრამ, როგორც
შემდეგში გაირკვა, თურმე მათ
რატომღაც მარტო იმის გაგება
სურდათ, რომ ესენი ამ დღეში
მყოფნი სადმე სხვაგან მიდიოდნენ,
თუ უკვე შინ ბრუნდებოდნენ.

●

ღმერთო, არ მაყიდინო მეგობრობა!
ღმერთო, არ მაყიდინო სიყვარული!
ღმერთო, არ მაყიდინო
გასაყიდად გამოტანილი სინდისი!..

●

ბავშვი როდესაც ვიყავი,
მეჩქარებოდა გაზრდა...
გავიზარდე და ვნაღვლობ
ბავშვი რომ არ ვარ ახლა...

●

პოლიკლინიკაში,
რენდგენის კაბინეტთან
ვზივარ და ველი გაშუქებას...
ვკითხულობ...
თედო ბექიშვილი
ლექსებით მიშუქებს სულს...

●

მადლი ვქენი,
ქვაზე დავდე.
გავიარე,
ვერა ვნახე.
სხვას აეღო...
გავიხარე!..

●

სამი დიდი ბანაკია —
ცოცხლების, მკვდრების
და ცოცხალ-მკვდრების.
. . .
მირჩევნია მკვდრებში ვიყო,
ვიდრე ცოცხალ-მკვდრებში!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერები არ იწვიან!..
მ. გულგაკოვი

წავდნენ
და
წავენ
ხელნაწერებს...
მაგრამ
ისტორია
ყოველთვის
ინახავს
თავის
ხელნაწერს.

მე გავიქეცი...
წავიქეცი...
როცა ავდექი. —
ჩემი ადგილი
უკვე სხვას ჰქონდა
დაკავებული...

ღმერთო! დამტოვე,
ლამაზ მოგონებად!..

ბავშვები თამაშობენ ბურთით...
დიდებიც თამაშობენ ბურთით —
მრგვალი
დედამიწით...



რჟალიდან: «უხსოვრობიდან მახსოვრობაში»

უხსოვრობის სამი წრე

მთელი ღამე ათოვდა სარკმელს.
მეც ნათოვარი ამოვყევი —
ნისლიან ხილვებს და გავირინდე —
უხსოვრობის პირველად წრეში...
თანდათანობით გადაიხსნა
ხსოვნის ქაოსი და იხსენებს
მახსოვრობა რაღაც დაკარგულს:
ქვეყნიურ გარსში —
მზის ფერფლივით რომ
დაციმციმობს.
თითქო სხვის სხეულს ვეუფლები
და ვუმზერ სივრცეს —
ოდესღაც რომ უბილავს ჩემს სულს.
ამ აუხსნელი
შესაცნობით მიმზერს ქაოსი:
ვგრძნობ სანეტარო უწონობას
და სიმძიმიდან გადავდივარ —
სიმსუბუქეში.
მოძრაობიდან — უძრაობაში.

ნეტარი მწუხრით გადმოვყევი
უხილველ სიზმრებს და ნაღვლიანი
დავაბიჯებ სოველ ქუჩებში.
აფორიაქებს ყვითელ ფოთლებს —
სიშორის ქარი
და საიდანღაც არეკლილ სხივებს...
აქ: შემოდგომა მოსულა უკვე.
პირველ წრეში —
გაზაფხულიც არ დაწყებულა.
აქ: ქუჩები სხვანაირია. მოქალაქენი
ცივი მზერით უხმობენ ხსოვნას.
იქ: უცხო სევდით ირევა ხალხი
და იმედით ელიან წარსულს.
აქ: სოფლიური სიჩუმე მეფობს.
აქ: უქმე დღეა და სიმარტივე...
ამ ქალაქში არასოდეს არ
მიცხოვრია.
მაინც მიხმობს:
მისი სივრცე, მისი სიჩუმე.

მივდივარ და — მსუბუქია ჩემი
ნაბიჯი.
მივდივარ და მსუბუქია ჩემი
ფიქრები.
სადღაც მოხუცმა ჩაიარა.
ჩაიარა ჩუმად და მარტო.
ცივად უმზერდა —
ყვითელ ფოთლებს და სიმარტოვეს.
ის მოხუცი არასოდეს არ მინახია.
მაინც მიხმობს:
მისი ფიქრი, მისი ნაბიჯი...
მოასვენებენ გარდამოცვლილს —
სიმძიმის წრიდან.
მოასვენებენ — უცნობი ქუჩით.
ო, უცხოა მისი ფიქრები.
ო, უცხოა მისი სიჩუმე.
მოხუცს თანდათან ეწმინდება
ხსოვნა და მზერა: უხსოვრობიდან —
მასაც ამ გზით მოასვენებდნენ...
უცხოა მზერა. და უცხოა —
ხსოვნა და ფიქრი. მაინც მიხმობს:
მათი მწუხრი, მათი დუმილი.
მათ ჩემში უნდათ დაბრუნება
მე კი — მათში მსურს დავანება
და გადავდივარ —
უხსოვრობის მესამე წრეში.
ხსოვნას კი ათოვს.
უცნაურად ათოვს და ათოვს.

და ისევ მწუხრით, და უსხეულო —
ამოვყევი შორეულ ხილვებს:
სიმსუბუქიდან გადავედი
სიმსუბუქეში.
უძრაობიდან — უძრაობაში.
აქ არის ჩემი ჩასახული:
ძირი და ფუძე.
აქ: სიჩუმეთა სიჩუმე მეუფობს:
აქ: უქმე დღეა და სიმარტივე.

ეს სიმსუბუქე
გამოიხმობს სიჩუმის ბგერებს
და ქაოსის უხილავ ფსკერზე
თანდათანობით იძირებიან —
უხსოვრობის თეთრი წრეები...
და ფერწასული. და ნათოვარი:
სიმსუბუქიდან —
გადმოვდივარ კლავე სიმძიმეში.
უძრაობიდან — მოძრაობაში.
თითქო ჩემს სხეულს ვუბრუნდები
და ვგრძნობ სიმძიმეს —
ოდესღაც რომ უგრძვნია ჩემს სულს.
და დავდივარ:
წრიდან წრეში. არსიდან არსში.
სიმძიმიდან გადავდივარ
სიმსუბუქეში.
სიმსუბუქიდან — კვლავ სიმძიმეში...
ხოლო ფოთლები —
ჟამთაცვლისგან გაყვითლებულნი —
კვლავ მოუთხრობენ სოფელ ქუჩებს:
არსთაცვალობის და სიმარტოვის —
უხსოვარ ზღაპარს.

ARCHEOPOLIS
სიჩუმის სამკუთხედი

მიწყდა ქაოსი.
შეღუნწველ წყვდიადებიდან
ამოვლინდა—
ცივი სიჩუმე. ბოლავს ნისლი —
მოუხილავ ქვეყნიურ ტბებში...
შეუფლებული ლოდთა სიგრილეს —
ვაყურადებ სიჩუმის ბგერებს:
როგორ იძვრის
ეს უძრავი ცა და ხმელეთი.
როგორ დუდუნებს, როგორ იწვის
ჩემს ცივ სხეულში...
უცხო ნაპრალი უცხო ხმების
უხმოდ ირღვევა: უგრძნობლობიდან—
გადმოვდივარ საგრძნეულოში.
უხსოვრობიდან — მახსოვრობაში...
ღვივის ბნელეთი,
ელვარებენ მდინარეები:
მოაქვთ დუმილი
და ნანგრევთა ნანგრევებში —
მარხავენ კრულვას.
ამ ნანგრევებში:
უხსოვარი სურნელი იძვრის.
ამ ნანგრევებში:
უხსოვარი სიჩუმე მეფობს.
და ვუსმენ ქაოსს...
ვუსმენ სიბნელეს...
ვუსმენ სიჩუმეს —
ლიბრიანი სველი თვალებით
და ვეძებ ხსოვნას
ქაოსიდან ამოვლინებულს.
ვეძებ კრულვას
ჩემს დაწყევლილ ტანში ჩასახულს..
და ირღვევა ლოდის წიაღი:
ფიქრი — წყვდიადში შედედებული
და მოიწევს ჩემი ხსოვნისკენ —
უხსოვარი თიხა და შლამი.
მესმის ექო —
უხსოვარი გარდაცვალების.

მიწყდა ქაოსი.
მიწყდა ხმები რღვევის და ნგრევის.
ცივი სიჩუმე დაეუფლა
უხსოვარ ლოდებს.
გრძნეულებიდან გადავდივარ
გრძნეულებაში.
მახსოვრობიდან — მახსოვრობაში:
მახსოვს:
მაშინაც დაწყევლილი და
განდევნილი —
ფუძეში ვთვლემდი და ვუსმენდი
სიჩუმის ბგერებს. შიშით ვითვლიდი—
მათ მიქცევას და მათ მოქცევას.
უხსოვარ ბგერებს
გამოსცემდა ფუძის წიაღი
და მოჟონავდა ჩემი ხსოვნისკენ —
შეუღწეველ წყვდიადის ხმები...
აღარ ათბობდა ჩემს ცივ სხეულს—
მზე და ფერები.
არც მზის სინათლე ადნებოდა —
ცისფერ გუმბათებს.
არ მიმოჰქროდა ქვეყნის ქარი
თეთრ დარბაზებში.
არც ზღვის ხმაური აღელვებდათ —
ჟამუძრავ კედლებს.

აღარ ისმოდა მეუფეთა ძვრა და
დუმილი...
ვიძროდი ლოდში
და ვუსმენდი დიად სიჩუმეს.
ვუსმენდი ქაოსს
ლიბრიანი სველი თვალებით
და ქვეყნის კრულვას გამოქცეული —
დაკარგული სივრცეები
მესიზმრებოდა.
ირღვეოდა ცრემლის წიაღი:
კრულვა — ქაოსში შედედებული
და მოიწევდა ჩემი ფუძისკენ —
უხსოვარი თიხა და შლამი.
მიხმობდა ექო —
უხსოვარი გარდაცვალების.

მიწყდა ქაოსი.
დიად სიჩუმეს ამოვყევი
უხსოვრობიდან.
მოწყვეტილი სოფლიურ ძირებს —
უცხონაირად სახეცვლილი და
სახიერი.
უცხონაირად მოსისინე და
მოსრიალე.
ნანგრევების სურნელებას
შეუფლებული:

• შიშით ვუსმენდი —
ძველი ხსოვნის ცივ ანარეკლებს
და დუმილით მოვუხმობდი
უხსოვარ ბგერებს...
მახსენდებოდა სიმსუბუქე და
უძრაობა.
მელანდებოდა
სივრცეები და წყვდიადები. .
იქ დავხტოვე ჩემი სული
გარდაუცვლელი—
ახლა სხეულში რომ ირღვევა
და იფერფლება:
უსახიერი და მსუბუქი
სიმსუბუქივით.
მე იმ სივრცეთა უხსოვარი
შედედება ვარ.
შედედებული — აზრი და ფიქრი:
უგრძნობლობიდან გადმოსული
საგრძნეულოში.
უხსოვრობიდან ← მახსოვრობაში...
და ირღვევა სივრცის წიაღი:
აზრი — ქაოსში შედედებული
და მოიწევს ჩემი ხსოვნისკენ —
უხსოვარი თიხა და შლამი.
მიხმობს ექი —
უხსოვარი გარდაცვალების.

გარდაცვლა

წვიმს ულრანებში.
უსასრულოდ ელავს და წვიმს.
წვიმს გადახვეწილ მახსოვრობაშიც:
წყვდიადებში —
ნადირივით რომ დაწრიალობს...
ვწევარ მიხრწნილი —
უხსოვარობის დახშულ ბჭეებთან
და ჩამქრალ ცეცხლის ლოდინი
მესმის.
მიხმობს შორი ულრანები
დავიწყებული
და მეც ვუხმობ მათ უცხო ბგერებს...
უბრუნდება მახსოვრობა
საკუთარ მღვიმეს
და დაშრეტილი თვალებიდან —
უხსოვარი სითხე მოჟონავს...
სხვა არაფერი ახმიანებს—
უმოძრაო ჟამთასვლის წამებს.

ხანდახან თათზე
ჭიანჭველა ამაცოცდება და მოიწევს
თვალებისაკენ: სურს იხილოს —
სოფლიური უძრავი სევდა
და მისწვდეს ხსოვნას —
შორი სოფლის და სიმარტოვის...
ჩემს არსებაში ჩასახულა
მარადი შიში და ველი ისევ —
ჩამქრალი ცეცხლის აღმოცენებას.
ულრანებში კი — წვიმს უსასრულოდ.

და მახსენდება: წვიმდა ულრანში.
უსასრულოდ წვიმდა და წვიმდა.
მე შიშმა და სიმარტოვემ
გადმომხვეწა
ულრანებიდან. სიბრალულმა
მომიყვანა
ძეხორციელთან...

ელვათა შიში და სიმარტოვე
ხელკეტებით ჩავქოლეთ ცაში
და ფერგამკრთალნი შევაჩერდით—
ქვეყნიურ ცოდვებს...
ცეცხლის ენები —
უხსოვრობას ხატავდა ქოხში
და ჩვენც მწუხარედ შევყურებდით —
უხსოვარ ჩრდილებს:
მას დაკარგული სიმარტოვე
აგონდებოდა.
მე ···· კაცის ხვედრი და უღრანები...
იფერფლებოდა ჩამქრალ ცეცხლში
უცხო ლოდინი და დილას ისევ
ახალ ხილვებს ვუხმობდით ტყეში...
ის: მღვიმეებში —
წმინდა კერპებს უნთებდა ლოცვებს.
მე: უღრანებში დავწრიალობდი.
და კაცს ეგონა:
მარტორქას და ნადირს დავსდევდი.—
მე — უხსოვრობის ნატერფალებს
ვეძებდი ჩემში..
და განუდგა კაცი სოფელს.
და განმარტოვდა...
დაანთო ცეცხლი უხსოვარი
და ისევ შიში ჩაუდგა თვალში.
შვიდი დღე იჯდა გაუძრევლად
და შვიდი ღამე.
და წავიდა... გადაიხვეწა...
უცხო დუმილით ჩააბრუნა —
ნაცარში ღველფი.
და უხსოვარ სიმარტოვეში
გაუჩინარდა...
ველოდი დიდხანს.

შვიდი დღე და ღამე ველოდი,
და მეც უხსოვარ უღრანებში
გადავიხვეწე...
უღრანში წვიმდა.
უსასრულოდ წვიმდა და წვიმდა.

ეს უხსოვარი ღამით მოხდა.
კაცის ხსოვნა ჩემს ხსოვნაში
ჩაილექა და განმარტოვდა...
დავრჩი მიხრწნილი—
უხსოვრობის დახშულ ბჭეებთან
და თვალებიდან —
დაშრეტილი სითხე ჟონავდა...
მახსენდებოდა:
ეს თათები მაშინ არ მქონდა.
არც ეს ბეწვი მემოსა ტანზე.
არც ჭიანჭველა მოცოცავდა —
თათიდან თვალში.
არც სამყაროთა უცხო სევდა —
იძროდა ქვაში...
ფერგადალეულ ქვიშრობებში
დავაბიჯებდი
და რაღაც ხაზებს ვავლებდი ჯოხით.
ის ხაზები:
უხოვრობაში იკარგებოდნენ.
ლოდზე ლოდს ვდებდი
და ზეცისკენ მივყავდი ლოდინს.
ის ლოდინიც:
უხსოვრობაში იკარგებოდა..
ელავდა თვალში —
ჩასახული ელვა და შიში
და ველოდი —
ჩამქრალი ცეცხლის აღმოცენებას.
უღრანებში კი — წვიმდა და წვიმდა.

ვლადიმერ მაჩაიძე

„ცისკრის“ მკითხველებს ახსოვთ უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა პოეტის ვლადიმერ მაჩაიძის ლექსების საკვდილისშემდგომი პუბლიკაცია. ახლახან გამომ ცემლობა „მერანმა“ დახატაშვა პოეტის პირველი წიგნი.

ეურნალი მკითხველს სთავაზობს პოეტის არქივში აღმოჩენილ რამდენიმე ლექსს. ჩვენ არ ვიცით, რა თვალით შეხედავდა მათ ავტორი, იქნებ არც დაებეჭ და ისინი. მაგრამ დღეს მათს გამოქვეყნებას აქვს გარკვეული აზრი — რიგიერა ყმაწვილი კაცის გახსენება.

ვედრება

ვუყურებ ნათელს, უბერავს სიო,
ფარფატებს ალი, ჩრდილები რბიან,
მეც ამ ალივით დავფარფატებ,
საით გავწიო?
მირჩიეთ რამე!
ფეხმარდ რაშებზე ამხედრებული
გარბიან წლები,
მოსაგონებლად მიტოვებენ წარსულ სიამეს,
ჩურჩულით მესმის, სამყაროს ხმა —
ტყუილად ცდები.
დროს ვერ შეაჩერებ, გულს ვერ დაიამებ.
მაინც ჯიუტად შევყურებ სანთელს,
ვეძებ და ვფიქრობ,
მსურს წამიერად დღით შევცვალო ეს ბნელი ღამე.
ვერ ვპოვე აზრი. ურჩი სიო სანთელსაც მიქრობს,
ყველას გევედრებით — მირჩიეთ რამე!

ანდერძი

ვგრძნობ შენთან მოსვლას ვერასოდეს ვერ ვეღირსები,
უკანასკნელი შხამით სავსე მიჭირავს თასი,
ასე მგონია, ალბათ მკვდარსაც დამესიზმრები
საიქიოშიც, თუნდ გავიდეს წელი ათასი.
უკანასკნელად მხოლოდ ერთს გთხოვთ, ჩემო გოგონა,
პატარა ანდერძს შემისრულებ ნამდვილად ვიცი, —
მოდი, საფლავზე მოაბნიე იების კონა
და რომ ხანდახან გამიხსენებ, მომეცი ფიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცი

შემოვსეთ თასი,
ავწიოთ მაღლა,
მეგობრობის სადღეგრძელო
შევსვათ ბოლომდე,
შემოვსეთ თასი
ვიცოცხლოთ მარად,
ვიცოცხლოთ ისე
რომ არავის ჩვენ არ ვმონობდეთ.

შემოვსეთ თასი,
სიყვარულით შემოვსეთ თასი,
დე, ამ ორ გრძნობას
ვუგალობდეთ აწ და მარადის, —
შემოვსეთ თასი
ნაღდი ფიცით შემოვსეთ თასი,
ერთად ვიქნებით, მეგობრებო,
კუბოს კარამდის!

ქალიშვილის პორტრეტი

ძალაუნებური სითამამის
მოურიდებელი ამოხეთქვა,
ზლაზვნით ფეხადგმული სილამაზის
გამახვევებელი გამოხედვა.
ვნებით ათქვირული განათება
რძეში შეზელილი სინატიფის,
წარბთა მოზიდული ანათემა
დასაწყლულებული სინოტივის.
მკრთალი, უსუსური ნაოჭების
ჰორიზონტალური ნასერები,
თხელი ნესტოები ნაოცები,
ნაზი მიხაკებით ნაფერები.
თვალთა დაბნეული დანისლება,
ყვრიმალს ჩაცუცქული ბუსუსები,
ნდომამორეული დასისხლება
თითქოს გაბუტული მუსუსების.
ხშირი, დაბინდული დაფიქრება —
ღია წაბლისფერი კულულების

აგიზგიზებული ბულულების
ჩუმი, ლირიული დაფიქრება.
დაუოკებელი სიქალწულის
ლოყებს ვარდისფერად მოკიდება.
ყელზე ჩაცოცებულ სიყვარულის
ამაღელვებელი მოდიდება.
მკერდის აფოფრილი მიზანსცენა
სიზმრის სიგიჟისგან დაბერილი.
შმაგი სურვილების მინაცრება
მსუბუქ ქვეტექსტებით დაფერილის.
სისხლის გადმომდები ალტკინება
თითებს მოდებული ალმურებად,
ტანში საამური ატკივება —
კოცნის ექსტაზებით დაჭურება.
უნდო ლაბირინთის შესასვლელთან
უკვე დაჭერილი გამოხედვა,
ნამში ყველაფერი შესაცვლელი,
ფერთა მოვარდნილთა ამოხეთქვა.

ჭოთას

საქართველოში რამდენი პოეტია,
ყველამ რომ ერთხმად გამოთქვას
ლექსები,
მაინც არ ეყოფა ამ ჩვენს გულისთქმას
და მაინც შოთას დავესესხებით.

შოთა მიგვაჩნია სალოცავ ხატად,
ეს მან შთაგვაგონა ლექსის თქმის
უნარი,
ღმერთო, ამისრულე ეს ნატვრა ათად,
დატოვე მისი მზე გაუხუნარი.

ქეთევან ჯავახიშვილი

მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

1926 წელს მამამ აკადემიკოს ნიკო მარს ლენინგრადში თავისი რომანი „თეთრი საყელო“ გაუგზავნა. გავიდა ხანი, მარისაგან საპასუხო წერილი არ მოსულა. მამამ ვერ გაიგო, მიიღო თუ არა მარმა ეს წიგნი. ითხეს მეგრელიძე ლენინგრადში ყოფნისას შეეკითხა მარს ამის თაობაზე: მიხეილ ჯავახიშვილს „თეთრი საყელო“ გამოუგზავნია თქვენთვის, უკმაყოფილოა, არ გიპასუხნიათ მისთვის. როგორ არაო, — უთქვამს მარს გაოცებით, — მეტიც, მასზე ყურნალში დავბეჭდე წერილი. თუ თვითონ ვერ წაიკითხა, ხვნამ ვედარავინ ნახა, რომ მისთვის ეთქვათ.

ითხემ მეგრელიძემ იშოვა ეს ჟურნალი Доклады Академии наук СССР» 1927 г. და წერილთან ერთად, მამას გამოუგზავნა: „დიდად პატივცემულო მიხეილ! ვისურვებ თქვენს მარადიულ კარგად ყოფნას და თქვენი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობით, ქართული ლიტერატურის კიდევ უფრო სასურველ გამდიდრებას. თქვენი მადლიერი კალმის შეურჩერებლობას და ქართული სულის მხატვრულ სახეებში გადმოზღვავებას. ეხლა ვიშოვე და გაგზავნით იმ წიგნს, რომელშიც აკად. ნ. მარი თქვენს მიერ მისთვის მიწვდილ წიგნის „თეთრი საყელოს“ შესახებ წერს. აკად. ნ. მარს ხალატი ადგილზე უძევს თქვენი „თეთრი საყელოს“ რუსული თარგმანიც. მახსოვს, რომ გასულ წელს თავის მეუღლეს ეუბნებოდა თარგმნის მოუხდენელად შესრულებულობის შესახებ. მე როდესაც აქ მესაუბრებიან ქართული ლიტერატურის შესახებ, არა ერთხელ მიმითითებია ქართულის არამცოდნეთათვის თქვენი ნაწერებიდან ნათარგმანებზე.

გემშვიდობებით და ვიმედოვნებ, მრავალჟამ კარგად და კარგად, განაბულებით პატივისცემით ითხემ მეგრელიძე“

ნიკო მარის წერილის პირველ-მეორე გვერდებზე, რომელიც ზემოადნიშნულ ჟურნალშია გამოქვეყნებული, ლაპარაკია „თეთრ საყელოზე“ ქართულ-ოსურ ენობრივ მეზობლობაზე და ბევრიურულ კილოზე. მარი წერს:

«Достаточно прочесть хотя бы такой занимательный современный памятник повествовательной литературы, как «Белый воротник» по грузинский „თეთრი საყელო“ Михаила Джавахишвили и сколько тут девственного материала».

გვინდა მივიტანოთ 1932 წელს გამართული ერთ-ერთ დისკუსიის სტენოგრაფიული ჩანაწერი, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა ასეთი ხასიათის დისკუსიები. ისეთი ნაწარმოებიც კი, როგორიც არის „არსენა მარაბდელი“, კრიტიკის საგანი გახდა. ჩვენ დავინახავთ, რა უმართებულო იყო მაშას მიმართ წარდგენილი ბრალდებები, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მისი სიტყვის გახსენებაც:

მეგობრებო, ამ დისკუსიის დროს არც მე დამივიწყეს, რადგან ჩემი დავიწყება დიდი უზრდელობა იქნებოდა. თავდაპირველად რამოდენიმე სიტყვას მოგახსენებთ პირადად ჩემს ბედსახებ. მელაძემ რვა წლის წინათ დაწერილი „ჯაყოს ხიზნები“ გაიხსენა. იგი ჯერ წლის წინათ რომ ყოფილიყო დაწერილი, მაინც არ დაი-

ვიწუვდა. ალბათ თქვენც გეხსომებათ. რომ ამ რომანში აწერილია, თუ როგორ ისარგებლა დროგებით პრეზიდენტი ჯაყომ და როგორ ჩამორთვა ჯონება თეიმურაზ ხევიხოვს. მელაძე რიხიან კილოზე მეკითხება, ხად ყოფილა ამისთანა ამბავი, ვის უჭამიაგსო? მე შემიძლიან ოცითოე რეცენზია მაინც წარვუდგინო მას კომუნისტურ გაზეთებში დაბეჭდილი, სადა ნათქვამია: დიად, პრეზიდენტებში ამგვარი ამბები ხდებოდაო. წავიდეს მელაძე და შეედავოს თავის უფროს ამხანაგებს. შემდეგ კომკავშირელებმა ჩამოართვეს ჯაყოს ეს ჯონება. რომანში ეს ორი ეტაპი მკონი ნათლად და საკმარისად არის ნაჩვენები. რა თქმა უნდა, არც ბესო ყიფიანმა დამივიწყა. მან თქვა: ჯერ ერთი, „არსენა“ საცოონალისტური არისო. მეორე — რომანში დღევანდელობა არ არისო. მე, საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ ზოგის თავში ძალიან ბევრია ერთმანეთში ორი მცენა — ნაციონალური და ნაციონალისტური. გამოაცალეთ წარსულ ეპოქას ნაციონალური ელემენტები და ხელში უბრალო ფაქტების გარდა, არაფერი აღარ დაგჩებათ. ეს ეპოქა გაღლენთილი იყო ეროვნული პრძოლით. ეროვნული იდეებით და ამიტომ რომანში ეს მომენტებიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები. მაგრამ ნაციონალისტური იქ არაფერი არ არის. რომანის მეათე და მეთერთმეტე თავში ნაჩვენებია, თუ როგორ წამოიჭრა არსენას წინაშე ორიენტაციის საკითხი, როცა ჯუღაში და ოსმალეთში დაეჭახნენ ერთმანეთს ახალციხური, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ყველაზე მისაკუთვნო, რომანი დღევანდელი თვალსაზრისით არ არის გაშუქებული. გამოტანდები და ვიტყვი, რომ ამ რომანში ბატონყმობა უფრო ნაკარნახევი სიძლიერით არის მოცემული, ვიდრე ნამდვილად იყო და, ვფიქრობ, რომ ამ მძაფრად გამოსახვე დღევანდელი თვალსაზრისი. ამის გამო ზოგი ჩემი მეგობრისაგან საკუვდურიც მივიღე გადაჭარბების გამო (ყველების რეალიკა — ვინ არიან ეგ მეგობრები?). ვინც იცის ისტორია, ვიცაც ცალი თვალით მაინც ჩაუხედავს იმ ეპოქაში. ბესარიონ ყველებს ეს ისე არ შეუხედია იქ. როგორც, მაგალითად, პეკინში (სიცილი). მე, როგორც მხატვარი, იმით ვიმართლებ თავს, რომ შესაწყნარებელია ერთგვარი გადაჭარბება, მხატვრული, ზომიერი. გაიხსენეთ თუნდაც „ქაცია-ადამიანი“, დონ-ჟიხოტი და გოგოლის ნაწერები. მე ასეთი გადაჭარბების მორევში მუხლებამდე შევხტი, ბესარიონ ყველები მუჭლუნუნს მკრავს და მირჩეს, კისრამდე შევხტიო სიღრმეში. ყველები ამაოდ ცდილობს, ვერ დავეთანხმები, ჩემს მხატვრულ ალღოს არ დავთმობ. ის იჭნებოდა ჩემი დაბრმობა სიკვდილის მორევში, მე კი თავის დაბრმობა ჯერ ჯერობით მაინც ნაადრევად მიმაჩნია“.

ხამართლიანად მიხაუვდერეს, დაშორებული ხარ დღევანდელობასო. ეს მართალია, მაგრამ უსამართლოდ ამბობენ, ეპოქალური ვარ ბევრსო. მე შორი დროის „არსენების“ კი არა, ნე დღევანდელი ეპოქალისა. მე რომ ეს რომანი ათი-თხუთმეტი წლის წინათ დამეწერა, სულ სხვა რამ გამოვიდოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე დღევანდელის სული მიდგას და იმასაც კი ეპოქალური თვალსაზრისით მივუდექი, რაც ასი წლის წინათ მოხდა. მართალია-მეთქი, რომ მე საკმაოდ ჩამოვრჩი. ერთ-ერთი მიზეზს დავასახელებ. ჩვენ შორის დარჩეს, ყველა გამოაცხედა, რომ სულ 52 წლისა შევსრულდები. მე დატვირთული ვარ ძველი კულტურით, რომელიც ზუნდებივით მადევს და მისი დაშხვრევა არც იმდენად ადვილი საქმეა და, შესაძლებელია, არც იმდენად სასარგებლო იყოს ჩემთვის (ბეჭები — რატომ?). იმიტომ, რომ შესაძლებელია ერთი ახირებული კაცის ამბავი დამემართოს, რომელმაც თვითი ძველი ტანისამოსი ბუხარში შეგდო და ახალიც ვეღარ იშოვა (ბ. ყიფნტი— ანატოლ ფრანსი?!). ყიფნტმა კარგი მაგალითი გამახსენა. დავუპირისპირით ერთმანეთს ილია ჭავჭავაძე და ანატოლ ფრანსი. ამას წინათ მეორეჯერ წავიკითხე სამი ავტორის მოგონება ფრანსის შესახებ: მარსელ დე-გოკის, ორი წიგნი ბრუსონის და სეგიურის. ყველა თანაბრად გადმოგვცემს მის მსოფლმხედველობას. დგას ეს კაცი, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების მხურვალე წერილი გამოუგზავნა და მუდამ საკმეველს უკმევს საფრანგეთის მეფეებს. ამავე დროს ეს მწერალი პოლიტიკაში სოციალისტი იყო. ის ხშირად დადიოდა სოციალისტების კრებებზე და მათს პროგრამასაც იზიარებდა. ეხლა ჩაიხედეთ მის მოთხრობებში და რომანებში. ფრანსი ვერ გასცდა აქტრისებს, ბერს, ბუტყუას და ერთი ფურცლილიც კი არ უძღვნა გლეხს და მუშას. ეხლა ილია ჭავჭავაძე გაიხსენეთ. ის პოლიტიკურად გაცილებით უფრო მარჯვნივ იდგა, ვიდრე ფრანსი, მაგრამ მან შეჰქმნა „კაკო ყაჩაღი“, „კაცია-ადამიანი“, „ალპის ვაშბოთი“, და ბევრი იმგვარი ნაწარმოები, რომელზედაც ჩვენი ახალი თაობაც იზრდება. ეს მაგალითი იმას ამტკიცებს, რომ შემომქმედის თავში ხშირად ხდება ხოლმე გაორება“.

თავისი შემოქმედებითი გეგმების შესახებ მამამ აგვიწერა: „არსენა“ შვიდი წლის ნაფიქრევია. მე განზრახული მქონდა იმავე ეპოქაზე ტრილოგია დამეწერა. უნდა დამეწერა დაახლოებით 1819 წლიდან, იმერეთის ჯარეუებიდან, მაგრამ შემდეგ ჩემი გეგმა გადავაკეთე. „არსენაში“ ტუფილაც კი არ ჩავურთე რისკის ჯორჯოლიანი. ის ჯორჯოლიანი ნათესავები ჰყავდა, მე კი სწორედ ჯორჯოლიანი ავიირჩიე. რატომ? იმიტომ, რომ რისკომს მოსდევს 1905 წელი გმირი არსენა ჯორჯოლიანი. მესამე ნაწილს ჩე-

მი ტრილოგიისას დღევანდელობას მიაუძღვნი. ახალი დიდი ტანის ტრილოგია ერთსა და ორ წელიწადში არ იწერება. ისტორიული რომანის ალწერას სჯობია ათი ფუთი სპარნი შესჭამო. ამიტომ, როგ ჩვენში მე-19 საუკუნის ისტორია ჯერ დამუშავებული არ არის. ვერსად ვერ ნახავთ ვრცელ ხარვეზებელს და ვერ გაიგებთ ვინ რა იყო, მაგალითად, მე რამდენიმე თვე დამეჭირა, სანამ ზაალ ბარათაშვილის ვინაობას ვეცოდინებოდე. ტფილისში მისი პირდაპირი ჩამონაყვანი ცხოვრობს. ყოველმა კუთხურ ერთმა თავადმა ზეპირად იცოდა თავის გენეალოგია, ამან კი ისიც ვერ მითხრა, თუ ვინ იყო მისი წინაპარი ზაალ ბარათაშვილი და დაახლოებით როდის დაიბადა და როდის გარდაიცვალა. ისტორიაში კი სწორედ ამ ხანაში უამრავი ზაალ ბარათაშვილი მოიჩანს. „არსენას" მასალა ათასჯერ არის გაბმული და მე თვითონ დამეჭირა უამრავი სიარული, ჩხრეკა და გამორკვევა, ამან კი ძალიან დიდი დრო წამართვა. ტრილოგიის მეორე ნაწილი 1905 წ. ამბები ჩემს თვალწინ დატრიალდა, მეც ვიყავი მცირე მონაწილე. მასალაც ბევრია და იგი „არსენასავით" ზვიდ წელიწადს არ დამბადებს. რაც შეეხება მესამე ნაწილს, ალბათ ამასაც მოვესწრებით. ეს ორიოდე წლის ამბავია. გარდა ამისა, მე უკვე დაწერილი მაქვს და გადაწერაც სჭირდება, ერთი სადღეისო მოთხრობა „აზნაურის სიკვდილი". ჯერჯერობით ესეც ცმარა. ძალიან ძნელია დიდი რომანის წერის დროს უცებ გაბოვარდე შემზადებული არედან, დასწერო პატარა რამე და ისევ დიდს დაუბრუნდე. იმ არედან გამოსვლა ადვილია, ხელახლა შესვლა კი ძალიან ძნელია. მოუხედავად ამისა, უკანასკნელ ზვიდ წელიწადში, რამდენიმე მოთხრობა მაინც დავწერე. ზოგმა მოიკოკვლა. ზოგმა თითქოს არაფერი არ დააშავა. ასეა თუ ისე, მაინც მივდევ დღევანდელობას და არც ისე ვყოფილვარ მას მოშორებული, როგორც ზოგიერთი ირაკლური აგიწერიდათ. მათ თვალსაჩინო ვერა ისოვეს ან თავიანთი ზურგის გასაბაგრებლად. გაიხსენეს რვა წლის წინათ დაწერილი „ჭაუის ხიზნები" და ზუთი წლის წინათ დაწერილი „დამპალ ტაეე". გავთავთ. ჯერჯერობით ესეც ცმარა".

1934 წელს მწერალთა პირველი საყრებირო ყრილობა უნდა გამართულიყო და სამზადისი ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენებისათვის მწერალთა სულიერ ცხოვრებაში ადრევე დაიწყო. ამასთან დაკავშირებით, მაქსიმ გორკის ინიციატივით, ყველა მოამე რესპუბლიკების მწერალთა „ბრიგადებში" დაიკავეს, მათ დავალებული ხჭონდათ, შეესწავლათ მოამე რესპუბლიკების მიღწევანი და ლიტერატურულ ცხოვრებასაც გაესნობოდნენ.

1933 წელს ჩოგმრის პირველ რიცხვებში, გაზეთ „ზვესტიის" რედაქციის მოწვევით, ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ლენინგრადის, მურმანსკის, კარელიის მიღწევების სანახავად გაემგზავრა. ამ ჯგუფში ვიყავი მეც. ჩვენ ერთად ვიმგზავრეთ ორ თვეს მოგზაურობდა და მეტად საინტერესო შთაბეჭდილებები დავგროვეთ. ეს ექსკურსია ჩვენ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოგზაურობა იყო. ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, ნოე ზომლეთელი, ბარის ჩხეიძე. მოგზაურობიდან დაბრუნებისას მაშინ წერილი გამოაქვეყნა პრესაში, სადაც მკითხველებს გაუზიარა. უკრაინაში, ბელორუსიაში, მოსკოვსა და ლენინგრადში მიღებული შთაბეჭდილებები.

გვინდა მოვიტანოთ ამ ბრიგადის ერთ-ერთი წევრის ბარის ჩხეიძის მოგონებიდან, რომელიც 1978 წელს გამოაქვეყნა ეურნალმა „ბაჭარნველის ბუნებამ". ეს მოგონება დაიწერა ალიო მირცხულავას დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით:

„ამ საუკუნის ოცდაათიანი წლები. საბჭოთა კავშირში გაზლილია მძიმე ინდუსტრიის განვითარი მზენებლობა. პარტიამ მხატვრული სიტყვის დახმარებაც გადაწყვიტა ხალხის, მისი დიდი ამოცანების განხორციელებაში. მოსკოვში იკრიბება მწერლების ინტერნაციონალური ბრიგადა. განზრახული ბრიგადის წევრები მოსკოვიდან შორს გაემგზავრონ დიდ მშენებლობებზე. ინტერნაციონალური ბრიგადის ქართველ ჯგუფში არიან მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი-მირცხულავა, ნოე ზომლეთელი და ამ სტრიქონების ავტორი. ზამთარია. თოვს. დამღამობით ყინავს. მატარებელი რვეულებრივად სამ დღე-ღამეს ანდომებს გზას მოსკოვამდე. ახლა, დიდთოვლობის ბუნი დღეც არ ყოფნის. ვინ არ იცის, რა მოსაწყენია მატარებლით მრავალდღიანი მგზავრობა. მაგრამ ჩვენთან არის ალიო მაშაშვილი.

— ბა, როგორ ხართ? — კითხულობს ის ხშირად.

მშვენიერი პოეტის გულითად შემოხმაურებას კარგ ხასიათზე მოყავს მიხეილ ჯავახიშვილი. ნაამები ნიკო ლორთქიფანიძე აფხაზურ თუთუნს ახვევს ქაღალდში, მერე გუნებიერად ეწევა. მაშაშვილი.. ჩვენი ჯგუფის მეთაური, მიხეილს მისჩერებია.

— ახეთი დიდი თოვლი და ყინვები თუ დაგვხვდებოდა რუსეთში, არ მეგონა, მე სამხრეთში მირჩევნია გამგზავრება, — ამბობს ნიკო ლორთქიფანიძე.

— ეჰ, რა პური იცის მაგ თოვლისამა ვეღარმა! — შენიშნავს მიხეილი.

თოვლის გზაც მიილია. სასტუმრო „მეტრო-

პოლში“ დავბინავდით. მძიმე ინდუსტრიის კომბინატი სერგო ორჯონიკიძე ერთ საათს გვეთათბირა ჭართველ მწერლებს. დუღაბივით ეტყობოდა, სჭართველოდან წარგზავნილების სტუნრობა უხაროდა კომისარს. ის კმაყოფილების გამოსახატავად ნეკით ულვაშის ძირს ეხებოდა და იღიმებოდა.

— თქვენ, ბატონებო, მიხეილ, ნიკო, უთუოდ სამხრეთისაკენ გირჩევნიათ — ამბობს ორჯონიკიძე. ნიკომ წამოიწია. გრაციოზულად დაუკრა თავი კომისარს. ამით მასაც და მიხეილს თანხმობა გამოხატა. — თქვენა, ყმაწვილებო, რას ამბობთ? — მოგვიბრუნდა ჩვენც.

— მძიმე ინდუსტრიის მშენებლობა აღმოსავლეთით არის გაშლილი, — არ აყოვნებს მაშასვილი, — იქით... და ხიტყვას ალარ ათავებს

— ვიცით შემოქმედის სიძნელეები, ჩვენ არავის ვაჩქარებთ. უველამ წუნარად და დაკვირვებით იმუშაეთ. მაშ, შეიარებით ახალგაზრდებო, აღმოსავლეთისაკენ გაიწევთ?!

— რა გიჭირთ! — გვეუბნება მიხეილი და გვიარჩევს: — უროლის გადაღმა მხარე მაინც ციმბირია და სათბილობები მოიმზადეთ, ნეტავი ჩვენც იქით მოვდიოდეთ.

მაშას თბილი ტანისამოსი გავატანეთ, ვინაიდან რუსეთში დიდი ყინვები დაიწყო და გაციებისა გვეშინოდა, ვთხოვეთ, გოგრიხელიძეს თავს, ახე დიდი ხნით ოჯახიდან ის არაა სოდეს წასული. მე და დედამ დავალებაც მოვეცით, თუ საშუალება ექნებოდა, ჩვენი თავიც გიეხსენებინა. სამაგიეროდ, მამამაც დედას ჩამოუწერა, რა უნდა გაეკეთებინა მისი ჩამოსვლამდე. სახელგამში ჩასულიყო, ფული მიეღო, წიგნები გამოეტანა და სხვა. შემდეგ მამა სადგურზე გავაცილეთ და დავეშვებოდით.

მოსკოვში ჩასვლისთანავე, პირდაპირ სადგურიდან ღია ბარათი გამოგვიგზავნა: „ჩემო ძვირფასნო! მოსკოვში ჩავედით. 2 საათია. ამ ბარათს სადგურიდან გიგზავნით. ს-ია, მეტი არა. მშრალ სადილზე ვართ, რადგან ვაგონ-რესტორანი გაფუჭდა და როსტოვთან მოხსნეს. რუსიკო დამიკოცნეთ, თქვენც ჭკუანი. მიხეილ“.

11 ნოემბერს „ლიტერატურნაია გაზეთის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ცნობა ჭართველი მწერლების მოსკოვში ჩასვლის თაობაზე. გაზეთი ატყობინებოდა, რომ მოსკოვში ჩამოვიდა ჭართველი მწერლებისა და პოეტების ბრიგადა, და რომ გამომცემლობა „სოვეტსკაია ლიტერატურამ“ მოაწყო ამხანაგური შეხვედრა ბრიგადასა რუს მწერლებთან. ამ შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი ბატონი მწერლები და ლიტერატურისმცოდნენი: ა. ტოლსტოი, ბ. პილნიაკი, ვ. ლიდინი, ლ. ლეონოვი, ბ. იხიესკი, ა. ხელვანოვსკი, კ. ზელინსკი, ლ. მარსკი, კანატჩიკოვი, ა. ეფროსი, ბოროზდინი და სხვები. ამავე გაზეთში მოთავსებული იყო მამას ვრცელი წერილი ხათაურით; „ხაჭოთა მწერლობის ამოცანები მეორე ხუთწლედში“. მცირე შენოწკლებით დაბეჭდილ ზოთ მას მკითხველს: „თემა „ხაჭოთა წერილთაგის ძალზე ვრცელია, ამიტომ მე მხოლდ რამოდენიმე ძირითად ხაკითხს შევეხები. მოვხსოო კლასები და კლასობრივი ბრძოლა, აი, უაღრესი ძირითადი ხაკითხი, რომლის გადაწყვეტაში ხაბჭოთა ხაზოგადოებრიობა არაბკლებ არის დაინტერესებული, ვინემ თვითონ პარტია. წერილის მოკლეთქმა — პირნათლად ემსახუროს უაბლოესი მომავლის ამ მთავარ მიზანს. ეს მოვალეობა განსაკუთრებით გაიზარდა 28 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ. ამ დადგენილებამ მწერალთა ოჯახში მოსპო კასტები და ხაბჭოთა მწერალს მიაკუთვნა თავისუფალი შემოქმედების უფლება. ამასთანავე, მან გააგვახნება ვალდებულებაც, ვეფხისტყოსნის ხაქმეს, პირველ რიგში, კი მისი ხაძირკველის ჩაყრას და კლასების ხაბოლოდ მოსპობას. არ არის უფლება ვალდებულების გარეშე —ან მარტივი და მუდმივი ჭეშმარიტება, რომელიც ხამუდამოდ უნდა დაიხსომოს მწერალმა და ყოველმა ხაბჭოთა მოქალაქემ.

მეორე ამოცანაა — შეკვმნათ ლიტერატურაში ახალი ადამიანი და ახალი ხაბჭოთა ხტილი. ჩვენ ხწორედ ამ გზით მივდივართ. ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს, მაგრამ მწვავედ ვხედავთ კიდევ შორს არის. ერთმანეთის მოტყუება რა ხაჭიროა. ფეოდალიზმი და ბურჟუაზია ამას ჰქმნიდნენ ხაუკუნეების მანძილზე. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვუცადოთ, ხანამ მომავალი თაობის წერილები ჩვენს ღიად ეტაპს ჩვენზე უკეთ ასწერენ (ეს ალბათ ასე იქნება). წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრესი არ იქნებოდა), მაგრამ ისიც ცხადია, რომ მტკიცე მდგომარეობა—მწერლებთან აუცილებელია. გადაიღო მხოფლიო ჩჭარი მატარებლის ფანჯრიდან ადვილია კინოოპერატორისათვის, მაგრამ ძალზე ძნელია მხატვრისათვის, მით უფრო, პროზაიკოსისათვის, ბაცილებით ძნელია მათთვის, ვინც შეპარობილია იხეთი იდეებით, შეკმნას ნაწარმოებები მრავალი თაობებისათვის და არა მარტო დღევანდელი დღისათვის.

მეხამე ამოცანა არის თემატიური კეთილის გარღვევა. ჩვენვა დაწუვებულია. დროა, იეროში მივიტანოთ ცხხე-ხიმაჯრეზე და ძირიან-ფესვიანად აღმოვფხვრათ. აკრძალული თემები არ არსებობს. ლიზუნგი ხოციალისტურ რეალიზმზე ეს არის ისეთი ბასალები, რომელიც ყველა ხაიდუმლო ხაკეტს აღებს. ცუდია, როდესაც მარტივ და ნათელ ჭეშმარიტებას ბურუსში ვახვევთ. ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ რეალიზმი — ლიტერატურული ფორმაა, ის ხატურალიზმსა და რომანტიზმს შორის მყოფია. ის არის ვოლგა ან ამაზონკა ლიტერა-

ტურაში. დანარჩენი ყველაფერი — მისი შენაკადებია ან განშტოებები, ამ დედა მდინარისგან დაბადებული. ლაპარაკი შეიძლება იყოს ნიუანსებზე, პროპორციებზე, ამა თუ იმ ელემენტების შენაცვლებზე. ყველა უდიდესი მწერალი რეალისტი იყო, მათგან ჩვენ გვანსხვავებს სოციალიზმის იდეა. თუ ნაწარმოები მონოლითურია, მაშინ აკრძალულია თემაც არ იქნება. ამ თვალსაზრისით სწერეთ ყველაფერზე — სიყვარულზე, ომებზე, მშენებლობაზე, სწერეთ ყველა ჟანრებში, მაგრამ სწერეთ გულწრფელად. სიმრთელით, სიყალბის გარეშე და საბრძოლო დიდი სიყვარულით.

მეოთხე ამოცანა — ნუ გავალმერთებთ მანქანას და ბოლს. ადამიანი კი არ არის შპაგითანათვის, არამედ შპაგი — ადამიანისათვის. მანქანა კი არ ქმნის ადამიანს და სოციალიზმს, არამედ ადამიანი ჰქმნის ერთსაც და მეორესაც. ბურჟუაზიულ მწერლებს თავისებურ დაუწერიათ მანქანებზე, მაგრამ არც ერთს მსხვილი ნაწარმოები არ შეუქმნია ამ მკვდარ საძირკველზე. მოხდა სრულიად საწინააღმდეგო: ყველა უდიდესი ნაწარმოების ღერძს ადამიანი შეადგენს, დანარჩენი ყველაფერი მარტო დამხმარე მასალაა. ჭარხლის ჭვარტლიც ლამაზია, ჭარხლის ხმაურსაც თავისი ხიბლითნა გააჩნია, მაგრამ თუ ისინი ცოცხალი ადამიანის ხმას ჩააწყობენ და მის პიროვნებას დაამიანებენ, მაშინ გენიოსიც კი ვერ შექმნის ახალ ადამიანს.

მეხუთე ამოცანა — გავიზარდნეთ კლასიკოსებამდე. შემდეგ კი გავასწროთ სერვანტესს, შექსპირს, ბალზაკს, პუშკინს და ტოლსტოის. ჩვენ შევანელეთ უურადღება ამ საკითხის მიმართ. ისეთი ველური ხმებიც კი გაისმოდა, თითქოს ჩვენ ვერაფერს უკვე ვეღარ ვისწავლიდით კლასიკოსებისაგან და საერთოდ დახავლეთისაგან. მართალია ჩემი მეგობარი ა. ტოლსტოი, რომელიც სწერს: „ბარტო სოციალიზმს შეუძლიან შექმნას ჭაბანი, დიდებული მსოფლიო ხელოვნება. ჩვენ უნდა ავაშთით მსოფლიო ჩარაღდანი“. (ჩვენ ის ავაშთეთ, მაგრამ, მან ჯერ კიდევ მთელი მსოფლიო თ ოცდა). ამის მორალურ უფლებას ჩვენ მოვიპოვებთ მხოლოდ შეუნელებელი სწრაფით ჩვენი მგრეხიბასგანაც კი, თუკი მათგან რაიმეს სწავლა შეიძლება. იდეურად რუსული ლიტერატურა რევოლუციამდეც ევროპულზე მაღლა იდგა. მაგრამ ხშირად ჩვენორჩებოდა მას ფორმის მხრივ. ამიერიდან საბჭოთა ლიტერატურამ ამ მხრივაც უნდა გაუსწროს მას. ჩვენ ძალზე ცოტას ვბეჭდავთ ცოცხალ და გარდაცვლილ კლასიკოსებს. სხვათა შორის, ხასაიათი და საშუალო შედეგი მოვიღეთ საბჭოთა კავშირის არა რუსი გამომცემლობები ძალზე სუსტნი არიან იმისათვის, რომ მისცენ მკითხველებს საჭირო რაოდენობით რუსი და უცხოელი კლასიკოსები (ისინი ძირითადად სახელმძღვანელოებს ბეჭდავენ). რუსებმა კი გადაგვაჩვიეს კარგი ენის კითხვას, როგორც ტრუფელს ღორები ხოტბიდან თარგმნილს. ახეთი წყვდიადი თარგმანები და სხვა ქალაქებში 10-15 ცალი მოდის და მაშინათვე ქრება.

კრატკოსების საკითხთან დაკავშირებით. მინდა კიდევ ერთი რამ აღვნიშნო: კლასიკოსებსაგან უნდა ვისწავლოთ უმაღლესი ხელოვნება იდეურ-ესთეტიკური ელემენტების ნაზავის დამზადებისა — აი ყველაზე რთული ხერხები. ჩითაც შეიძლება შემოკმედებით ევერისებზე ვსწავლა. პოლიტიკური-ელემენტების აღმოჩენა შეიძლება თითქმის ყველა მხატვრულ ნაწარმოებში, მაგრამ ყოველმხრივ გამართლებულ პოლიტიკური რომანის შექმნა — ურთულესი ამოცანაა.

მეექვსე და არანაკლებ რთული და საპატიო ამოცანაა — ხელი შევუწყოთ საბჭოთა მორალის შექმნას. ოქტომბერმა წაშალა კრისტიანული მორალი, მაგრამ მან ერთ მოახერხა ახალი სოციალისტური მორალის მკვეთრი ნორმები შეექმნა, უორმელისოდაც, როგორც ცემენტის გარეშე მშენებლობა, არ არსებობს მონოლითური, მყარი საზოგადოება, არც კულტურული რევოლუცია.

ვინც საბჭოთა ლიტერატურაზე სწერს, ის დუმილით გვერდს ვერ აუვლის საბჭოთა კრიტიკას. 28 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ, მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა. არ ისმის მენტორული შეძახილები. კრატკოსები კეტს მალავს და კალმით წერას იწყებს. მწერალი ადარ ბედავს კრატკოსში მოხვდინოს, თავის თავს კი ნადავლად არა თელის, როგორც უწინ. წარსული ბრძოლებიდან კრატკოსი უფრო ძლიერ დახახჩრებული გამოვიდა, ვინემ ხელოვანი. ამ ტიპის კრიტიკოსი ისე ბანგრძლივად, ისე ჭიტკად და პრიმიტიულად სავით ცხენდა ხელოვანს, რომ ოვითონვე, როგორც კრაზანამ, თავი შეხერია. ზოგმა 28 აპრილის დადგენილებაში ცხოველმყოფელი შრატი იპოვა და გამოცოცხლდა. ბატონი ლიტერატურის სახარებლოდ. ზოგმა თვითმკვლელობით დაამთავრა, ზოგი კი მხოლოდ ახლა ცოცხლდება. საბჭოთა კვეყანა წარმოშობს ახალ ხერხანგტიპებს, შეჭხარიებს, ბალზაკებსა და ტოლსტოის. მანვე უნდა გამოზარდოს ხვბჭოთა ტენი, ფაქე. ბელინსკები და ლანსონები.

კიდევ ერთი საკითხი მაინტერესებს მე და ყველა ქართველ მწერალს. ეს არის თარგმანის საკითხი ქართულიდან რუსულ ენაზე. ყოველ ბურჟუაზიულ ქვეყანაში მოიძებნება რამდენიმე ათეული ან ახეული ადამიანი, მათ რიცხვში მწერლებიც, რომლებიც კარგად ფლო-

ᲙᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ

ბეჭ პატარა, ჩამორჩენილი ხალხების ენებსაც კი. მაგრამ რუსი ინტელიგენციის შორის, მე არ ვიცნობდი არც ერთს, რომელსაც სცოდნოდა ქართული ენა... ჩვენ ცუდად გვიცნობენ და ქართველი მწერალი ბევრს აგებს თარგმნის დროს. ამ წერილის მოსკოვში უწერ. აქ ჩვენ ხუთნი ვართ. ეს ბრიგადა გაზეთმა „იზვესტიამ“ მოიწვია. ჩვენ ვიმოგზაურებთ „დიად რუსეთში“ ორ თვეს და წეგნს დავწერთ უდიდეს მშენებლობაზე.

ყოველწლიურად ჩვენთან ტატმრად ორი-სამი ათეული რუსი მწერალი ჩამოდის. ჩვენც ჩავდივართ მათთან. უმრავლესობა ერთმანეთს ვიცნობთ, როგორც მწერლებსა და ადამიანებს. ბევრი ჩვენგანი დაძმობილებულია. ჩვენ აქ პატივით ვგიღებენ. ჩვენც მათ თბილისში ვპეპლავთ. ურთიერთის დაახლოების ფორმები მდიდრდება. საბჭოთა კავშირის ხალხები ჰქმნიან საბჭოთა მწერლების ერთიან დიად არმიას. დაწერილებით ამის შესახებ ჩვენ მოვახსრებთ საუბარს. ახლა კი ლენინგრადში და საბჭოთა კავშირის სხვა ცენტრებში გამგზავრებამდე, ცხარგეხლოს შემთხვევით და ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით მინდა გამოვხატო ღრმა მადლიერება ყველა მწერალს, გამომცემლობათა ორგანიზატორებს, ცალკეული ამხანაგების მიმართ ასე თბილად და გულწრფელად მოსკოვში ჩვენი მიღების გამო. მათ უთუოდ უნდათ გადაუხარხონ ქართულ მასპინძლობას. ჩვენ ვფიქრობთ, სამგზეირო დიდი მოგებით დავბრუნდით თბილისში“.

3 ნოემბერს მამამ მოსკოვიდან წერილი გამოგზავნა. დედას სწერდა: „ძვირფასო მეგობარო! ხუთი დღის შემდეგ პეტროგრადში მივდივართ. იქიდან ხარკოვსა და დნეპროგეზში წვალთ და შინ დაახლოებით 1-5/XII ვეპნებით. კერძო და საზოგადო საქმეებმა ისე გვგვწიეს, რომ ამ წერილის დაწერასაც ძლივს ვასწრობ. მუზეუმები, ქარხნები, რედაქციები და ტატმრობა — უველაფერზე უამრავი დრო იხარჯება. ჯერ ვერაფერი ვერ ვიყიდე. ზეგ-მაზეგ ერთ კარგ კოოპერატივში შეგვიშვებენ და იქნება ვიშოპო რაიმე. ნოემბერში და დეკემბერში სახელგამისაგან 5200 მ. უნდა მიღონ ნაწილ-ნაწილად. ეცადე და მოგცემენ. „არსენას“ 25 ცალს მიიღებდი. ათ ცალსაც გიგზავნი. ერთიც არ დაკლო, შეინახე. იმედი მაქვს, რომ შინ მშვიდობა დამხვდება. რაც დაგვაკლე და ჩამოგიწერე, ალბათ შეასრულებდი. დამიოცნე ბუნიონი. გკოცნით შენ, ქეთოს, დედას, მე კარგად ვარ და ავად გახდომას არ ვაპირებ.

3/XI მოსკოვი — 33. შენი მიხეილი“.

მოგზაურობა მოსკოვის დათვალიერებით დაიწყო.

ამ საინტერესო მოგზაურობის თაობაზე მოვიტანთ რამდენიმე ადგილს მამას წერილიდან:

„ბრიგადამ დაწერილებით დაათვალიერა პრეზველობის საუკეთესო ნიმუშები — პარლამენტი შიანეკი“, ყოფ. „ფრეზერი“... ავტომაგისტრალების კარხანა (ამ კარხანაში მამას „ოპელ ოლიმპია“ რამდენიმე დეპანი, რომელიც ომს ჩამოატანა)... ერთი დღით ჩავედით გორკის ქალაქში. დავათვალიერეთ უზარმაზარი საავტომობილო ქარხანა, ქალაქი, თვალი გადავავლეთ აქ შენაკადს — ორ ბუმბერაზ მდინარეს — ოკას და ვოლგას — და შემდეგ ლენინგრადისკენ გავწიეთ. ლენინგრადს რომ საბჭოთა შინაარსი არა ჰქონდეს, მე ვიფიქრებდი, მოსკოვის მატარებელში ჩავიძინე და ევროპულ დედაქალაქში გავიღვიძებდით. ეს ქალაქი უწინაც ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენდა, ზოგი მხრივ იგი ვენასაც სჯობდა. ბერლინსაც და რომსაც, ხოლო პარიზს სისუფთავის მხრივ უკან ჩამოიგდებდა. დავათვალიერეთ წითელი პუტილოვი, მუზეუმები, სასახლეები, გამოფენები, ვნახეთ საბავშვო სოფელი (უოფ. „ცარსკოე სელო“), იქაური სასახლეები და ხუტმრად ვეწვიეთ ალ. ტოლსტოის, რომელმაც თავის სახლში ლენინგრადელ მწერლებს შეგვახვედრა. შემდეგ მე და ნიკო ლორთქიფანიძე ბელორუსიის გზით უკრანისკენ დავეშვით. დავათვალიერეთ მძლავრი ქარხნები — სასოფლო-სამეურნეო იარაღების გომელში, მინსკი (იქვე) ბობრუისკის ბე-ტყის უშველებელი კომბინატი, სამკერვალო ქარხანა იქვე და სხ. გომელიდან „რუსული ქალაქების დედას“ კიევს ვეწვიეთ. დიდი ხანია ეს ქალაქი მიყვარს. უწინდელი პეპრობის ლავრა — ძველი რუსეთის ვატიკანი — სამუზეუმო ქალაქად გადაქცევით. უველაზე მეტად სამების ეკლესიის დავათვალიერება და გაგვიკვირდა. უკრანული ღრამაც ვნახეთ. „ეს კადრის დაღუპვა“ გვაჩვენეს. ჩვენ სამხრეთისაკენ გამოვრბივართ უინვას, მაგრამ იგი გვეწევა და წინ გვისწრებს. ხარკოვში მან 22 გრადუსს მიაღწია და თითქმის დადგაატმრა სატყეპრში. მანვე ჩაგვიშალა ვეგმა. გვინდოდა დნეპროპეტრი, კოლმეურნეობანი და ოდესაც გვენახა, მაგრამ შეგვეშინდა და ფლანი ავიღეთ“. რამდენიმე ჩანაწერი უბის წიგნაკიდან: „შენვიდრა „ხარკოვსკი პროლეტარი“ (გორკომის საოლქო კომიტეტის) და მწერალთა ბის. სიცივე იდგა. გავიხსენეთ ქართულ-უკრაინული მწერლობა. სიტყვა ვთქვით ვიშნიაძ და მე. კულიში, კირილენკო, მაიტენკო (გაიხსენეს ხკრიპნიკი, ხვილევი, კუზნას). კირილენკო მთხოვს გადაცეც ქართველ მწერლებს, რომ ისევე სდევნონ მეწუეთეზს და ნაციონალიზმს, როგორც ისინი სდევნიან“.

ლენინგრადიდან მამამ წერილი გამოგვიგზავნა: „ჩემო ძვირფასო! ერთი დეპეშა ან წერილი მაინც გაიმეტე. მოსკოვიდან 1000 და 600 მ. გამოვგზავნე, ჰქედან კი 2009. იმედია, ფული არ გაკლიათ. ზოგ რამეს აქედან ჩამოვიტან. ჯერჯერობით ძალიან კარგად დავდივართ. და-

რიც ხელს გვიწყობს. ჯერჯერ მე და ნ. ლორთქიფანიძე ბელორუსიას და უკრაინას წავალთ. იმედია, ხარკოვში შენი წერილი დამიხვდება. 10-15 დეკემბერს მელოდეთ. თქვენი დუმილი მწუხარების ნიშნად მიმაჩნია, მაგრამ ცარდი მაინც არ მშორდება. დამიყოლე ყველანი. შენი მიხეილი. ლენინგრად-პეტროგრადი, 15/XI-33".

სახტუმროში მამა და ნიკო ლორთქიფანიძე ერთ ოთახში ცხოვრობენენ. სხვადასხვა ბუნების ადამიანები იყვნენ. ნიკო იყო დინჯი, აუჩქარებელი, დილით გვიანობამდე თვალს არ გაახელდა, მამა კი ცოცხალი ბუნების, მშფოთვარე სულის ადამიანი იყო და ადრე ადგომაც უყვარდა. ამის თაობაზე მეგობრებს დავა ჰქონდათ. მამა დილადაგვე შეუდგებოდა ხოლმე ნიკოს გაღვიძებას და ბრაზი მოსდიოდა, რომ ის არა დგებოდა და ძვირფას დროს ხელიდან კარგავდა. ერთხელ, გაბრაზებულმა, ნიკო ლოგინში მძინარე დატოვა და მარტო წავიდა თავის საქმეზე. რამდენიმე დღის განმავლობაში ნიკო ავადმყოფობდა და მამა უკლოდა, თანაც თავის საქმეებზე დადიოდა. თბილისში ჩამასვლისას, ისინი ახსენებდნენ ხოლმე ერთმანეთს იქ გატარებულ დღეებს. მოსაგონარი კი მართლაც ბევრი რამ ჰქონდათ.

საინტერესო იყო ნიკოსა და მამას საჭართველოში გამომგზავრების ამბავიც, გზა თბილისამდე სავსე იყო სახიფათო და საინტერესო თავგადასავლით. მამამ ჩამოსვლისას გვიამბო ეს ამბები და ბევრი იცინა კიდეც. საქმე შემდეგ ში ყოფილა: მამა და ნიკო რომ ხარკოვიდან წამოსულან ეპირებოდნენ, ბილეთის ასაღებად ჯავშანი ჰქონიათ, რომლის შემწეობითაც მგზავრებელში კარგ ადგილებს მიიღებდნენ. ეს ჯავშანი მათ ბარგის მომტანს გადასცეს, რათა ბილეთები აეღო. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბარგის მომტანმა თურმე ითამლითა, ჯავშანი სხვ. პირს მიჰყიდა, მათ კი არც თუ ისეთი კარგი ადგილები შეხვდათ. მატარებელში ჩაჯდომისთანავე განწყობილება გაუფუჭდათ, ვინაიდან დარწმუნდნენ, რომ არასაიმედო მგზავრობა ელიათ. ეს ამბავი ვიღა ვამოსაძახებ წერილიდანაც ჩანს: „ჯამარჯობა, ჩემო მიხეილ! შენი წერილი მივიღე ეს რამოდენიმე დღეა. მაშ ეგრე დაიტანჯეთ? ჩემი ბრალი არა არის. მაგგვარი რამე, რომ ჯავშანი სხვისთვის გადაეცათ. ამ ორი წლის ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა. თუმცა, ბევრი გამომსატმრობია. ჩემის აზრით, აქ „ნასლშჩაკის" ბრალია. თქვენი ჯავშანი იმან ალბათ გაჰყიდა და, სულ ცოტა, 4-5 თუმანი აღო. ვნახობ, რომ არ დავრჩი ბოლომდე, ეგრე არ მოხდებოდა მაშინ. შემდეგისთვის ვისწავლოთ და ჯავშანი არ ჩავაბაროთ „ნასლშჩაკს" ახალებად."

ეს ამბავი, მათი წვალების მხოლოდ დასაწყისი იყო. ფათერაკები წინ ელოდათ.

რომელიღაც სადგურზე იკოთხეს. რამდენიმე წუთით ჩერდებოდა მატარებელი. რომ გვეკვლა 20 წუთი დრო ვკვებლო. გადაწყვიტეს ესეც გამოეყენებინათ და გასულიყვნენ და გაესეირნათ. სეირნობისას გაიგონეს, რომ სადგურზე თავიანთი მატარებელი დი როცა გაიხსენეს, მის წასვლამდე რამდენიმე წუთიღა რჩებოდა. სირბილით გამოემართნენ სადგურისკენ და ბაქანზე რომ ავიდნენ, მატარებლის ბოლო ვაგონი. მისი კუდიღა დაინახეს. ასე გაასწროთ მატარებელმა. ძალზე შეწუხდნენ ჩვენი მგზავრები. მაგრამ არა გაეწყობოდა რა. ისღა მოიფიქრეს, რომ სადგურის უფროსთან შეეხედნენ. საქმის ვითარება გააცნეს და დახმარება სთხოვეს. სადგურის უფროსმა მაშინვეთვე დარეკა ტელეფონით და მომდევნო სადგურს შეატყობინა მგზავრების ჩამორჩენის ამბავი, ამასთანავე სთხოვდა, მათი ბარგისათვის მიეხედათ, რომ არაფერი არ დაკარგულიყო. დაზარალებულებს კი დამშვიდა, რომ სადგურიდან მალე მეორე მატარებელი გავიდოდა, რომელიც იმ მატარებელს ჩაუსწრებდა და საკმარისი დრო ეჭნებოდათ. თავიანთ კუპეში დაბრუნდნენ.

მალე ისინი მეორე მატარებელში ჩასხეს და გაამგზავრეს. სადგურს რომ უახლოვდებოდნენ, მამა და ნიკო ღელავდნენ, მოასწრებდნენ თუ არა ერთი მატარებლიდან მეორეში გადახვლას და ამის ირგვლივ გეგმებს აწყობდნენ. როცა მატარებელი ნელ-ნელა მიადგა ბაქანს, ჩვენებმა ნათლად დაინახეს, როგორ დაიძრა ასევე ნელა მათი მატარებელი და სადგურიდან გავიდა მათ კვლავ მისი კუდიღა შერჩათ. მამა და ნიკო გულშემოყრილნი დარჩნენ. ახლა ისმაღა ფიქრობდნენ, რომ მეორე სადგურზე დაწეროდნენ თავიანთი მატარებელს და ამასთან დაკავშირებით ახალ გეგმებს აწყობდნენ.

მომდევნო სადგური პოპოდილი აღმოჩნდა. მატარებლები რამდენიმე ლიანდაგზე იდგა და იმის გარკვევა, თუ მოსული იყო მათი, ძნელი გახდა. ახლა ჩვენი მგზავრები იმასღა ფიქრობდნენ, როგორ გამოეცნოთ ამდენ მატარებლებში თავიანთი რომ მოესწრო გადასვლა. მატარებელი ნელა უახლოვდებოდა ბაქანს. ჩვენებიი ფანჯარასთან იდგნენ და გზას გასცქეროდნენ. ამბობდნენ წინ მდგომი მატარებელი ნელა დაიძრა და წავიდა. ვაგონებმა მათ თვალწინ ვაიარა და ერთ-ერთზე გარკვევით წაიკითხეს თავიანთი მატარებლის დასახელება. რა გაეწყობოდა, უკვე მეორედ გაასწრო ცხვირწინ მატარებელმა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დასცინოდა მათ და შეჯიბრი იწვეთდა. ამის შემდეგ ხელი ჩაიქნიეს, ასეთ უჩვეულო დროს თავი დაანებეს, თავიანთ

ქეთევან ჯავახიშვილი
გიორგი ჯავახიშვილის ცხოვრება და ღვწაწეობა

მდგომარეობას შეურიგდნენ, გადაწყვიტეს თბილისამდე ასეთ ემგზავრათ და ხახიათი აღარ გაეფუჭებინათ. ასე ძვირად დაუჯდათ უცხო ქალაქში გასეირნება.

თბილისში რომ ჩამოვიდნენ, სადგურზე თავიანთი ბარგი დაახვედრეს და ორივენი სახლებისკენ გაეშურნენ. იმ დროს მატარებლები წესიერად არ მუშაობდნენ, დიდი ხნით იყვნენ წყნეთრად არ მუშაობდნენ, დიდი ხნით იყვნენ წესიერად არ მუშაობდნენ, დიდი ხნით იყვნენ წესიერად არ მუშაობდნენ.

ნარკვევი

ნელი გაბრიჩიძე

ფიქრები ქეთევან ანანიაშვილზე

ანუ შემოქმედი ახალგაზრდობის ალზრდის შესახებ

ყველა შემოქმედს ჰყავს ადამიანი, რომელიც თავისი მუზის მფარველად, თავის აღმზრდელად მიაჩნია. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ რადესაც ათეულობით ხელოვანი ერთსა და იმავე პიროვნებას თვლის მისი ნიჭის აღმომჩენად, თავის სულიერ გადიად, მაშინ კი გვმართებს ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი თავდაუზოგავი რატომ შეცვლა და ფიქრიანი გარინდება, შეჩერება, გონების თვალით შეფასება იმისა, რაც ამერ ჩვენს თვალწინ მოხდა და წარუშლელი კვალი დატოვა.

მე მინდა გიამბოთ ქეთევან ანანიაშვილისა და მისი აღზრდილების შესახებ. მინდა გიამბოთ ქალზე, რომელსაც არც ერთი ლექსი არ დაუწერია და მაინც მთელი ცხოვრება ქართული პოეზიის უანგარო სამსახურს შესწირა. ხომ მშვენიერი და იდუმალია შემოქმედებითი პროცესი, როდესაც ხელოვანი თავისი ერისთვის მნიშვნელოვან ნაწარმოებს ქმნის. კიდევ უფრო მეტი იდუმალებითაა მოცული პოეტის, შემოქმედის აღზრდის ხელოვნება; მე მას მხოლოდ ოჯახშვილდლის დაუცხრომელ, უფაჩუნეს შრომას შევადარებდი და მაინც არ ვიქნებოდი მართალი, რამეთუ შემოქმედის სულიერ ნიუანსებში წვდომა, 10-12 წლის ბიჭუნაში მომავალი ერის მსახურის აღმოჩენა და აღზრდა კიდევ უფრო მეტ ღვთაებრივ მონაცემებს მოითხოვს ადამიანში. რაოდენ ცოტანი არიან ასეთი ადამიანები, თითზე ჩამოსათვლელიო. რომ თქვა, ესეც კი ბევრი იქნება.

ქეთევან ანანიაშვილი, ზღვისპირეთში დაბადებული და ქართველი ინტელიგენტის ოჯახში საუცხოოდ აღზრდილი ახალგაზრდა ქალი, როგორც თვითონ იგონებს, ომის წლებში სულ შემთხვევით მოხვდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურის კაბინეტის გამგედ. მე ქედს ვიხრი ასეთი მშვენიერი, ვითომდა შემთხვევითობის წინაშე. მოდით, ერთად წარმოვიდგინოთ, თუ როგორი რუდუნებით მოანთო მან შთაგონების კოცონი ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის ამ ახალ კერაზე, თუ რა წინააღმდეგობები გადალახა... წინააღმდეგობა კი ისევე გახდა მისი ცხოვრების თანამგზავრი, როგორც პატარების უზომო სიყვარული და ნდობა. იგი თვითონ არის შემოქმედი და ყველა ჩვეულებრივ ბიუროკრატს როდი შეეძლო შეეფასებინა, რაოდენ სამაგულო საქმეს აკეთებდა ეს პირმშვენიერი, შვილისთვალა ქალი, როდესაც პირველ ლექსებსა თუ მოთხრობებს, ნარკვევებსა თუ ჩანახატებს უწონებდა ან ახვეწინებდა გივი გეგეჭკორს თუ ჯანსულ ჩარკვიანს, ვახტანგ ჯავახიძეს თუ ნაზი კილასონიას, ნანა ბატისაცს თუ ლანა ღოღობერიძეს, მელორ სტურუას თუ ოთარ ჭილაძეს, დევი სტურუას თუ ნელი მახარაძეს, მზიულა ხუციშვილს თუ შალვა ამონაშვილს, გულდა კილაძეს თუ მედეა კანდელაკს, ვილი კაკაბაძეს თუ თინა იზაშვილს, გოგი თოთიბაძეს თუ რეზო თაბუკაშვილს, ვაჩუშტი კოტეტიშვილს თუ დათო წერეთელიანს, ზაზა ბაბიანიძეს თუ ია შენდელაშვილს, ემზარ კვიტაიშვილს თუ ნანა ღვინეფაძეს, ლია მამულაიას თუ ზვიად გობეჩიას, თამილა სესიაშვილს თუ თამრიკო ჯავახიშვილს, გურამ კანკავას თუ დენიზა ზუმბაძეს, გურამ ახათიანს თუ ანზორ სალუქვაძეს, ელზა დოკვაძეს თუ მაყვალა ქმეხაძეს, არჩილ ბეგიაშვილს თუ ალიკ ალექსიძეს, ინოლა გურგულიას თუ რენო თურქიას, გურამ სხირტლაძეს თუ რისმაგ გორდეზიანს, ნუგზარ ფოფხაძეს თუ ცირა ინწკირველს...

ნორა შემოქმედთა წრე — ეს იყო პატარა უნივერსიტეტი, საითკენაც სიხარულით მოიხრჩობოდნენ ნიჭიერი მოსწავლეები — თითოროლა ლექსის ავტორები, ლიტერატურის მოყვარულები. ჩემს მიერ ნაწოდები საპატიო ხარისხი — უნივერსიტეტი რომ ლატინ სიტყვად არ დარჩეს მეთხუთმეტაოვის, თავს ნებას მივცემ, ქედევან ანანიაშვილის აღზრდილთა სიმრავლითა და კომპეტენტურობით ვამაყებდეთ და გზადაგზა დავიმოწმო მათი შეხედულებები ამ წერის მუშობაზე, მათ საყვარელ „დიდ ქეთოზე", როგორც სიახლოვის ნიშნად, მოუხდებად დირექციის შენიშვნებისა, ვუწოდებდით მას. ვინ იცის, იქნებ ჩვენი ნაამბობი თუნდაც მომავალში გამოადგეს იმ ადამიანებს, რომლებიც ეხლიდან ძნელ საქმეს — შემოქმედ ბავშვებთან მუშაობას შეეხმიანან,.. ახეთი ამოცანა ეკ დიდად საპატიო და რთული გაბლავთ. აქ, როგორც წესი, აღუილებლად იგულისხმება არსებობა ძალზე დიდი განათლების მქონე პიროვნებისა, რომელიც ყოველმხრივ საინტერესო და მიმზიდველი უნდა იყოს — როგორც ადამანი, როგორც მოკლაქე. როგორც შემოქმედი... თვით გარეგნობასაც კი აქვს გარკვეული მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს იმასაც, რამდენად გუთნად ახლოს მიიტანს იგი თვითეოეული ბავშვის ავსა და კარგს, შეუძლია თუ არა უსაზღვროდ გაიხაროს ერთის წარმატებით და უსაზღვროდ განიცადოს მეორის მარცხი. ერთი სიტყვით, შეუძლია თუ არა მთლიანად ბავშვების ცხოვრებით იცხოვროს და, ამავე დროს, სოციალად მაღალი ჩანდეს მათ თვალში, როგორც ზნეობრივი სიწმინდისა და ეჭვიმუტანელ კეთილშობილების მაგალითი. ფრთიანი ფრაზა — პოეზია მსხვერპლს მოითხოვს — ამ სიტყვიერი მოლიანად ამარტოლებს თავისთავს, ღიად, აღმზრდელს უნდა შეუხედოს თავის შეწირვის უნარიც, რაც ესოდენ იშვიათია დღესდღეობით...

ყველა დიდი დაწესებულება კოლექტივისაგან შესდგება, მაგრამ ნურავინ მეტყვის, თოკჭოს შეიძლებოდეს, რომ მოსწავლეს კოლექტიურად ავუხსნათ, თუ რა ნაკლი აქვს მის ჩანაბატს ან ნარკვევს, რომელი ნიუანსი აკლია ლექსს, რომ ნამდვილ პოეზიად იქცეს. შემოქმედ ბავშვებთან კონკრეტის მეორე, გარდაუვალი პირობაა ინდივიდუალური მუშაობა. პიროვნების როლი განუზომლად დიდია ყველგან, ფარმიება იქნება ეს თუ სოციის მეურნეობა, მეცნიერება თუ ლიტერატურა, მაგრამ პედაგოგიკაში ეს საფუძველია საფუძველიი. ბავშვი შეგნებიერი წევრია, რომელიც სწორად წაკითხვას საჭიროებს და იმ თავისუფალ ფურცლებსაც ხომ განსაკუთრებული სიფაქიზით უნდა შეეხებოდეს...

სწორედ ამ თემაზე ვსაუბრობდით კრიტიკოსი გურამ კანკავა და მე, როდესაც ვთხოვე, გაეხსენებინა სიყმაწვილის დღეები და ერთხრო იმ წლებზე, რომლებიც ქედევან ანანიაშვილის „ფრთებქვეშ" გაატარა. საქმეც იმაშია, რომ ჩანაწერი საკმაოდ ვრცელი

„როდესაც ათეული წლები გაშორებს წარსულის მოვლენებისაგან, არ შეიძლება მათი ფუნდამენტური მნიშვნელობა არ აღიარო და წარსულის სიხარული, ამჯერად ერთგვარი განსჯის საგნადაც არ აქცეო. იქცა თუ არა ჩემთვის „სასახლის" (როგორც მოკლედ ვეძახდით ჩვენ მოზარდთა ამ შემოქმედებით ცრას) ლიტერატურული კაბინეტები გატარებული წლები ჩემს პირად წარსულად? შეიძინა თუ არა ძალმოხილება იმ შორეულმა წლებმა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში? ან რომ არ ყოფილიყო, ამ საუბრის შინაარსი, ალბათ, უქმი იქნებოდა.

პირველი, რაც განუზომელი სიამოვნებით მახსენდება ლიტერატურულ კაბინეტში გატარებული დღეებიდან, ეს არის იშვიათი ატმოსფერო. ამ ატმოსფეროს ქმნიდა თავისუფალი აზროვნების, საგნის აღტაცებული სიყვარულის თუ შემოქმედებით ძალთა მოხიბვლის პირველობილების მაროლაც რომ განუმეორებლობა. „სასახლეში" ჩვენში გაიგვიძა ახალი სიხარული — შემოქმედებითი სიხარულის განცდა, რომელსაც იმდროინდელი სკოლა ჩვენ ვერ მოგვპოვებდა...

ჩვენში, ვინც ლიტერატურული წრის წევრეი ვიყავით, გამომუშავდა ჩვეულები ვუყოფლიყავით არ მარტო პიროვნულები ერთმანეთის მიმართ, არამედ ყმაწვილურად „დაუნდობელი" განსჯის ობიექტებადმი, ე. ი. პიროვნული თავისუფლება გამოგვეჩინა აზროა გაცვლა-გამოცვლაში და საკუთარი უმწიკვლო დაკვირვებების შემოზვებაში. მართლაც, ჩვენ ყველანი, ვისაც ეს წრე გვეკრთანებდა, ვტკბებოდით დამოკიდებულებათა თავისუფლებით, ქმნის ბედნიერებით, უფროსების ზრუნვით და გვეგონა, რომ მთლიანად ცხოვრება ამგვარი მხარეებისაგან შედგებოდა...

პირველად აქ გავიგონე საკრალური და ჩემთვის თითქმის ხიბედისწერო სიტყვა — „დისპუტი"... დისპუტების ალში იყო გატარებული ჩვენი ქალაქის ახალი თეატრალური დადგმები, ახალი კინოფილმები, მხცოვანი მწერლების ახალი ნაწარმოებები (ხომ არ შეესუტდა დღეს ეს მდიდარი და ნაყოფიერი ტრადიციაო?..). სწორედ ამგვარად ხდებოდა ჩვენი პიროვნული თვითდადგინება, ლიტერატურული თვითდამკვიდრება და ამგვარად გვიძლიოდა საკუთარი ძალების რწმენა. რა უშავს, თუკი ეს თვითრწმენა ზოგჯერ გადაჭარბებული იყო. როგორც ვიცით, ამ მხრივ ახალგაზრდული გადაჭარბება ბევრად უმჯობესია, ვიდრე უკმარობის მტკივნეული განცდა. ყველა ეს ჩამოთვლილი სიცილე ჩვენ, ცხადია, ციდან არ მოგვევლინა...

ჩემს მეხსიერებაში გამოიყოფა ქეთევან ანანიაშვილის შვენიერი სახე: როგორ ეტუობოდა (ამას შემდეგში მივხვდი), რომ იგი დახვეწილი ლიტერატურული ოჯახიდან იყო გამოსული, რომლის მრავალრიცხოვანი წევრები „სიხალხეთ“ ლიტერატურობა იყვნენ. — „წერეთ თქვე, როგორც თქვენ ფიქრობთ!“ — ასეთი იყო ქეთევან ანანიაშვილის პირველი და უმთავრესი ლიტერატურული წარხმძღვარი და ამასთან ერთად ზნეობრივი მოწოდებაც. იგი ისევე ფაქიზად ეკიდებოდა ყმაწვილის ზნეობრივ პრინციპებს, როგორც მათი ლიტერატურული გემოვნების სიწმინდეს და ამ ორ განსხვავებულ სფეროს უზიანებდა ძაფებით ამაგრებდა. მას სურდა ჩვენში ინდივიდუალური საწყისის გაღვივება და შემაგონება.

ლიტერატურული აღზრდა, როგორც მეთოდი, ქეთევან ანანიაშვილისათვის, ჩვენი „დედა ქეთოსთვის“ იმაში კი არ მდგომარეობდა, მოსწავლისათვის თავისი შეხედულებები თავს მოეხვია და საკუთარი კარნახით წარემართა მისი ლიტერატურული მიდრეკილებები, იგი ყურადღებით აღევნებდა თვალს ყოველი წევრის განსაკუთრებულობას, მის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ და მხილოდ კორექტივებით შეჰქონდა მათში. როგორი მომთმენი სიფაქიზით ეპყრობოდა იგი ჩვენს „ამბოხსაც“, თუკი მისი კორექტივი ჯიუტ წინააღმდეგობას ხვდებოდა... რახაც მხჭელობით ვერ გააწუობდა, აღვილად აღწევდა თავისი ნაირი ღიმილით, იუმორით ან ფრთხილი საუკეთურით.

იგი ჩვენ კი არ „გვახწავლიდა“, ცხოვრობდა ჩვენთან ერთად, ჩვენს ტოლად გვაჩვენებდა თავს და ამგვარად ზრდიდა მომხიბვლელობის იმ ატმოსფეროს, რომელიც კიდევ უფრო გვითრევდა ჩვენ ლიტერატურული ცხოვრების წიაღში. როგორ სითამამეს და გამბედაობას გვამუნებდა იგი ჩვენ, ჩვენს თაობას, რომელმაც ომის საშინელებებს ეს ესაა თავი დაადწია, როგორ გვანებივრებდა!

ახლა, როცა იმ გასულ წლებს ვიგონებ, ვფიქრობ, რომ მას შემდეგ ცოტა რამით შეცვლილა და ჩემი ჩამოყალიბება სწორედ სახალხის იმ მაღალ, შნოიან დარბაზებში მოხდა. არაფრით არ შეცვლილა აგრეთვე მაღლიერების ის ნაყოფიერი განცდა, რომელიც დამრჩა სიყმაწვილის იმ წლებიდან, ქეთევან ანანიაშვილის სახელს რომ განეკუთვნება“.

ნორჩ შემოქმედთა წრის მიერ ჩატარებული შეხვედრები თუ დისპუტები ახლაც ახსოვს ქალჯან სოზაღლონებრობას. იყო ძიება, აღმოჩენა, მშვენიერებასთან მიახლებას განმეორებელი სიხარული. და ყოველთვის მათი, უფრო სწორედ ჩვენი, მეგზური იდუმალების ამ ზღაპრულ ლაბირინთებში გახლდათ ქეთევან ანანიაშვილი. ჩვენ ერთობლივ შემოქმედებით მუშაობაში ღამეები გვითენებია, ბედნიერი ღამეები.

მას კი. მას ევალებოდა ყველაფერი. რაც ჩვეულებრივ, კაბინეტის გამგეებს ევალებათ ხოლმე: უნდა დასწრებოდა ითასობა კრებასა და თათბირს, უნდა ეწერა ასწვალებდა მები თუ ანგარიშები, ოქმები თუ მოხსენებები, უნდა მოეწყო ექსკურსიები... ერთხელ თურმე, ისიც კი მოსთხოვეს. ზუსტად დაესხელებია, თუ რომელი მოსწავლე რას ყაიმათხავდა ამა თუ იმ მეცადინეობაზე. უმწეოდ იღიმებოდა, თურმე, ქეთევანი. როგორ უნდა აეხსნა ამ უცბო კაცებისთვის, რომ შეუძლებელია წინასწარ იცოდე, რაზე დაწერს ლექსს დეკემბრის თხუთმეტში ემზარ კვიტაიშვილი. დაო წერეთელი თუ ვაჟა ორბელიანი?..

მუშაობას მაინც უქებდნენ. ჯილდოებსაც აძლევდნენ. მერე კი განუოცალებიან გამგეობა მიაწდეს, უველა კაბინეტის მუშაობა ისე წარმართეს, როგორც შენიო. არ გაუუდიო უარი. სხვების მაგივრად პასუხს ვერ ვაგებ, შემოქმედებითი მუშაობა ძალზე სათუთი რამ არის და უველას ერთნაირად არ ეხერხებაო. ვერ გაუგეს. ძალზე აშკიათად იცინან ხოლმე შოგორნების ფასი. ვინ იცის, რამდენი დრო დახარჯებიათ ჩვენი დაწერებულებებს ხელმძღვანელებს, ვიდრე კაბრებთან მუშაობას იხვაღიდნენ, ავხა და კარგს გაარჩევდნენ. ჰოდა, მოხდა ისე, რომ 17 წლის მუშაობის შემდეგ მაინც სხვის მაგივად აგებინეს პასუხი, თავი დაიზღვიეს, ვიღაცამ რაღაცა დააშავა, მაგრამ, აი, ანანიაშვილის გამგე დაისაჯაო. და ისეთი აღვილი შესთავაზეს, რომელიც მის ღირსებას არ შეეფერებოდა. და რაც მთავარია, მის უშუალო საქმეს — ბავშვებთან შემოქმედებით მუშაობას დროებით მაინც აშორებდა. ვინ იცის, რამდენი მომავალი მწერალი დაზარალდა ამ ხანდისწერო ნაბიჯით, ვინ იცის, რამდენი ტალანტი დარჩა აღმოუჩენელი...

სიკეთეს ჯავშანი არ ახლავსო. ნათქვამია. მართალია; სადაც არ უნდა წასულიყო, უველგან მისი აღზრდილები დახვდებოდნენ, მაგრამ ხომ ეერ ეტყოდა, აი, მოვედი, სიმაროლეს ვეძებ და მაპოვნინეო. სიმაროლე კი იმ დროში არც ისე აღვილი საპოვნელი იყო, ისევე თარგმანებს მოუბრუნდა. მერე ერთ-ერთ რედაქციაში დაიწყო მუშაობა. იქაც მოაგნეს ბავშვებმა. იქაც შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღა. ეურნალში ეურნალი დაარსა — „ჯეჯილი“ უწოდა. პოინერთა სასახლეში მუშაობისას მისი წრის ხშირი სტუმრები იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, დიდი გალაკტიონი, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, ლევან ასათიანი, ბესარიონ ყიფიანი, სიმონ ჩიქოვანი, ოსიპ გრიშაშვილი, მარიჯანე, აკაკი გაწერელია და ვინ მოსთვლის...

ნელი გაბრიჩიძე

ფიქრები ქეთევან ანანიაშვილზე

„ჭეკილშიც“ უხუცესი და უმრწემესი თათბები მეგობრობდნენ. ნიკოლოზ ტიბილოვი წერდა ხოლმე ნორჩ ჭეკილეულებს, ლაღო გუდიაშვილი ხატავდა მათთვის, ლევან გაითუა თამაშრობდა მათთან... მაგრამ მაშინ ბავშვთა წელიწადი არ იყო და... გააღწმეს „ჭეკილი“. სიკეთე იყვა და უმწეოდ იღიმებოდა... აქედანაც წასვლა უწევდა, თითქოს სხვა სიყვარული უნდა დაბადებულიყო, თანამედროვეობას კი არც მისი რაფინირებული გემოვნება სჭირდებოდა, არც ამაღლებული ოცნებები. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი თუ ის ეიღაც „ხაშუალო არითმეტიკული“, კბილებამდე ბოლმე შეიარაღებული — იურიდიული კანონებით, ხასხამართლით, ჩვეულებრივი მუშტითაც კი... მაგრამ განა როდისმე შეალებს უძლიერესთა კარებს ხათნება და ატყვნის: აი, მე მოვედი, მე ვარ ხათნება, მე ვარ ქეშმარიტება... ამ ხაღლებსაც ხომ ის ირჩმეკს ხოლმე, ის — მებრძოლი ობივატელი.

გულწრფელი ვარ და მეპატიება ესოდენ მწარე ხატყვები. დროა, არ დავუშვათ ახეთი გამოუსწორებელი შეცდომები. დროა, შემოქმედებით ინტელიგენციას საყვარულით და ხათუთი მოპყრობით ვაგრძნობინოთ ჩვენი თანადგომა. იგი, უპრეტენზიო სიკეთე, რედაქტორის თუ დირექტორის ხავრძელს როდი ეხწრაფის. მას უნდა დარჩეს იქ, სადაც უფრო საჭიროა ხალისათვის... მას, ამაყს და შეურიგებელს, დაგვიანებული მადლობები როდი მოუწევებს ჭრილობებს (ამას წინათ ქეთევან ანანიაშვილს, პოინერთა ხასახლეში გატარებულ წლებთან დაკავშირებით, ხასახლისად წამოსვლის 20 წლის შემდეგ დამსახურებული პედაგოგის წოდება მიანიჭეს!).

წლებსა და თარიღებს შეგნებულად არ ვაწუხებენ. მე მთელ ცხოვრებაზე გიამბობთ, ერთი ჭარხეული ქალის ცხოვრებაზე, რომლის გულხსნმიერებამ და ხითბომ ბავშვობაშივე დაკარგული უახლოესი ადამიანებიც შემიცვალა და ხელოვნების უწენიღეს ხაიდუმლოსაც მაჩვენა.

ძნელია აღწერო ის თავგანწირვა, რომელიც ქეთევან ანანიაშვილის ცხოვრების წესად იქცა. იგი არ მუშაობდა ამ ხაათიდან იმ ხაათამდე, ხელფახის აღებიდან-აღებამდე, თუნდაც დილიდან ხაღამომდე. როდესაც პოინერთა ხასახლის კარები ჩაიკეტებოდა, ჩვენი საუბრები გრძელდებოდა კოტე მესხის ჭუჭაზე, ხუთ ნომერში, იმ ძველ თბილისურ ხაძლში, სადაც ანანიაშვილების მთელი ოჯახი ცხოვრობდა: ქეთევანის მშობლები — ქალბატონი ნინო და ბატონი თომა, მისი ძმა — პოეტი ლევან ანანიაშვილი, და — ნუცა ანანიაშვილი — შესანიშნავი პიროვნება, გოგოლისა და დოდეს ბრწყინვალე მთარგმნელი. მეორე დაც — დედა ელეკოც — ქართველ ბავშვთა უანგარო მხახურია — სკოლის ექიმი ათეული წლების განმავლობაში. ქეთევანის ვაჟთან — თამაზ ლომინაძესთან (დღეს რომ ეროვნული მუზეუმის ლაგიის მეცნიერებათა დოკტორია, პროფესორი) ერთი გვკონდა ხადაო: რატომ ეძახდა ის დედას, როდესაც ჩვენ უველანი დეიდა ქეთოს ვეძახდით ან ლუთისმშობელ ქალს...

შეუძლებელია იმ ბედნიერების აღწერა, რაც ამ ადამიანებთან კონტაქტმა მომანიჭა პირადად მე, მაინსა ქეთევანის აღზრდილთა მთელ პლეადას; ეს ისტორიული ხასწია: აქ სტუმრად ჯადნდელი ქართველი მწერლები — ჩვენი ცალვანდელი კლასიკოსები. აქ ზრდებოდნენ სხვანი — ჩვენი ხვალინდელი კლასიკოსებიც. ახლა ეს ხახლი დანგრევის პირახაა; არის დაწესებულებები, რომელთა ამბიციაა არ ცნობს არავინთარ ავტორიტეტს, გარდა უმაღლესი ინსტანციებისა; დიდი ამბავი, დაინგრევა და ახალს ავაგებთო, — ფიქრობენ ალბათ.

ხიცოცხლე დგას და უმწეოდ იღიმება, მან არ იცის, როგორ შეაკეთოს უზარმაზარი შენობა, რომელიც შუაზე იხსნება. იღუპება კიდევ ერთი ისტორიული ფურცელი ჩვენი ერის სულიერი ცხოვრებისა. ჩვენ კი ისტორია მხოლოდ ის გვგონია, რაც გუშინ, გუშინწინ იყო...

თურმე იმაზეც ხაგანგები დადგენილება იყო ხაჭირო, რომ პოინერთა ხასახლის მაშინდელ მესვეურებს ხათუთად შეენარჩუნებინათ ქეთევან ანანიაშვილებთან წრის წევრთა ნაწერები, არ დაეწვათ, მაკულატურაში არ ჩაებარებინათ გურამ ასათიანის, ოთარ ჭილაძის, გურამ კანკავას, გივი გეგეჭკორის, ნაზი კილასონაის, შოთა რუსვაის, ჯანსულ ჩარკვიანის ბავშვური ხელით შეხებული რვეულები, გრიშაშვილის განუმეორებელი ბარათები, ხახტრანაის წერილები, ნორჩ ლიტერატორთა კონფერენციების მხასლები... ხელფახის მიხაღები უწყისები რომ ყოფილიყო, სხვა ხაქმეც, მაშინ ზინაბა ავდენ, უკიდურეს შემთხვევაში, არჩევს მაინც გადასეემდნენ...

მე ხიამოვნებით შევიდოდი კომისიაში, რომელიც გაარკვევდა, თუ რატომ დაატყვებინეს ლიტერატურის კაბინეტს მისთვის მიჩენილი ორი პოეტური ოთახი მეორე ხართულზე, რომელიც ხასახლის უმშვენიერეს ბაღს გადაჰყურებდა; ოთახები, სადაც ჩვენი კულტურის ფრონტის ესოდენ ბევრმა წარმომადგენელმა გაატარა ბავშვობა... განა კარგ ტრადიციას ახე უნდა გაფრთხილებან? პოინერთა და მოხწავლეთა ხასახლიდან შორს ორდინა თბილისის I ხაშუალო სკოლა, სადაც ხაპატრო დაფაზეა ჩამოკეულილი იმ მამულიშვილთა ხახელები, რომლებმაც ეს სკოლა დაამთავრეს. მაგრამ ეს ხომ ისტორიაა, ის კი, რაც ახლახანს მოხდა, ვითომ არასდეს იქცევა ისტორიად?! ამიტომ აქვე მინდა ვთქვა: დაუბრუნეთ ნორჩ ლიტერატორებს თავიანთი ტრადიციული ხამყოფელი, დაე, მათაც იქ წერონ მოთხრობები თუ ლექსე-

ბი, სადაც მთელი წინა თაობის შემოქმედებას კითხულობდნენ გალაქტიონი თუ ლეონიძე, ხიმინ ჩიქოვანი თუ გრიშაშვილი. დაგვიბრუნეთ ჩვენი ბავშვობის უწმინდესი კუთხე; ჩვენ თვითონ აღვადგენთ მას ზუსტად ისე, როგორც დახსომებიდან იყო, კვლავ გავალვივებთ მინავლულ ცეცხლს. მაშინ თითოეული ჩვენთაგანის სტუმრობა პიონერთა სასახლეში ნორჩ შემოქმედთა წრეებთან შინ დაბრუნებასავით იქნება...

ქეთევან ანანიაშვილი სათუთად ინახავს იმ ბედად შემორჩენილ ხელნაწერებს თუ ბარათებს, რომლებსაც სასახლიდან გამოიყოლა. აი რამდენიმე სტრიქონი ჯანსუღ ჩარკვიანის ბარათიდან:

„ეს თქვენ მენატრებით. ჭანახულობთ და მანც მენატრებით; იქნებ იმიტომ, რომ ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი ურომაში და ბავშვობაა, ხოლო ორივე თქვენზე ხართ...

თქვენ გახსოვთ, როგორ არ გახსოვთ, სულ პატარას პიტლოს დამბაძილეთ... მას შემდეგ ერთად ვიყავით ჩვენ და თქვენ, ჩემი სულის უნაზესი დედა, თქვენ, ჩემი მხურვალე მზე და თეთრი პრილი, თქვენ, ჩემი „უმკაცრესი" გადია... როგორ გვიყვარდით ჩვენ — მე და ოთარს, ანზორს და გიგის, გვიყვარდით და ვერ ვამეღანებდით... უველა ლიტერატურული დილა და უველა საღამო, სადაც კი თქვენი დიდი წადილი და ენთუზიაზმი იყო, სადაც კი ჩვენ ვმონაწილეობდით, ახლა გულში მაჭყს და ვუღიმი. ვუღიმი და გიცქერით ტრიბუნიდან. მე ლექსს ვკმბობ და თქვენ ღელავთ. ნეტავი თქვენ, დიდი ქეთო, თუნდაც შემეშალოს, მერე რა, მე ხომ პატარა „ბიუკეტია" ვარ; მერე ჩვენ წამოვიზარდეთ, თქვენი კალთიდან აფრენილები დავდივართ ამქვეყნად, მზეს ვუღიმით, თქვენს ამაგს ვუფრთხილდებით. თქვენს ღვაწლმოსილებას და ქართველ კალთას ვუფრთხილდებით, ისე როგორც დიდ პოეზიას. დავდივარ და ვფეჩრობ... გადაიხედება თუ არა იგი ვალი, რომელიც ჩვენზეა; რა თქმა უნდა, გადაიხედება — ჩვენი კაცობით, ჩვენ ხომ შრომით, ჩვენი სიყვარულით. თქვენ იცნობთ ჩემს პატარა ბიჭს — მამუკას; მე მას გავზრდი ისე, რომ ქართველ ქეთევანთა შორის ცისკრებდეთ თქვენ, როგორც შესანიშნავ პედაგოგს, საუვარელ ადმზრდელს და მარად ახალგაზრდა მღერადღის ჩვენი მომავლისა..."

ხშირად მიფიქრია, მაინც რა საიდუმლოს, რა ჯადოს ფლობდა ეს დაუღალავი ქალი, რომ ბოლოს ესოდენ ფასდაუდები მოსავალი მოიწია? რით განსხვავდებოდა უველა დანარჩენისაგან? რა იყო მასში ისეთი, კალმით აღწერას რომ არ ემორჩილება დღესაც?!

იქნებ ამის პასუხი რეუისორ ნანა ხატისკაცის ბავშვობისდროინდელ პატარა ბარათში აღმოჩნდეს: „ან, ეხლა მე ვდგევარ ახალი და ძველი წლების მიჯნაზე (მაშინ ნანა მეთერთმეტეკლასელი იყო) და ერთ წუთს თვალს გავლებენ ამ წარსულ წლებს, მხოლოდ იმ დღეებს, როდესაც პიონერთა სასახლეში შემოვიდი პიონერთა სასახლეში — ლიტერატურის კაბინეტში გაუბედავად შემოვდგი ფეხი ამ თბილ, ნაცნობ კედლებგარეშემო და ერთხელაც დიდ ოჯახში და პიონერთა დღიდან ისე შევეცნობილ-შორცეკვე მას, რომ ვერც კი წარმომიდგენია დავრჩი იგი, მოუშორებელ მას. თქვენ ჩვენი დიდი ოჯახის დედა მრძანდებით. უველაფერი ის, რაც მოეთხოება მშობელს, მიიღეს თქვენგან თქვენმა აღზრდილებმა. მეგობრული სითბოც, მშობლიური მზრუნველობაც და პედაგოგური ამბიციური განსაუთრებით მიყვარს მე თქვენი სიმკაცრე: უველა შემთხვევაში გულთბილი, მოსიყვარულე. თქვენ „პრისხნე და შეუბრალებელნი" ხდებით, როდესაც ჩვენ შეცდომებს ვუშვებთ... თქვენი მეტად ზუსტი პედაგოგური ტაქტიკა მაგონებინებს მე ჩემს დანაშაულს და ამ დატუსვის შემდეგ უფრო მეტად მადლიერი ვარ თქვენი, როგორც მეგობრისა და პედაგოგის.

სამაგიეროდ, როგორ გვაღფრთოვანებს ჩვენ თქვენი შექება — მოცდამ დამსახურებისაც მიხედვით, არასდროს ყალბი და გადაჭარბებული. თქვენი ხელმძღვანელობით მე ბევრი, ძალიან ბევრი ახალი ვისწავლე და შევითვისე: აგ განმამტკიცა სიყვარული შრომისადმი, ნებისყოფა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; პირველად თქვენ გაგანდეთ მე ჩემი პოეტური საიდუმლო, თქვენს ხართ „ჩემი ლექსის ძიძა'...

ნანა ხატისკაცის ლექსების წიგნი არ გამოუქვეყნებია, მაგრამ მთელ მის მოღვაწეობას გაჰყვა პოეზიის მაგია, ისევე, როგორც წრის უველა წევრის, მოუხედავად იმისა, საბჭერლო ასპარეზი აირჩია მან სარბიელად, ფილოსოფია თუ გეოლოგია... ერთხელ ცნობილმა ფურნალისტმა ტატიანა ტესმა პკითხა ქეთევანს, როგორ მოხდა, რომ თქვენ, შემოქმედი, თვითონ თითქმის არ წერდით, როგორ მოხდა, რომ ამდენი მწერალი, ამდენი ხელოვანი თქვენი ბუდიდან აფრინდაო...

— როდესაც სასახლეში ვმუშაობდი, მე ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი, მთლიანად სხვებში გადავდიოდი, — უპასუხა დიდი ქეთო, — რაც შეეხება სახელოვან აღზრდილთა სიმრავლეს, ჩემი აზრით, მათ იმთავითვე ჰქონდათ ფრთები, ჩემი ვალი კი მხოლოდ ის იყო, აღმომეჩინა, დამეხმარა ეს ფრთები დ მათთვის ფრენა მესწავლებინა"...

დიახ, იგი ფრთებს გვისწორდებდა, თავიხი ინტელექტით ჩვენზე გადმოდიოდა; თვითონ უკიდეგანო განათლების მქონე, ფრთხილად მიგვანიშნებდა, თუ რა უნდა წაგვეკითხა.

ჩვენც ერთმანეთს ვეჯიბრებოდით რუსთაველისა თუ გალაკტიონის, პუშკინისა თუ ბლოკის, ბაირონისა თუ მაიაკოვსკის ლექსების წარმოთქმაში. ის არ იყო მხოლოდ ქართული ლიტერატურის მასწავლებელი, თუმცა მისი სალიტერატურო საქართველო და ქართული ენა ჩვენი მარადიული სალოცავიც გამხდარიყო. ვინ იცის, რამდენ პროგრამით გაუთვალისწინებიათ საფიქრალს მოიცავს ეს ეგზიუპერისეული ცნება — ფრენის სწავლება, რაზეც ხილვამდეც და შინაგან სინათლეს მოითხოვს აღმზრდელისაკენ. მე გაკეთილებს არ ვატარებდი, მე ვმეგობრობდი, წამოსცდა ერთხელ. „ქართლის ცხოვრებიდან“ ეგვიპტურ პოეზიაზე გადავლილიდი, მოგრძობიდან — ტოლსტოიზე. ქეთევანს შეეძლო რომელიმე ჩვენგანის დასაინტერესებლად, ვთქვათ, სიუჟეტის გასარკვევად სახელდახელოდ ეთარგმნა მერიმეს რომელიმე ნოველა ან დედანში წაეკითხა ბოლერი, რათა მისი ლექსის მუსიკაც გვეგრძნო. მაგრამ უმჯობესია სიტყვა გურამ ასათიანს დავუთმოთ. აი, როგორ შეაფასა მან სულ ახლახანს არა პოეზიუარულე მოწყობის აფორიაქებული სამყარო, არამედ გონებადდაწყებული კრიტიკოსის თვალით ქეთევან ანანიაშვილის ღვაწლი:

„ქეთევან ანანიაშვილმა დიდი როლი შეასრულა ჩემი თაობის მრავალი ამგვარად ცნობილი წარმომადგენლის ბიოგრაფიაში. ჩვენი სულიერი თვითგამორკვევის წლები ომის წლებს დაემთხვა. ბევრი რამ გვაკლდა, ბევრის გამო მხოლოდ ოცნება შეგვეძლო. ალბათ ამ უკმარისობამ და ამ ოცნებამ გვიბიძგა პოეზიისკენ. ჩვენ ყველანი იმ დროს პოეზიით ვცხოვრობდით, ხილო ჩვენი შთაგონების ნათესაუოდელი პოინერთა სახახლის ლიტერატურის კაბინეტი იყო. ქეთევან ანანიაშვილი გახლდათ ამ კაბინეტის მთავარი დახახლისი, ჩვენი მთავარი მეურვე და ყველა წამოწყების სულისჩამდგმელი.

ლექსებს თითქმის ყველა წერდა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ჩვენ პოეზიის სუფთა ჰაერით ვსუნთქავდით, იმ გაიშვიათებული ანკარა ჰაერით, რომელიც მხოლოდ მწვერვალებზე გვხვდება და ჩვენ, მათ სიმაღლეზე პირველად ამოსულებს, სული გვეკვროდა ამ ჰაერში. ეს იყო ღელვანა და ალფრთოვანების ტკივილამდე ნეტარი განცდა.

მართალია, პოეზიის გზას ბოლომდე ყველა არ გაჰყოლია: ლანა ღოღობერიძე ახლა კინორეჟისორია, რეზო თაბუკაშვილი — დრამატურგი და მთარგმნელი, ზეელარ სტურუა — ფურნალისტი, არჩილ ბეგიაშვილი და ზურაბ კაკაბაძე — ფილოსოფოსები, ნოდარ გუგუშვილი — სპორტული ფურნალისტი, გოგი თოთიბაძე და აწ განსვენებული რეზო თურქია მხატვრებად დარჩნენ. მაგრამ მაშინ, სიყმაწვილისა და ჰაბუთობის ჟამს ჩვენი მთავარი საზრდო პოეზია იყო და ამას თავისებურად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულისათვის.

ქეთევან ანანიაშვილის უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ ის თავის უმცროს ARCHIVE http://Archivebeta.Sakdoc.ge მაქსიმალურ თავისუფლებას აძლევდა. მაქსიმალური თავისუფლების ატმოსფეროს ქმნიდა ჩვენს გარშემო, რათა ჩვენ შინაგანი დამოუკიდებლობისა და გაბედული ძიების ინსტინქტი არ მოგვდუნებოდა.

ცხადია, ჩვენ ბზარად ვცდებოდით, მაგრამ ეს ის შეცდომები იყო, რომლებიც აუცილებელია ახალგაზრდა კაცისათვის, რის გარეშეც ახალგაზრდობა ჩაკრგავს თავის განუმეორებელ მომხიბვლელობას.

ქეთევან ანანიაშვილმა ეს მაშინ ჩვენზე უკეთ იცოდა და ყოველ მის მოკმედებაში, ჩვენდამი სიყვარულისა და გულისხმიერების გარდა, იგრძნობოდა ამ ფარული, ხელისმიერი სიბრძნე ქცალიც.

ჩვენ ყველანი სამუდამოდ შეყვარებულნი დავრჩით ამ შესანიშნავ ქალში. სამუდამოდ ჩვენი მადლიერების გრძნობა განგების მიმართ, რომ შეხმაც ასეთი გონიერი, ასეთი ფაქიზი, ასეთი უანგარო მეგზური აღმოგვიჩინა ცხოვრების დიდ გზაზე გასვლის წინ“.

მახსოვს, როგორი სიყვარულით ბატკავდა უკვე პროფესიონალი მხატვარი რეზო თურქია ქეთევანის პორტრეტს, რა შთაგონებით იყო ამთებული მისი ელთლშობილი სახე. მეხსის დახატულ ტილოს უნდა აკობოსო, ხუმრობდა. ბედნიერი წუთების შეჩერებას ლამობდა, ვალის გადახდას ჩქარობდა თითქოს...

როგორ გაიზარდენ თქვენი მოსწავლეები, დეიდა ქეთო, რამხელა სივრცეები მოიხელეს, რა შორს ფრენა ისწავლეს. აი, რას წერენ თქვენს შესახებ ამ პარეული თაობის ყველაზე დაუდეგარი წევრები მელოდ და დევი სტურუები:

„ნათელი ოთახი დერეფნის ბოლოში, მრგვალი მაგიდა და ჰატარა ქალი, მისი უზადო, გასაოცრად ლამაზი სახე, „სავსე ქართული პატოსნებით“. ქეთევან ანანიაშვილი... ის იყო ჯერ დეიდა ქეთო, შემდეგ ქალბატონი ქეთევანი, ახლა ჩვენ „წამოვეწიეთ“ მას და ის ჩვენთვის უბრალოდ ქეთოა, ერთადერთი და განუმეორებელი.

ქეთევან ანანიაშვილი თავისთავად იყო და არის პოეზია, პოეზიის სანაგნი. მის ვვერდით ყოველთვის გინდა იყო კიდევ უფრო სუფთა, ამაღლებული, უფრო კეთილი, მომთმენი და ფაქიზი, მისი თვალებით ჭვრეტდე სამყაროს და პირველ რიგში ხედავდე სილამაზეს, გონიერებას, სიცეროს ამჭევნიერი ყოფისა. ვფიქრობთ, ეს იყო და არის ყველაზე ძლიერი საშუალება ქეთევან ანანიაშვილის ზეგავლენის არა მარტო მის მოწაფეებზე, არამედ საერთოდ ყველაზე. ვინც ახლოსაა მასთან, ვინც თუნდაც

ერთხელ გასაუბრებია მას, ვისაც უბრალოდ დაუნახავს საუკუნეებში დაბეჭდილი მისი ქარხული გარეგნობა.

ლიტერატურული კაბინეტი, რომელსაც დიდხანს ხელმძღვანელობდა ქეთევან ანანიაშვილი, იყო ქართული შემოქმედების ერთ-ერთი ნაყოფიერი კერა. აქ სუფევედ თავისუფლება, სითამამე, კრატიკული მიდგომა ყალბი ავტორატებისადმი. ეს იყო ერთგვარი ფილიალი საქართველოს მწერალთა კავშირისა, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ აქ უფრო ცხარე კამათი იმართებოდა და ქეთევან ანანიაშვილის მიერ მოწყობილ საღამოებზე დასწრების უთვალავ მსურველს ზზარად მილიციის მუშაკები იგერიებდნენ.

მწერლები, ხელოვნების მუშაკები პოინტრთა სასახლეში შინაგანადაც საკმაოდ დაძაბულნი მოდიოდნენ. მათ იცოდნენ, რომ აქ მოისმენდნენ პირუთვნელ აზრს მათი შემოქმედების შესახებ და არა მასწავლებლების კარნახით შედგენილ მაამებელურ ტიტტოს. ზოგჯერ საქმე კონფლიქტებამდეც მიდიოდა. ოფიციალური აღიარებით გალღებული ზოგიერთი შემოქმედი ვერ იტანდა ჭაბუკებისა და ქალიშვილების მიერ ნათქვამ ბიძგრთლეს. ასეთ შემთხვევაში ეს პატარა, სათუთი ქალი გასაოცარ სიმკაცრეს და შეუდრეკლობას ამჟღავნებდა. კარგი დრო იყო, სიინტერესო, შინაარსიანი, ნაყოფიერი. ჩვენ „წრის შეცადნეობაზე“ კი არ გვდიოდით, არამედ ვიკრიბებოდით, რომ გვეფიქრა, გვემობოქრა, გვეოქა და შეგვეცნო. და ეს იყო დიდი, განუმეორებელი სიხარული.

ჩვენს აზრს არ დავამთვრებთ ტრაფარეტულ, ბანალურ მადლობით. ეს მადლობა ჩვენს ცაცოპაშია, ჩვენს ავად თუ კარგად ნაცოდვილარში“.

იოსებ გრიშაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში ყოველ ბუჩქში ბულბული ზის. გარდა ამისა, ლეონიძისა არ იყოს, „ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა“, მაგრამ რამდენი მოკლული მოცარტია ჩვენს ირგვლივ, რამდენი დაშრეტილი ცეცხლია, რომელსაც არ ხვდა ბედნიერება — გადვივეხუოეყო, ახალი სინათლით გაენათება ეროვნული კულტურის შრეები, მისი პორიზონტები. ეჭვი და ყოყმანი ახალგაზდას კი არა, დასრულებულ შემოქმედსაც ახასიათებს, და რამხელა მნიშვნელობა აქვს მისთვის დროულად დანახვას, წაბალისებას, შექებას, ტაქტიან შენიშვნასაც კი...

მე სოცრად ვღელავ, როდესაც გივი გეგეჭკორის შემდეგ ხტრიქონებს ვკითხულობს:

„ჩვენ რომ გვცოდნოდა, თუ რა ძნელი იყო ეხ, რასაც ვეხლაუჩებოდით, ბორის პასტერნაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ რომ გვცოდნოდა, თუ რა შორს იყო დასაწყისი, როცა გრძნობამ უნდა უკარნახოს შემოქმედს სტრიქონი, რათა პოეზია ადამიანის ცხოვრებად და ბედისწერად იქცეს. ჩვენ რომ ეს გვცოდნოდა, რა თქმა უნდა, ასე თამამები არ ვიქნებოდით, ასე თამამად არ ავიდოდით პოინტრის კიბეებზე. ასე თამამად არ შეეგებოდით მეორე სართულის კუთხის ორ თოთხმეტ საფეხურს, მზით განათებულ ფანჯარასთან კეთილი ღიმილით გველებებოდა ის ქალი, რომელიც მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე ასე ძვირფასი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის.

ჩვენ რომ გვცოდნოდა. თუ რა ძნელ საქმეს ვეჭიდებოდით. იქნებ უკანაც დაგვეხია, მაგრამ ის ქალი ისე უწვდიდა ხელს ჩვენს ბავშვურ, ჩვენს უმწეო. ჩვენს ფრთაგაუწელელ ოცნებას, ისე მზარს უჭერდა ჩვენს გულუბრყვილო გატაცებას, რომ ჩვენ სხვა გზა არა გვქონდა, უნდა მოგვეტანა მისთვის ბავშვური ხელით ჩვენული ფურცლებზე თრთოლვით გადაწერილი უმწეო სტრიქონები. უნდა ავსულიყავით ლეჭტორიუმის კიბეებზე ან საკუთა დარბაზის ფიცარნაგზე, რომ ყმაწვილური რიხით გვეკითხა ჩვენი ლექსები.

მე მაგონდება მისი გაოცებული შემოხედვა, ან მის ხახუნე როგორ ნელ-ნელა იშლებოდა ღიმილი, ისე ნელა, როგორც უკვალოდ იმ ხეზე. რომელიც ლიტერატურის კაბინეტის ფანჯარასთან იდგა და რომლის ხახეილიც მე ახლა არ მახსოვს...

მე არ ვიცი, რა ხე იყო ის ხე. რომლის სურნელებაც ასე გვაბრუებდა სიჭაბუკით და პოეზიით ისედაც თავბრუდახვეულებს. იგი იყო ხე ცხოვრებისა და ჩვენს ხინორჩეს ისე უცნობად და ისე შეჭხარად, როგორც ის ქალი, ვისი მზერაც, ვისი სიტყვაც, ვისი ალერსიც ვისი შეხვედრაც ისევ ასე ძვირფასია ჩვენთვის... მან იცოდა, მან ძალიან კარგად იცოდა, მას ძალიან კარგად ესმოდა, თუ რას გვეუნებოდა მაშინ ფანჯარასთან მდგომი ის ხე, რადგან მას ჰკონდა უაღრესი მოთხრობა და სმენის ნიჭი, რასაც სხვანაირად გულისხმიერება ჰქვია და რაც მხოლოდ დიდი სულისა და ხათუთი ადამიანის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს...“

ახლა, როდესაც ამ ნარკვევზე ვმუშაობ, მე მაგონდება უამრავი ლექსი, რომელიც უველამ ჩვენ, პოეტებმა თუ არაპოეტებმა, მოსწავლეებმა თუ უბრალოდ მეგობრებმა ვუძღვნით ქეთევან ანანიაშვილს და მის უბადლო ოჯახს. ეს არ იყო ჩვეულებრივი მადლობრების გამოსახატავად ჩადენილი ქმედება. ეს გარდაუვალი სულიერი მოთხოვნილება გახლდათ, რადგან ჩვენ არ შეგვეძლო თვალი დაგვეხუმა და არ დაგვენახა მისი განუზომელი სიკეთე, გულუხვობა, უნიკალური უნარი — თვითონაც ეხაზრდოვა და ჩვენთვისაც გაეხაწილებია

ნანი გაბაჩიძე
ფიქრები ქეთევან ანანიაშვილზე

ღვთაებრივი ულუფა — პოეზია. მეშჩანობის ორთაბრძოლაში გამოწვევა იყო და არის მისი ნათელი ბინის სადად მორთული კეთილშობილი კედლებიც, და ჩვენ შევიჯავრეთ მეშჩანობა, მომხვეჭელობა, ეგოიზმი.

ქეთევან ანანიაშვილმა რამდენიმე თაობა გამოზარდა. მან თავისი სული და პოეზიის ნათელი შუქურად აუცილებლად ომისდროინდელი ფანჯრებჩაბნელებული დედაქალაქის უნიჭიერეს ახალგაზრდობას თუ მოგვიანებით მოსულ პატარებს, სულიერი სინატიფითა და ეროვნული საზრდოთი გაჯერებული ნიადაგი შეგება ალალებად გამოწვდილ დაწნეულ ფესვებს, და თუ ვინმეს მიმართ ვიყავით ეგოისტები — ეს მხოლოდ მის მიმართ, იმდენად, ხარბად ვეწაფებოდით მაცოცხლებელ წვენს, გულსა და გონებას რომ აღვიძებდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ნიადაგი კი არ იფიტებოდა, უფრო და უფრო ნაყოფიერი ხდებოდა. მისი სიტკვებია, ჩვენ ერთმანეთს ვამდიდრებდითო. ტატიანა ტესსა უთხრა ეს, როდესაც ახსუხობდა შეკითხვებზე: ვინ გხელმძღვანელობდათ საქმიანობაში, თქვენ ხომ წინამორბედი არ გყვებათ, თითქმის ცარიელ ადგილას დაიწყეთო მუშაობა. მაშინ ქეთევანმა გამომწვევად აცილმეებულები, ეზმიანი შავი თვალები შეანათა სტუმარს და უთხრა: პოეზია და თვითონ ბავშვები მხელმძღვანელობდნენ, შემოქმედი გოგო-ბიჭები, მათი ნიადაგიური ბოძსულადი ნიჭი, მე კი მხოლოდ არბები გამყავდაო.

მან სოციად დაგვამეგობრა ერთმანეთთან; საკმარისია პაროლი: ქეთევან ანანიაშვილი — და სრულიად განსხვავებული ახალისა და პროფესიის ადამიანები ბავშვებივით ვეხვევით ერთმანეთს. გახსოვთ კიპლინგის „მაუგლიდან“ — „ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ, შენ და მე“... ჩვენ ერთი დედის შვილებივით გვიყვარს ერთმანეთი და მაშინაც კი, როდესაც ჩვენი აზრები მკვეთრად განსხვავდება, ჩვენ დამომობნი ვართ შეძლებისდაგვარად, რამეთუ არ გვავიწყდება უწმინდესი სახელი: ქეთევან ანანიაშვილი.

ქეთევანმა იცოდა ჩვენი უყელა საიდუმლო. ქეთევანთან მიდიოდნენ დედები და მამიდები, როცა უნდოდათ, ჩვენი ამა თუ იმ საქციელის გასაღები ჰქონოდათ ხელთ. ქეთევანის სახელით „გვაშინებდნენ“ კიდეც. ყველაფერს იმ შენს დედა ქეთოს ეტყვითო, და ჩვენ გამალებით ვფურცლავდით სახელმძღვანელოებს, რომ შემთხვევით მიღებული „სამიანის“ ამბავი არ გაგეო მას, რომ „იმ გაიშაობებულ ანჯარა ჰაერში“ პროზის ხლიპნი ფარფლებს არ შემოეღწია.

მერე წამოვიზარდეთ და ყველა ჩვენთაგანმა ცალ-ცალკე და მტკივნეულად შევიგრძენით, რომ არსებობს „პირადი ცხოვრება“; ამ ცნებამ ჩვენს თავზეც დაიბრუნა, თავისი ტკბილისშემძლე დოზით: ცალ-ცალკე გვაცინა და გვატირა. ჩვენ შეშინებული ბელებივით ქეთევანთან გავრბოდით და მერე კვლავ ფრთაშესხმული დედა ქეთოს და დედა ნუცას სიბრძნით მოთვინიერებულნი, ისევ ვუბრუნდებოდით კრაზნების ბუდეს, საიდანაც ვითომდა თაფლი უნდა ამოგეტაკა. მერე ყოველივე ლექსებად იქცეოდა და ისევ მათ უნდა ეთქვათ განაჩენი. „ჩვენი“, რომ ვამბობ, თვითონაც არ ვიცი, რას ვგულისხმობ — ჩვენ თვითონ არ ვიცით ჩვენი რიცხვი, არასდროს დაგვითვლია ერთმანეთი. ვფერხობ, არც მას დაუთვლია, თუ რამდენი გაზარდა. ისე კი ბევრნი ვართ. ძალიან ბევრნი, და ყველასათვის შეუცვლელია ის — ერთი.

ახლა, როდესაც ასე თუ ისე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, როდესაც ქეთევანთან უკვე ჩვენი შვილები მიდიან თავიანთი საიდუმლოს განსაზარებლად (ხომ არის რაღაც, დედასაც რომ ვერ ეტყვი), იბადება ხოლმე კითხვა, სადღა იყო მისი პირადი ცხოვრება? მას ხომ იმ შუქშენიღბული ღამეებიდან მოყოლებული, უჩვენოდ ერთი დღეც არ გაუტარებიაო?! დიახ, მოხდა ისე, რომ ჩვენ, ბავშვებმა, შევავსეთ მისი სიცოცხლის ყოველი წუთი. ჩვენ ვიყავით მისი პირადი სადარდელი, მისი პირადი ცხოვრება...

იგი, დღესაც ლამაზი და მოჭდენილი, შავით მოსილი დადის ხოლმე ძველფასი ადამიანების — დედის და მამის, ჩვენი ძია ლევანისა და დეიდა ნუცას საგვარეულო მარადსამყოფელზე. მაგონდება ლევან ანანიაშვილის სტრიქონები: „ჩვენ ვიბადებით, ისევ მივდივართ, ისე მივჩრილოვთ, როგორც ფოთლები. ალარც კი ვიცით, რა ვართ ან ვინ ვართ, ასე უაზროდ მზეს რად ვშრობდით...“ ადამის შვილის ამ მარადიულმა შეკითხვამ, შესაძლოა, ალარ იფეროს ასეთი უსაზღვრო სევდით, როდესაც ლევან ანანიაშვილის ლექსები ხელაბლა დაისტამბება, ეს საქმე კი მოსაგვარებელია, ისევე, როგორც ნუცა ანანიაშვილის მიერ უბადლოდ შესრულებული „ტარტარენ ტარასკონელის“ ქართული თარგმანის ხელახალი გამოცემა. მხოლოდ იმ სახით, როგორც ეს მთარგმნელს ჰქონდა ჩაფიქრებული...

ჩვენ მეგობრებად დავრჩით. ვინ იცის, რამდენი ლექსი გაგვაბედვინა მან, ვინ იცის, რამდენი სალამო ჩამოთავდა კოტე მესხის ქუჩაზე თვითოეული ჩვენთაგანის წიგნის, სადისერტაციო ნაშრომის თუ ახალი რომანის პაუსების კითხვაში. საშხარეულოში იწვებოდა წყალდამშრალი ჩაიდანი, ჭერიდან ნება-ნება ცვიოდა ბათქაში, მთაწმინდის ღამე ცნობასმოყვარე შატკუბა ბიჭივით განგებ შემოაგორებდა ფანჯრიდან ვეებერთელა მთვარეს, ჰქო

და შემთხვევით გამოვარდა ხელიდანო, და მერე ჩვენთან რჩებოდა განთიადამდე.

როდესაც ამ სტრიქონებს ვწერდი, ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი ჩვენთვის ესოდენ მახლობელი ადამიანის ქეთევან ანანიაშვილის ცხოვრებას და მოვხვდი, თუ რატომ არ მინახავს დეიდა ქეთო სასოწარკვეთილი იმ უამრავი დაუმსახურებელი წყენის დროსაც კი, რომლებიც ცხოვრებამ მიაყენა: მის სულიერ სამყაროში ბზარი არასოდეს გაჩენილა, მის რწმენას, მის სიმართლეს და შინაგან ალღოს ხინჯი არასდროს შეჰპარვია. მან იცოდა და იცის, რაც გააკეთა. იგი სილამაზისა და მშვენიერების უცრადუსიანი ქურდია, ალბათ ამიტომ უყვარს შემოქმედ ადამიანებზე, გაბედულ, თუნდაც დალუპულ, მაგრამ მაინც გამარჯვებულ გმირებზე წერა. გავიხსენოთ ნარკვევები გურამ თოკაძიზე, ნუცა ჩხეიძეზე, ელენე ახვლედიანისა და რობერტ სტურუას შემოქმედებაზე, მისი საქმიანობით მოხიბლულ მოხუც მინდიაზე — მიხეილ მამულაშვილზე, ლადო გუდიაშვილის ზღაპრულ სამყაროზე. ქეთევანი მწერალთა კავშირთან არსებული მთარგმნელობითი კოლეგიის დავალებით ქართულადაც რუსულად თარგმნის ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის ხტრიქონებს...

დასასრულისთვის შემოვინახე ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან არსებული არეოპაკიტული პრობლემების შემსწავლელი ცენტრის თავმჯდომარის დენიზ ზუმბაძის ჩანაწერი. აი, ისიც:

„ჩვენი ხალხის, ქართველი ხალხის შემოქმედებითი ტალანტი უმთავრესად პოეზიაში პოულობს თავისი განხეიბრის ფორმებს. საქართველოს ბუნება, ზეცა, მზე, ცეცხლოვანება განსცდის, თავისთავად შორეული და იდუმალი ბიოგრაფია ჩვენი ეროვნული წარმომავლობისა, უშორესი სათავეები ჩვენი სულიერი და ფიზიკური სიხლისა და სხვა მრავალი. საქართველოში ჰქვნის რაღაც უხილავ სურნელებას ყოფიერებისას, სულიერ ნიადაგს, რომელიც ღამის ყოველი მეორე ქართველის გაღვიძებას, სამყაროში თვალის გახელას, თუ შეიძლება ითქვას, მეორე დაბადებას, ანუ სამყაროსთან და ადამიანებთან მისი სულიერი კავშირის დადგენას იწვევს პოეტური სტრიქონის აღმოჩენით, პოეტური აზრის ჩამოყალიბების ცდით. ამ დაბადების ჭირდება დიდი სითბო და დედობა, და შემთხვევითი არ არის, რომ თოლი ჩვენი და ჩვენს წინაბერ მგზომი თაობების მარადკაცობა უმრავლესობა, დღევანდელი თბილისის შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი წილ დაკავშირებულია თავისი ბავშვობით პოინერთა სასახლის ქართული ლიტერატურის კაბინეტთან, მის შემოქმედ წრესთან, შესანიშნავი პედაგოგისა და მასწავლებლის ქეთევან ანანიაშვილის სახელთან. სრულიად ახალგაზრდა და ლამის თავისი მოწაფეების ტოლი ქალბატონი ქეთევანი მთელი თავისი ტაცებით, მთელი არსებით, მთელი თავისი ცხოვრებით და მთელი თავისი ოჯახით იყო დაკავშირებული სახაბლის „გაზაფხულთან“.

„გაზაფხული“ მე გამოვთქვი. როგორც ხებობრივი ცნება მთელი ლიტერატურული თაობების პირველი გამოვლინებისა. ქეთევან და ნუცა ანანიაშვილების ოჯახი ერთი მხრივ იყო შესანიშნავი საუდარი უკვე სახელოვანი და ცნობილი მწერლებისა — ტერენტი გრანელის, გიორგი ლეონიძის, გერონტი ქიქოძის. აკაკი გაწერელიას, არსენი ტარკოვსკის და სხვათა. და მეორე მხრივ — საბუდარი და შესაკრებელი, მომზადელი და მაძიებელი. სრულიად ახალგაზდა ნიჭითა. ანანიაშვილების ოჯახი — ეს იყო და არის ქერი, რომელიც ლიტერატურით და პოეზიით ცხოვრობდა. პოეტის გაჭირვებებსა და ქრილობებს იფარავდა. უხალისოდ; ეს იყო ამ ოჯახის არსებობის ფორმა. უნდა ითქვას, რომ ეს იყო მისი სიკეთის ფორმაც. და ამავე დროს იმდენად მომხიბლავი ფორმა, რომ თავისი მომხიბლაობითა და თავაგრძნობით, უღალატო სიყვარულითა და ერთგულებით იწვევდა ისეთ აღმაფრენას თავისთან მიზიდული სულისა, რომ მფარველნი ნუცა და ქეთევანი არა ერთგზის ხდებოდნენ მეზანი უკვე თვით პოეტური შთაგონებისა, განურჩევლად ყოველი თაობის განცდაში — უფროსებისაც და ბავშვებისაც. თითქოს ამ ბანში გრძელდებოდა რაღაც ბერი ქართველი ქალების, იმ ტრადიციული მუზათუოფინის. რომელიც ქავქავაძისთან მომხიბლავი დების სულიერ ბაღნარებზე ჩადიოდა“.

სიკეთე მოდამ ახალგაზრდაა. იგი ყოველთვის მომხიბლავია. მარადჟამს სხვათა ჭირის გასაზიარებლად მომზადებული.

ნეტავ ყველა აღმზრდელმა შესძლოს ის, რაც ქეთევან ანანიაშვილის ესოდენ განუკრეტელი ბუნებითი თვისებაა: იგი დღესაც ბევრი ჩვენთაგანის პირველი მეგობარია, ჩვენი ნაწერების პირველი მკაცრი მკითხველი და მრჩეველი, გულწრფელობისა და ყოველივე ნოვატორული მაძიებელი და დამფასებელი. როდესაც თამარ ჯავახიშვილმა თავისი შესანიშნავი ლექსების პირველი კრებული ქეთევან ანანიაშვილს მიუძღვნა, ყველას გაგვეხარდა. თან ოდნავი შურიც ვიგრძენით — თამრიკომ მოიფიქრა. ჩვენ კი — ვერა, თუმცა ცალკეული მიძღვნილი ლექსი ბევრი მისი აღზრდილის კრებულშია. ან კი წარწერები რა საჭიროებულია. ლექსის დედას ისევე ეკუთვნის, თუკი რამ ჭეშმარიტს შეკმნიან მისი აღზრდილები. როგორც ჩვენს ხალხს, მთელს საქართველოს....

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ᲯᲔᲠ კიდევ ათწლეულის მოსწყვალე დავინტერესდი წარჩინებული ქართველი პროზაიკოსით **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲗ** და მალე პირადადც გავიცანი (1926 წ. იხ. ქვემოთ). შემდეგ მას ვხვდებოდი როგორც თბილისში, ისე მოსკოსა (1934, 1935) და ლენინგრადში (1937 წ. — ივნისი). უკანასკნელ შეხვედრებზე ᲓᲐᲡᲐᲬᲔᲓᲘ კიდეც მოგონებები „ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ლენინგრადში“ (ფურნ. „მნათობი“, 1981 წ. № 6).

ახლა ჰქ ვისაუბრებ მასთანვე შეხვედრებზე ძირითადად თბილისში და ამთავითვე აღვნიშნავ, რომ იგი შეუპოვარი პოლემიკოსიც იყო. სიერთო აღიარებასთან ერთად, ზოგი კრიტიკოსი მას დაუზოგავად ექცეოდა და ამის გამო იგი საშინ სიძნელეებსაც აწყდებოდა. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ მ. ჯავახიშვილი ᲛᲗᲐᲠᲛᲝᲑᲐᲨ ერთი პირველთაგანი ᲓᲐᲯᲘᲓᲔᲒᲓᲐ ᲫᲐᲛᲘᲡ წოთელი დროშის ᲥᲝᲜᲔᲜᲘᲗ და არა ისინი, რომლებიც ამ მწერალს ეჭვის ქვეშ აყენებდნენ.

მისი ახლო ნაცნობები ვალდებული ვართ მომთვალ თაობებს ვაგრძნობინოთ, თუ როგორ პიროვბებში ქმნიდა ავტორი თავის შედევრებს.

რაც მაშინდელი რაპული კრიტიკის პიროვბში ხდებოდა, ახლა ძნელად დასაჯერებელია. პროლეტარული მწერლის შემოქმედების ნაკლოვანებებზე იშვიათად თუ ვინმე შენიშვნდა. სამაგიეროდ, ე. წ. აკადემიურ მწერლებს არ ინდობდნენ.

მიხეილ ჯავახიშვილი არავის წინაშე ქედს არ იხრიდა; მეტიც, ზოგჯერ გამომწვევ რეპლიკასაც კი წამოისვრიდა ხოლმე და მას აკრიტიკებდნენ;

ტანად იგი საშუალო სიმაღლისა და გამხდარი გახლდათ. იცოდა სუფთად ჩაცმა. უფრო ხშირად შავ კოსტუმსა და თეთრ პერანგს გამბებული მისაღებში თეთრი საელთაო და ახეთივე სამაჯურით ატარებდა. დადიოდა ბეჭებში ოდნავ მოხრილი ხელში ჯოხით. უყურადღებას იპყრობდა ინტელიგენტური, დახვეწილი მანერებითა და დინჯი, მკაფიო მეტყველებით. იყო აჭკიური თანამოსაუბრე; ლაპარაკობდა დარბაისლური ბოხი ხმით, მისივე რუსული ზოგ რუს კარგ მწერალსაც კი მიაჩნდა მისაბაძად. ფრანგულად უფრო პარიზული მანერით — ნაზალიზებული ო-თა და ნ-თი მეტყველებდა. ჭამა ფაქიზი იცოდა და მთვრალი არ გვინახავს.

მ. ჯავახიშვილი პირადად 1926 წლის შემოდგომაზე გავიცანი მწერალ სოლომონ თავაძის ბინაში. ისინი ლაპარაკობდნენ ტერორისტ კოლია ლორთქიფანიძის ზლაპრულ ვაჟკაცობაზე და 1905-1912 წლების მეტტბისა და ქუთაისის ციხეების პატიმრების უდრეკელობაზე. სოლომონი ჰყვებოდა: კოლიამ „პალაჩის“ ხელი არ წაიკარა, დაიძახა: «Умел я жить, сумею умирать»“, — მარყუჟში შეჰყო თავი და თოკზე ჩამოეკიდაო. პატიმრებმა ახეთი აჯიზაური ატეხეს, რომ მათ ეანდარმერია ვეღარ უმკლავდებოდა...

ამ ამბების პირველმა მოსმენამ და ჩვენში მაშინ უდიდესად აღიარებული პროზაიკოსის — მ. ჯავახიშვილის გაცნობამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ უნდა გამოვტყდე. — დიდი მწერალი მ. ჯავახიშვილი ადრე ტანადაც ზორბად წარმომედგინა. გაოცებული დავრჩი, რომ იგი ახეთი არ აღმოჩნდა...

სიტყვამ მოიტანა და მე ავტორს ვუთამე: ჩვენ — ფოთის საშუალო სკოლის მოწაფეები — მოკადოებულნი ვიყავით რომანებით — „კვაჭი კვაჭანტირაძითა“ და „ჯაყოს ხიზნებით“. ვაეები და ჭოგონები ცალ-ცალკე ვისხედით პარალელურ კლასებში. ვაეები თავს ვიწონებდით ქალიშვილების წინაშე თქვენი რომანების საპრეშიეო (სწორედ ეგ სიტყვა ვიხმარე)

ებიზოდების ცოდნითა და მოყოლით. ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ მოწაფე ქალებს ზოგი მასწავლებელი უკრძალავდა თქვენი რომანების წაკითხვას. ეს ქალები კი კიდევ უფრო ეტანებოდნენ მათ, კითხულობდნენ, მაგრამ ამას არ ამხელდნენ...

მ. ჯავახიშვილმა ჩაიცინა და მითხრა: — უმანკოანო, ფოთში მოწაფეებს კი არა, თბილისშიც არა მხოლოდ მოწაფეებს, ზოგიერთი ქმარიც კი უკრძალავდა ცოლს ჯავშის და ჯაყოს გაცნობას, მაგრამ...

მწერალი სიტყვა საპარშიყოს დაუბრუნდა და თქვა: ეროტიკული ეპიზოდებით, საერთოდ სექსით არა მხოლოდ ჯეელები, არამედ ხანდახმეცნიერებიც არიან დაინტერესებულნი. თანაც შენიშნა: მარტო შიშველი ეროტიკით, მკითხველს ვერ დაიინტერესებთ; მწერლობა იქ იწყება, სადაც ეროსის მხატვრული გარდასახვა იწყებაო.

მე ისევ დაბეჯითებით განვაგრძე: ახალგაზრდობას სწორედ ამ ნაწარმოებთა საპარშიყო ამბები იბაცებს და ღამეები ათენებინებს. ჩვენს სკოლაში რომ ფრანგული ენის გაკვეთილზე მწერალ დაამთქნარა, მას პატივცემულმა მასწავლებელმა უთხრა. „კბაშის" ან „ჯაყოს" კითხვაზე ხომ არ შემოგთენებიაო... მასწავლებელმა თავი მიაბრუნა და თვითონაც დაამთქნარა. მართალია, მთქნარება გადამდებიაო, ამბობენ, მაგრამ ჩვენ უფრო გვჯეროდა, რომ თვითონ მასაც „ჯაყოს" ან ასეთი რომანის კითხვაზე შემოსთენებიაო. ეს ქალი კი ერთი იმათთაგანი გახლდათ, რომელიც ქალაქვაჟებს „ქვაბისა" და „ჯაყოს" კითხვას არ ურჩევდა...

ამ ბოლო მსჯელობას ჩვენი მასპინძელი არ ისმენდა. მიხეილმა დაუძახა სოლომონს: მობრძანდით, მოისმინეთო, და ნათქვამი გამამეორებინა. მიხეილი იცინოდა, — მასწავლებელი ქალი მოსწავლე ქალაქვაჟებს ჩემი „ქვაბისა" და „ჯაყოს" კითხვას უკრძალავდა, თვითონ კი ამ რომანებზე თოენებდა თურმეო!..

შემდეგ ისევ მე მომმართა: მაგაზე რომანები, საპარშიყო ეპიზოდებს გარდა, არაფერი მოგეწონათო?

— სოციალური მოტივები-მეთქი, — ვუპასუხე მე, — გაკვეთილი სიტყვებით, რომლებიც ენაზე გვეკერა სკოლაში და განვაგრძე: IX-X კლასების მოწაფეებმა გაპასპარტუ ე. ნინოშვილის ქრისტინე, ალ. ყაზბეგის ელეონორა და სხვა; თქვენი „ჯაყოს ხიზნების" თეიმურაზ ხეკისთავი და მარგოც გავასამართლეთ. ბრალმდებელ-დამცველები ისე დავურიეთ ერთმანეთს, რომ მასწავლებლებმაც ვეღარ გაგვიშვეს. ისინი ჩვენ გვამშვიდებდნენ თითონაც ერთმანეთს წაეკიდნენ, მაშინ დამსწრე შობილები ჩაერივნენ საქმეში; ისინი შვილებისა და მასწავლებლების შერიგებას ლამობდნენ, მაგრამ ერთმანეთის ჯაბების კრიტიკამაც გაიტაცა-მეთქი...

მწერალი გულიანად იცინოდა: როგორი ავდრები აქოთის თავი ვყოფილვარო!... მან მახსიხმარად უყურადღება მიიქცია და აწუული ხმით წაიკითხა: ბაშვარჯოს ახალგაზრდობას, ჩემი ნაწარმოების გმირები გაუსამართლებიათ და არა — მე; მწერლებმა და ზოგმა კრიტიკოსმა კი ბევრგან პირადად მე გამასამართლესო.

მასპინძელთან თითქმის ორი საათი დავრჩით. შემდეგ დიდი მწერალი და მე ერთად წამოვედით. წარუშლელი შთაბეჭდილებით დავბრუნდი შინ და შემთხვევას არ ვუშვებდი, ისეთ დისკუსიებს დავსწრებოდი, რომლებშიც, ჩემი ვარაუდით, მ. ჯავახიშვილი მიიღებდა მონაწილეობას.

მაშინდელ შთაბეჭდილებათა მიხედვითვე ნათქვამი ისიც, რაც ზემოთ მ. ჯავახიშვილის ფრანგული მეტყველების თაობაზე აღვნიშნეთ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, 1929 წელს თბილისში იმყოფებოდა მწერალი პაპაიტ ისტრატი. მის ზეპირ გამოსვლებს ფრანგულ ენაზე მწერალთა კავშირსა და მუშათა კლუბებშიც მ. ჯავახიშვილი თარგმნიდა და ქართულადანაც იგივე უთარგმნიდა სტუმარს წარმოიქმულ სიტყვებსაც და შეკითხვებს...

მ. ჯავახიშვილმა სხვა პატივიც დასდო პაპაიტ ისტრატს. — მისი მოთხრობა „ჭოჩორა თურნეჯი" თარგმნა ქართულად. უნდა შეენიშნოთ, პირადად სტუმარი უმადური გამოდგა. დაბრუნდა თუ არა იგი სამშობლოში, ისეთი რაღაც დაბეჭდა, რომ თბილისში მასპინძელ მიხეილს დიდი უსიამოვნება მიაყენა.

1930 წელს კიდევ ჩამოვიდა თბილისში ერთი უცნობელი მწერალი, რომელიც ფრანგულადაც მეტყველებმა. მთარგმნელობა ისევ მიხელ ჯავახიშვილის სთხოვეს. ამან კი კატეგორიული უარი თქვა: — სტუმარი წავა, იქ რაღაცას მიპქარავს და ამ მე მომდგებიანო... ახლანდელი სასტუმრო „თბილისის" რესტორანი პროფესიული კავშირების კლუბს ეშირა. იქ დისკუსიებიც იმართებოდა. ერთ-ერთ დისკუსიაზე, პატარა (პლატონ ქიქოძე) გამოვიდა მოხსენებით, 1928 წელს ქართული ლიტერატურული პროდუქციის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა კიდეც („მნათობი", 1929 წ. № 1). მოხსენება მან ცნობილი სიტყვებით დაიწყო:

— „წუალნი წვალენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო".

გამოიყვანა ისე, რომ პროლეტარული პოეტები და მწერლები დარჩებიან; მიხ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია და მათი მხარდამჭერი კრიტიკოსი სიმონ ხუნდაძე გაჭრებიან, მაგრამ

იოსებ მგელაძე
მიხეილ ჯავახიშვილი

ახლაც უნდა ვილაპარაკოთ მათზე, რადგან პასუხი უნდა აგონ თანამედროვეობის წინაშეო.

მ. ჯავახიშვილი, — თქვა მომხსენებელმა, — ყოფილი ადამიანების მწერალია, განსაკუთრებით სამშობლოს იმიგომ, რომ იგი „რეჟისეორული ფენებს ეყრდნობა“, რეჟისეორული იდეებითა და უხეშობ, ბანალური სახეებით იპყრობს მკითხველს ისევე, როგორც თაფლწასმული საწამლავით — ბუზიებია აზიდვის ბუზებს და წამლავს მათო...

კრიტიკოსი უწუნებდა მწერალს ნიჭს, კულტურას, მხატვრულ შედარებებს. — ფიქრი გაწელილ ლოქას შეადარაო, ან როგორი კულტურული მწერალი იტყვის „სეფისკერა ქალი“-ო; ვინ იტყვის ან გმირს აოქმევინებს რევოლუციაზე „წითელი დედოფალი“-ო, თუ არა „გაბოროტებული და მხატვრულ ნიჭს მოკლებული მწერალი... როგორც ფსიქოლოგი, მ. ჯავახიშვილი ხომ სულ უსუსურია... სრული ტყუილია, თითქოს მ. ჯავახიშვილი კულტურული მწერალია“ და ა. შ. (შდრ. „მნათობი“. 1929 წ. № 1, გვ. 123; ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 2, გვ. 87).

დიახ, იყო დრო, როცა ახეთ კრიტიკას არა მხოლოდ ისმენდნენ, არამედ მას გამღიზიანებელი და მომხრეებიც ჰყავდა! მაგალითად, გრ. მუშიშვილი თვლიდა: „არიფონის“ ბელადი მ. ჯავახიშვილი ახლა „ყოფილი ადამიანების“ მწერალი აღარაა; იგი „ზედმეტ ადამიანების“ მწერლად გადაიქცა, ის თანამზავრიც კი აღარაა, — „ბარიკადის იქით გაროვებს კენჭებს თანამედროვეობასთან საბრძოლველადო“.

მაშინ ილაპარაკა მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ლიტერატორმა ვარდენმა[1]. მან ხასვებით გაიზიარა მომხსენებლის აზრები მ. ჯავახიშვილის შესახებ; პ. ქიქოძე, „ნა პოსტოვეც“-ად აღიარა საქართველოში, ლუნაჩარსკის სიტყვებით მოდგა „მემარცხენეებს“, „მემარჯვენეებს“, პერევერზეველებს, ილაპარაკა „ნიღბის მოხდაზა“ და თანამგზავრების დაახლოების საჭიროებაზე. პროლეტარულმა მწერლებმა ბურუაზიულ კლასიკოსებს უნდა დეეწონ და გაუსწრონო და ა. შ.

კამათში ბევრნი გამოვიდნენ, მათ შორის ჩემი ერთ-ერთი თანაკურსელიც; შემდეგ მეც მომცეს სიტყვა და დავიწყე თანაკურსელის კრიტიკით, მოვდექი პლ. ჭიკოძეს: ცდება, რომ აცხადებს, მ. ჯავახიშვილი უკუღმური მწერალიაო; პირიქით, მასზეთ კულტურის მწერალი ჩვენ მეორე არა გვყავს, უდღესი რომანისტი, ღრმა ფსიქოლოგი და მხატვრული სახეების და მეტყველების ოსტატიაო. შემდეგ შევეხე ვარდენის [illegible] ვარდნს პროლეტარული მწერლობა ნდომებია. ჩვენ კი პროლეტარული მწერლობა სრულიად არ გვინდა-მეთქი...

დარბაზში ხმაური ატყდა.. ჩქარა მივაყოლე: ვიმეორებ — პროლეტარებსაც ღირსი მწერლობა არ გვინდა, ვპინდა მაღალი ლიტერატურა პროლეტარების შესასწავლ. დარბაზი დამშვიდდა. გაგრძელება უხერხულად გამოვიდა, — ვინაა ეს ვარდენი, აქ რომ ლუნაჩარსკობს, ეგ არ ჩანს ლუნაჩარსკის სიმაღლეზე მეთქი...

სანდრო ეულმა დამშოყა, — პრეზიდიუმიდან კათედრასთან გაჩნდა და წამჩურჩულა: „ფრანხილად, გაგლეწიანი კაციაო!..“ მე ხმამაღლა ვუპასუხე: ვინც უნდა, იგი იყოს, არაა მართალი-მეთქი.

ბევრი აღარ მალაპარაკებ, სიტყვა სხვას მივცეს. შემდეგ მიბრალ ჯავახიშვილი და სხვებიც გამოვიდნენ. მიხელ ჯავახიშვილმა მოწინააღმდეგეებს უფრო სხვა მხრივ შეუტია: — ჩვენი ადმინისტრაციული დაშინებითა და მუქარით პროლეტარულ მწერლებს წინ ვერ წასწევთ; გაუნათლებელი და უშრომელი მწერალი კლასიკოსი ვერ გახდება; თქვენ მწერლის ფსიქოლოგიას არავითარ ანგარიშს არ უწევთ; შემოქმედებითი შეკიბრის გეშინიათ და იმიტომ ბრძოლთ... კვაჭი დაბატე, ეს შენა ხარო, ჯაოცა და მისი თეიმურაზიც შენ თვითონა ხარო, გინი შადური შენი პორტრეტიაო, სხვებზეც ასე და ახლა ისღა დამრჩენია, ორსულ დავხატო და იმაზეც მეტყვით, ესეც შენა ხარო!...

სხვებმაც ილაპარაკეს, დიდი ნაბრძოლები წამოვედით. მომხსენებელს მისი მომხრეები გამყვნენ. მ. ჯავახიშვილი რამდენიმე სტუდენტმა გავაცილეთ. ოპერის თეატრის წინ მიხელმა შემაჩერა და მხლებელთა თანდასწრებით მითხრა: მადლობელი ვარ თავდადებისა და ჩემი დაცვისათვის, მაგრამ ამას ნუღარ გაიმეორებთ; მე მსხვილი ძვლები მაქვს, ვერ ჩამულიანავენ, ულეში გავეჩრები; თქვენ კი გაჭვებენ, მეც ბრალში ჩამითვლიან, ახალგაზრდებს იმხრობსო!...

დაახლოებით იმავე დროს სხვა დისკუსია გაიმართა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში. როგორც ტყუვიან, დასცხეს მიხელ ჯავახიშვილს, როგორც ყოფილი ადამიანების მწერალს, კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც ზედმეტი ადამიანების მწერალს, „არიფიონელებში“ ფეოდალური ლიტერატურის წარმომადგენლებიაო. შალვა დადიანი ლიტერატურაში და გერონტი ქიქოძე პუბლიცისტიკაში „ზაკვნზე“ მაღლა ჯვარის მონასტერს აყე-

[1] ფსევდონიმი — ი. ვ. მგელაძისა, მას „ნა მოსტოვეც“ უწოდებდნენ, რადგან ჟურნ. „ნა პოსტუს“ და 1926 წლიდან მის შემცვლელ „ნა ლიტერატურნომ პოსტუ“-ში თანამშრომლობდა. ცხოვრობდა მოსკოვში, ახლოს იყო ე. ვ. ლუნაჩარსკისა და რიგ დიდ თანამდებობის პირებთან.

სტენო; მემარჯვენეობა ლეო კიაჩელმაც გაიზიარა, ყველა ამათ წარსული იდეალიზაცია ახასიათებთ, რადგან აწმყოდაკარგული ფილოლები ბრძანდებიანო და ა. შ.

კრიტიკოსები და საერთოდ „პროლეტარული მწერლები“ ცდილობდნენ „არაპროლეტარული მწერლების“ ერთმანეთზე წაკიდებას, ერთი მიმართულების მწერლების შორის ხნეული ჯარხვაებას. ითქვა: პროლეტარიატს არ სცალია გრძელ-გრძელი რომანების საკითხავად, მოკლედ უნდა წეროთო...

მ. ჯავახიშვილი დიდი ტალღების შექმნის აუცილებლობაზე ალაპარაკდა, — „ვითა ცხენსა შარა გრძელიო...“

კ. გამსახურდიამ კრიტიკოსებს დაუჭირა მხარი: — დიდი რომანების წერა ადვილია, — უფრო მეტი იცის გრძელ-გრძელმა ფოლიანტებმა; ნოველების წერაა ძნელი, აი, ისე რომ ათობქმედებ ნაწარმოების გმირს, როგორც დიდოელი ლეკი დაატრიალებს ცხენს ნაბადზეო...

მიხეილმა ადრე უპასუხა კონსტანტინეს: გაიწყვეთით, ტრილოგიებზე გადახვალთ, ჰონორარისათვისაც გაკეთებთ ამასაო.

1932 წლის ზაფხულში ლენინგრადიდან ჩამოვედი თბილისში. მ. ჯავახიშვილი მწერალთა კავშირის სასახლეში ვნახე.

ორი-სამი დღის შემდეგაც შევიარე მწერალთა კავშირში, სამდივნოში ვიკითხე მ. ჯავახიშვილი. თანამშრომელმა თამარ ყიფიანმა ბალხჰაველობისა და აურზაურისაკენ მიმითითა: — იქ ბრძანდებაო!

იქიდან ისმოდა ხმები: მე მერგება, ჩემიაო!..

შეწყდა ხმაური, მიხეილი სამდივნოში მოვიდა, ოფლი მოიწმინდა, სათვალე გაიხურა და იქ მყოფთ მოგვესალმა, ვიწრო ხიდით ვლაში შეგვიყვანა; დავსხედით, სული მოითქვა და თქვა: ადგილკომმა მამაკაცთა საცვლების ტალონების დარიგება დამავალა იმიტომ, რომ მე არ მიმეღო, თორემ ცალი მოვიდა, მოდი და დაანაწილე ასთორმეტზე...

აღნიშნული გვაქვს, რომ მ. ჯავახიშვილმა, როგორც მწერალმა, თავისი თავი ალექსი ტოლსტოის შედარა („მნათობი“, 1981 წ. № 6, გვ. 184). ეს ფრიად საყურადღებოა მ. ჯავახიშვილის შემოქმედების მკვლევართათვის.

იმ დღეებშივე მ. ჯავახიშვილმა ესეც თქვა: ნიჰილიზმის წინააღმდეგ მწერლობაში მაშინაც ვიბრძოდი, როდესაც იგი მოდური იყო; მაშინდელ ჩემს სატყუვებს ახლა სხვებიც იმეორებენ, მით უფრო პოზიციებს აღარ დავთმობო. მაშინაც ვამბობდი, ქრონიკების თხზვით ჩვენი მწერლობა ვერ დაწინაურდება, ახლა ამ სატყუვებს სხვებიც იმეორებენ, მაგრამ საქმით ვერ ამართლებენო.

ცნობილია, რომ მ. ჯავახიშვილი და სანდრო ახმეტელი მეგობრობდნენ (იქვე, გვ. 185). ამას ახლა აქ დოკუმენტურ უპატს ვუმაგებთ. დღემა მწერალმა საქებ რეცენზორს წოვნი შემდეგი წარწერით უსახსოვრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დროს მ. ჯავახიშვილმა გაიხსენა: 1924 წელს „მნათობში“ დაიბეჭდა ერთი ქალის მოგონებები ივანე მაჩაბელზე. მნათობის თანამშრომელი პოლიკარპე კაკაბაძე მიუვარდა რედაქტორ ვალია ბახტაძეს, — მოგონებაში აკაკი წერეთლის უპატივცემლობაა, ავტორიტეტებს მოკრძალებით უნდა მოვეპყრათო.

ვალიამ უპასუხაო: ჩვენ ძველ ავტორიტეტებს ახალი, პროლეტარული ავტორიტეტებით ვცვლითო... შეუვნენ ამაზე, იდავეს, ვალიამ პოლიკარპეს სამსახურიდან გათავისუფლება დაუპირა, მაგრამ ორივეს თანაკლასელი, ფურნალის მდივანი მოხე გოგიბერიძე ჩადგა შუაში და პოლიკარპე ეურნალში დარჩა. შემდეგ ვალიამ მას „ყვარყვარეს“ არ უბეჭდავდა, მაგრამ მოსეც დაბეჭდვინაო.

ერთი მწვავე საკითხიც მინდა გავიხსენო. მ. ჯავახიშვილი მარწყვნებდა: კაცობრიობის მტერი შური და ეჭვიანობაა. ეჭვიანობა კარჯად დაახასიათა შექსპირმა; შური იმდენჯერაა, რომ ვერავინ დაახასიათებს ყოველმხრივ. მე მყვანან მტრები უმეტესად შურის გამო. ვიცი სამი-ოთხი მწერალი (დაასახელა გვარები), მათ მყავს მხარდამჭერი და მხარდამჭერები, შეიძლება, მე მიმსხვერპლონ კიდეც. 1936 წელს კახეთში დაგვპატიჟეს მწერლის ოჯახში. ქვევრი მოხადეს, ერთ-ერთმა დამსწრემ იძრო რევოლვერი და დაიძახა: ახე ვიცით ჩვენ ქვევრის ახდისახო და იარაღი მომართა ჩემკენ, ერთმანეთ ხელი უკრა, რევოლვერი გაჯარდა და ტყვია ამცდა: ეტაცე ჩემს კუდს ხელი და თბილისში წამოვედი. ახლაც მჯერა, რომ მოვეცალე, იგი იტყოდა: შემთხვევით შემომკვდა ჯავახიშვილიო, და ასიამოვნებდა ჩემ მოშურნეებს.

ისევ დოკუმენტურ უპატს, დავასახელებთ. მ. ჯავახიშვილმა რომ დაგვავალა შეგვემოწმებინა მის მიერ გაგზავნილი წიგნი „თეთრი საღელო“ მიიღო თუ არა ნიკო მარმაო, მწერალი, მიუღია-მეთქი („მნათობი“, 1981 წ. № 6, გვ. 188).

ბარათი დაცული აღმოჩნდა მ. ჯავახიშვილის არქივში. გადმოვწერეთ; ტექსტი სხვა ცნობებითაცაა საუურადღებო და აქვე ვაქვეყნებთ.

„12. X. 32 წ., ლენინგრადი

დიდად პატივცემულო მ[ი]ხ[ეი]ლ!

ვისურვებ თქვენს მარადიულ კარგად ყოფნას და თქვენი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობით ქართული ლიტერატურის კიდევ უფრო სახურველად გამდიდრებას, თქვენი მადლიერი კალმის შეუჩერებლობასა და ქართული სულის მხატვრულ სახეებში გადმოზვნევებას.

მე ჩამოვედი ლენინგრადში 20. IX. 32-ს და ეხლა ვიშოვე და გიგზავნით იმ წიგნს, რომელშიაც აკად. ნ. მარი, თქვენს მიერ მისთვის მიწვდენილ წიგნის „თეთრი საიელის" შესახებ წერს[1]. გადადურეკილისთანავე 97 გვერდზე ნათვალ ჩემს მოხსენებულს (აზრს). აკად. ნ. მარრს სპაკატო აღგილზე უძევს იმ თქვენი „თეთრი საიელის" რუსული თარგმანიც; მახოსუს, რომ გასულ წელს თავის მეუღლეს უუნებებოდა თარგმანის მოუხდენლად შესრულებულობის შესახებ...

მე როდესაც აქ მესაუბრებიან ქართული ლიტერატურის შესახებ, არა ერთხელ მიმითითებია ქართულის არამცოდნეთათვის, თქვენი ნაწერებიდან ნათარგმანებზე, ოღონდ შემხვდა რუსულად გამოცემული პატარა თქვენი — მოთხრობა „„Чашечка2", რომელიც ქართულად რომელი უნდა იყოს, კიდევ ვერ გამიგია, რადგან ასეთი არ შემხვედრია.

„მნათობისათვის" აქედან შეგვეძლო ზოგიერთი საინთერესო ცნობები საზოგადოდ სანტერესო საკითხებზე წერილების მიწოდება, მაგრამ საჭიროებენ საერთოდ. თუ არ ვიცი, მხოლოდ „მნათობის" რედაქციაშია, ასე, არ ინტერესდებიან ასეთი საქმეებით და საქმე მიუყრდა, თუგინდ ბარის სწავლებიდან საქართველოში საქ. აკადემიის არსებობის დოკუმენტალური ფაქტი. ნ. მარის „რა წილი აქვს ქართულს ენას შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში"[3], ისე უხმოდ ჩაიარა, რომ მასზე ბიბლიოგრაფიის დასტამბვაც არ ისურვეს და ჩემს მიერ მოწოდებული წერილი, მგონი დაკარგეს კიდეც. ეს იმ დროს, როდესაც აქ შეკვეთებია სწორედ ამ წიგნის და სხვა ასეთების შესახებ რაიმე დასწეროს ვინმემ. ეხლა გამოდის მარრის რიგი შრომები და მათში, როგორც გეუბნებოდით, 1. „ხინაის კრებული", 2. ენა და თანადროულობა, 3. „ცხოველთა მოშინაურება", 4. „ნაზმნური სახელები" (გერმანულად) და სხვა.

ქართულ ენაზე იაფეტური კრებული უნდა გამოგვეცა. საქ. განძ. სახ. კომისიისაგან უკვე გადახდილი აქვს და ქაღალდიც დაგვიზვნია მთელი წელია, პირობა დადებული და არაფერი ნაბიჭია. ამიტომ მარრს გაუზავნეთ შრომა „მნათობისათვის" („ქართული ენათმეცნიერებაში" (ძველი დაწერილია) უძევს აქ და არ გამოგზავნა, ალბათ დაკარგავენ კიდეცო! მაქედან არავინ სთხოვა და გაჩერებულია სათანადო პირებს მე თავად ვაუწყე ამის შესახებ, მაგრამ არაფერი ისმის.

ლენინგრადში, ჩვეულებრივ, ამ ეამისათვის ოგრძნობინება ზამთარი თავის გამარჯვებას ზაფხულზე. მზე გვემალება, დარცხვენილად გადმოიხედავ ოშვიათად ფერმიხდილი და უძლური ისე ქრება, მაგრამ ჯერ კიდევ მისი ძალით ზამთარმა ვერ მოითქვა სული და ნეგას ვერცხლის ჩაფხუტი ვერ ჩამოამხო, მის მიერ ფინეთის უბის კისრად ჩათვლილს, ლადოგის ტბის თავიანებს.

ნიკო მარრთან თუ რაიმე გსურთ, — გაიგოთ ან გააგებინოთ რისამე შესახებ, — შეგიძლიათ პირდაპირ მისთვის მიწერით ანდა ჩემის შუალობით.

გემშვიდობებით ჯერ-ჯერობით და ვიმედოვნებ მრავალჯამს კარგად და კარგად გინახულებთ.

მისამართი

Ленинград, В. О. Тучкова каб., 2. кв. 18. პატივისცემით ილ[ია] მ[ე]ს[ა]მ[ე]დ[ი]ა[ნ]ი.

ქრონოლოგიის დაცვის მიზნით ამ ბარათის შემდეგ ვწერ. მასობრივ ჟურნალ «Вестник Знания»-ში (ლენინგრადი, 1937 წ. № 4). დამაბეჭდვინეს წერილი «Грузинская ССР". იგი დასურათებული იყო, ახლდა რესუბლიკის გერბი და რუკაც. სახელოვან ქართველ მწერლებს შორის მ. ჯავახიშვილი მცირედ დასახელებული (გვ. 84). რედაქციიდან დამირეკეს: ჟურნალის ნომრის ისედაც ძალიან დაიგვიანა, თქვენს სტატიაში ხომ არ იხსენიება ისეთი გვარი, რომ ჟურნალი კვლავ გაგვიჭიროსო. დავარწმუნე, არა-მეთქი. იმავე დღესვე მითხრეს „ერმიტაჟში" მიხეილ ჯავახიშვილის უბედურება... მე ჟურნალი ალარ შევახერხინე და გავრცელდა.

ცოტა ხნის შემდეგ მე და აკ. კობახიძე ლენინგრადის საჯაროსა და აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ბიბლიოთეკებში დავგიბარეს, შეგვიწვეს ქართული წიგნების ფონდებში და მოგვცეს სია: ვისი წიგნებიც უნდა „ამოღებულიყო". ჩვენ ვთქვით: ჩაივლის ამბავი, აქ ახლა არსებული ქართული წიგნები მეორედ არ მოვა, საჭირო კი გახდებაო, და ფონდები უცვლელად დავტოვეთ... იქ გადარჩა ის წიგნებიც, თბილისში რომ ალარ ჩანს...

მიხეილ ჯავახიშვილი აღდგა, უკეთესი მახი სახელი და შემოქმედება.

---

[1] Доклады Академии наук СССР, 1927 წ. № 5. შდრ. „მნათობი", 1981 წ. № 6, გვ. 183.

[2] „ფინჯანი".

[3] თბილისი, 1930 წ.

ცრილები

კარლო გეგელაშვილი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

სასწაულები და სასწაულმოქმედნი

ზოგიერთი მოსაზრება ადამიანთა სამყაროსადმი, როგორც „ბიოველის" გაგმოყენების შესახებ

1. „ექსტრასენსების" სასწაულები და მეცნიერება

ჩვენი საზოგადოებრობის ცხოვრებაში არც ისე დიდი ხნის წინათ გულის და გონების შემძრავ სენსაციათა ახალი ტალღა შემოიჭრა: გამოჩნდნენ ბუნების „არაჩვეულებრივი ნიჭით" დაჯილდოებული ადამიანები, ე. წ. ექსტრასენსები, რომელთა ხელის ერთი ან რამდენიმე მოსმით (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ერთბაშად იკურნებიან ყოველგვარი დაავადებით შეპყრობილი ადამიანები. ზეპირმა მსჯელობამ და სალონურმა მოიქმა-მოთქმამ ამ საკითხებზე საკმაოდ სოლიდური და ავტორიტეტული ბეჭდვითი ორგანოების ფურცლებზეც გადაინაცვლა.

დახასიათდნენ ადამიანები პრესის ფურცლებზე აღწერილ მოვლენათა მეცნიერული კომენტატორები, რომელთაც, თუმცა თავიანთ დარგებში დიდი ავტორიტეტი და მაღალი მეცნიერული ტიტულები აქვთ მოპოვებული, მაგრამ მედიცინაში ანდა შესახებამის საბუნებისმეტყველო დისციპლინებში მათ განსწავლულობა იმდენად დაბალია,* რომ მათ კომენტარი უფრო მარჩიელობას მოგვაგონებს, ვიდრე სერიოზულ მეცნიერულ მსჯელობას. ისინი ნებით თუ უნებლიედ სერიოზული მეცნიერისათვის არცთუ სახარბიელო ორი მიზნის სამსახურში ჩადგნენ: ჯერ ერთი, თავიანთი შეუფასებელი მეცნიერული ავტორიტეტის თუ სხვაგვარი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო შეგნებულად თუ შეუგნებლად ამ სასწაულებრივ მკურნალებს ფარად ეკვნენ და ამით ისინი ისხნებს ყოველგვარი მართებული, მეცნიერულად დახასუთებული კრიტიკისაგან თუ კანონის ხელყოფისაგან. მეორეც, მათ უზრუნველყვეს ავტორიტეტული რეკლამა „ექსტრასენსებისა" — ეს უკანასკნელი მძლავრი და ზოგჯერ ერთადერთი იარაღი და ფონი მათი „სასწაულმოქმედი" ხასიათის თუ სენსაციის ზემოქმედების ეფექტის გასაძლიერებლად ფსიქო-ფიზიკურად ლაბილურ პირებში, და ამით შეიქმნა ვითარება, როდესაც ღრმადნი შეიბამცემული ეს პირები თვითონ გახდნენ ე. წ. ექსტრასენსების სასწაულმოქმედებათა თავგამოდებული აგიტატორები და პროპაგანდისტები.

ამ საკითხზე დაიწერა საქართველოს სამეცნიერო მეცნიერების გამოჩენილ წარმომადგენელთა სტატია, რომელიც საზოგადოების საწყალობას აძლევს უშუალოდ სპეციალისტებთან ხანგრძლივ გაიგოს საქმის ნამდვილი ვითარება. ამ სტატიის გამოქვეყნება, რომელიც ჯერ კიდევ 1980 წლის აპრილში დაიწერა, იქნება „პარტულმა სიტყვამ" (იხ. აღნიშნული ეურნალის 1980 წ. ავგისტოს თვის № 16). ამას წინ უძღოდა „მრგვალი მაგიდა" ეურნალ „ხელოვნის მედიცინაში" (№ 4 ივლისი-აგვისტო) და ასევე მრგვალი მაგიდა" მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციაში. რომლის სტენოგრამა და კომენტარები 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა. უველა ამ პუბლიკაციასა და გამოსვლებში ავტორებად ან მონაწილეებად მოწვეუ-

* სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამას ალიარებს სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ი. კობზარევი. რომელმაც, მართალია იკისრა „ეომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნებული ლევ კოლოდნის სტატიის კომენტარება, მაგრამ გულახდილად აღიარა, რომ იგი თავისი სპეციალობით იმდენად შორს კრის ნეიროფიზიოლოგიისა და მედიცინისაგან. რომ მას არ ძალუძს სრულყოფილი შეფასება მისცეს იმ მოვლენათა სამეცნიერო ასპექტებს, რომლებიც ე. წ. ექსტრასენსების საქმიანობაში შეიძლება ვლინდებოდეს.

ლინენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ზუბაბაშვილი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები პ. სარაჯიშვილი, ლენინური პრემიის ლაურეატი ს. ხერიანიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი ო. ღუდუშაური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ა. ასათიანი და ბ. ნანეიშვილი, პროფესორები ვ. გაბაშვილი, ვ. ქავთარაძე და სხვები. ამ პუბლიკაციების სრულიად დამჯერებლად იქნა მიჩნეული ე. წ. ექსტრასენსების „სამკურნალო" საქმიანობის ნამდვილი არსი და სათანადო უარყოფითი შეფასება მიეცა იმ უპასუხისმგებლო ანთიტაფის ორგანიზატორებსა და ავტორებს, რომლებმაც დაბნეულობის შეიტანეს ჩვენს ფართო საზოგადოებაში და გარკვეულწილად ვნება მიაყენეს ავადმყოფთა საკმაოდ დიდი ნაწილის ფიზიკურ და განსაკუთრებით ფსიქიკურ მდგომარეობას...

ამგვარად, როგორც ეს ადრე თუ გვიან მაინც უნდა მომხდარიყო, ჯუმბარიტებამ თავისი გაიტანა, „სანთელ-საკმეველმა სამრთალი ნახა", მაგრამ ამან ჩვენი ქვეყნის მედიცინის გამოჩენილ მოღვაწეთა არც თუ მცირე დრო და ენერგია დაუკარგა და არა იმის გამო, რომ ე. წ. ექსტრასენსების „სამკურნალო" ეფექტის ნამდვილი არსი არა თუ ამ გამოჩენილ მეცნიერთათვის, არამედ ბიოლოგიური თუ სამედიცინო განათლების მქონე ყველა სპეციალისტებისათვის იმთავითვე ცნობილი არ იყო. საქმე ეჭირდა მივიდა, რომ ინფორმაციის სხვადასხვა არხებით საზოგადოებისათვის თავმომწყვილი იაფფასიანი, მაგრამ არა მარტო ადამიანის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობისათვის, არამედ ჩვენი საბჭოთა საზოგადოების მატერიალისტური მსოფლმხედველობისათვის მავნე სენსაციის გაფანტვა მარტოოდენ ლიტონი უარყოფით ვერ მოხერხდებოდა, მეორე მხრივ ამგვარი პასიური საზოგადოებრივი პოზიცია სრულიად საბრალოდ ვიტყეებელი იქნებოდა ჩვენი მედიცინის მუშაკებისათვის.

„ექსტრასენსების" შესაბებ ვითომდაც უტყუარი ფაქტების ისეთი კორიანტელი დახვევდა, რომ საზოგადოებას სწორი წარმოდგენა რომ შექმნილიყო მათ შესახებ, საჭირო გახდა თითოეული მთვარების გამოწვლილვით შესწორება რეალობასთან. ზოგიერთი მოვლენის მეცნიერული გააანალიზება, ყოველმხრივი ექსპერიმენტული შემოწმება და სათანადო ობიექტური დასკვნის გამოტანა.

ჯერ იყო და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილმა კომპეტენტურმა კომისიამ სრულიად ობიექტურად, მეცნიერული ექსპერიმენტის ყველა წესის დაცვით, (რაც სხვათა შორის ალინინა სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს კომისიის დასკვნაში და, რაც ფრი ანალიზ ექსტრასენსებთან მონაწილე „ექსტრასენსისა" კი) დაადასტურა, რომ „ექსტრასენსის" „პიროვლის" ზემოქმედებამ აბსოლუტურად ვერავითარი სამკურნალო გავლენა ვერ მოახდინა სათანადოდ (თვით „ექსტრასენსის" თანხმობით) შერჩეულ ავადმყოფთა კონტინგენტზე. ასეთივე, მაგრამ განსხვავებულად უფრო მასშტაბური იყო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომისიის დასკვნა იმავე საკითხზე. დასკვნა ერთობ ვრცელია, მისი შემოკლებული შინაარსი დაბეჭდილია მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეთას" 1980 წ. 27 აგვისტოს ნომერში. ცხადია, აქ იმის ადგილი არ არის, რომ გავიმეოროთ არა თუ მთელი აღნიშნული დასკვნა, არამედ მისი შინაარსის მოკლე გადმოცემა, როგორც იგი დაბეჭდა „ლიტერატურნაია გაზეთში". დაინტერესებული მკითხველი ყოველთვის შეძლებს მასთან გაცნობას. აქ საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ შევახსენო მკითხველს კომისიის ის შემადგენლობა, რომელიც ექსტრასენსების გაკშვემო შეჭმნილი ვითარების შესასწავლად შეიქმნა. ეი ისინიც — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, იმავე აკადემიის აკადემიკოსი ა. ჩერნუხი (კომისიის თავმჯდომარე), აკადემიკოსი მ. კუზნი, აკადემიკოსი ა. სნეჭნევსკი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ი. სიკოევი, კ. სუდაკოვი და სხვ. უთუოდ განმეორებას იმსახურებს კომისიის დასკვნის ის ნაწილიც, რომელიც ზემად შეუხებას ეძღვნებ უკანასკნელ ხანებში ატეხილ აჟიოტაჟს ექსტრასენსების გამო: „უკანასკნელი დროის პუბლიკაციებსა და ინტერვიუებში, რომლებიც ეხება ეგრეთწოდებულ „ბიოლოკაციურ ველს", მის დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მნიშვნელობას, უყრადღებისა და კვლევების ბიოლოგიური, ბიოლოგიურ-მაგნიტური, ბიომაგნიტური და ბიოპიეზომაგნიტური თვისებების სერიოზული განხილვის ნაცვლად ფიზიკური ტერმინოლოგია პლაშის ფიზიკიდან და მაგნიტომიეროინჰიბიციან უყრადღებ არის გადატანილი ცოცხალი ორგანიზმის მთლიან მდგომარეობაზე"...

ალბათ ვერავინ შემოგვედავება თუ ვიტყვით, რომ ამ ძალზე ტაქტიანად და დაზომვით არის ნათქვამი ის ტიტულვანან, მაგრამ არამედაც მეცნიერთა შესახებ, რომელმაც ერთი მხრივ გამოიჩინეს არასერიოზულობა უყრადღის და ქსოვილების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების განხილვისას და მეორე მხრივ, პლაშის ფიზიკის და მაგნიტობიორიტმოლოგის ცნებები მეჭანიურად და, მაშასადამე, სრულიად უმართებულოდ გამოიყენეს ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა მდგომარეობის დასახასიათებლად.

ჯანდაცვის სამინისტროს კომისიის დასკვნივე სადღეისოდ არ არსებობს არავითარი სარ-

წმუნო საფუძველი, თუნდაც სერიოზულად ვიმსჯელოთ „ექსტრასენსების“ ფენომენალური ხასიათისა და არავითარი სარწმუნო მონაცემები, რომ მიეღინიათ თითქოს ბუნებაში არსებობს რაღაც განსაკუთრებული „ბიოველი“, განსხვავებული ცნობილი ფიზიკური ველებისაგან, რომელიც, როგორც ეს ნათქვამია ერთ „სენსაციურ“ სტატიაში, შესაძლოა გამოუენებული იქნეს „დიდი ხნის ნანატრ ყველაფრისთვის (?!) გამოსადეგ წამლად“.

ვფიქრობ მკითხველი დავეთანხმება, რომ ავტორიტეტულმა კომისიამ ამით კვლავ ხელი დატოვა იმ ვითომდა მეცნიერული წვალებმეცნიერებად, რომლებზე დაურწმუნებითაც ექსტრასენსების მეცნიერი და არამეცნიერი ასოციაციები ცდილობდნენ საზოგადოება დაერწმუნებინათ ახალმოვლენილ სასწაულმოქმედთა სასწაულების რეალობაში და მეცნიერულ დასაბუთებულობაში.

თითქოსდა მეტი რაღაა სათქმელი. ზოგიერთი უბარი და ნაკლებკომპეტენტური პირის მიერ წამოწყებულ არაჯანსაღ ავიტაციას წერტილი დაესვა და ამით შეგვიძლია მოვლილ ეს უსიამოვნო, მისტიციზი და მისტიფიკაციით აღსავსე კამპანია დამთავრებულად ვიეჩნიოთ და მხოლოდ ირონიული ღიმილით მივაბაროთ ისინი წარმავალთ დღეთა კურთოზების სკივრს. მაგრამ არაა ჩვენ ამის უფლება პირა გვაქვს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ, მართალია „ექსტრასენსთა ფენომენის“ რეზონანსი ჩვენს საზოგადოებაში ყოველივე ზემოთქმულის გამო მკვეთრად შენელდა და სულ მალე იგი მხოლოდ მისტიკურად განწყობილი ანდა უსაქმურობისაგან მისაყვირებული თითო-ოროლა ნევრასთენიკის ქება-დიდების საგნად დარჩება, მაგრამ სწორედ ამიტომაც გარკვეული ნიადაგი, რომელზეც შეიძლება კვლავ აღმოცენდეს მსგავსი სასწაულებისა და სასწაულმოქმედთა ამოლეგია, სამწუხაროდ კვლავ რჩება. ამას არავითარი მიზეზი აქვს, რომელთა წარმოჩენა ფართო საზოგადოების წინაშე აუცილებლად მიგვაჩნია.

ამ წერილში, რომლის მოკლეობა სრულიად გამიგებინა მიზეზების გამო ერთობ შეზღუდულია, ცხადია, ყველა საკითხზე ვერ შევჩერდებით. ამიტომ მთავან გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმეს, რომელთაც ჩვენი აზრით, სწორედ ამჟამად აქვს აქტუალური მნიშვნელობა.

ჯ. ექსტრასენსების და მათი მეთოდებების ზოგიერთი პარადოქსული ილეთების შესახებ

ექსტრასენსების და მათი აწვალული და არაწვალული მეთოდებების შემოტევა ფართო ფრონტზე უკუგდებულია, მაგრამ, როგორც ვთქვით, მოსალოდნელია „ექსტრასენსოლიგიის“ რომელიღაც ახალი მოდიფიკაციის აღმოცენება, რასაც, როგორც წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, მოჰყვება ამ უმეცრების თავიხლების სამეურნეო ამბიციების, ხელისუფლების და „სასწაულების“ ახალი ტალღა. ვფიქრობ, მომავალი ახალი ტალღისგან სრულიად უდანაშაულო ადამიანთა ფსიქიკის, ჯანმრთელობის და თუნდაც ამაო ფულგანთხევისაგან მათი პატიოსანი შრომითი მონაგრის დასაკავებლად საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე ფაქტით ნათელვყოთ ამ ახალდმოვლენილ „სასწაულმოქმედთა“ ზოგიერთი მეთოდისა და ხერხის შესახებ, რომელთა მეშვეობით ისინი აღწევენ ესოდენ დიდ პოპულარობას და მხარდაჭერას საზოგადოების გარკვეულ ნაწილში და რა თქმა უნდა თავიანთი მერქანდლერი მიზნების სრულ განხორციელებას.

პირველი, რითაც ისინი ყურადღებას იპყრობენ, ეს არის ერთი შეხედვით სრულიად უჩვეულო მიდგომა ისეთი რთული საკითხისადმი, როგორიცაა ოფიციალური მედიცინის საშუალებებით და მეთოდებით ძნელად განკურნებადი ან განუკურნებელი ავადმყოფების მკურნალობა, მით უფრო, როცა მიიღეცა დროებითი ფსიქოთერაპიული ეფექტი ან მოჩვენებითი, წმინდა წყლის სუბიექტური გაუმჯობესება. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ, რომ ექსტრასენსების ასპინი და სეანსები დაკავშირებული არ არის არავითარ მტკივნეულ პროცედურებთან ან უსიამოვნო გემოს მქონე წამლების მიღებასთან, პაციენტთა და მათი ახლობლების მძაფრფელებას, ცხადია, საზღვარი არა აქვს. ამავე დროს აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ექსტრასენსთა ამგვარი „სამკურნალო“ საქმიანობა, მათი „არაჩვეულებრივი“ ბუნებრივი თვისებები ორიგინალური და უჩვეულოა მხოლოდ იმათთვის, რომელთაც სრულიად გაბაგები მიზეზების გამო (სხვა პროფესიაში საქმიანობა, სხვაგვარი ინტერესები და სხვ.) საშუალება არ ჰქონდათ ჩაეხედათ ამ საკითხის ისტორიაში, თორემ რამდენიც გნებავთ იმდენ მსგავს მაგალითს მოსძებნიდნენ წარსული საუკუნეების „სასწაულმოქმედთა“ და ჯადოქართა საქმიანობაში, რომელთა მკურნალობის ეფექტი ასევე შთაგონებაზე, მიძნაზზე, ბოლო ჯამერ წმინდა წყლის შარლატანურ მეთოდზე იყო დაშვარებული. საკითხის ამ ასპექტს ჩვენ ნაწილობრივ კვეშით შევეხებით, ამჯერად კი გვინდა მკითხველისათვის ნათლისუოთ კეშმარიტი მეცნიერების, უბრალოდ მოკლაქეობრივი კონკლინდელიერების თვალსაზრისით, ყოველივე მიღებული მეთოდები და ხერხები, ან როგორც ტყვიან აკრძალული ილეთები, რომელთაც ექსტრასენსები და ზოგიერთი მათი თავგადადებული მეხოტბენი იყენებენ თავიანთი ეჭვიანი კონკეპციების მართებულების დასამტკიცებლად.

აპარლო გეგელაშვილი
სასწაულები და სასწაულმოქმედნი

სიმართლისაგან შორს მყოფი ლიტონი მხე-
ლობს რომ არ გამოგვივიდეს, ჭერ საკვლევრო
ჯანდაცვის სამინისტროს კომისიის დასკვნიდან
რამდენიმე ადგილი მოვიშველიოთ და მერე
უშუალოდ ჩვენს ხელთ არსებულ უტყუარ ფა-
ქტებსაც მივმართოთ. აი, რა დასკვნას აკეთებს
ხსენებული კომისია ეიფრაგ-გაზეთებში ამ სა-
კითხზე გამოქვეყნებულ სტატიებსა და ინტერ-
ვიუებში მოყვანილი იმ ფაქტების მართებულო-
ბის გამო, რომელთა საფუძველზე ლამის ზეცა-
შია აყვანილი „ეჭვმარსენების“ სამკურნალო
შესაძლებლობანი:

ამ სტატიებსა და ინტერვიუებში და „...კრი-
ძოდ სხრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტის ა. სპირკინის გამოსვ-
ლებში, — ნათქვამია დასკვნაში — როგორც
ჩანს, ჯარიბის მითითებანი უცნობი მოწმეების,
ანონიმური ავადმყოფების და სხვათა ნაამბობ-
ზე. იმ მაგალითების გადმოწერება, რომლებზეც
მიუთითებენ სტატიების ავტორები, პრაქტიკულად
შეუძლებელია, რომ არადერი თქვას იმაზე,
რომ მრავალი მათი მტკიცება ეწინააღმდეგება
ყოველგვარ თანამედროვე მეცნიერულ წარმოდ-
გენებს და ფსიქოლოგიისა და ნეიროფიზიოლო-
გიის ექსპერიმენტულ მონაცემებს, ამგვარ გა-
მოსვლებს მოსდევს ზნეობრივ-ეთიკური ხასია-
თის ურღვევად არასახურველი შედეგები“.

ვფიქრობთ, უსიამოვნო ზნეობრივ-ეთიკური
დასკვნა, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა გა-
მოვიტანოთ ის არის, რომ მაღალი მეცნიერული
ტიტულით აღჭურვილი მეცნიერისათვის, იხეე
რბილად რომ ვთქვათ, მეცნიერების სამოსელში
გახვეული ზღაპრების თხრობა ისეთ საკითხებ-
ზე, რომლებიც ადამიანთა ჯანმრთელობის, მა-
თი სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს ეხება, დაუშ-
ვებელ ხერხად. აკრძალულ ილეთად უნდა მი-
ვიჩნიოთ.

ახე მაგალითად, ფართო გავრცელება ჰპოვა
ვერსიამ თითქოს „ეჭსტრასენსთა“ შესაძლებ-
ლობანი დემონსტრირებული იყო კრემლ
ამანწინათ ქ. თბილისში ჩატარებულ სფერი-
შორისო სიმპოზიუმზე“. აჭ სიმართლე მხოლოდ
ისაა, რომ თბილისში 1979 წ. მართლაც ჩატარ-
და ძალზე ფართო წარმომადგენლობითი სა-
ერთაშორისო სიმპოზიუმი არაცნობიერის პრო-
ბლემაზე, რომლის დამუშავებაში, როგორც
ცნობილია, ქართველ ფსიქოლოგებს წამყვანი
ადგილი უკავიათ მსოფლიოში. მეცნიერთა ამ
ფორუმზე „ეჭსტრასენსების“ შესაძლებლობათა
დემონსტრაციას ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ
ამ ვერსიის ავტორებს, როგორც ჩანს, ხურთ
მეცნიერული შარავანდედი დაადგან „ეჭსტრა-
სენსებს“, მაგრამ ამ დებულებამ ბოლომდე ვერ
ჰპოვა განვითარება: თუ მართლაც იყო დემონ-
სტრირებული „ეჭსტრასენსები“ მეცნიერთა
ფორუმზე, შედეგი როგორაცა იყო, რა თქვეს
მაინც მეცნიერებმა „ეჭსტრასენსთა“ უნარსა და
ზებუნებრივ შესაძლებლობებზე?

არასწორია ზოგიერთი ავტორის მიერ გავრ-
ცელებული ვერსიაც თითქოს „ეჭსტრასენსების“
განსხვავებით, „ეჭსტრასენსთა“ არა ანომალიური
კონფიგურაცია ოფიციალურ მედიცინასთან,
რიცხვთა, ცხოვრობენ მასთან სრულ ჰარმონიაში.

სიმართლე კი ის არის, რომ „ეჭსტრასენსე-
ბის“ „სამკურნალო“ საქმიანობა სრულ კონფ-
ლიქტში იმყოფება ოფიციალურ მედიცინასთან
და, რაც მთავარია, საბჭოთა კანონებთან. „მკურ-
ნალი ეჭსტრასენსები“ უხეშად არღვევენ სსრ
კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კანონის მე-12
მუხლს და ამის გამო მათ მიმართ უნდა აღიძ-
რას საქმე თანაბმად სისხლის სამართლის კო-
დექსის 250-ე მუხლისა.

ახლთით მხოლოდ მცირე ნაწილი იმ არასწორი
ინფორმაციისა, რომელსაც აყენებენ „ეჭსტრა-
სენსების“ შესაძლებლობათა განსაღიდებლად.
მე აღარ შევეხები სხვა უზუსტობებს, რომლე-
ბიც შეიხება „ეჭსტრასენსებიან“ არაჩვეულებრი-
ვად მაღალ ინტელექტს, განსწავლულობას და
კულტურის დონეს, ოჯახურ გარემოს და სხვა.
ამას საქმის არსთან თუმცა მაინც აქვს დამო-
კიდებულება (ამით გამოცდილი ტურნალისტის
გაგებით „ეჭსტრასენსის“ ზებუნებრიობას მკა-
ფიოდ ხაზს „ეჭსტრასენსის“ მომავალი შე-
ძლო პაციენტის ბუნის მოსანადირებელი მი-
წერი ხაამო თვისებები ემატება), მაგრამ შე-
მოთქმულის შემდეგ საკითხის ამ მხარეზე,
ვფიქრობთ, აღარ ღირს ხაუბრის გაგრძელება.

ამრიგად, ჩვენს წინაშე წარმოდგა მასტუფი-
კაციათა და ამჟამად არასწორ ვერსიებსა და
მცდარ ინფორმაციათა ხაფუძველზე შექმნილი
„ეჭსტრასენსების“ პორტრეტი, რაც გათვალის-
წინებულია მისი სამკურნალო ავტორიტეტის
ასამაღლებლად და ემხაბურება მის მიერ ჩატა-
რებული ფსიქოთერაპიული ხასების და სეანხე-
ბის ეფექტურობის ამაღლების მიზანს. ეს გარე-
მოება გამოცდილმა „ეჭსტრასენსებმა“, რო-
გორც წესი, კარგად იციან და ამიტომ ყველა
ხაშუალებას ხმარობენ და მოითხოვენ გაბაა-
ურობენ მათგან, ვისაც ხელეწიფება წერაც და
პრესის ორგანოებში თავიანთი ნაწერის და-
ბეჭდვა ამგვარი პრობაგანდის გაშლასა და გა-
ძლიერებას.*

მაგრამ, ბუნებრივია, მკითხველს ასეთი კითხ-
ვაც შეიძლება დაებადოს: „კი, მაგრამ ხად
არიან ამ საქმის ნამდვილი ხპეციალისტები, იმ
პირები, რომლებიც ამგვარ ინფორმაციას აერ-
ცელებენ ნუთუ არა აქვთ იმის შესაძლებლობა,

* თუ რა კონკრეტული მნიშვნელობა ენიჭე-
ბა „ეჭსტრასენსების“ შესაძლებლობათა ამგვარ
პროპაგანდას, და ამ გზით შესაბამისი ფუნის
შექმნას ფსიქოთერაპიული და შთაგონებითი
ზემოქმედების ეფექტის გაძლიერებისათვის,
ამის შესახებ იხ. ქვემოთ, აგრეთვე იხ. ჟურნა-
ლი „ხაბჭოთა მედიცინა“ № 4, 1980 წ. გვ.
14-15.

რომ ყველაფერი კონსულტაცია მიიღონ მათგან?" კითხვა სავსებით მართებულია, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ახეთ შემთხვევებში „ექსტრასენსების" უმეტესობა ან ვერ ხედავს ობიექტის ნამდვილ ვითარებას, ან ცდილობს, მოგონილ ამბებში სასიამოვნო ამბები ჩაურიოს, რათა მეტი ნდობა დაიმსახუროს. ამ ორი ფაქტორის გამო ხშირად ხდება, რომ ადამიანი ექსტრასენსის ნათქვამს ბრმად ენდობა და ბოლოს ძალიან იმედგაცრუებული რჩება.

ტობა შეუძლია ყველას, ვინც არც თუ ისე დიდ ფულად შესატანს შესწირავს მათ.

ასეთია მოვლენათა უცნაური დამთხვევები დროსა და სივრცეში. ძნელად სათქმელია, ყოველივე ამას კანონზომიერი, დეტერმინირებული, თუ შემთხვევითი ხასიათი აქვს ან იქნება აქაც „ეჭსტრასენსების“ სასწაულებრივ გვკვეს სჯმე?

ყოველ შემთხვევაში ასეთია მართლაც უტყუარი ფაქტები იმ ხერხების, მეთოდების და ზოგჯერ აკრძალული ილეთების შესახებ, რომელთაც მოურიდებლად და სამწუხაროდ ჭერჭერობით დაუხკვლად იყენებენ „ეჭსტრასენსები“ და გარკვეული დროის მანძილზე ისინი თავგზას უბნევენ ჩვენს საზოგადოებას თავიანთი წმინდა მერკანტილური მიზნების მისაღწევად, ხოლო მათ მეხოტბენი თავიანთთვის არც თუ სახარბიელო სტატუციის ნებაყოფლობითი ან უნებლიე მონაწილენი ხდებიან.

3. „სასწაულმოქმედი“ მკურნალები: მათი ძალა და უღონობა

როცა „სასწაულმოქმედთა“ ძალაზე ვსაუბრობთ, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ხელოვნურად შეკოწიწებულ ავტორიტეტს და პოპულარობას, რომელთაც „ეჭსტრასენსებს“ ზოგჯერ შეუფარავ ენთუზიაზმსაც) უქმნის არაკომპეტენტური პირთა მიერ ზოგჯერ არც თუ მისაღები ხერხებით გაწეული პროპაგანდა. მაგრამ ამ ძალას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მათი აღზევების, საქმიანობის ფართოდ გაშლის, პირველ, პოპულარობის თანდათანობითი მატების პერიოდში. ამ პერიოდს, როგორც წესი, მოსდევს „ეჭსტრასენსთა“ მიხვეულ-მოხვეულის ზენიტამდე, მაგრამ მათი პოპულარობა და ავტორიტეტი ჯერ თანდათანობით, მაგრამ ასევე განუხრელად ეცემა და ბოლოს „სასწაულმოქმედნიც“ და მათი „სასწაულმოქმედებანი“ სრულ დავიწყებას ეძლევიან. ასეთია ამჟამად მოვლენათა უღმობელი ბედი, რომლის უცილო დადასტურება შეიძლება როგორც დღევანდელობის, ისე წარსულის ამხოლუტურად უტყუარი მაგალითებით.

ერთ-ერთი ასეთი „სასწაულმოქმედი“ მკურნალის (ოგი ციბის „არჩენდა“) ქომაგებთან მეც მომიხდა შეხვედრა. ჩემთან, როგორც თანამედროვის პირთან, მიღებაზე მოვიდა ერთი ფრიად პატივსაცემი ჟურნალისტი და ასევე პატივსაცემი სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებების მეცნიერ-მუშაკი. ორთავეს ამორჩევებდათ კეთილშობილი სურვილი — ბელი შეუწყოთ კიბოს „უეცრი მკურნალის“ საქმიანობისათვის.

სამნიანბრის ავტორიტეტულ კომისიას საკმაოდ კარგად ჰქონდა შესწავლილი ამ ახლად-მოვლენილი „სასწაულმოქმედი ონკოლოგის“ საქმიანობა, ამიტომ მე საშუალება მქონდა აღნიშნული კომისიის არგუმენტების მოშველიებით განმემარტა მ თთვის, რომ მეთოდები და ხერხები, რომელთაც მათი სახიყვანებელი „მკურნალი“ იყენებდა, არათუ სასარგებლო, ვნების მომტანიც შეიძლება ყოფილიყო, ამ ავადმყოფისთვის. ეს-ის არის გამოკვეთილად, რომელთაც ეს-ის არის გამოკვეთილად, რომელთაც ეს-ის არის გამოკვეთილად, რომელთაც

გაზეთის 1980 წ. 27 აგვისტოს სარედაქციო წერილში: „უკანასკნელ წლებში, წერს გაზეთი, — შეიქმება დავთვალეთ რამდენიმე ათეული ხელმარჯვე „მკურნალი", რომლებმაც სხვადასხვა დროს მოიპოვეს ძალზე დიდი სახელი. ისინი გვპირდებოდნენ „უდიდეს აღმოჩენებს". და გვეშალება კითხვა — სადღა არიან ყველა ისინი ახლა? სადღა მათი მეთოდები და „აღმოჩენები"? გაიქნა კი თუნდაც რომელიმე მათგანმა ყველაზე უფრო მოუდგომელ შეხორცებას — შეხორცების დროთი? არაფერი ამის მსგავსი, ყველა ისინი, მათ შორის ყველაზე უფრო „გახმაურებულნი" და თავის დროზე ცნობილნი, გაჰქრნენ მედიცინის პორიზონტიდან ყველა თავიანთი „მეთოდით და წამლით".

ამ „მეთოდის" და „წამლის" ავტორთა დიდი უმრავლესობა ისევ ჩვენს გვერდით ცხოვრობს და საქმიანობს, მაგრამ მათ შესახებ ახლა აღარავინ ლაპარაკობს და არც ვინმეს ახსოვს მათი „სენსაციური" სამკურნალო მეთოდები. სამაგიეროდ ცოცხალთა შორის ადარ არიან ისინი, ვინც მკურნალობის მხოლოდ ამგვარი მეთოდების იმედზე დარჩნენ.

ძნელი სათქმელია, ჩვენი საზოგადოების დიდსულოვნებაა თუ მიზეზი თუ ადამიანთა სოციალი გულმავიწყობა, მაგრამ ერთი რამ ნიშანდობლივია: როცა საბოლოოდ დადგინდება, რომ ესა თუ ის სამკურნალო „მეთოდი" ან „აღმოჩენა" წმინდაა წყლის ფუქსიკა და სხვა არაფერი, ან ყველა პირში წყალს იტკბობს და ივიწყებს ან ამბის გამო თავის დროზე ატეხილ ამაურორაკებულ მთქმა-მოთქმასაც, უმაზრად გადაურილ ასობით და ათასობით პატოსანი შრომით მონაგარ მანეთებს, ხოლო ზოგჯერ მილიონობით ხასელმწიფო ხასხარებს და, რაც მთავარია, ივიწყებენ იმ გამოუსწორებელ შიანს, რომელიც ამგვარმა ვითარებამ მიაყენა ადამიანთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას და შესაძლოა სიცოცხლესაც. უკეთეს შემთხვევაში ამის შესახებ პეტტატი აწუობილი ერთი-ორი ინფორმაციაც თუ გაიელვებს, ისიც სპეციალურ გამოცემებში და ყველაფერი ამით მთავრდება.

საუთრივ მეცნიერების არაფერი აკლდება, როცა მას უკვალოდ სცლდება თავს მიხუცი უმეცრება, რადგან კეშმარიტ მეცნიერებას და მის ერთგულ მსახურ ამ ცრო და არც მოცალეობა არა აქვთ იმისათვის, რომ უკეე ყველაფრის მხლებელუ ამბავ-უბედს გამოეცნონ და მასზე გაუთავებელად ილაპარაკონ, მაგრამ ასეთი დიდსულოვნება და თუ გნებავთ საუთველთაო შემწყნარებლობის ატმოსფერო ბიძგს აძლევს და ათამამებს მსგავსი ავანტიურების მოუყარულებს. აღსაო ათითა არის გამოწვეული ერთი „ექსტრასენსის" გადანცვლება ჯეჩრობის სფეროდან ექიმობაშიბის სარბიელზე — ჯეჩრობის მუშაკებს ახლა მომხმარებლის წონასა. ზომასა და ფასში მცირეოდენი მოტყუებისათვის სასტიკად და სამართლიანადაც სჯიან, „ექსტრასენსები" კი მიუხედავად იმისა, რომ ასობით მომხდომ პაციენტს დიდი ხნიერის ბადეში ჰყავდნენ თანხასაც საკმაოდ გლეჯენ, უცირეოდნად ყველგან საბჭოთა კავშირში, გარკვეული დროით მაინც სახელისა და დიდების შარავანდედით იმოსებიან.

სწორედ ეს შემწყნარებლობა არის დღევანდელი და მომავალი „ექსტრასენსების" უკანონო სამკურნალო საქმიანობის ხელისშემწყობი და ძალისმიმცემი ერთი ფაქტორთაგანი. ამიტომ აუცილებელად და საჭიროდაც მიგვაჩნია ფართო საზოგადოებამ ბოლომდე იცოდეს სიმართლე ამ „ხასწაულმოქმედებზე".

მეცნიერული კეშმარიტება და ობიექტური სიმართლე მათ შესახებ კი ამ უკანასკნელთა უპირველესი მტერა და უძლეურების უმთავრესი წყარო. ზოგჯერ ამგვარი სიმართლე არც თუ ხასრბიელოა თანამედროვე მედიცინისათვის, მაგრამ ის მაინც სიმართლეა და სწორედ იმ თვისების გამო, რაც სიმართლეს ახასიათებს, საზოგადოებისათვის უფრო ნათელი ხდება ექიმებისთან, „ექსტრასენსიზმის" სხვადასხვაგვარი „ხასწაულმოქმედების" მკვეთები წყაროები და მათი ნამდვილი არხი.

ერთი ასეთი დიდი და არც თუ ხასიამოვნო სიმართლე ის არის, რომ თანამედროვე მედიცინა უძლურია ბოლომდე განკურნოს ადამიანის ზოგიერთი დაავადება. ფართო საზოგადოების თვალში ეს უძლურება განსაუთრებით მკაფიოდ ჩანს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, მისი ფანტასტიკური მიღწევების ფონზე. ეს უძლურება ბევრისათვის ძნელად გასაგებია იმ დროს, როცა ადამიანმა სწორედ ამ ორასამი ათეული წლის მანძილზე შეძლო ატომის ენერგია თავის სამსახურში ჩაეყენებინა და ერთბაშად ციცოლის კიდეც უფრო ღრმად ჩაიხედოს მიკროსამყაროს უალრესად ნატიფ სტრუქტურაში, შეექმა ურთულესი კიბერნეტიკული მანქანები, შეასწო დაეძლია დედამიწის მიზიდულება, მთვარეზე ფეხი დაედგა, იქ ავტომატური სადგურები გაეგზავნა, რომლებმაც დედამიწაზე მისი უველაზე დიდი თანამგზავრის გრუნები ჩამოიტანეს, გადაეღო და გამოეკვლია მარსისა და ვენერის ლანდშაფტები, ხოლო დედამიწის ახლო კოსმოსის კვლევა ყოველდღიურ საქმიანობად ექცა.

არანაკლები ხასწაულები მოახდინა ადამიანმა საკუთარი თავის შეცნობაში, დაავადებათა პრომფილაქტიკაზა, დიაგნოსტიკაზა და მკურნალობაში ვის შეეძლო ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ წარმოედგინა, რომ ბიოლოგიასა და მედიცინაში განხორციელდებოდა მართლაც ისეთი ხასწაულები, როგორიცაა გენების ხუსტაკაცის დადგენა, გენეტიკური კოდის გაშიფრვა და უშუალოდ მასზე ჰქტორია, მიზანმიმართული ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმის გენეტიკურ აპარატზე, ხელოვნური გენის მიღება და სხვა ამგვარი ხასწაულები, რომელთა ფასი ადამიანისათვის ძნელად გამოსათვლელია.

კარლო გეგელაშვილი
სასწაულები და სასწაულმოქმედნი

ქმედების მოხდენა. უკავშირო სრული ლიკვიდაცია მსოფლიოში. დიფთერიის, პოლიომიელიტის და მრავალი სხვა დაავადების პროფილაქტიკის ისეთი მეთოდების და საშუალებების შემუშავება, რომლებიც ამ დაავადებებსაც სრულ მოსპობას უკავშირო. ენცეფალოპოლიომიელიტის სიხლის მიმოქცევის პირობებში ურთულესი ოპერაციები გულზე, გულის და თორმეტითითა ნაწლავის, ოფთალმოლოგიურ ოტოლარინგოლოგიურ და სისხლძარღვთა მკურნალობაში მიკროქირურგიული მეთოდების დანერგვა, ორგანიზმის დაზიანებული ნაწილების თითქმის მთლიანი პროთეზირებისათვის სხვადასხვა სინთეზური მასალების გამოყენება. ფარმაკოლოგიის, კერძოდ ფსიქოფარმაკოლოგიის უდიდესი წარმატებები. ურთულესი ელექტრონული ტექნიკის გამოყენებით მასზედ წარმოუდგენელი მასშტაბის დეზინფიცირების მანიპულაციების განხორციელება და ასე შემდეგ.

ეს არასრული ნუსხა მეცნიერებისა და ტექნიკის, ბიოლოგიისა და მედიცინის უდიდესი მიღწევებისა. დიახაც მეტყველებს თანამედროვე სამყურნალო საშუალებების გრანდიოზულ შესაძლებლობებზე, რომელთა მეშვეობით სრულიად რეალური გახდა მანამდე სრულიად მოუხერხებელ დაავადებათა, მათ შორის ჯილის თანდაყოლილი და შეძენილი მანკების, თავის ტვინის სისხლძარღვოვანი და სიმსივნური დაავადებების, თორმეტითის უმთავრესი პათოლოგიური მდგომარეობების, ოტოსკლეროზით გამოწვეული სიყრუის, თვალის სხვადასხვაგვარი დაავადებებისას განვითარებული სიბრმავის ან მხედველობის კვეთრი დაქვეითების და მრავალი სხვა უმძიმესი დაავადების თითქმის სრული განკურნება.

ახლა ბევრი ჩვენგანი იმის მოწმეც გახდა, როცა სისხლძარღვთა მიკროქირურგიული მეთოდების გამოყენებით როგორ აღუდგინეს ადამიანს ტრავმის გამო მთლიანად მოწყვეტილი ხელის მტევნის ფალანგები და ზოგჯერ, როცა ეს საჭიროებამ მოითხოვა ხელის მტევანიც.

აი, ყოველივე ეს ქმნის იმ გრანდიოზულ ძალას, რომელსაც მეცნიერებისა და ტექნიკის, ბიოლოგიის სხვადასხვა დარგის განვითარების კვალობაზე იძენდა და იძენს თანამედროვე მედიცინა და ამ ძალის წინაშე როგორ უსუსურად და უძლურად გამოიყურება თითქოსდა სასწაულებრივი თვისებებით შემკული რომელიც გნებავთ „ექსტრასენსი".

მაგრამ, აბა რას დაგიდევთ ზოგიერთი პაციენტი მედიცინის მთელ ამ წარმატებებს, ანდა იმ წარმატებებს, რომელთაც იგი უეჭველად მოაღწევს მომავალში ჯერ კიდევ განუკურნებელი დაავადებების, მათ შორის კიბოს მკურნალობაში. თუ ყოველივე ეს სწორედ დღეს, სწორედ მისი სიცოცხლის მანძილზე ვერ უმსუბუქებს ამავადმყოფს თავის გაჯარებას?

ეს წარმატებები შეიძლება მისი ცნობისმოყვარეობის, მსჯელობის ანდა დადებითი ადამიანური ემოციის საგანი იყოს თანამედროვე ლიკვიდაციის ესოდენ ღირებულ მაგრამ როცა საქმე მის ავადმყოფობაზე მიდგება, რომელსაც მედიცინის ვერცერთი ხსენებული მიღწევა შემსუბუქებას ვერ ახლეს, შეეხლა იგი სწორედ ოფიციალური მედიცინის გარეთ „სასწაულების სამყაროში" ეძებს.

და სწორედ ფსიქოლოგიურად მომზადებულ ამგვარ სიტუაციაში განსაკუთრებით დიდ ძალას იძენს იგივე „ექსტრასენსი". ექიმებში და სხვა მისთანები, რომლებისკენაც, თუ მით უმეტეს მათ შესაბამისი რეკლამაც შეუქმნეს, უწუვეტ ნაკადად მიემართებიან ხანგრძლივი, ქრონიკული დაავადებებისაგან სასოწარდაცული ადამიანები, რომლებიც სწორედ ამ „სასწაულმოქმედებთან" ეძებენ და ზოგჯერ პოულობენ კიდეც თუმცა ილუზორულსა და ღრუბლებს, მაგრამ მაინც იმედს მედგმივი ტანჯვისაგან ხსნისა და გადარჩენისას.

საქმეს ეროგვარად არსულებს ისიც, რომ „სასწაულმოქმედ მკურნალთა" ამ პატენციური პაციენტების რაოდენობა სულ უფრო და უფრო მატულობს.

ეს სულ ცოტა სამი მიზეზით ხრის გაპირობებული.

ჯერ ერთი, მძიმე და მწვავე დაავადებები, რომლებიც წინათ მუხრ ალლებდა დიდსა და პატარას, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების გაუმჯობესების კვალობაზე, ავადმყოფის სიცოცხლისათვის სულ უფრო ნაკლებ საშიში ხდება და შესაბამისად კვეთრად მოიკლა ამ მიზეზით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ. მაგრამ ყველა ეს დაავადება უკვალოდ რადი ჩაივლის ადამიანის ორგანიზმისათვის. ამის გამო მატულობს იმ პირთა რიცხვი, რომელთა ჯანმრთელობაში ამგვარმა დაავადებებმა მაინც ცალკეთა ბზარი და მისი სრული გამოქცევა ზოგჯერ ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ ხერხდება. საწუხაროდ ასეთ სიტუაციებს ცნობილი. განსაკუთრებით ანტიბიოტიკების სრულიად გაუმართლებელ თვითმკურნალობაც ქმნის.

მეორეც, სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ისეც და ისეც ხანგრძლივ დაბმარების განუხრელმა გაუმჯობესებამ გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდება და ამ ფონზე ე. წ. ასაკობრივი დაავადებებით შეპყრობილ პირთა რიცხვი, ხოლო ზოგიერთი დაავადება, რომელთა რადიკალური მკურნალობა თანამედროვე მედიცინისათვის ახალგაზრდა და საშუალო ასაკის პირებში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, ხანდაზმულ ასაკში შემდინარეობის ისეთ თავისებურებებს იძენს, რომ ყოველთვის არ ემორჩილება მკურნალობის აპრობირებულ მეთოდებს.

მესამეც, თანამედროვე ცივილიზაციამ მრავალ დადებითთან ერთად არაერთი ისეთი ვითარება

შექმნა, რის გამოც ადამიანი ძალზე ცოტას მოძრაობს, მისი ორგანიზმი მიპოდინამიის მსახვრალი ზეგავლენის ქვეშ მოყოფს. ამავე დროს ცხოვრების გაძლიერებულმა რიტმმა, სულ უფრო მზარდ სტრესულმა ფაქტორების ზეგავლენამ ერთობლ გადაძახა ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემა და ნერვულ-ფსიქიური სფერო, რაც, ალაშვიათად მათი ისეთი ქრონიკული დაავადებების წყარო ხდება, რომელზეც უთანამედროვესი სამკურნალო საშუალებებიც ვეღარ მოქმედებენ.

მართალია, ამ სახის დაავადებათა დიდი უმრავლესობის სრული განკურნებისათვის თანამედროვე მედიცინას უცბათი საშუალებები არ გააჩნია, მაგრამ მისი სამკურნალო არსენალი სრულიადაც არ არის ისე ღარიბი, რომ ამგვარი ავადმყოფობები უთუოდ უიმედოდ ჩაეთვალოს მისტფოკაციათა და ამაოებათა სამყაროსთვის გავიმეტოთ.

ამ საქმეში წარმატებებისათვის არსებობს ნაკლები და ეფექტური გზა.

მედიცინის ამ არსენალში არსებულ სამკურნალოშამლო საშუალებებს, აგრეთვე ფსიქოთერაპიული ზემოქმედების მეთოდებს ძალზე დიდი გულისყურით, თითოეული ავადმყოფის ფსიქიკურ-ფიზიოლური მდგომარეობის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით ეხმარობა ზერჩევა. ხოლო იმის შემდეგ, რაც წამალს თუ მკურნალობის სხვა მეთოდს შევურჩევთ, ავადმყოფს იგი ისე უნდა მივაწოდოთ, რომ მასში განვაბატკნოთ რწმენა არა მარტო დანიშნული მკურნალობის ეფექტურობისადმი, არამედ მთლიანად მედიცინის შესაძლებლობებისადმი, რაც იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ ავადმყოფის ტანჯვა ფიზიკურ ტკივილთან ერთად იგი დაკავ-შირებული თუ მძიმე ნერვიულ-ფსიქიურ ვან(ცდებთან — უთუოდ თვალსაჩინოდ გაუმჯობესდება.

ეს არის მედიცინის მიერ მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე ნაცად სამკურნალო ტაქტიკას, უველა ავადმყოფისადმი აუცილებელი ფსიქოთერაპიული მიდგომის, საექიმო დეონტოლოგიის მოთხოვნა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენ სამედიცინო პერსონალი ყოველთვის ჭეროვნად ვერ მისდევს. გარკვეულ შემთხვევებში ეს ზოგიერთი მედიკოსის ყოლად გაუმართლებელი გულცივობის, პროფესიული უმაქნისობის გამოხატულებაა და ამგვარი საქციელი ჩვენი ხალხის და პირველ რიგში სამედიცინო საზოგადოებრიობის მკაცრი დაგმობის საგანი ხდება.

მაგრამ არის მთელი თანამედროვე მედიცინისათვის დამახასიათებელი, სხვა საკმაოდ სერიოზული მიზეზი, რომელიც საშუალებას არ აძლევს მკურნალ ექიმს უფრო ხანგრძლივ კონტაქტში იმყოფებოდეს ავადმყოფთან, უგულისყურობით შეზავებული ყოველგვარი ჰაჭარების გარეშე, გულდასმით მოუსმინოს მის ჭირვარამს (რაც სხვათა შორის წამალზე ნაკლებ არ უმსუბუქებს ავადმყოფს მდგომარეობას), პირადი შთაბეჭდილებისა და გამოცდილების საფუძველზე შეაფასოს ავადმყოფის ნებისყოფა, ფსიქიური ფსიქიურ-ფიზიკური მდგომარეობა, გაამხნევოს იგი და დაარწმუნოს დანშნული მკურნალობის სარგებლობაში. სამწუხაროდ, დღეს თითქმის არცერთ ექიმს ამისათვის დრო არ რჩება — იგი უნდება ათასგვარი სამედიცინო დოკუმენტების შევსებას, რომელთა შორის უკანასკნელ ადგილზე როდია მიმართვები სხვადასხვა დიაგნოსტიკური კაბინეტებისა და კონსულტანტებისადმი ავადმყოფის გამოკვლევის შესახებ.

ყოველივე ამის გამო ავადმყოფს გაცილებით მეტი დროის მანძილზე სინჯავს არა იმდენად ისი უშუალო მკურნალი ექიმი, რამდენ ღილაკებზე მისი ან მისი კოლეგების თითების დაჭერით ამოქმედებული დიაგნოსტიკური აპარატები, რომლებიც მოუხდავად ყოველმხრივ სრულყოფილი კონსტრუქციებისა, მაინც უსულო და ცივი საგნებია, რომელთაც არ ძალუძთ შეცვალონ ექიმის ადამიანური სითბოთი გაკეთილშობილებული უშუალო ურთიერთობა ავადმყოფთან.

აქვე მინდა დავსძინო, რომ ამ საკითხზე საუბარი სრულიადაც არ არის ნაკარნახევი მარტოოდენ ამ წერილის მიზანდასახულობით. ეს პრობლემა აწუხებს მთელი მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოებრიობას და შემთხვევითი არ იყო, რომელსაც 1978 წ. ჟ. ვარნაში გამართულ XV საერთაშორისო ფსიქოსომატიკური კონგრესის ერთერთი სიმპოზიუმი მთლიანად მიეძღვნა მედიცინის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს ფსიქიურულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. სიმპოზიუმზე დასმულ საკითხთა შორის თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მედიცინის ეთიკურ-დეონტოლოგიურმა ასპექტებმა და კერძოდ საექიმო საქმიანობის ეგრეთწოდებულმა დეჰუმანიზაციამ, რომელიც ექიმთა „ხორცური ზნაზეების“ გამომხატველი კი არ არის, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიერ შექმნილი ზემოთ აღნიშნული ობიექტიური პირდაპირი შედეგია.

რა თქმა უნდა, ამის გამო არავის აზრად არ უნდა მოუვიდეს თითქოს შექმნილი ვითარება გვიკარნახებს ხელი ავიღოთ ავადმყოფობა თანამედროვე ინსტრუმენტულ და აპარატულ გამოკვლევებზე. მაგრამ ყოველივე ზემოთქმული იმისკენ მოგვიწოდებს, რომ თავი შევიკავოთ ავადმყოფობა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში ტექნიკურ საშუალებათა ფეტიშიზაციისაგან, ისე მოვაწყოთ ჩვენი, მედიკოსების საქმიანობა, რომ დავძლიოთ თანამედროვე მედიცინისათვის თანმხლები ეს ნაკლი და არ იქცეს იგი ექიმებსთა და სხვადასხვა ჯურის „ხასწაულმჭვიდთა“ იმ ძალად, რომლისკენაც გატრეხილად თავდახნის ამაო იმედით მილტაკვის მედიცინის შესაძლებლობებზე გულაცრუებულ ავადმყოფთა ნაკადი.

„იმ ქარცეცხლიან დღეთა ექიმები...“

ვლადიმერ კიკალიშვილი

ჰოსპიტალის სასახელო საბრძოლო გზა

შეუძლებელია დავიწყებას მიეცეს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მრისხანე წლები და ამ უდიდეს ომში საბჭოთა კავშირის გმირი ხალხისა და მისი ძლევამოსილი შეიარაღებული ძალების მსოფლიო ისტორიული გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე, მის სატელიტებსა და მილიტარისტულ იაპონიაზე.

ამჟამად სამამულო ომის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ფხიზლად დგას დედა-სამშობლოს სადარაჯოზე, მისი დიდი უმრავლესობა კვლავ გმირულად იბრძვის სამშობლოს აუვალებლობისთვის, და დიდი სიამაყის გრძნობით იგონებს ომის მძიმე წლებში განვლილ ცეცხლოვან გზებს. მებრძოლი მსოფლიო ისტორიული გამარჯვების საქმეში სახელოვან მეომრებთან და ოფიცრებთან ერთად ღირსეული წვლილი მიუძღვით ჩვენი სახელოვანი მედიცინის მუშაკებს, რომელნიც ფრონტზე დიდ თავდადებასა და გმირობას იჩენდნენ. ბევრი მათგანი მძიმე საბრძოლო სიტუაციის დროს იარაღით ხელში იცავდა დაჭრილი მეომრების სიცოცხლეს და საკუთარ თავს ხვრეპავდა ამ დიდი კეთილშობილურ საქმეს. ახეულ ათასობით მეომარი გადაარჩინეს მედიცინის მუშაკებმა და კვლავ ჩაყენეს მეომარ ნაწილთა მწყობრში. სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს 10 მილიონზე მეტ საბჭოთა ჯარისკაცს.

ლენინურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა მედიკოსების გმირულ შრომას. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნა 116 ათასი საბჭოთა მედიცინი და ქირურგიული ჰოსპიტალის შექმნის შესახებ. მისი ჩამოყალიბება მოხდა ქ. ერევანში. ჰოსპიტალის უფროსად დაინიშნა მეორე რანგის სამედიცინო ეკიმი ლ. არუთინიანი, კომისრად უფროსი პოლიტმუშაკი ხრჩანი.

1941 წლის 26 დეკემბერს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა შავი ზღვისა და აზოვის ფლოტილიის ძალებთან ერთად დაიწყო დიდი საზღვაო სადესანტო ოპერაცია—კერჩი-ფეოდოსიის მიმართულებით, ყირიმის ნახევარკუნძულზე მოკალათებულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. კერჩი-ფეოდოსიის ამ დიდ საზღვაო სადესანტო ოპერაციაში მონაწილეობდა 44-ე არმია, რომელსაც მეთაურობდა გენერალ მაიორი ა. პერეუშინი, არმიის შემადგენლობაში შედიოდა ჩვენი ჰოსპიტალიც.

საბჭოთა სადესანტო ჯარებმა გაიფართებული, მძიმე ბრძოლების შემდეგ 1941 წლის 30 დეკემბერს მთლიანად გაათავისუფლეს ხაპრმტო ქალაქები კერჩი და ფეოდოსია, ხელთ იგდეს მტრის დიდძალი ტექნიკა. ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ. სადესანტო ოპერაციისა და შემდგომი ბრძოლების დროს მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა, საგრძნობლად დაზარალდა ჩვენი მომჭმედი ნაწილებიც, ბევრი დაეცა ბრძოლის ველზე მამაცური სიკვდილით, ბევრიც დაიჭრა. ეს მდგომარეობა ჩვენი მედიკოსებისაგან დიდ თავდადებასა და უნარს მოითხოვდა, რომ დაჭრილი მეომრებისათვის ომის

...ჩვენი ჰოსპიტალის მედიკოსებმა განვლეს საბრძოლო დიდების გრძელი გზა კავკასიიდან — ვენამდე და თავისი საპატიო მოვალეობა ღირსეულად შეასრულეს დედასამშობლოს წინაშე.

ომის დაწყების მეორე დღეს, 1941 წლის 23 ივნისს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სახმრომ გასცა ბრძანება № 746 სამხედრო სველე ქირურგიული ჰოსპიტლის შექმნის შესახებ. მისი ჩამოყალიბება მოხდა ქ. ერევანში. ჰოსპიტალის უფროსად დაინიშნა მეორე რანგის სამედიცინო ეკიმი ლ. არუთინიანი, კომისრად უფროსი პოლიტმუშაკი ხრჩანი.

1941 წლის 26 დეკემბერს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა შავი ზღვისა და აზოვის ფლოტილიის ძალებთან ერთად დაიწყო დიდი საზღვაო სადესანტო ოპერაცია—კერჩი-ფეოდოსიის მიმართულებით, ყირიმის ნახევარკუნძულზე მოკალათებულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. კერჩი-ფეოდოსიის ამ დიდ საზღვაო სადესანტო ოპერაციაში მონაწილეობდა 44-ე არმია, რომელსაც მეთაურობდა გენერალ მაიორი ა. პერეუშინი, არმიის შემადგენლობაში შედიოდა ჩვენი ჰოსპიტალიც.

საბჭოთა სადესანტო ჯარებმა გაიფართებული, მძიმე ბრძოლების შემდეგ 1941 წლის 30 დეკემბერს მთლიანად გაათავისუფლეს ხაპრმტო ქალაქები კერჩი და ფეოდოსია, ხელთ იგდეს მტრის დიდძალი ტექნიკა. ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ. სადესანტო ოპერაციისა და შემდგომი ბრძოლების დროს მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა, საგრძნობლად დაზარალდა ჩვენი მომჭმედი ნაწილებიც, ბევრი დაეცა ბრძოლის ველზე მამაცური სიკვდილით, ბევრიც დაიჭრა. ეს მდგომარეობა ჩვენი მედიკოსებისაგან დიდ თავდადებასა და უნარს მოითხოვდა, რომ დაჭრილი მეომრებისათვის ომის

მძიმე პირობებში მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება აღმოიჩინეთ.

ომის ამ მძიმე დღეებში ჩვენი ჰოსპიტლის პირადი შემადგენლობა ორ ნაწილად გაიყო. ერთმა ნაწილმა მუშაობა ქ. ნოვოროსიისკში გააშალა, ხოლო მეორემ კი ქ. ფეოდოსიაში.

ჩვენი სახელოვანი ქირურგები, მედიცინის დები და სანიტრები მტრის ავიაციის მიერ განუწყვეტელი დაბომბვის, ტყვიამფრქვევების და არტილერიის ცეცხლის პირობებში იჩენდნენ საოცარ სიმტკიცეს და არც ერთი წუთით არ ტოვებდნენ ხოპერაციო მაგიდას, აქეთგადადნენ რთულ ოპერაციებს და სიცოცხლეს უხანრჩუნებდნენ მამაც მებრძოლებს.

1942 წლის მარტში ჩვენი სამხედრო საველე ჰოსპიტალი 1000 ადგილიან მსუბუქად დაჭრილთა საავადმყოფო ჰოსპიტალად გადაკეთდა.

1942 წლის აპრილში ჰოსპიტლის უფროსად დანიშნეს მესამე რანგის სამხედრო ექიმი ნესტერენკო, კომისარად — ბატალიონის კომისარი ვლ. კიკალიშვილი.

1942 წლის მაისის დასაწყისში 44-ე არმიის პოლიტგანყოფილებამ, არმიის სამხედრო საბჭოს წევრის, ბრიგადის კომისრის ამხ. ტკაჩენკოს მეთაურობით შეიმოწმა ჰოსპიტალში პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის დონე და დამკმაყოფილებლად მიიჩნია.

1942 წლის 8 მაისს გერმანელმა დამპყრობლებმა კერჩის ნახევარკუნძულზე დაიწყეს დიდი ოპერაცია ჩვენი ჯარების წინააღმდეგ. 7 მაისს ფაშისტების ჯარებმა დაბომბეს ჩვენი ჰოსპიტალის მიერ ქირურგიული განყოფილება სოფ. მარფოკაში, რის შედეგადაც სტაციონარის ავეჯის შენობა ანგრევებად იქცა.

8 და 9 მაისს ჰოსპიტალს განუწყვეტლივ ბომბავდნენ გამხეცებული მტრის თვითმფრინავები, რის გამოც მწუობრიდან გამოვიდა ხოპერაციო — შესახვევი ბლოკის უკანა განყოფილება, დამხმარე შენიბები, მათ შორის შტაბი.

ჰოსპიტალის მთელი შემადგენლობა ფრონტის ხაზზე გადასროლეს. მათ მეტად მძიმე საბრძოლო პირობებშიც შეინარჩუნეს მაღალი საბრძოლო თვისებები. სიმტკიცე და მამაცობა. მტრის ცეცხლის ქვეშ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება დაჭრილ მეომრებს. 9 მაისს, სოფ. მარფოკის დასავლეთ ნაწილში, ჰოსპიტალიდან 2 კილომეტრის დაშორებით მტერმა სამაერო ხომბებით გადმოსხა, რამაც უდიდესი საფრთხე შეუქმნა ჰოსპიტალში მყოფ დაჭრილ მეომრებს. გამოვიყენეთ ჩვენი მცირე ტრანსპორტი და მძიმედ დაჭრილები ქ. კერჩში გავგზავნეთ. ლეიტენანტ პილოვიჩისა და მედიცინის დების, ლ. ვედმეცკაის და დ. ბუცევას ხელმძღვანელობით. დაჭრილთა ევაკუაციის დროს ფაშისტებმა დახმარების ჩვენი ტრანსპორტი, ფეხით მძიმედ დაიჭრა მედიცინის და ლ. ვედმეცკაის.

ჰოსპიტალი გადატვირთული იყო მძიმედ დაჭრილებით, ამავე დროს, კოკისპირულ წვიმებსა და ხანძილ სანებელში განუწყვეტლივ ხდებოდა დაჭრილთა პარტიები, რომელთა ევაკუაციაც დამუშავება ყოველდღე შეუძლებელი იყო. ხანრო გახდა მათი დაუყოვნებელივ გაგზავნა ზურგში. ფაქტიურად ჩვენ აღარც ტრანსპორტი გვყოფდა, აღარც საწვავი მასალა გაგვაჩნდა. ადგილობრივი მოსახლეობა ღამით გაიხიზნა და სოფელში ჩვენს გარდა აღარავინ დარჩა. ასე აღმოვჩნდით პირისპირ გამხეცებულ მტრთან. მარფოკის მთავარი გზატკეცილი დაკავებული ჰქონდათ ფაშისტებს, რაც საშუალებას გვისაძლებდა, შემხვედრი ტრანსპორტით გაგვეგზავნა დაჭრილები.

ამ მეტად კრიტიკულ მომენტში მძიმედ დაჭრილი მეომრების სასწრაფოდ ევაკუაციისათვის შეიქმნა სპეციალური ჯგუფი 32 კაცის შემადგენლობით. ჯგუფის ხელმძღვანელობა კომისარმა ვლ. კიკალიშვილმა იკისრა. ხოლო სამედიცინო დარგში ხელმძღვანელი იყო მესამე რანგის ექიმი ე. ჩოლოკაინი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ძირითადად ჰოსპიტალის პოლიტმუშაკები, კომუნისტები და კომკავშირელები, აგრეთვე ბრძოლების ნაცადი უპარტიო მეომრები: უფროსი პოლიტხელი სკრიპნიკი, პოლიტხელები: ზოლუუგაროვი და სულტანოვი, მესამე რანგის ექიმი ხ. მეგრელიშვილი, უფროსი ლეიტენანტი ფ. გავაშელაშვილი, კაპიტანი პ. გოლუბინი, უფრ. ლეიტენანტი ე. ვარპაპეტიანი, მედიცინის და ბეეენკევა, მაძახლიშილი შერეტატა, რიგითი მეომრები: ეფრემიანი, რადიონოვი, კობანი, თორაძე, ბერძენაძე და პუშკარი.

მარფოკის დასავლეთი ნაწილიდან ჩვენ სასწრაფოდ გადავიყვანეთ დაჭრილი მეომრები ჰოსპიტალის-ევაკსადგურის ნაწილში. და მოვათავსეთ კოლმეურნეობის საწყობის შენობაში, რომელიც შედარებით ხალკეს საშიშროებას წარმოადგენდა. აქედან დაჭრილთა ევაკუაცია უფრო ადვილი შესაძლებელი იყო.

ამ მძიმე კრიტიკულ ვითარებაში ჯგუფის უკანა წევრი უდიდესი მოთმინებით, სიმტკიცით, თავდადებით და ორგანიზებულად მოქმედებდა. განსაკუთრებული ეურადღება ეთმობოდა შენიღბვას და სიჩუმეს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წუთში სიკვდილის საფრთხე გველოდა, ჯგუფის წევრები მხოლოდ ერთი გრძნობით ცხოვნით განმსჭვალულნი ან გადაგვერჩინა უკანა დაჭრილი მებრძოლი, ან მათთან ერთად დაკვდი თავი. დაჭრილები ფაშისტ-დამპყრობთა ხელში ტყვედ ჩავარდნას ირჯებდნენ. ჩვენ მათ ვარწმუნებდით, რომ ევაკუირებულნი იქნებოდნენ ზურგში. ჯგუფის უკანა წე-

ვლადიმერ კიკალიშვილი
ჟურნალისტის სასახელო საარქივო გზა

ვარი მოქმედება საზრიანად. გზაჯვარედინებზე ჩვენი მებრძოლები აჩერებდნენ მანქანებს. ამ შემთხვევით მოპოვებულ მანქანებზე ვათავსებდით მძიმედ დაჭრილებს და ვგზავნიდით ზურგში. სოფლის დასასრული ნაწილი უკვე მტერს ეკავა, ხოლო ჩვენ კი მის აღმოსავლეთ ნაწილში ვიმყოფებოდით და ჩვენს სამხედრო მოვალეობას პირნათლად ვასრულებდით.

10 მაისს 13 საათზე უფიზატებმა სოფელ მარფოკის სამრევი ნაწილში დიდი საბრძოლო სანტი გადმოსხეს. ამან ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა და სიკვდილის საფრთხე შეგვიქმნა, მაგრამ ჯგუფის წევრები კვლავ თავგანწირვით იბრძოდნენ დაჭილთა ევაკუაციისათვის. გათავხედებული მტერი წინ მოიწევდა. საღამოს ჩვენს მახლობლად ჩრდილო აღმოსავლეთით გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. უფიზატი სვავები განუწყვეტლივ ბომბავდნენ და მცეცავ ცეცხლს უშენდნენ ჩვენს მამაც მეომრებს. დაღამდა, რის გამოც დროებით შეწყდა ბრძოლა. გვიან ღამით უკვლა მძიმე დაჭილი გავგზავნეთ ზურგში. 11 მაისს ჩავედით მარინტალში და შევუერთდით ჰოსპიტლის ძირითად შემადგენლობას. აქაც მძიმე პირობებში მოგვიხდა მუშაობა. ფაშისტები განუწყვეტლივ გვიშენდნენ ცეცხლს და გვბომბავდნენ. განსაკუთრებული სიმტკიცით მუშაობდა მე-3 ქირურგიული განყოფილების უფროსი, მეორე რანგის ქირურგი ოსეტი (სოსო) გოგოლაძე. ჰოსპიტლის მთავარი ძალების უკან დახევის შემდეგ დაჭილი მეომრების ევაკუაციის საქმეში მან გამოიჩინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი, სიმტკიცე და სიმამაცე.

14 მაისს მტერი შეიჭრა კ. ქერჩში; შეიქმნა მძიმე კრიტიკული მდგომარეობა. წინ მოისხვნენ მტრის ჯაფთრებული ირიშებია, უკან ბომბავრი ზღვა და ჰაერში მტრის ავიაციის თარეშიც ვარების ორგანიზებული ევაკუაციისათვის არ იყო საკმარისი ტრანსპორტი, უკველა საზღვარ გადასასვლელებზე განუწყვეტლივ ფრენდნენ მტრის სვავები. ასეთ მძიმე ვითარებაში 44-ე არმიის სანიტარული განყოფილების ხელმძღვანელობამ საზღვარ ტრანსპორტის უქონლობის გამო გვიბრძანა, რომ დაგვეშალა ჰოსპიტალი და ნება დაგვეთრო პირად შემადგენლობას ინდივიდუალური წესით, სტიქიურად, თუ ვინ როგორ შეეძლებოდა, გადავსულიყავით ტყმანის ნახევარ კუნძულზე.

ამ მძიმე კრიტიკული ვითარების დროს ჰოსპიტალში არ იყო ჰოსპიტლის უფროსი, პასუხისმგებლობა ჰოსპიტლის უფროსის მოვალეობის შესრულებაზე ვიკისრე მე. ზემოთაღნიშნული ბრძანების შესრულებაზე თავი შევიკავე, პირიქით, განყოფილების უფროსებს და პოლიტხელებს ვუბრძანე კიდევ უფრო შეემჭიდროებინათ თავიანთი რიგები, არ დაეკარგათ ალერტულობა და ყოფილიყვნენ საბრძოლო მზადყოფნაში დაჭრილებისათვის სანდო დაცვის ალმოსაჩენად. მივიდე საჭირო ზომები ტყმანის ნახევარკუნძულზე ორგანიზებულად გადასვლისათვის, რისთვისაც დავამყარე მჭიდრო კავშირი არმიის და ფრონტის სარდლობასთან. დიდი ძნელის შემდეგ 1942 წ. 16 მაისს საღამოს — ღამით 44-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრის ზურგის ნაწილში ბრიგადის კომისარს ტკაჩენკოს დავუკავშირდი და მოვახსენე ჰოსპიტალის მუშაობის შესახებ, ვთხოვე საზღვარ ტრანსპორტი ჰოსპიტლის პირადი შემადგენლობისა და დაჭრილი მეომრების გადმოსაყვანად. მისი შუადღემოლობით ყირიმის ფრონტის სარდლობამ დაავმაყოფილა ჩვენი თხოვნა და მიიღო ყველა საჭირო ზომები დაჭრილებისა და სამედიცინო კადრების გადასარჩენად. ადგილობრივი მცხოვრებლებიდან მოგვცეს გზის გამყოლი. ჰოსპიტალის დასაბრძანებლად გამოვყეს 44-ე არმიის ზურგის პოლიტგანყოფილების უფროსი, ბატალიონის უფროსი კომისარი ე. კოვალი, მოვკეცეს კონკრეტული მითითება და გვიბრძანეს, რომ დაუყოვნებლივ წვახულიყავით სოფელ კაპანიდან ვოიკოვოში, რომ იქიდან საზღვარ ტრანსპორტით გადავსულიყავით ტყმანში.

16 მაისს, ღამით მთელი ჰოსპიტლის შემადგენლობა და 1000-მდე დაჭილი მებრძოლი მტრის მიერ დაკავებული ტერატორიის გავლით ვოიკოვის სახელობის ქარხნის მიადგა და იქვე მოთავსდა. ვოიკოვის ქარხნის რაიონში მტრის ნაწილები იყვნენ განლაგებულნი, მაგრამ სიბნელის გამო ჩვენი იქ მისვლა ვერ შეამჩნიეს.

ფრონტისა და არმიის სამხედრო საბჭოს ბრძანების თანახმად, ჰოსპიტლის პირადი შემადგენლობისა და დაჭრილების წასაყვანად ღამით უნდა მოსულიყო საკრანსპორტო გემები, ევაკუირება უნდა მოეხდინათ ტყმანის ნახევარკუნძულზე.

17 მაისს 8 საათზე მოვიდა ბარჟა, რომელზედაც უდიდესი სიფრთხილის დაცვით მოვათავსეთ 200-მდე მძიმე დაჭრილი და ეკიპ მეგრელიშვილის ხელმძღვანელობით გავგზავნეთ ანაპაში. გამცილებლად გვიყოფილი მ. პაროვი და ფ. გავაშელაშვილი. ჩვენდა იღბლად მტერს ეს არც შეუმჩნევია.

იმავე დღეს გარიჟრაჟზე მოვიდა დიდი მოცულობის გემი. ეს უკვე შეამჩნიეს ფაშისტებმა და უკველა სახის იარაღიდან გრიგალისებური ცეცხლი დაგვიშინეს, მიუხედავად ამისა, დაჭრილები სწრაფად მოვათავსეთ გემზე. მტრის არტილერიის ჯურვებით გემი გახვრეტილი იქნა 24 ადგილას, დაიჭრა კაპიტანი, მაგრამ მან არ დატოვა თავისი საბრძოლო პოსტი, მას ალმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

კაპიტანმა უბრძანა მეზღვაურებს, დაუყოვნებლივ ეშოვებედათ გემის დაზიანებული ადგილები. ამავე დროს რადიოთი გამოძახება მაშველი კატერი. მტერი გამარჯვების ზეიმობდა, მაგრამ ამაოდ. მეზღვაურებმა დაზიანებული ადგილები ამოკლეს, კატერმა ბუქსირით გაიყვანა გემი ზღვაში და გემმა სვლა დაიწყო. მტერმა თვითმფრინავები დაგვადევნა, რომელიც განუწყვეტელი ილტვოდნენ გვეხმოდნენ თავს და გვბომბავდნენ, მაგრამ მალე გემი ტაშანის ხანაპირას მიადგა. 17 მაისს ხალაშის ჰოსპიტალის პირადი შემადგენლობა და დაკრილი მეომრები ტაშანის ნახევარკუნძულზე დაბინავდნენ. ამ მეტად მძიმე საბრძოლო გარემოებაში ჰოსპიტალის მთელი კოლექტივი მოქმედებდა მამაცურად. 1942 წ. 18 მაისს ჩვენთან მოვიდა 44-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრი, ბრიგადის კომისარი ტკაჩენკო. მისი ბრძანებით ჰოსპიტალის მთელი შემადგენლობა მწყობრში ჩაგვა. კოლექტივის წინაშე ტკაჩენკომ წარმოთქვა ვრცელი სიტყვა. მან მეტად მალალი შეფასება მისცა ჰოსპიტალის მთელი შემადგენლობის გმირულ შემართებას და 44-ე არმიის სამხედრო საბჭოს სახელით ჰოსპიტალის პირად შემადგენლობას მადლობა გამოუცხადა და ალუქვა, რომ ღირსეულნი დაჯილდოებულნი იქნებოდნენ ორდენებითა და მედლებით.

1943 წლის 15 აგვისტოს ჩვენი ჰოსპიტალი 46 არმიის შემადგენლობაში შევიდა. ამ ხანგრძლივან არმიასთან ერთად ჰოსპიტალის კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო კავკასიის ქედზე წარმოებულ ბრძოლებში.

ამავე პერიოდში სოფ. ბეჩოს უღელტეხილის გადასასვლელზე ჯაიზენკოსების ჯგუფი, რომ იქ შემხვედა ჯუნკერი გაეხსნათ. ეს ჯგუფი უფრ. ლეიტენანტის, ბ. ჩერნიშოვის ხელმძღვანელობით მუშაობდა. ჯგუფში შედიოდა მედიცინის და ლიხენკო და ორი სანიტარი. ისინი მეტად მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში მუშაობდნენ და კარგ მომსახურებას უწევდნენ 242-ე სამთო დივიზიას, რომელიც გამხეცებულ მტერს მთებში ებრძოდა. ჯგუფის წევრებმა ათასამდე დაჭრილ და მოყინულ მეომარს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. დივიზიის სარდლობამ აღნიშნულ ჯგუფს კარგი მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადა.

1942 წლის სექტემბერში ჰოსპიტალი ქ. სოხუმიდან ქ. ზუგდიდში გადავიდა და იქ დაბანაკდა. ამ პერიოდში ჰოსპიტალის უფროსად დაინიშნა მეორე რანგის სამხედრო ექიმი დ. ი. არკოევი, ხოლო წამყვან ქირურგად კი მესამე რანგის სამხედრო ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. კ. კვერენჩხილაძე.

1942 წლის სექტემბრიდან 1942 წლის დეკემბრამდე, ჰოსპიტალმა მიიღო 900 დაჭრილი მეომარი და 500 კაცი სრულიად განთავისუფლებული გაგზავნა თავიანთ ნაწილებში.

1943 წლის იანვარში ჰოსპიტალი ქ. სოჭში გადავიდა. მოკლე დროში სამკურნალოდ მიღებული იქნა 1200 კაცი, აქედან 800 მებრძოლი გაიგზავნა ნაწილებში, ხოლო 900 კი ევაკუირებულ იქნა ზურგის ჰოსპიტალებში.

1943 წლის მარტიდან, ჰოსპიტალის ერთი ნაწილი, ჰოსპიტალის უფროსის მგ. არკოვის მეთაურობით, მუშაობდა ქ. კრასნოდარში, იქვე მუშაობდა წამყვანი ქირურგი ვ. კ. კვერენჩხილაძე.

1943 წლის 12 აპრილს ჰოსპიტალის სრული შემადგენლობა და გამოჯანსაღებული მეომრების ეშელონი რკინიგზის სადგურ ტიხორეცკაიას უახლოვდებოდა. ამ დროს მტრის თვითმფრინავებმა სადგური დაბომბეს. თბომავალი სავსებით დაიმსხვრა, დაზიანდა რამდენიმე ორწყალი და 4 კაცი, აქედან 4 მედიცინის მუშაკი და 4 დაჭრილი მეომარი. ამ მძიმე კრიტიკულ მომენტში თავი ისახელა 46-ე არმიის მთავარმა ქირურგმა, მედიცინის სამსახურის მაიორმა გ. ინსარიძემ. ამჟამად პროფესორმა, მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებულმა მოღვაწემ, ჰოსპიტალის წამყვანმა ქირურგმა სამედიცინო სამსახურის კაპიტანმა ვ. კვერენჩხილაძემ, ამჟამად პროფესორმა, მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებულმა მოღვაწემ, მედიცინის სამსახურის მაიორმა ვ. შილინმა, და მედიცინის დებმა.

1943 წლის აგვისტოში ერთ-ერთი ოპერაციის დროს ჰოსპიტალი დისლოცირებული იქნა ომელჩენკოროში ქ. ხარკოვის მახლობლად, ტ. შევჩენკოს სახელობის სანატორიუმში. ჰოსპიტალი ათასი კაცის მავრიად სამიათას კაცს ემსახურებოდა. აქედან ბევრი იყო მძიმედ დაჭრილი, ასეთი მეომრებით ჰოსპიტალის გადატვირთვამ მედიკოსების დაძაბული თავდადებული შრომა მოითხოვა.

ჰოსპიტალის უფროსის, მედიცინის სამსახურის პოლკოვნიკ დ. არკოვის ინიციატივით შეიქმნა მე-4 ქირურგიული განყოფილება. სამხედრო ექიმ ა. გოლუბევის და პოლიტწაწილში მისი მოადგილის, ვასილევსკის მეთაურობით. დიდი ენერგიითა და თავდადებით შრომობდა კომუნისტი, წამყვანი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მედიცინის სამსახურის მაიორი — ვ. კვერენჩხილაძე. მან თვითონ გაავლო ხის მასალისაგან სპოპერაციო მაგიდა და ახეთ მაგიდაზე დამატებით 4 ქირურგი მუშაობდა.

ვლადიმერ კიკალიშვილი
ჰოსპიტლის სასახელო საზრძოლო გზა

1942 წლის დეკემბერში ჰოსპიტლის მუშაობა, უველა სფეროში, შეამოწმა უკრაინის მესამე ფრონტის კომისიამ. უკრაინის მესამე ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა მ. რუდაკოვმა და 46-ე არმიის პოლიტგანყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა მარკოვმა პირადად შეამოწმეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, შეაჯამეს მუშაობის შედეგები და მაღალი შეფასება მისცეს.

სამამულო ომის პერიოდში, ჩვენს ჰოსპიტალში მიღებული იქნა 47 ათასი დაჭრილი და ავადმყოფი მეომარი, აქედან მწყობრში ჩადგა 75 პროცენტი.

1945 წ. 9 მაისს ჰოსპიტალის პირადი შემადგენლობა, დაჭრილი და ავადმყოფი მეომრები ავსტრიაში ქ. ვენის მახლობლად ეროვნული ბიბლიოთეკა შეხვდნენ.

ჩვენს სიხარულსა და აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. იღვრებოდა მოზღვავებული სიხარულის ცრემლები, მარად დაუვიწყარია და სამაყოა ჩვენთვის ეს დღე.

ამჟამად ჩვენი ყოფილი ჰოსპიტალი ახალი ნომრით განაგრძობს ნაყოფიერ შრომას ოჯეხის სამხედრო ოლქში. ჰოსპიტალის ბევრი მუშაკი დემობილიზებულ იქნა და ისინი წარმატებით მუშაობენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებში, აქტიურ მოსწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში...

ხელოვნება

სამსონ ლეჟავა

ზ. შარაბ ნიშარაძე

ზ. შარაბ ნიშარაძის პერსონალურმა გამოფენამ თბილისელი მაყურებლის ხაოვანებათა ინტერესი გამოიწვია, იგი მოიზიდა მხატვრის პროფესიონალიზმით და მისი სამყაროს მრავალფეროვნებით.

ჩვენი მიზანია ამჯერად არა გამოფენის მაგალითზე მხატვრის ევოლუციის წარმოჩენა, არამედ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების მოკლე განხილვის საფუძველზე, უფრო მისგან მიღებული შთაბეჭდილების გაზიარება.

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ყოველი, თუნდაც მოულოდნელი გადაწყვეტით გამორჩეული, ნაწარმოები ამდღვანებდა სტაბილურ, პიროვნებისეულ ხედვასა და მსოფლმხედველობასაც, ნამუშევართა ბილვა დაგარწმუნებდათ მხატვრის ინტელექტის სიმახვილესა და დიდ შინაგან კულტურაში. მათში თავშეკავებულ ემოციურობას, ზომიერებას თან ახლავს კვრტა, რომელიც გულისხმობს დისტანციასა და დინჯ შეხებას. (ეს განსაკუთრებით ზ. ნიკარაძისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ეთნურ — პორტრეტს ეხება).

ზ. ნიკარაძე სავსებით ჩამოყალიბებული ოსტატია, მაგრამ როგორც ცოცხალი მხატვარი, იგი მუდმივი განაზღების ბიძლით გამოირჩევა.

მხატვრის მდიდარი ფანტაზია და ხშირად უხვი ფერადოვნება ეფუძნება მკაცრ, მოწესრიგებულ, „კლასიკურ“ ფორმას. ეს ნათელია მხატვრის პორტრეტებში, რომლებშიც კლასიკური ნახატის მტკიცე საფუძველზე ზოგჯერ თავისუფალი იმპროვიზაცია იქმნება.

ამგვარია მაგ. ნ. გორდელაძის პორტრეტი. მასში დამჯერებლად აგებული სულტატრული თავის ამომწურავი დამუშავება ეფარდება მკვეთრ მატვრულ აქცენტებს, მძლავრ დეფორმაციას ზოგან კი გათავისუფლებულ ხელწერასაც, „ჭოხტური“ მონახაზებისა და უხუცესი შტრიხების სახით. სახის პლასტიკურობა კონტურთა ხაზგასმითაა გაძლიერებული (1982).

ამგვარ პორტრეტებში და ზოგიერთ ნახატშიც ჩანს გარკვეული პრინციპი — კერძოდ, მოდელი გააზრებულია, როგორც შესაძლებლობა საინტერესო პლასტიკური ფორმების მისაგნებად. იგი ერთგვარი საბაბია ფორმის ქანდაკებრივი ძერწვისა ქაღალდზე — მხატვარს აინტერესებს არა კონტურული განათება და ბუნებრივი ფერიდან მომდინარე სიმუქის ნატურალისტური ვარიირება, არამედ ფორმის სტრუქტურიდან გამომდინარე პლასტიკის არსობრივი დახასიათება. ამგვარ სურათებში პერსონაჟის სულიერი სამყაროს დახასიათება მეორადი ამოცანაა.

ზ. ნიკარაძის სხვა პორტრეტებში ფორმის სიდიდეს ერთვის მეტი სართული. მათში ჩანს არა მხოლოდ პლასტიკური ნიშანთა ბაზგასმა, არამედ უფრო მომცველი ხედვა — ბრაც ხარცელდება პიროვნების ღრმა წვდომა იმგვარად რომ მისი თვისებები ჩვენთვის ერთგვარ ამოცანას წარმოადგენს. ამის ხაუკეთესო მაგალითია „ზ. ბაჭაძის პორტრეტი,“ რომელიც გამოირჩევა განწყობილების სიღრმის დამჯერებელი გამხატვით. იმატერიალური ცისფერი ტონის აქტიურობა, პასტელის ბავერდოვანი, რბილი ფაქტურა კარგად უთავსდება ამ ნაწარმოების სულიერებას (1955).

მხატვრის ულიერეს პორტრეტთა რიცხვს ეკუთვნის მისი ქალიშვილის, ნ. ნიკარაძის პორტრეტი. მასში დამუშავების სისრულეს

ცვლის თავისებური გრაფიკული ა-ლა-პრიმა. სურათში ზანტად, ამომწურავად და ზუსტადაა დახასიათებული პერსონაჟი, მის სახეზე ყურადღებას ამცირებს იმ ნაკვთის მძლავრი ხაზგასმა, რომელიც მაქსიმალურად მეტყველებენ პიროვნების ხასიათზე: ესაა პირველივე შეხვედრით შეხრწნილი ბაგეები და ნესტოების უზუსტესი მონახაზი, რომელიც პერსონაჟის შინაგანი ძალის ამომწურავ დახასიათებას იძლევა (1981).

ფერწერის სირთულით გამორჩეულ ლ. ბაბაკოვას პორტრეტში ავტორი პიროვნების თვისობრიობას გამოკვეთს კონტრასტული ფერწერის პრინციპებზე დაფუძნებული ფერადოვნების გამძაფრებით. მგრძნობიარე, არტისტული ადამიანის დახასიათებას, რომელიც თითქო ყოველი წერით აღიქვამს სამყაროს, კარგად ეფარგება ფერადოვნების სიჯარბე და შინაგანი ენერგია.

ორიგინალური გააზრებით გამოირჩევა ლ. გაბუნიას პორტრეტი, რომელშიც განზოგადებისადმი სწრაფვა ფორმის ერთგვარი აბსტრაგირების გზით ხორციელდება.

კომპოზიცია დასრულებულია, მოძებნილი, მაგრამ მხატვარს ალბათ უნებლიე მიგნება — თვალის სითეთრის აჭცეწტირება მას, თავისებურ, „გაბუენებულ" განწყობას ანიჭებს (1967).

ფერწერის თავისთავადი ამოცანების დაკავშირება თითქმის სკულპტურულ პლასტიკურობასთან ახასიათებს მ. კორძაიას პორტრეტს. ავტორს სურს ფორმათა სპეციფიკურობის გამახვილებით პირველების თვისობრიობის წარმოჩენა. სურათში ფორმის სტრუქტურული საფუძველია ფერის მოდულირებით ნაძერწი, ხელშესახებად ნატიფი სახე, რომელსაც თითო ზემოდან ეფინება ხელოვნური განათება. საკურთხე ფონი ნივთიერია, რაც რელიეფის პრინციპს უახლოვებს სურათს.

პროფილში გამოსახული პერსონაჟის სახეზე აჭცეწტირებულია ყოველი ნაკვთი. მოხქო, თითქო სავსე ბაგეები და თვით თვალის ფორმაც კი უფრო ნაძერწია, ვიდრე ფერით გამოყოფილი. პორტრეტი პლასტიკურობის ძალით მონუმენტურობის შთაბეჭდილებას სტოვებს.

გამოფენაზე მოწონების იმსაზრებდა უკანასკნელ ხანს შესრულებული ორი პორტრეტი (ნ. მანთელაძისა და ა. ნიგარაძისა), რომლებიც გამოირჩევიან თავშეკავებულობითა და ფერადოვნების ზომიერებით. თვით მხატვრის აზრით, ფერის უკიდურესი სიმძაფრე, მასალის შესაძლებლობის მაჭიმაღლური ამეტყველება სურათს გარკვეულად მეტ ღირსებას ანიჭებს (ამის მაგალითია ზემოთ მოხსენებული „ლ. ბაბკოვას პორტრეტი"). მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნ. მანთელაძის პორტრეტი, რომელშიც ფერადოვნების დაძაბულობას ცვლის მისი, მშვიდი და ჰარმონიული შეფერადებანი, შესაძლოა, მხატვრული თვალსაზრისით უფრო სანდო აღმოჩნდეს.

სურათში გამოსახული ბავშვი მისთვის უჩვეულო პოზის გამო ოდნავ დაძაბულია. კომპოზიციაში ხაზგასმულია მისი ხახე, რომელიც მცირე მონახვრებით ნაჭხუ ერთიან, გლუვ ზედაპირს ქმნის, ნაკვთები კი ოდნავი მინიშნებით, ფუნჯის მსუბუქი მოსმით სრულდება. სურათში თვალები მკაფიოდ, ოდნავ მკვეთრადაც კია გამოყოფილი, რადგან ბავშვის არსებაზე ისინია უმთავრესი. მომხიბლავია მდიდარი კოლორიტითა და ცოცხალი ფაქტურით თავისუფლად ნაწერი სამოსელი. ზ. ნიგარაძე სრულყოფილად გადმოგვცემს ბავშვის მოკრძალებულ, ოდნავ შეცბუნებულ მზერას. სურათში ჩანს მხატვრის დიდი სიმპატია მისდამი (1981).

გარკვეულად ემსგავსება ზემოაღნიშნულს მხატვრის ჭალიშვილის, ა. ნიგარაძის პორტრეტი, რომლის ფერწერული ქსოვილი უფრო ძუნწია და მკრჩალი წინარე პორტრეტის ნათელ, ზომიერად მკელი კოლორიტთან შედარებით. მასში სისადავე ეროვნის შინაგან სიმდიდრეს. გოგონა გამოსახულია სადა, ღია ომიწვანო ფონზე, რომლის ტონი ოდნავაა შეპარული მოყვრცხლისფერ სამოსელში. სკამის პირობით ლაჟაზე გამოყოფა მისი ლაკონურად ნაწერი, ჩაფიქრებული სახე. რბილ მოკრისფერ-მოყავრისფერ ტონებზე ოდნავ იკითხება ღია ყავისფერი კონტურებით გამოყოფილი ნაკვთები. პერსონაჟი ახალ შეუფრებელი ინტელექტური დატვირთულობით. განწყობილების სისავსითა და პიროვნულობითაა გამორჩეული. სურათში ჩანს ფაქიზი, მოკრძალებული დამოკიდებულება პერსონაჟისადმი. (1981).

ამას გარდა, ბევრი სხვა საყურადღებო პორტრეტი ვიხილეთ გამოფენაზე, მაგრამ ზემოაღნიშნულიც ადასტურებს, რომ ზ. ნიგარაძემ ამ ურთულეს ჟანრში თავისი შესაძლებლობანი დამაჯერებლად გამოხატა. ზნირად ძუნწი, მაგრამ არხობრივი დახასიათებით აღწევს მხატვარი დამაჯერებლობას. ზ. ნიგარაძისათვის პორტრეტებში უმთავრესად უცხია უურადღება კონკრეტული გარემოსადმი. მათში ფონი თითქმის ყოველთვის განყენებული პირობითი სივრცეა, რითაც ამ პორტრეტისათვის დამახასიათებელი განზოგადების ტენდენცია ძლიერდება.

როცა ზ. ნიგარაძის პორტრეტებზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამოფენაზე ძლიერ შთაბეჭდილებას იმითაც ახდენდა, რომ თითქმის ყოველი ჟანრი თანაბარი დამაჯერებლობით წარმოაჩენდა მხატვრის პოტენციას. ამ მხრივ ინტერესს აღძრავდა ოდ-

ნავ უჩვეულო სურათებიც. რომელთაგან ერთერთის ქვემოთ შევეხებით.

სურათში „ბავშვი ცხენზე" ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. იგი არ წარმოადგენს მხოლოდ ექსპერიმენტს, რომელშიც გარკვეული კონკრეტული ამოცანა შეგხვედროდა დასმული, არამედ უფრო შედეგია მძლავრი ემოციური მუხტისაგან განცდორთვისა, ეს ნაწარმოები ბავშვთა ნამუშევრების ხილვით მიხდენილმა დიდმა შთაბეჭდილებამ თითქო უნებლიედ წარმოშვა. სურათი ძალზე ცოცხლად და ნაწერი. მასში მეტყველია ყველაფერი — დაწყებული თითქო თავისთავად დაწერილი, შეთამაშებული მონახაზით და დამთავრებული ცხენის სათამაშოსებრი და ამასთანავე ძალზე სახასიათო ფიგურით, რომელშიც განსაკუთრებულ ყორადღებას ამ ცხენის ცოცხალი გამომეტყველება იქცევს. ტილო გამოირჩევა სიხალასით. იგი ჭეშმარიტი თავისუფლებით სუნთქავს.

მდიდარი ფანტაზია და ყოველთვის რაიმე ახლებურისაკენ სწრაფვა ბევრ სხვა სურათშიც ჩანს. ამასთან ზ. ნიკარაძისეული ფანტასმაგორიები ყოველთვის ხალისიანია, მოკლებულია მისტიკურობას. მათში უფრო თეატრისებერი ხილვა, ჭაობსური ზღაპრისეული რიტმი, ზეიმის, კარნავალის განცდაა გამხატული. თუმცა ამგვარი ერთმნიშვნელიანობა მათ არ ახასიათებს ზოგ მათგანში სალაღობო მხარე ერწყმის ნამდვილ სულიერებას.

ამგვარ ნაწარმოებთა ფეერიერკისებრ მრავალფეროვნებაში განსაკუთრებით გამოიყოფა ცნობილი „ჩიტების გაფრენელი". მძინარე მოხუცის გარდა, სურათში ყველაფერი მოძრაობს, ყოველი სავანი გაცოცხლებულია — საათიც, თვით გალიებიც, რომლებიც თითქო ამ საათის ქანქარასავით ერხეულან. ზემოალნიშნულს ხაზს უსვამს უჩვეულო ხედვის წერტილი და პირობითობის გამამლიერებელი მონახმთა მოძრავი ზედაპირი. სურათში იატაკიც კი რაღაც უცნაურ სივრცედ გარდაისახება. ყველაფერში სიზმრისეული არამდგრადობაა — ეს ესაა უნდა დაინახოს თითქო ეს ჭაობსური მინდვრად დანაწული სამყარო. კალეიდოსკოპისებური ფერადოვნება საუკეთესოდ აგვირგვინებს მხატვრის ამ „ხილვას" — თუმცა ფერის სიუხვე არ ჩანს და სურათში ჭეშმარიტი კეთილშობილება სუფევს. (1968).

უფრო მასშტაბურია, თვით მონუმენტურიც მხატვრის ესკიზი თბილისის ოპერის თეატრის ფარდისათვის, რომელიც არხეინთად დასრულებული კომპოზიციაა. მასში გამოსახულია პირობით სივრცეში მჭრელად ფანტასტიკური, მითოლოგიის პერსონაჟებთან ასოციაციის აღმძვრელი ფიგურები. ნაწარმოებში თითქოს შემთხვევითი, ვარსკვლავისებრი დეკორაციულობა აქცენტებია მიმობნეული, რომლებიც სურათს ჩიტმულლობასა და დინამიკურობას ანიჭებენ. ზოგჯერ მონახმებიც კი თვით ფიგურათა მსგავსად, თითქოს დაჭრილან ფეერიული ქსოვილის მდიდარ ზედაპირზე (1969).

ზ. ნიკარაძის განწყობილებან, ასოციაციათა წარმოშობის შორის, რომლებშიც ჩანს ფაქიზი სულის პიროვნება, ყურადღებას იპყრობენ სურათი „ხიდნი". ეს თითქოს შემთხვევითი ფრაგმენტი. ერთი შეხედვით უცნობა და შორეულში მხატვარმა დაინახა ამაელეფებელი, მახსოვრები. ცარიელი ჭიქის, მისი სარკეკეთბისა და აივნების ინტიმური მდუმარება მარილაც ახლოხელია ძველი თბილისის ჭუჩაბანდებისა და შუკების მოყვარული მხატვრისათვის. ამ სურათში მომხიბლავია სახლის ფრაგმენტიც, ოდნავ „დანგრეული", რიტმულად შეთამაშებული კარ-ხარკმლებიც, კაკრიდან ლამის გასული ფიგურაც და კედლის ბნელი ღია ფანჯარი, შინაგანად განცდილი ფაქტურაც (1962).

ზ. ნიკარაძის ბევრ სურათში კარგად ჩანს მხატვრის დაზვეწილი იუმორი. ამგვარი სურათებიდან საუკეთესოთაგანია „მაიმუნი ბუშტებთ" იგი თითქმის მთლიანად მიიცავს კომპოზიციას და თითქო დაწნულის ფერადოვანი ქსოვილისგან, რომლის სხვადასხვა ელფერი მთლიანებას მკრთალი, ოდნავი სადომესებრი ფაქტურით. სურათში გამოიყოფა სახის მფეთრი, ინტენსიური ტონი. სახე ხასიათის გამოსაკვეთად კქვირადაა წაგრძელებული და გროტესკული სიმახვილით „პორტრეტულობასაც" კი იძენს. (1963). როგორც ამ, ისე სხვა სურათებში, სადაც იუმორის ელემენტი არსებითია, ფერწერის ამოცანები უკანა პლანზე არასოდეს იწევს, არასოდეს უთმობს პიუედეტს.

გამოფენაზე წარმოდგენილ ზოგ სურათში ჩანს პლასტიკურ სახეებში ხორცშესხმული ოდნავ იდილიური განწყობილება — ასეთია ბავშვთათვის „პირველი დღე", რომლის ყოველ შტრიხსა თუ კონტურში მსუბუქი ლირიზმის. შესატყვისი ნახატის სიმსუბუქე ჩანს. რომელიც ზოგან სანგინის ოდნავი შეხებით იბადება ქაღალდზე (1980).

ბევრი ნაწარმოები სხვა, უფრო რთულ სურათებთან შედარებისას ერთგვარ ლირიკულ პაუზებადაც აღიქმება.

ნატურმორტებიდან გამოფენაზე ცოტა იყო წარმოდგენილი, მაგრამ საუკეთესო ნიმუშთა სახით. სურათში „ნატურმორტი ბოთლებით" ნაგანგები ყურადღება ექცევა ნაგნების კონკრეტულ ფაქტურას, მაგრამ შენარჩუნებულია ფერწერის პირობითობაც. კომპოზიცია რიტმუ-

სამსონ ლეჟავა
ზურაბ ნიქარაძე

ლია. მისი ვერტიკალური აღნაგობა გამძაფრებულია ზემოდან ბედვის წერტილის დინამიკურობით და ბოლოების წაგრძელებულ პროპორციათა ბაზგასით. სტატიკურ საგნებს ენიჭება თავისებური ერთიანი მოძრაობა. საგანგებო განლაგებამ მათ თითქო სხვაგვარი სიცოცხლე შესძინა. ხაროათის ადგება მახვილგონივრულია — წონასწორობაშია მოყვანილი ხანგრძლივი კომპაქტური ჯგუფები და თავისუფალი ბეროვანი სივრცე. თვით ბოთლებში მატერიალური შეხებადობა სრულად ვლინდება, მაგრამ მათში ფორმის მკაფიოებას პირობითი ფერწერული ჩრდილის ატმოსფერობა ცვლის. (1962).

ზემოაღნიშნულ ნაწარმოებთა გარდა კიდევ მრავალი სურათი იპყრობდა გამოფენის სტუმართა ყურადღებას, მაგრამ მათ შორის ხაუკეთესოთა აღნიშვნას ერთი გვერდი მაინც დასჭირდება.

გამოფენის ბილვამ ყველა დააოცნება, რომ ისინი გაეცანენ ჭეშმარიტი პროფესიული ოსტატობით აღბეჭდილ ხელოვნებას, საინტერესო მოაზროვნე მხატვარს, რომლისთვისაც არაა უცხო იმპროვიზაცია, „თამაში“ საკუთარი პერსონაჟებით. ასევე, ნიშანდობლივია დაინტერესება კოლორიტის გამდიდრების უსასრულო შესაძლებლობით და მაინც უმთავრესია მკაცრ დისციპლინაზე დაფუძნებული სკოლა კლასიკური ფორმისა. მხატვრისათვის წარმმართველია პორტრეტის ჟანრი, რომელშიც მას, როგორც მართლაც შესანიშნავ ოსტატს — ძალუძს სულიერი მდგომარეობის თვით პერსონაჟთათვისაც კი „იდუმალი“ ხიერმის წვდომა და გამოხატვა.

გულდინჯად, თითქო სტაბილური ხელით შესრულებული და მკაცრად გააზრებულ ბაგ სურათში ჩანს უფრო კონკრეტული. პოზაციის განმსაზღვრელი როლი, მეტი ემოციურობა და რომანტიკულობით აღბეჭდილ ნ. ციციშვილის შემოაქვს სიხალასისა და თავისუფლების ნაკადი. თვით „კლასიკურ“ ნახატებშიც კი მკაფიოა სწორედ თანამედროვე მხატვრის ხელი, რომელისთვისაც მარადიულსა და წარუვალთან ერთად, როდია უცხო ჩვენი საუკუნის ტემპის, რიტმისა და ერთგვარი სწრაფმავლობის თავისებური ხიბლი. ფერწერის გარდა, ნახატებშიც მხატვრის პრინციპები თვალნათლივ ჩანს და არც თუ იშვიათად, ისინი დასმულ პრობლემათა სიღრმით გვერდში უდგებიან კიდეც ფერწერის ნიმუშებს.

გამოფენის ძნახველი დაგვეთანხმება, რომ იგი წარმოადგენდა მოვლენას ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში.

ზ. ნიკოლაძის, როგორც პაროვნების მომხიბლავობა გამოუყოფელია მისი მხატვრული სამყაროს მშვენიერებისაგან. უერომანთოდ ისინი არ არსებობენ. კეთილშობილი, დახვეწილი ინტელიგენტი მხატვარი ქმნის ახვედ კეთილშობილ, სულიერებით აღბეჭდილ სამყაროს. ესაა მისი თვითგამოხატვა — შემოქმედი ინდივიდუალობის ნაწილი, რომელიც ჩვენ ვხედავთ ნახატებში.

ხაბოლოოდ, ქართული ხელოვნების თაყვანისმცემელია სახელით, ვუსურვოთ მხატვარს, რომ კვლავ დაუღალავად და ნაყოფიერად იღვაწოს, რათა ადამიანებს ბედნიერება მიანიჭოს.

ქეთევან კინწურაშვილი

გოგი მესხიშვილის მხატვრული სამყარო

გიორგი ალექსი-მესხიშვილის ნაწარმოებების გამოფენამ, რომელიც მხატვრის ავხლში მოეწყო, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თანამედროვე ქართველ სცენოგრაფთა შორის მან ერთ-ერთმა პირველმა წარმოადგინა ახე ფართოდ თავისი ხელოვნება და მნახველთა წინაშე წარდგა უკვე არა მხოლოდ როგორც თეატრის მხატვარი, არამედ მრავალი დაზგური ნიმუშის ავტორი. ამასთან ,არათეატრალური ნამუშევრებიც საგრძნობია თეატრის თანაარსებობა, მეღვნდება ავტორის თეატრალური აზროვნება.

გოგი მესხიშვილმა „მხატვრის სახლში" რეტროსპექტული პერსონალური გამოფენა კი არ წარმოგვიდგინა, არამედ ის, რასაც იგი დღესდღეობით საკუთარი მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსის გამოხატულებად თვლის. ნამუშევრების დიდი ნაწილი სახელოსნოში, გალერეის, თეატრების, მუზეუმების ფონდებში, კერძო კოლექციებში დარჩა.

ადრეული ნამუშევრებიდან მხატვარმა გამოფენაზე მხოლოდ რამდენიმე პორტრეტი და ნატურმორტი გამოტანა. სინამდვილეში კი თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში (აპ. ქუთათელაძის სახელოსნო, 1960-67), პროფესიული დაოსტატების ხანაში შექმნილი ნამუშევრების რიცხვი გაცილებით დიდია. ინდივიდუალური ხელწერა ჯერ არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ ეს ნამუშევრები მხატვრის შრომისმოყვარეობას, ნატურისადმი დაკვირვებულ დამოკიდებულებას ავლენს. ზოგი მათგანი (მაგალითად, რამდენიმე „ნიუ") აკადემიური სიზუსტით შესრულებული სტუდენტური სავარჯიშოა და გასაკვირი არ არის, რომ ავტორმა საჭიროდ არ ჩათვალა მათი გამოფენა. ზოგიერთი პორტრეტი, პეიზაჟი (მაგალითად, სვანეთის) და ნატურმორტი კოლორიტის სიმკვრივით, ზეთის საღებავების ოსტატური ფლობით, კონკრეტული თემის განზოგადებული გააზრებით ხასიათდება და შემდგომი ფერწერული ძიებების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ზოგან, ძირითადად გრაფიკულ პორტრეტებში უკვე უფრო ნათლად ყალიბდება მხატვრის ხელწერა. დეკორატიულად მეტყველი ხაზის მოძრაობა, რომელიც მსუბუქად შემოწერს ფორმებს, შუქ-ჩრდილის მიმნიშნებელი ორიოდე ზტრიხი ან სიბრტყობრივად, ტონალური გრადაციის ოდნავი მინიშნებით დადებული ხაღებავი ავლენს სწრაფას ფორმათა გამარტივებისაკენ, პირობითობისაკენ. მხატვრის თვალი (პორტრეტული თავები კი პორტრეტისტის თვალებით გვიცქერიან) — მშვიდი თუ დაძაბული — მუდამ ფიქრიანი, ხსნის გოგი მესხიშვილის ნამუშევრებისთვის სახასიათო თვისებას — ლირიკულ, ზოგჯერ პოეტურ განწყობას („ბიჭი ლურჯ ხაწოლზე", „ხვანი ბიჭი", „მზის პორტრეტი", „მწუემსი" და სხვ.).

ფერწერული ტილოში — „წითელი თევზი" უფრო აშკარად ვლინდება პერსპექტივის კანონების გამოჩნეული რღვევის, ანსტრაჟტული აზროვნების ნიშნები. ამიტომაც გამოიწვია მან თავის დროზე (ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენა, 1966-67) დავა და ალბათ ამიტომ ხსნის მხატვარი თავისი ნამუშევრების ექსპონირებას სწორედ ამ სურათით.

პირობით-დეკორატიული ხასიათისაა „ლურჯი ნატურმორტი" და ამ პერიოდის სხვა ნამუშევრები, სადაც მხატვარს ფერადოვანი სიმრტყეების და კონტურული ხაზის მკვეთრი, დეკორატიული დაპირისპირება უფრო აინტერესებს, ვიდრე ფორმათა მოცულობაში გამოკვეთა.

თანდათანობით ჩნდება უამრავი ფერწერული ნიმუში, დეკორატიული მოტივი, პირობითი ფიგურები, ნაწილობრივ უსაგნო, ანსტრაჟტული ნამუშევრები, სადაც ხშირად ვხვდებით ცირკს, თეატრს — ნიღბები, აკრობატები, ბალერინები, არლეკინი... აქ კიდევ უფრო ნათ-

ლად ჩანს მხატვრის ბუნებრივი „თეატრალური“ ნიჭი — დეკორატიული ხედროვნება. ეს ფერადოვან გადაწყვეტაში, ოქროსფერის და ვერცხლისფერის უხვად გამოყენებაშიც ვლინდება.

თავისუფალი მონახმები, ხაღებავების სიმსუქე, ფერადოვანი გამომსახველობის ხერხები აქციური ძიება გვიჩვენებს მხატვრის ნამუშევრების კიდევ ერთ უყველაზე არსებით თვისებას — ფერწერულობას.

ხოლო შერეული ტექნიკით დაინტერესება. ზოგიერთი ნამუშევარში განსხვავებული ფაქტურის, განსხვავებული მხატვრულ-შინაარსობრივი საწყისის მოტივების თანაარსებობა („ბადე“, „ნატვრის ხე“, „ღამე“), ტილოს ან ქაღალდის ხიბრტყეზე დატანებული მოცულობითი ფრაგმენტებით სიბრტყობრივი კომპოზიციის ხვედრცვნი გამოკანონ ცდა ავალენს მიღრეკილებას კოლაჟისაკენ, რომელიც შემდგომში ავტორის მხატვრული „ენის“ ჯირითად გამოსახველ საშუალებად იქცევა.

70-ანან წლების დასაწყისისათვის გოგი მესხიშვილის ნამუშევრებისთვის სახასიათო უყველა მინიშნებული თვისება უკვე თვალსაჩინოა და შემდგომ განვითარებას ჰპოვებს.

განსკვირი არ არის, რომ აღნიშნული შემოქმედებითი მონაცემების მხატვარს სტუდენტობის პერიოდშივე იწვევენ თეატრში, ისიც ნიშანდობლივია, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში მხატვარი წყნის გრაფიკაზე მუშაობს (1963-68), მაგრამ ამ დარგში, როგორც ჩანს, შემოქმედებით დაკმაყოფილებას ვერ ჰპოვებს და რამდენიმე სახავშვო წიგნის გაფორმებით იფარგლება. ხოლო თეატრს მან მთელი თავისი შემდგომი მოღვაწეობა დაუკავშირა.

წარმატება და ფართო აღიარებაც როგორც თეატრის მხატვარმა მოიპოვა — დღეს უკვე 50-ზე მეტი დრამატული, მუსიკალური, სახავშვო სპექტაკლის დეკორაციული გადაწყვეტის ავტორმა, თანამედროვე ქართველ სცენოგრაფთა ნამუშევრების გამოფენების მუდმივმა მონაწილემ (თბილისში და რუსთაველის ფარგლებს გარეთ). სპექტაკლები განხორციელებულია თბილისის სხვადასხვა თეატრში, აგრეთვე ოდესაში, ომსკში, ახალციხეში, ტაშკენტში. დიუსელდორფში დაახლოებით 15 სხვადასხვა რეჟისორთან, 13 სხვადასხვა თეატრულ კოლექტივში. 15 წლის მანძილზე სცენოგრაფი გოგი მესხიშვილი თეატრის მაყურებელია, გამოფენების დამთვალიერებელთა თვალწინ ულილბდებოდა, ხოლო მისი დაზუსტი ნამუშევრები წლევანდელ პერსონალურ გამოფენამდე ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობი რჩებოდა.

თეატრში პირველი მნიშვნელოვანი წარმატება რეჟისორ მედეა ჯუჯუნაძის დებიუტთან არის დაკავშირებული. 1970 წელს ბ. ჭყონიშვილმა რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე მასთან ერთად განახორციელა ტ. ფილიპასის „შუშის სამხეცე“. მწერლის მიერ პროლოგში მინიშნებული დეტალების გადმოტანა ერთ სცენურ კომპოზიციაზე გაერთიანებასთან ერთად, მხატვარმა შესძლო სცენაზე შეექმნა ჩვეულებრივ ყოფით სიტუაციაში მინიშნებული ჩუმი ნაღველის განწყობილება. ჩამონგრეული კედელი, შემოსასვლელი სახანძრო კიბიდან, ჩოქმედებისათვის საკირო ავეჯი დრამატურგის მიერ აღწერილ ჩვეულებრივ საცხოვრებელს იძლევა. ხოლო განწყობის გამომხატველი ჯამოსახულებები — ცისფერი ვარკლი, იალქნიანი გემი, ცხენების თავები, დეკორაციული ფრაგმენტების ნახატი და ურთიერთგანლაგება ნაწარმოების განსნის თვალსაზრისით უყველაზე არსებითს — ქვეტექსტში ამოკითხულ ატმოსფეროს გვაგონებინებენ.

მხატვარი სპექტაკლის თემაზე ქმნის თეატრალურ მოტივს — კოლაჟს, რომელიც ისევე, როგორც გ. მესხიშვილის სხვა თეატრალური მოტივები, დეკორაციის სიბრტყობრივი ანალოგია კი არ არის (კოლორისტული გადაწყვეტითაც განსხვავდება მისგან), არამედ პიესის განწყობის გამომხატველი ამბტრაქტული ნამუშევარია, სადაც საროს ნატები დამსხვრეული ოცნების სიმბოლოა.

პიესა თავისი ემოციური განწყობით ახლობელია მხატვრისათვის. ამას ისიც მოწმობს, რომ გამოფენისათვის მან სპეციალურად აღადგინა დეკორაციის ჩაკეტი, მაშინ, როდესაც ზოგიერთი ავტორული სპექტაკლის რეალიად არსებული ესკიზები გამოფენაზე არ გამოუტანია. ქვემოთ ჩვენ მაინც გავიხსენებთ მათ.

მართალია, პირველ სცენოგრაფიულ ნამუშევრები — „ავაზა“, რომელიც მარჯანიშვილის სახ. თეატრში ფრ. დიურენმატის მოთხრობის მიხედვით დადგა რეჟისორმა გ. ანთაძემ (1967), ვერ ვხედავთ ისეთ ფერადოვან დახვეწილობას, ფანტაზიის ისეთ გაქანებას, რასაც წლები მოგვან, შესაძლებელია, სივრცე ზედმეტად იყო გადატვირთული დეტალებით, მაგრამ ეს სცენასთან შეგუების საწყისი ეტაპია.

მომდევნო სპექტაკლში შედგა ახალგაზრდა გ. მესხიშვილის შეხვედრა რეჟისორ რობერტ სტურუასთან. ამ შემოქმედებითი თანამეგობრობის მოღვაწეობა შემდგომში არაერთი მკვეთრი, თანამედროვე ქართული სპექტაკლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ნამუშევრით აღინიშნა.

ბრეხტმა დაკავშირა ისინი („ხეიჩუანელი კეთილი ადამიანი“, 1968) და ბრეხტმა მოუტანა უყველაზე დიდი წარმატება („კავკასიური ცარცის წრე“, 1975, სხრა სახელმწიფო პრემია). ერთი მხატვრული კოლექტივის (რ. სტუ-

რუა — გ. მესხიშვილი — გ. უანჩელი — რუსთაველის სახ. თეატრი) ეს ორი ნაწარმოები მხატვრის შემოქმედებაში ორ ეტაპს ასახავს — საწუთის და სიმწიფის პერიოდს.

ბრეტტი თავის პიესებში ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე მსჯელობს და მხატვრისაც სცენაზე პირობით-განზოგადებული გარემოს შექმნას უსახავს მიზნად. რუსთაველელთა „ხერუანელ ქეთილ ადამიანს“ უკანა პლანზე მსხვილ კოჭზე დაკიდებული რუხი, ბაწრებისგან ნაქსოვი ფარდა და სახცენო მოედანზე მდგარი ხის ფიცარნაგი უქმნიდა ფონს. წინა პლანზე ვარდისფერი ფარდა იხურებოდა ხოლმე და მის უკან მომდევნო სურათი იგებოდა. ხეები, ბამბუკის ნაგებობა, თოკზე გადაკიდებული სარეცხი ან სხვა საჭირო რეკვიზიტი (სკამი, გოდორი, ორთვალა) კონკრეტულ ადგილს (თამბაქოს მაღაზია, ჭალაჭის პარკი, ხასამართლო) მიანიშნებდა.

სხვადასხვა დეტალი (ღრუბელი, მთვარე, ჩინური იეროგლიფები, ქართული წარწერები) აზრობრივად ავსებდა სცენას ან ხათაბალო განწყობას ქმნიდა. უხეში ფაქტურა, თავშეკავებული ფერები, ბაზგასმული პირობითობა (სცენაზე პროფესიონალებიც გაშოშალებული იყო) ბრეტტის დრამატურგიისთვის შესაფერის პირობით გარემოს იძლეოდა. მაგრამ ამ ადრეულ ნამუშევარში მეტი პირდაპირი ანალოგია, კონკრეტიზაციაა სცენაზე.

„ხერუანელი ქეთილი ადამიანი“ რუსთაველისეე თეატრში განხორციელებული „ხამგროშიანი ოპერის“ (1964, დ. ალექსიძე — დ. ლაპიაშვილი) შემდეგ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ჭარიელი სახცენო ხელოვნებაში ბერტოლდ ბრეხტის დრამატურგიის, მისი ესთეტიკის ათვისებისაკენ. მნიშვნელოვანი, მაგრამ არასრულყოფილი — თვით რ. სტურუას აზრით, სპექტაკლში ჯერ კიდევ ვერ იქნა მიღწეული სრული განზოგადება („მოლოდინი გრუზიი“, 14. 2. 1978).

ბრეტტის ნააზრევის, მისი მეთოდის (ცერქოდ, „გაუცხოების ეფექტის“) მთელი სიღრმით დაძლევა რეჟისორის და თეატრის მიერ უფრო მოგვიანებით მოხდა და სრულად კანონზომიერადაც — საჭირო იყო დრო და სათანადო გამოცდილება. თეატრალური მხატვრობის, თვით გ. მესხიშვილის მხატვრული მეტყველების საშუალებებიც, გამდიდრდა სინთეზის და მონტაჟის რიგით ხერხებით. შესაბამისად, მან „კაკასიური ცარცის წრეში“ ჰპოვა ის „დიდი თავისუფლება“, რომელსაც სასცენო მოედნის აგებისას მხატვრის მიზანს აღარ შეადგენს რაიმე გარკვეული ოთახის ან ადგილ-მდებარეობის ილუზიის შექმნა, არამედ მინიშნებებიც საკმარისია (ბ. ბრეტტი. „პატარა ორგანონი თეატრისათვის“ 72-ე პუნქი).

მხატვარმა „კაკასიური ცარცის წრეშიც“ უხეში ჭრილების ფარდები გამოიყენა. მაგრამ აქ მათ დინამიკა შეიძინეს. ისინი ამოძრავებენ, ამოქმედდნენ. ხის კარიბჭე სცენის ხელოვნურ ზემოდან ჩამოსული დაკონსტრუირებული ჭკალის ფარდები, რომლებიც პროცესში ადგილმდებარეობას იცვლიან, სცენაზე ჩამოდიან და სიცრცის უფრო ინტიმურ მასშტაბს ქმნიან (სასახლის ანტერიერი, აზდაკის საცხოვრებელი), ზემოთ ადიან და ხსნიან სახცენო მოედანს (ბუნების წიაღი,), ზოგჯერ „მდინარედაც ეფინებიან“, ის პირობითი გარემოა, რომელშიც არავითარი მინიშნება არ არის კონკრეტულ ადგილ-ხამყოფელზე. ფერადოვან კოსტიუმებში გამოწყობილი პერსონაჟები თავისუფლად გაშლილ სახცენო მოედანზე კოლორიტულად დახვეწილ ხულტატურულ მიზანსცენებს ქმნიან. ნეიტრალურ ფონზე შეტატანილი სცენოგრაფიული ელემენტები (გარდერობი, ეტლი, მოლბერტი, ორთვალა) ფერწერულად ამდიდრებენ წარმოდგენას და დროებით აკონკრეტებენ სიტუაციას. ცალეული განმაზოგადებელი დეტალები აზრობრივად ტვირთავენ გარემოს. ეს სიმბოლოები (ხიშნიდის — ხაადგომო ბატკანი, დედობრივი ხიყვარულის — „მადონა ლიტა“, ომის — ხაიჩნის ხისხლის წვეთებით) მაყურებლის მეტაფორული აზროვნების უნარზეა გათვლისწინებული.

სპექტაკლმა შეიძინა ის ბაზგასმულად თეატრალური, კარნავალური ხასიათი, რაც დღეს უკვე სტურუასეული თეატრის ამოსავალი პრინციპია და ის მჭევრმეტყველი, რომელიც ნ. გურაბანიძის აზრით, აკლდა „ხერუანელ ქეთილ ადამიანს“ („ლიტერატურული გაზეთი“ 14. 11. 1969). პიესის და შესაბამისად, სპექტაკლის მასშტაბური გაჭანება, მისი განმაზოგადებელი ძალა სცენოგრაფიულ გადაწყვეტაში სრულყოფილ ხორცშესხმას პპოვებს.

„კაკასიური ცარცის წრის“ მოტივზე შექმნილი კოლაჟი დიდი „ტილოა“, სადაც ერთ სიბრტყეზე გაერთიანდა სპექტაკლის სცენოგრაფიიდან ამოღებული, ძირითადად სიმბოლურ-მეტაფორული ხასიათის პორტალეიფური (ცნების ბუტაფორია, ბავშვის თოკინური გამოსახულება), რელიეფური (თოფი) და ხიბრტყობრივი („მადონა ლიტას“ რეპროდუქცია) ფრაგმენტები. მიუხედავად ამდენი მათხოვრებული მოტივისა რომლებიც თეატრალურ მოტივზე ერთ სიბრტყეზეეთი ერთიანდება, ისინი ნათლად იკითხება და არც სცენას ტვირთავენ. ეხეც გ. მესხიშვილის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი თვისებაა — მხატვარი მუდამ ფართოდ ხსნის სივრცეს და არ ზღუდავს მხახიობის მოქმედებას.

ქეთევან კინწურაშვილი
გრიგი მესხიშვილის მხატვრული სამყარო

სცენოგრაფს მრავალფეროვან სახეცნო მასალაზე უხდება მუშაობა და შესაბამისად. სხვადასხვა ნამუშევარში განსხვავებულ სცენოგრაფიულ ხერხებს მიმართავს, რომლებიც დეკორაციული ხელოვნების განვითარების თანადროული ეტაპით არის განპირობებული. ამიტომ, იგი სპექტაკლის მიხედვით, ინდივიდუალურ რიტმულ-პლასტიკურ გადაწყვეტას გვთავაზობს და კონკრეტული რეჟისორის პრინციპებიდან გამომდინარე, სახეცნო სივრცეში ხსნის დრამატურგიული პირველწყაროს ხასიათს.

მსუბუქ დეკორატიულ ფონს უქმნის მხატვარი მხიარულ მუსიკალურ სპექტაკლს „ხანუმა“ (ა. ცაგარელი, ომსკის მუსიკალურ-დრამატული თეატრი, 1973). ცენტრში დიდ ჭრელი არდანი დგას, რომელიც მოქმედების პროცესში ტრანსფორმაციას განიცდის, მის უკან აყორავებული მაგიდა, ჭარხლი სუფრის ნატურმორტით, აქეთ-იქით — ძველთბილისური ყოფის დამახასიათებელი დეტალები მკაცრი სიმეტრიის გარეშე, თავისუფლად, დინამიკურად არის ნახატი და ასევე მსუბუქ, მოცეკვ-ფრ-მოოკრომიული ტონებია გადაწყვეტილი.

ჯ. იოსელიანის „ტაკიმასხარა“ (რეჟ. მ. კუპრაძე), მარჯანიშვილის სახ. თეატრი, 1974) თანამედროვე თემაზე შექმნილი ფარხაა, ირონიულ-კომიკური სიტუაციები, ბუფონადით და კლიშეებით აღსავსე. სპექტაკლის დეკორატიული ფონი — ნაირფერი (წითელი, ლურჯი, თეთრი, ჭარხლისფერი, შავი) ჭოკოლის ნაჭრებიდან შესრულებული აპლიკაცია, ასევე ჭიაველფერი წინა ფარდა, რომელიც მოქმედების პროცესში აჭკიროდა „მუშაობს“, გროტესკული კოსტიუმებით, უტრირებული დეტალებით — ბაზგასმულად მკვეთრი, თავშეუკავებელი თეატრალური თამაშის ატმოსფეროს ქმნიან.

ა. სუმბათაშვილის „ღალატის“ დეკორაცია პირობით-განზოგადებული ხასიათისაა (რეჟ. ბ. ხუთურა, რუსთაველის სახ. თეატრი, 1974). სცენა დაფარულია ალაგ-ალაგ დაფლეთილი, ხანძრით შეფაკლული მორუხო-მოვარდისფერო ჩხოვილით. ნეიტრალურ ფონზე ჩნდებიან ჟღეჟად, კონტრასტულ ფერებში გადაწყვეტილ კოსტიუმებში გამოწყობილი გმირები. სოლეიმან-ხანის გრძელი წითელი მოსასხამი, რომელიც კულმინაციურ მომენტში მთელ სცენას კვეთს, შემთხვევაში ბიწაზე გაჩაღებული ხისხლისღვრის სახეობრივ გამოსახულებად იკითხება. კიბის თავზე მოთავსებული წვინდა გიორგის გაზნარული ხატი მტრის უღელქვეშ მგმინავი სამშობლოს სიმბოლოა, ხოლო წინა პლანზე გამოტანილი ნორჩი ნერგი — მშიდობიანი მომავლის იმედის მეტაფორული გამოსახულება.

პირვანდელი ფაქტურით დეკორაციები უხვი მასალით (ხე, ტილო, ბაწარი) სტატიურ, მონუმენტურ სცენოგრაფიულ გარემოს ქმნის მხატვარი კ. აბეს პიესისათვის „ჯალი ქალაქში“ (1975, არ განხორციელდა). მეტტების თეატრალური სტუდიის სცენის პროპორციები, საშუალებას აძლევდა ავტორს ვერტიკალურად გადმოთა დეკორაცია და მან მაქსიმალურ ... ფერხ ღრმა ორმოს შეგრძნება, რომელშიც უნდა გათამაშებულიყო დაძაბული ფსიქოლოგიური დრამა. დეკორატიულ „პრელიუდიას“ — სპექტაკლის ფარდას წარუმძღვარებს გ. მესხიშვილი სპექტაკლს „დრაკონი“ (რ. ატუროვი, რუსთაველის სახ. თეატრი, 1976). ნაბეურაფვალური ფორმის ფარდის ოქროსფერად შეფერილი მაქმანის ნაოჭებში სანთლებთან, ყვავილებთან, გვირგვინებთან ერთად, სიმბოლური ხასიათის ბუტაფორული გამოსახულებებიც არის მოცემული: მშვიდობის მომტანი თეორი მტრედი და ავის მომასწავებელი შავი ყვავი; წმინდა გიორგი — სანთლის დამცველი და ბუ — სიბნელის მოყვარული. ფარდა თავისი შინაარსით პასუხობს ე. შვარცის ზღაპარში მოცემულ კონფლიქტს (ელოლას და ბოროტის ბრძოლა) და მხატვრულ ერთიანობაშია სპექტაკლის დეკორაციულ გადაწყვეტასთან, რომელიც ფარდის გახსნისას იხსნება მაყურებელის წინაშე.

ლირიკულ ატმოსფეროს ქმნის გ. მეხეიშვილი „ჭართული პოეზიის საღამოსათვის“ შექმნილ კოლაჟში (1976). მარტოხელა ბე, შემოდგომის ფოთლები, სივრცეში განმარტოებით მდგარი შავი მაგიდა და სკამი, სცენაზე გახსნილი ერთადერთი კარი მშვიდ, აოჭკარებელ რიტმულ ერთიანობაშია მოყვანილი. მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოლორისტული გადაწყვეტა — ერთიან თეთრ გამაში მხოლოდ ალაგ-ალაგ, თითქმის შეუმჩნეველად არის შეტანილი ცისფერი და ოქროსფერი.

უ. დიქენსის ნაწარმოებში ასახული დამხვრეული იმედების ნაფლეთანი პიესა ემოციურად იხსნება ესკიზში სპექტაკლისათვის „დიდი იმედები“ (რეჟ. მ. კუპრაძე. მარჯანიშვილის სახ. თეატრი, 1979). სათანადო ფსიქოლოგიური განწყობა იქმნება ცნობილი ფერწერული ნაწარმოებების მახვილად შერჩეული ფრაგმენტების მონტაჟით, რომლებიც დროის და განწყობის მიხედვით მიესადაგება სცენაზე მიმდინარე მოქმედებას.

ვერტიკალურად გამართული ტკაბილური დეკორაცია სპექტაკლში „სამგროშიანი ოპერა“ (ტაშკენტის დრამატული თეატრი, 1978), როგორც ბრეხტის პიესაში მოცემული სატყვიციების სწორად რიტმულ მონაცვლეობას შეესაბამება, დინამიკურ შეაბეჭდილებას ტოვებს. შთაბეჭდილება იქმნება სცენაზე ჩამოფენილი ჭალის ჩხოვილის დენად ნახატით, მის ფონზე ფერწერულად მიმოხნეული ათახვარი ყოფითი საგნის თავისუფალი მონაცვლეობით. ამავე თემაზე შექმნილ თეატრალურ მოტივში

იგივე ეოფითი დეტალები პირისა, ორგანზომილებიანი, მკაცრ კომპოზიციურ ერთიანობაშია მოყვანილი. მაგრამ მოშავო-მოყავისფრო კოლორიტში გადაწყვეტილი კომპოზიციის პირობით-განზოგადებული ხასიათი პასუხობს დრამატურგიული პირველწყაროს ფაქტურას, მის სინთეტურ ბუნებას.

ნატურალიზმამდე რეალური და ანსტრაქტულიზმამდე პირობითი საწყისების ორგანული შერწყმა, როგორც ჩანს, საერთოდ დამახასიათებელია თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგისთვის. აბსტრაქტული კოლაჟების უმეტესობაც ხომ ზუსტად ამ პრინციპზეა აგებული. ამ ხერხს ორგანულად ითვისებს დღევანდელი სასცენო ხელოვნება, კერძოდ, რ. სტურუას თეატრი. სცენაზე კოლაჟური ხერხის ერთგვარი „გამოძახილი“ უნდა იყოს „კავკასიურ ცარცის წრეზე“ საუბრისას გ. ალიბეგაშვილის მიერ აღნიშნული მომენტი: „ვფიქრობ რეჟისორი აერთიანებს ამ სპექტაკლში იმგვარი ხაწინააღმდეგო ხასიათის მოქმედებებს, როგორიცაა პირობითი ფესტები და თანაობის ნატურალისტური სცენა“ („ბაზმოთა ხელოვნება“, 2, 1979, გვ. 8). ეს თვისება დამახასიათებელია კონკრეტულად გ. მესხიშვილის „თეატრისათვის“, რაშიც ჩვენ მის დაზგურ ნამუშევრებსაც ვგულისხმობთ.

დეკორატიული მოტივით პასუხობს გ. მესხიშვილი პიესის ან სპექტაკლის, რომელიც მნიშვნელოვან კვალს ტოვებს მის მხატვრულ აზროვნებაში. ზოგი მათგანი სპექტაკლის შექმნის პროცესში იქმნება, ზოგი მოგვიანებით. მხატვარი მათ ქმნის არა მხოლოდ საკუთარი ნამუშევრის ხაფუძველზე, არამედ უბრუნდება ნაწარმს, განცდილს: ხელოვნების ნიმუშს — სპექტაკლს „რიჩარდ მესამე“, ფილმს „ხარკი“; გამოხატავს მოაზროვნობაში (სპრინტინთი, ინგლისში) მიღებულ შთაბეჭდილებას. ეს ნამუშევრები განსხვავებული ხასიათის ელემენტთა — სურათების, ნივთების მხატვრული მონტაჟია, რომელიც მთლიანად ასოციაციებზეა აგებული. დეკორატიული კომპოზიციაში გაერთიანებისას, სხვადასხვა კონტექსტიდან ამოღებული ფრაგმენტები ახალ შინაარსობრივ ან წმინდა დეკორატიულ დატვირთვას იღებენ. აქ რეალური, ზოგჯერ ნატურალისტური ელემენტები პირობითად არის გადაჯაჭვული. მაგალითად, ერთ კომპოზიციაში შეთხუბებისას, ოქროთი დაფერილი და რამდენიმე დეკორატიული დეტალით გაფორმებული ძველი ფეხსაცმელები და დაწნილი კალათა უკვე მესხიშვილის „თეატრის“ ნაწილია ისევე, როგორც „მწვანე ოთახი“, „ძველი ფარანი“ და სხვა კოლაჟები.

პირობით-დეკორატიულად არის გადაჯაჭვული ადამიანთა გამოხახულებებიც — ხახე ან ფიგურა, ხადაც მხატვარს აღარ ინტერესებს კონკრეტული ნატურა. იგი ქმნის დეკორატიულ გამოხატულებას პირობითად შეჯავებული ფერებით, სხეულის ნაწილების პირობითი მონტაჟით. თითოეს ნაწილებად შეიძლება ხახლდეს, უკვე ხსენებულად ხმარებაში ნაწარმოებულებს. მაგალითად, ადამიანის ხახეთან, რომელიც მის სურათებში უმეტესად თითქმის ნიღბად არის ქცეული. მხატვარი ერთ კომპოზიციაში აერთიანებს ხანთლებს, მთვარეს, ბორბალს, ქართულ ასოებს და სხვა, განსხვავებული მხატვარული შეფარდების მოტივებს. სურათი ამ პირობითი, განუვნებული დეკორატიული ბუნებით გარკვეულ „თეატრალურ“ ეფექტდობას იძენს. ისევე, როგორც თეატრი პირობითად „გადაიაზრებს“ რეალობას, „თამაშობს“ სინამდვილეს, ამ ფერწერული ნამუშევრების შექმნის ძირითადი ბიძგი უმეტესად რეალურია. მაგალითად, ხალხური ცეკვის და სიმღერის ხახელმწიფო ანსამბლის კოსტიუმების ესკიზებზე მუშაობისას, ხადაც ავტორმა შეინარჩუნა ხალხური ჩაცმულობის ხილუეტი, ძირითადი ნახაზი, მაგრამ სიმსუბუქე, მკვეთრი ფერწერულობა, თანამედროვე ხცენური გამოსახველობა მიანიჭა მათ...

ცნობილია რომ გავადევნოთ თვალი ერთდროულად შექმნილ ნამუშევრებს, შევამჩნევთ, რომ ხცენოგრაფიული და დაზგური მხატვრობა მხატვრის ლაბორატორიაში ერთ მთლიანობას ქმნის, ავსებს ერთმანეთს. ეს შეეხება კოლორიტს (მოცისფრო-მომწვანო ფონზე ოქროხფერი ვარსკვლავების, კოლეგის, ფიფქების, თავისუფლად დაფეთნილი ფერად-ფერადი ლაქების, ხხივთა ელვარება ხმბოლურ „ნატურმორტებში“ და „კოპელიუხის“ და „შეილკუნჩიკის“ ესკიზებში); მახასას (თეთრი დიფერილი ხალეჩაჭე ქხოვილი „ქართული პოეზიის ხალამხთათვის“ შექმნილ ესკიზში და ა. ტარკოვსკისადმი მიძღვნილ ტრიპტიქში) მხატვრულ ხერხს (ბოლო დროის ხცენოგრაფიულ და დაზგურ კოლაჟებში ძირითად მაახოცირებელ ხაშუალებად, მთლიანად ან ფრაგმენტულად, ფერწერის და გრაფიკის კლახიკური ნიმუშების რეპროდუქციების შეტანა) და ა. შ.

ხცენოგრაფიაში ხახვით ხელოვნების ცნობილი ნაწარმოებების გამოყენება დეკორაციული ხელოვნების ისტორიაში მრავალჯერ აკრობირებული ხერხია. გ. მეხიშვილი მათ იყენებს, როგორც ახოციურ აქცენტს, ხიმბოლოს ან მეტაფორას (ლეონარდოს „მადონა ლიტა“, რემბრანდტის „უძღები შვილის დაბრუნება“ — „კავკასიური ცარცის წრეში“, ბაში სპექტაკლში „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“), მხატვრულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ა-

კამერტონს (პიტერ დე ხოოხის, ჯ. რიჩმონდის სურათების ფრაგმენტები სპექტაკლში „დღეი მმედენი“, ფრ. კლუეს და სხვათა ნამუშევრები კოლაჟებში: „ხარკი“, სპექტაკლის „როგორც გენებოთ“ მოტივზე). მოლიერის პიესებისთვის („დონ-ჟუანი“, „ტარტიუფი“) პიესის თანაგრაფიული გრაფიკული ან ფერწერული პერსპექტივი გამოყენებულია, როგორც უკანა კედელი ან ჭვერდითა პანო, რომელიც მოხდენილად იწერება სცენის მახზაბში და პირობითად გადმოგვცემს მოლიერის გმირთა არქიტექტურულ ან საპარკო გარემოცვას, ფონს.

ხახვითი ხელოვნების წარსულის ოსტატების ნამუშევრებს ხაკმაოდ გახედულად, ზოგჯერ გაუმართლებლად იყენებენ თანამედროვე ხელოვნების თითქმის ყველა დარგში (ფერწერა, გრაფიკა, გამოყენებითი და ფოტო-ხელოვნება), სადაც ისინი ახალ კონტექსტში, უმეტესად კოლაჟურ მონტაჟში ახალ, ზოგჯერ პრეტენზიულ ან გადამეტებით დაშიფრულ, ხშირად გაუმართავ აზრს იძენენ. გ. მესხიშვილი ხელოვნების თანამედროვე „ენაზე“ მეტყველებს და კოლაჟის ტექნიკით მისი აქტიური დაინტერესება გასაკვირი არ არის, თუმცა ეს არ გაშრირცხავს მხატვრის შემდგომ. წმინდად ფერწერულ-გრაფიკულ ძიებებს. ახალ მიღწევებს ამ მხრივ.

როგორც დავინახეთ, ჩვენს მიერ აღრეული ნამუშევრების საფუძველზე მინიშნებული თვისებები მხატვრის შემოქმედებაში წლების მანძილზე შემდგომ განვითარებას ჰპოვებს და დასკვნაში კიდევ ერთხელ ხაზგასმას საჭიროებს.

მოლიანობაში რომ გადავხედოთ, გ. მესხიშვილის ნაწარმოებში მოკვეთილი ფორმა ან მომწვანო-მოყვითალო ფონი სჭარბობს. ვხვდებით კონტრასტულ ფერებსაც — მკვეთრ წითელს ან ლურჯს, კრემისფერ ფერებში — შავის, რუხის. ეფერული ფერადებს. სცენოგრაფიულ თუ დაწყურ ნამუშევრებში მუშაობისას ამა თუ იმ პერიოდში ავთვისებული მასალა, მიგნებული ფაქტურა, ესა თუ ის მოტივი ან დეტალი გადადის ერთი ნამუშევრიდან მეორეში და მრავალწლოვან ნაწარმოებებს ერო, ავტორისეულ ხელს უნარჩუნებს. მაგრამ თუ თავდაპირველად ხაზი უფრო მსხვილია, მკვეთრია. ხალებავი — მხუყედ, პასტოზურად დადებული, თანდათანობით ფერწერული მოხაზები სულ უფრო ნატიფი ხდება, ტონალური გრადაციები — ფაქიზი, ხაზი — დახვეწილი. და კიდევ მახი ავტორობა თავისებური ემოციურ განწყობაში ვლინდება. როგორც ჩანს, მხატვრისთვის ლირიკულ-დრამატული განწყობის პიესები უფრო ახლობელია. ყოველ შემთხვევაში, დრამატული ნაწარმოების მისეული ინტერპრეტაცია უმეტესად ლირიკული ხასიათისაა. ახეთივე განწყობით არის შესრულებული კოლაჟების სერიები თემაზე—„დაბადების დღე“, „ზოხა“ და სხვა რომლებსაც ჩვენ კონკრეტულად არ ვეხებით, რადგან ისინი ხშრად მხატვრის ინდივიდუალური ბუნების „ბანნის“ თვალხაზრისით, მისი დახვეწილი მხატვრული გემოვნების გამოხალენად უფრო საინტერესოა, ვიდრე თავისთავი დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობით.

ბოლოს, კვლავ ვიმეორებთ — ყველაფერი ეს „თეატრია“, გოგი მესხიშვილის „თეატრი“, სადაც ძლიერია პირობით-დეკორაციული, თეატრალური „თამაშის“ ეფექტი!

რედაქციაში შემოსული მასალები ერთ საათრორ თახახამდე ავტორებს არ უბრუნდებათ

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე—72-26-80. მდივანი — 72-44-78. განუოფილებათა გამგეები—72-26-35, პროზის — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, ხაკორექტორო — 72-48-75.

გადაეცა ასაწყობად 21. 8. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 10. 81 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-სად. თაბახი 15.85 შეკვ. № 2199. უე 08640. ტირაჟი 43.300.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

64/164

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. Цена 60 коп.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ